

ვიტალი ქერქაძე

ქსერი ხალხური ფასლიო

(იცინიან ძარჩოზე ლეპი)



ვიტალი ქენქაძე

ქსოური ხალხური ფაზლიო

(იცინიან ქარჩოხელები)

თბილისი
2010

წინამდებარე წიგნი ხალხურ სალაროდან არის აღებული, რომელიც ღმერთის წყალობით მდიდარი და მრავალფეროვანი გვაქვს ქსნელებს. განსხვავებით ბევრი რამისა „მას გვეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი“.

ქსუნრი ხალხური ფაბლიო-იგივე მცირე ზომის იუმორისტული ნოველები, დასტურია წინაპართა „სიცოცხლისა“, ხსოვნისა, კიდევ ერთი ხიდის გადებისა ძველსა და ახალ თაობას შორის; დასტურია იმ იუმორისტული ნიჭისა, რაც ჩვენ, მთის ხალხს და წყაროებს იოდივით გვჭირდება.

რა გვაქვს სასაცილო ქსნელებს?! გვეცინება კი...?!

— უნდა გვახსოვდეს...! ჩვენ ბუნებამ მოგვცა ძალის დიდი მარაგი. სიცილი ნიშანია ძალისა, სიცილი ნიშანია გამარჯვებისა, სიცილი დიდი სანიტარია.

რედაქტორი: მ.ბალაშვილი

ISBN 978-9941-0-2664-5

© ვიტალი ქენქაძე, 2010



ნიკო ეპლველა აააის ფირუზი ბასარიშვილ ა გუგავების
ნათელ სერვას



ნიგნი გამოიცა ქსნის ხეობაზე პიზნესეანის და ქველმოქმედის
ბატონი გურამი გაროზაშვილის ღაფინანსებით,
რისთვისაც ავტორი უღრებას გადლობას უძინს.

„თუნდაც პატარა სიცილს „ილიადაშიც“ ეს არ
გავცვლიდი“. (რომაელი ისტორიკოსი პერსიუსი)

ნინასიტყვაობა

ნინამდებარე იუმორისტული კურიოზების კრებული არის ერთად შეკონება იმ სახუმარო, მინიატურული მოთხრობებისა, რომლის ერთ-ერთი დანიშნულებაა სიცილი, სიცილი, რომელიც ადამიანსა და ცხოველს შორის წყალგამყოფადაა მიჩნეული.

რა არის სიცილი? — ძალა, ნიჭი, უნიჭობა, ემოცია, პირფერობა თუ გესლი და ბოროტება.

სიცილი, როგორც ბრძოლის იარაღი პირველად ხალხმა აღმოაჩინა და მანვე გამოიყენა. საბა თავის „სიტყვის კონაში“ მეტად ორიგინალურ განმარტებას იძლევა სიცილზე:

„განყოფანი სიცილთანი ესე არს: ღიმილი არს სიცილი სიმშვიდით, უხმო, ბაგეთა ოდენ შეეტყობდეს, სიცილი არს მცირე ხმიანი და მდაბალი, კაშკაში არს სიცილი მაღალი და მოხიდომილი, კასკასი არს სიცილი მაღალი წულილი, რახრახი არს სიცილი მაღალი და უშვერი, თქართქარი არს სიცილი მრავალთაგან შეხმობილი, ღინცილი არს სიცილი მიწყივ უწესო, ხოლო ფრუსტუნი ვის არა ენების სიცილის გამოჩინება და ერთს და ერთს საცინელს საქმეზედ წარსცინოს და მაღიად დაიდუმოს.“

როგორც ირკვევა აქ მწერალი სიცილს მხოლოდ ინტონაციით განასხვავებს, ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს მისი განსხვავება არა ხმოვანების სიმაღლითა და სიდაბლით, ან ტონალობით, არამედ ხარისხითა და ხასიათით.

რა არის სიცილი? — ამ კითხვის არასრულ პასუხად შეიძლება ჩაითვალოს გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამები: — „ჩვენ ბუნებამ მოგვცა ძალის დიდი მარაგი. სიცილი ნიშანია ძალისა, სიცილი ნიშანია გამარჯვებისა, სიცილი დიდი სანიტარია“ — ამბობს ლუნაჩარსკი. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ სიცილი შეუთავსებელია სულიერ მღელვარებასთან ხოლო მღელვარებასთან ასოცირდება ტირილიც, რომელიც სიცილის მსგავსად ადამიანის გრძნობებს გამოხატავს, მაშასადამე, ორივეს შეუძლია ასახოს ადამიანური პრობლემები.

სიცილთან დაკავშირებით დიდი ილია ამბობდა: — „განა ყველა

სიცილი საგანია ხელოვნებისა? სიცილიც არის და სიცილიც. უაზ-რო, უმიზეზო სიცილი ლაზლანდარობაა... მარილიანს, ჯინიანსა და მარგებელ სიცილს აზრი უნდა, მომავლინებლად საბუთი უნდა“.

„სიცილი ყველა სიბინძურეს კლავს. შესანიშნავი საქმეა სიცილი, შესანიშნავი! — ამბობდა მაქსიმ გორკი.

„დაცინვის ეშინია თვითონ იმასაც კი, ვისაც ამ ქვეყნად აღარავისი აღარ ეშინია“ — გოგოლის ეს სიტყვები ასახავს ერთი ევროპელი მეფის დამოკიდებულებას სიცილთან. ისტორიამ შემოგვინახა გადმოცემა ლუი XIV-ის ბრძანებისა, კერძოდ ლაპარაკია მარილზე — „გაბელის“ სახელწოდებით ცნობილ სახელმწიფო მონოპოლიაზე — არაპირდაპირ გადასახადზე:

მეფემ მარილის ფასი გაზარდა და იკითხა, რას ამბობს ხალხიო?

- დიდი უქმაყოფილებაა მეფეო! — მოახსენეს.
- მოუმატეთ! — ბრძანა მან, — ახლა რას ამბობენ?
- შფოთია ხალხში!
- კიდევ მოუმატეთ!
- ხალხი მძვინვარებს! — აცნობეს ტირანს.
- კიდევ მოუმატეთ!.. ახლა რაღას ამბობენ?
- იცინის ხალხი, დაგვცინიან, ხელმწიფევ!
- შენყვიტეთ!.. ეს ყველაზე უფრო საშიშია!..

დაუდგენელია სად და როდის გაისმა დედამიწაზე პირველი სიცილი, რომლის ექმ თაობიდან თაობას გადაეცა, საუკუნიდან საუკუნეს. მიუხედავად იმისა, რომ გაბატონებული კლასები, ეკლესია, ფეოდალური მონარქია სიცილს დევნიდნენ. ქრისტიანული რელიგიის აპოლოგეტების თქმით ქრისტე არასოდეს არ იცინოდა, არამედ ტიროდა. IV საუკუნიდან ქრისტიანობამ შეაჩვენა ადამინის სულის თავისუფლება და აკრძალა სიცილი, მაგრამ ზეპირი სატირა და იუმორი ცოცხლობდა, ვითარდებოდა... მისი სიცოცხლის წყარო თაობების გული და გონება იყო.

ქართულმა ფოლკლორმა მდიდარი განძი შემოგვინახა. ათასობით წლის წინათ შექმნილი სატირულ-იუმორისტულ ორიგინალებში ბერიკაობა, ყენობა, — გვევლინებიან კომედიანტი ხუმარები: მთავარი ბერიკა, ლორბერიკა, პატარძალი-კეკელა, ნათლია, მღვდელი, მებარგული და სხვა გმირები, რომელთა ხუმრობები დაჩაგრული კაცის მალამო იყო.

ცნობილია ძველი ბერძენი პოეტის, „ილიადას“ და „ოდისეას“

ავტორის, ხმამაღალი სიცილი, რომელიც „ილიადას“ ღმერთების სიცილიდან მოდის. ეს არის ანტიკური, უძლიერესი ხმოვანების „ჰომერული სიცილი“.

ელინური სიცილის ბაზისია ეზოპეს სხარტი და ლაკონური იგა-ვები. ამჟამად ქარაგმულად წერის მანერა ლიტერატურაში ეზოპეს ენად ინოდება.

ხალხში არის ბევრი ნაკლი, მანკიერი, საძრახისი ჩვევები რის წინააღმდეგ არ არის აუცილებელი ვიბრძოლოთ კანონებით, ბრძანებულებებით, ციხეებით, ცხრაკლიტულებით. მათთან შეიძლება ბრძოლა სატირულ-იუმორისტული ჟანრითაც. ამ ნაკლოვანებების მხილება, კრიტიკა და მათთან ბრძოლა, სწორედ ამ ხერხით არის უფრო მისაღები, რასაც თან სიცილის უზარმაზარი დადებითი ეფექტიც ახლავს თან.

განმტკიცებული აზრის თანახმად, მხილების, ნეგატიური მოვლენის გამოაშეარავების და მათი დაცინვის სიმწვავის ხარისხს შეეფერება სატირისა და იუმორის სახელწოდება. მწვავე დაცინვა სატირას წარმოადგენს, ხოლო მისი შენელებული გამოსახულება იუმორის სახით გვეძლევა. სპეციალისტთა აზრით იუმორი ინტელექტუალურია, იგი უშუალოდ დაკავშირებულია ცოცხალი არსების ინდივიდუალურ განვითარებასთან. სწორედ ამ პირობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ იუმორი შედარებით გვიან მოვიდა ხელოვნებაში. ერთი პერიოდი იუმორს როგორც მორჩილებისა და შერიგების გრძნობას, რელიგიურ მსოფლმხედველობასაც კი ანიჭებდნენ, გონივრულ რელიგიად აღიარებდნენ.

იუმორში შეიძლება გამოვყოთ სამი სახე, პირველი - შემრიგებლური ანუ ოპტიმისტური იუმორი, რომელსაც მხილება-გაკიცხვას-თან ერთად ახლავს თანაგრძნობაც. მეორე - მწვავე შეწყნარებული სატირა და მესამე — ირონია. ასე, რომ სატირისაგან განსხვავებით იუმორი ხასიათდება, როგორც სასაცილოდ აღებული მოვლენის ერთგვარი შეწყნარება და მისადმი თანაგრძნობა, თუმცა მას — იუმორს სატირასთან დაცინვა აერთიანებს. რამდენადაც სატირას და იუმორს საფუძვლად მხილება და დაცინვა უძევთ, ამდენად სატირა და იუმორი ერთ ხაზზე არიან განლაგებულნი და მათ შორის მიჯნის დადება ყოველთვის არ არის ადვილი. სატირა ადვილად გადადის იუმორში და პირიქით. ეს განსაკუთრებით ხდება მაშინ, როდესაც ნაკლებ მწვავე სატირისა და მკვეთრი იუმორის ნიმუშებს ვუ-ახლოვდებით და ვადარებთ ურთიერთს.

სატირისაგან განსხვავებით ახალი დროის იუმორს ახასიათებს

ცრემლნარევი სიცილი, სევდიანი იერის მქონე გულკეთილი სიცილი, რომლითაც ადამიანს შეუძლია მოახერხოს მწუხარების შემსუბუქება ანუ სასაცილოს დანახვა მწუხარებაში, რომლითაც შესაძლებელია მძიმე წუთებში ყურადღების გადატანა სხვა მომენტებზე, (მაგ. „ჭიანა და ჭირისუფლები“) ადამიანის ერთგვარი განთავისუფლება მწვავე განცდებისაგან, ამ აზრით ამბობენ, რომ იუმორის გრძნობა იწვევს „სიცოცხლის გაადვილებას“.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იუმორი თავისი ბუნებით ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი ხასიათისაა და მისი არსებობა და ნიჭის ქონა მიუთითებს ადამიანის „ამაღლებაზე“ რისი უქონლობის გამო ბავშვს და, საზოგადოდ გრძნობებმოუმწიფებელ ადამიანს უძნელდება იუმორის წვდომა. იუმორის ნამდვილი გაგება და ნიჭი ადამიანის სულიერი განვითარების მომწიფებას საჭიროებს, ის განადგურებისკენ კი არ მოგვიხმობს, არამედ ნაკლოვანებათა მხილება — ლიკვიდაციით ობიექტის სრულყოფისაკენ მოგვიწოდებს. მისი ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა დაცინვის საგნისადმი სიმპათია და ნაზი ლიმილი.

იუმორი და მისით გამოწვეული სიცილი ძლიერი იარაღია, რომლის გამოყენება ექვემდებარება გარკვეულ წესებს, რაზეც ცნობილი ქართველი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე ამბობდა: „დაცინვა და კიცხვა ისეთი ძნელი იარაღია, რომ მისი ხმარება ერთობ მძიმე და საშიშია თითქმის ყველა მნერლისთვის“, — და ეს მით უფრო „საშიშია“ ეგრეთ წოდებული დაკონკრეტებით წერისას ჩემს პატარა ხეობის ბრძენ ხალხზე. რამდენადაც ლოკალურია და ახალია აქ მოხმობილი იუმორისტული კურიოზები, მით უფრო მეტი საშიშროება არსებობს ჩემი თავის უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენისა, მაგრამ მაინც ვპედავ და მჯერა, რომ ჩემი თანამემამულენი გაგებით მოეკიდებიან ყოველივე იმას, რაც ჩვენი ხეობის მაჯისცემის და განვლილ თაობებში საზოგადოებრივ მოვლენების მეტროლოგიის-თვის გამოადგებათ ჩვენს ახალ თაობას.





„აღვილად არ დაიჩევა, ქართვის ჭალა ქვიანი,
გაუკაცი ბევრი გამოვა თოფიანი და ხმლიანი“: (ხალხური)

ჩვენი ქარჩოები!

ჩემო ხალხო, ჩემი ეს წინამდებარე წიგნი, არც დიდ აღმოჩენას ეხება, არც დიდ მხატვრულ შედევრს წარმოადგენს და არც სამეცნიერო მონოგრაფიას. აქ, ამ წიგნში, მე თავი მოვუყარე ქართვის ხეობისა და მის მცხოვრებლებთან დაკავშირებულ კურიოზებს, შემთხვევებს, მოვლენებს. იუმორისტულად გააზრებულს, სადაც ზედ ეწვეთება სატირა - განზოგადების პრინციპით. იმ ხუმრობებით, რომელზეც, ამ ჟანრის გამვრცობი საქართველოში იოანე ბატონიშვილი „ხუმარსნავლად“ იტყყოდა. აქ სახუმარო სიტყვებით არის მოთხრობილი თქვენი და თქვენი წინაპრების ცხოვრების პატარა ეპიზოდები, რომელთაგანიც რომელიმეს შეიძლება საწყენადაც მოგეჩვენოთ.

ნუ გენუინებათ! ჯერ ერთი, მე აქ სიმართლე დავწერე, მეორეც ის, რომ აქ თქვენი მამების, პაპების, ბებიების, ბიძების პირის ორთქლს ამოყოლილი და დღეს სამზეოს გამოტანილი სიტყვებია.

ქართველებომ, — ჩვენებურებომ, არ გენუინოთ! არ გამიბრაზდეთ! ეს თქვენმა და თქვენი წინაპრების სიყვარულმა გამაკეთებინა. ძალიან მინდა და კარგიც იქნება თუ ძველი, წინა თაობის ცხოვრების

**„ჭურთა უკანა ქარათი, წინ კიდევ წინჯიბითაო,
ქარჩოხი ჭირში გამჭუევი, ლობინში კი კინკილითაო“ (გ.ქ.)**



ნინა ალექსის ასული
ბუთხუზი-ქერქაძისა



ფეფო რაჟდენის ასული
ილურიძე-მუზავეისა

ეპიზოდებს, მათ ხასიათს და იუმორისტულ ნიჭს გავაცოცხლებთ და არ დავკარგავთ, სამყაროს უსასრულობის ლაპირინთებში.

თვალნინ მიდგას ჩემი ბავშვობის დროინდელი, გასული საუკუნის 60-70-იანი წლების სოფლის, წელში მოხრილი, თეთრწვერა მოხუცები. მახსოვს ქალამან გაცვეთილები, საკერებელიან შარვალ-ხალათებში, მახსოვს შრომითა და ჯაფით ხელებ დახეთქილები, ბურნუთის მწეველი, ხალხურ მედიცინაში გათვითცნობიერებული ბებიები, თამბაქოლეჭია პაპები, შრომაში გართულები, ქეიიში შემღერებულები, ლხინში დინჯად მავალნი და ჭირში ფეხაჩქარებულნი. კარგად მახსოვს სოფლის ძველი ხალხი — წელში ნაჯახგაყრილი მობუზღუნე იოსება, თუთუნით თითებ და ულვაშებ გაყვითლებული შაშო, წინდის ყელში შარვალჩატანებული და წელზე ხალათშემოკრული ვანო პაპა (ბანა). მახსოვს ქალამნებიანი, მაღალი, თეთრწვერა, კეთილი ფიდო პაპა, რომელიც „ლულუას“ მეძახდა. მე მაშინ არ ვიცოდი თუ რას ნიშნავდა ჩემდამი მისი ეს მოსაფერებელი სიტყვა. სკოლა რომ დავამთავრე ფიდო პაპა კარგახნის გარდაცვლილი იყო. ერთ დღეს გამახსენდა, დამაინტერესდა და ლექსიკონში ვნახე იმ სიტყვის მნიშვნელობა, თურმე — „ზიზიას“ ნიშნავს.

ხედავთ! — რამდენი დაკვირვება გვმართებს, რომ გავიგოთ თუ როგორ გვეფერებოდნენ მაჩიტა-ფხოლებზე გუთანს გამოკიდებული, წნელის თავქუდიან მარხილებს და წნულის საფარცხ-კაბდოებზე ბელურებივით შემომსხდარ ბავშვებს — სოფლის კოლორიტი პაპა-ბებიები. მახსოვს, კარგად მახსოვს, ჩემი სიბერით სახე დაღარული და თითებ მოკაკული „ბუთხუთქალი“ — ნინა ბაბო — ვინც მე გამზარდა. ჩემდამი დიდი სიყვარულისა და სიბრალულის გამო „საბრალო“ დამარქვა. მახსოვს ჩემი მეორე ბებია შრომაში გალეული,

„ცუდ წიგნებსაც ისევე შეუძლიათ აღამიანის გაფუჭება, როგორც ცუდ ამხანაგებს“. (პ.ფილდინგი)

თეთრი თავსაფრიანი „ილურთქალი“ — ფეფო. მახსოვს, მახსოვს! მაგრამ... მე დისკუზე გადატანილი და კოსმოსში გაშვებული, საუკუნოდ შენახული „ძველი ამბების სკივრი“ კი არ ვარ. იქნებ ამ თქმამ ცოტა მაინც დააწყუროს იმ გარდასულ დროთა გახსენების სურვილი, იქნებ შევძლოთ მათგან გამოყოლილი სითბოთი სიკეთის გაღვივება და როგორმე ახალ თაობას ჩვენც ცოტა რამ სითბო ვაგრძნობინოთ, რომ მათაც ჩაენერგოთ გულში „სიძველისადმი გრძნობა-პატივი“ და მათაც თბილი სიტყვებით გაათბონ, გამოზარდონ და სულიერად დააპურონ მომავალი თაობა. არ უნდა დავივინებოთ და არ უნდა წაფშალოთ წინაპართა ნაფეხურები, ჩვენი სოფლის ორლობეებში მათი ფეხით ნალახი — ტალახი.

ძნელი ყოფილა მშობლიური კერის მონატრება, დაკარგული მიწის ტკივილი. სადაც ბავშვობის დროინდელი მოგონებები თვლემენ. მივალთ, დავინახავთ და მაშინვე მოგვარდებიან, ყელზე შემოგვეხვიან, გულში ჩაგვიძერებიან და სიკვდილის კარამდე არ მოგვილდებიან. ადგილი, სადაც ყველა მტკაველს თავისი ისტორია და მოგონებები ახლავს, ჩვენი აღარ არის, არადა, ეს მშობლიური გრძნობა და განცდა, ფიქრი, სიზმარი, სიყვარული უტყუარი მტკიცებაა მათზე ჩვენი როგორც დევნილის საკუთრებისა და კუთვნილებისა.

ჩემს სოფელ მიდელაპანში, სადაც შუა ზაფხულში, დედაჩემს, ჭარხლის ფოჩის კრეფის დროს ჩემზე ასტკიებია მუცელი, 1961 წლის 17 ივნისს, პაპის, ფირუზის აშენებულ სახლში დავიბადე. სოფლის განაპირას, გვერდით ვცხოვრობდით, იქ, სადაც მთის უგემრიელესი წყაროების კრებული — ძაბუეთის პატარა, საკალმახედ ქცეული ძაბურთ ხევი ჩამოდის. წინ კი ასევე კალმახების და ორაგულების საქარავნო ულამაზესი და კამკამა მდინარე ქსანი. სოფელში ოცოჯახამდე ვცხოვრობდით. ყველა მშრომელი, ყველა ლამაზი, ყველა ნიჭიერი, მაგრამ ეს ყველაფერი არ იყო საკმარი. ნიჭი დადებითიც არის და უარყოფითიც, რაც ზედაპირულად, მაგრამ მაინც ახასიათებდა ჩემი სოფლის ხალხს, ვიდრე, თუნდაც მეზობელ ბალაანს, ქენქაანს, პავლიანს, თუმც არც იქ იყვნენ დიდი ალტრუისტები. ერთი სიტყვით, ჩემს სოფელ მიდელაპანში კეთილ, სათნო ოჯახებთან

**„ქაცთა მონიშებული პირებელი სიმღიღრე
წიგნთა მოძღვრებაი არს“ (დ.აღმა შენებელი)**

ერთად ცხოვრობდნენ ნაკლებად მეზობლური, გაუტანელი, წუთი-სოფლის საქმეში ჩაუხედავი და ცხოვრების ბალდამით შეუწუხებელი ოჯახებიც. ამის მიზეზი კი თურმე ყველასგან დაუჯერებელი და გაუგონარი რამ გახლდათ. ისეთი რამ, რომელიც შედარებით კეთილმყოფელთ, წუთისოფლის მწარე ყანდით შენუხებულთ, ხელში ვერ ჩაგვიგდია, საჯაროდ ვერ წაგვიკითხია, ვერ დაგვიგმია, ნაკუნ-ნაკუნ ვერ გვიქცევია. ეს არის წიგნი, დიდი წიგნი ჩვენი პატარა სოფლისა, რომელიც არის წყარო უკეთურებისა და ბოროტებისა, მავნებლობისა და მახინჯობისა. სოფელში გვართა შტოებს შორის მალულად ჩადენილი სიავისა. სანამ ვიტყოდე თუ რა და რომელ ენაზე წერია სოფლის ამ დიდ წიგნში, მანამდე ურიგო არ იქნება, თუ შევახსენებ მკითხველს წიგნის წარმოშობას და მის განვითარებას ადამიანთან ერთად.



„ბევრმა არ იცის – რა ბევრი ცოდნაა საჭირო,
რომ ვიცოდეთ, რა ცოტა ვიცით“ (უნგენანტი)

ნიგნის ისტორია

ნიგნთმცოდნეობა შედარებით ახალი დისციპლინაა, რომლის მიზანია წიგნის წარმოშობის, მდგომარეობისა და მისი გავრცელების ისტორიის შესწავლა. წიგნის ისტორია ხელს უწყობს საზოგადოებაში კულტურისა და განათლების გავრცელებას. თვითონ წიგნიერებას დიდი სტიმული მისცა პირველი საუკუნის ბოლოს ჩინეთში ქალალდის გამოგონებამ, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში აფრიკის სანაპიროების გავლით ესპანეთიდან დასავლეთ ევროპაში შევიდა. ძველად ქალალდს დამასკოს ფურცელს ეძახდნენ. საქართველოში ქალალდი არაბეთიდანაა შემოსული — „ქალა“ „ქალალდად“ იქცა. ქალალდს ამზადებდნენ ძველი ჩვერებისა და თოკებისაგან, რომლებსაც ფქვავდნენ, ურევდნენ წყალს, ნივთიერებებს, იღებდნენ ფაფისებრ მასას, წნეხის ქვეშ შლიდნენ, აშრობდნენ და შემდეგ გრავნილებად ახვევდნენ.

ძველ რომში დიდი ყურადღება ექცეოდა წიგნის გამრავლებას, ოფიციალურად აქ III საუკუნეში უკვე გადამწერთა გაერთიანებები შეიქმნა. მოგვიანებით ბიზანტიამ მაღალ დონეზე აიყვანა ხელნაწერი წიგნის ხარისხი. წიგნებზე დიდი მოთხოვნილების გამო დაიწყეს მისი მექანიკური გამრავლება, რომლის პირველ ხერხს წარმოადგენდა „ქსილოგრაფია“. ქსილოგრაფიული ბეჭდვა მოძრავი ლიტერებით ევროპაში 1440 წ. შემოიღეს და სწორედ ეს წელი მიიჩნევა წიგნის ბეჭდვის თარიღად. ხოლო პირველ მეტჭდავად, გერმანიის ქ. მაინცის მცხოვრები - იოჰან გუტენბერგი. ევროპელები მსოფლიო წიგნის ბაზარს განაგებდნენ. რუსეთში შედარებით გვიან — 1564 წლიდან იწყება წიგნის ბეჭდვის ისტორია. რაც შეეხება საქართველოს, პირველი ქართული წიგნი მის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, ჯერ რომში, ნიკოლოზ ომანის ქე ჩილოყაშვილის (ბერობაში ნიკიფორე ირბახი) მეშვეობით გამოდის, ხოლო შემდეგ, რუსეთში 1705 წ. არჩილ მეორის დიდი მეცადინეობით. 1709 წელს თბილისში ვახტანგ მეექვსე აარსებს სტამბას და იბეჭდება პირველი სამამულო წარმოების წიგნი „სახარება“.

ნუ გაგიკვირდებათ ჩემო ხეობელებო, რომ საჭიროზე მეტად დავუთმე ყურადღება წიგნის თავგადასავალს და მის ისტორიას.

დღეს ჩვენს ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე, ოკუპირებულ, გაპარტახებულ ქსნის ხეობაში 600 წელზე მეტი ხნის იქით იწერებოდა, იქმნებოდა შინაარსობრივად და ტექნიკურად მაღალხარისხევანი წიგნები. ექვსი საუკუნის იქით ლარგვისში მოღვაწე მამა-შვილი ავგაროზ და გრიგოლ ბანდაისძენი ქმნიდნენ შესანიშნავ წიგნებს. 1365 წელს ეტრატზე შესრულებული ერთი მინანერი გვაუწყებს: „...ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა წელსა მას რომელსა იყო დიდი სიკუდილობა“. ლარგვისში მოღვაწეობდა მწიგნობარი და კალიგრაფისტი გიორგი თაბაური — სახარების გადამწერი, ბარნაბა, — ლარგვისში ზატიკის გადამწერი, XIII საუკუნეში ნიკოლოზ კატარანის ძემ გადაწერა ლარგვისის ოთხთავი, ზაქარიამ და მღვდელმა საბამ 1674 წელს გადაწერეს ქსნის ერისთავის შვილის ევდიმოზ გლონისთავის ძის რატიშვილის დაკვეთით ყანჩაეთის უამზ-გულანი. ახალგორში მწიგნობრობას ეწეოდნენ იქსე ყულარალასი (XVIII ს), იოანე და ვარლამ ერისთავები და სხვა მრავალი ერისთავიანთ წარმომადგენელი. ქსნის ხეობის სოფლებში მუხრანში, ლამისყანაში, ოძისში, ყანჩავეთში - ხელით წერდნენ, აახლებდნენ, ამკობდნენ, თარგმნიდნენ წიგნებს, რომელთა ნაწილი თუ მტარვალმა გაანადგურა და წარიტაცა, ნაწილი მშვენებაა დღეს ჩვენი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობისა. აქვე მინდა დავძინო, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქსნის ხეობელი მწიგნობარი და მთარგმნელი გახლდათ რუსეთში მოღვაწე გიორგი საძეგურელი, რომელიც ცალკე მსჯელობის საგანია და სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ მის შემოქმედებით ღვანლს.



„ძნელიც საქმარისია აღამიანის სიცოცხლე კარგი წიგნის
შესაღებად, ხოლო ნახევარი იმისი შესასწორებლად“. (ჩუსტ)

ჩვენი „სოფლის დიდი წიგნი“

6 იგნი, რომელიც მალულად ინახება და ტრიალებს ჩვენი სოფ-
ლის მკვიდრთა შორის, ერთგვარი პარადოქსია ჩვეულებრივი წიგ-
ნისა, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში კულტური-
სა და განათლების გავრცელებას.

არაგვის ხადის მიდელაურთკარიდან, ქსნის ხეობის სოფ. მი-
დელანში გადმოსული მიდელაურები, რომლებიც დღეს მიდელაშ-
ვილები არაან შვიდ შტოდ იყოფიან: კურდელანი, გოგილანი,
დემეტრიანი, თადილანი, მახარეანი, ნიკოლაანი და ილურთქლი-
ანი. აღნიშნულ შტოებში წიგნის ერთი ხელიდან მეორეში გადასვ-
ლა მხოლოდ მოპარვით და ეშმაკობის გამოყენებით თუ შეიძლება. წიგნის თხოვება დაუშვებელია და ძლიერ საზიანოა, პირველ რიგში
იმისთვის, ვინც მას გაათხოვებს. კაცს თუ თავის ოჯახისთვის სი-
კეთე უნდა, გასაიდუმლობულ ადგილას უნდა ჰქონდეს კარგად
შენახული. ძველი ნათქვამია: სხვისი ოჯახის ამბის გაგება თუ გინ-
და ბავშვს შეეკითხეო — ვინაიდან ბავშვები უჭკონი არიან ისე, რო-
გორც ხანდაზმულნი, წიგნთან მათი მიკარება და მისი სამალავის
ცოდნა სასტიკად ეკრძალებათ.

წიგნს უამრავ უკეთურობასთან ერთად, ერთი ის დადებითი
თვისებაც ახლავს, რომ მისი წაკითხვა ყველას არ შეუძლია. კაცი
ბოროტების ორბიტაზე ან უარყოფითი აურის ზეგავლენის ქვეშ
თუ არ იმყოფება, ისე ვერ წაიკითხაგს. მოგეხსენებათ — აკრძალუ-
ლი ხილი გემრიელიაო და ყველას სურვილია წაიკითხოს. ხომ იცით
ზოგჯერ ცდუნებას იოლად აყვება კაცი. ყველას თავს ასე რომ ხდე-
ბოდეს, მაშინ სულ გაბოროტდებოდა, მოინამლებოდა, მოიშხამებო-
და და ზარავანდივით გაჩხნაკვდებოდა ჩვენი სოფელი მიდელანი.

თანახმად ზემოთ ნათქვამისა წიგნი, რომელიც მალულად აქვთ
მიდელაშვილებს დიდ ინტერესს ინვევს ქარჩონის სოფლებში, ამი-
ტომ უპრიანია და საჭიროდ ვთვლი პასუხი გავცეთ იმ ათ კითხვას
რომელიც გაგვარკვევს საქმის ვითარებაში, კონკრეტულად, წიგნის
ასავალ-დასავალში:

ა) ვინ არის წიგნის ავტორი?

„ქარგი წიგნი საუკეთესო მოსაუბრებულახდილი მეცნიერი და მოუსყიდველი მრჩეველია“ (ალფონსე)

ერთი ვერსიით წიგნის ავტორია გვარად ვინძე ბარათაშვილი. არ არის გამორიცხული, რომ საქმე გვქონდეს შხამით სავსე, ვიგინდარა შადიმანის პიროვნებასთან. თუმც არაგვზეც ცხოვრობენ ბარათაშვილბი.

მეორე ვერსიით, წიგნის ავტორად ქალი მოიაზრება, რომელიც ქარჩოხის ციხეზე მეხის დამცემად და ქარჩოხელთა გამანერიტრალებლად გვევლინება, ვინც მარილნაჭამ, უწყლოდ დამწყვდეული ვირით ქარჩოხის ციხის წყლის სათავე აპოვნინა მტერს. გადმოცემის თანახმად, ქსნელების დამარცხების მერე, წიგნი მტერს მოსწონებია, წაუღია და გორის ძლიერ ციხესიმაგრეში ჩაუკეტავს.

ბ) ვინ მოიტანა ქარჩოხში?

— კვლევა-ძიების შედეგად სოფელ მიდელაანში „დიდი წიგნი“ მოტანილი უნდა იყოს, თავის დროზე ხადადან გადმოსულ, - მიდელას მიერ. (მე ესე გამიგია და ცოდვაც იმათი იყოს და მადლიც!)

გ) საიდან მოიტანეს?

— როგორც უკვე ვთქვით, ქარჩოხში წიგნი მიდელას მიუტანია და ხევის წმინდა გიორგის გვერდზე, სოფლის ციხის ლიბოში დაუმალავს. მაგრამ იბადება კითხვა, საიდან მოიტანა. პირდაპირი და არაპირდაპირი მონაცემებით ის მოტანილი უნდა იყოს ყასბების ქალაქიდან — როგორც ამას ზოგჯერ ახალგორის მნიშვნელობით იტყუოდნენ.

ახალგორში უცხოვრიათ ვაჭარ მზარეულოვებს, ვინც პირველებმა ჩალის ფასად ხელში ჩაიგდეს „საძეგური“-ს (ახალგორის) განძი. მზარეულოვებთან სტუმრად ყოფილა მათი მეგობარი, გორელი სომეხი ვაჭარი — მამა ცნობილი მწიგნობარის დავით ტულუკაშვილისა. დავითის მამას მზარეულოვების დუქანში ქეიფის დროს მოპარა მიდელამ.

დ) რატომ მოიპარეს?

— გულახდილად ვიტყვი, რომ ჩვენი „სოფლის დიდი წიგნის“ პირვანდელი სათაური ყოფილა „ბოროტების დიდი წიგნი“. დუქანში მთვრალ მიდელას, რომ უნახავს, სათაური წაუკითხავს, გახარებულს უთქვამს, ახლა კი დედას ვუტირებ ჩემ მტერ-მეზობლებსო.

უფრო იმას გამოუჩნდება ხოლმე ბევრი წამბაძელი, რის წაბაძაც ყოვლად შეუძლებელია (ეშენბახი)


ჩაუდვია ხურკინში და კარაულზე აკიდებული სახლში აუტანია. იმ დღოებაზე ძლიერ გაბოროტებული ყოფილა მიდელა ვიღაცაზე. მისი ოჯახის წევრების გარდა სხვას, რომ არაფერი გაეგო წიგნის სათაურში სიტყვა-ბოროტება-გადაუშალია და - „სოფლის“ - ჩაუწერია. ასე მივიღეთ „სოფლის დიდი წიგნი“.

ე) რა წერია?

— გაბრაზებული კაცი ხშირად დაიმუქერება, დაიქადნებს და ხმამალლა განაცხადებს მეზობელს სივისოცვის სამაგიეროს ათმაგად გადახდაზე, მაგრამ გავა დრო, დაწყნარდება და დაავიწყდება ნათქვამი. ან კიდევ მაგალითად, მეზობელს კარგად მისდის საქმე, გარჯითა და შრომით ოჯახში სიკეთე და ბარაქა არ აკლია კარგ სახელთან ერთად. გაბრაზდები კაცი, აბარა რა იქნება. რომ არ იქმინო გაბრაზებულმა და სხვის სიკეთის ყურებით ნერვები არ გქონდეს ყოველდღე მოშლილი, დამშვიდებით, უდარდელად გადაშლი „სოფლის დიდ წიგნს“ და რა და როგორი ბოროტებაც მოგეწონება, რა სიგლახაკესა და ცუდ საქმეს მოისურვებ მეზობლისოცვის, ამოიკითხავ, ამოირჩევ და სრულიად შეუმჩნევლად დედას უტირებ. განა ცხოვრებაში ამაზე ჭკვიანური, პრაქტიკულად გამოსადეგი წიგნი იქნება სადმეს?! წიგნში ექიმისგან გამონერილი რეცეპტივითაა მითითებული თუ რით, როგორ, როდის, რანაირად უნდა აწყენინო შენს მეზობელს.

ვ) რა ენაზეა დაწერილი?

— საველე მონაცემების საფუძველზე და სოფლის უხეცესის, ხალხურ მედიცინაში ღრმად განსხავლული ნენე მიდელაშვილის (მახარეანთი. გარდაიცვალა 1968 წ.) თქმით „სოფლის დიდი წიგნი“ ქაჯურ ენაზე ყოფილა დაწერილი, რომლის ხელნაწერი ასლი ჯავის რაიონის სოფ. ერმანში 1988 წელს სანგლიდან მარილზე ჩასულ არჩილ (ჭაჭალა, მიდელაშვილს უნახავს. ხელში ჭერია, გადაუშლია, მაგრამ კაცს, რომელსაც არანაირი შური, ლვარძლი, ანტაგონიზმი



ნენე საბაზებილი -
მიდელაშვილისა

„ყოველი აღამიანი, ყოველი ცხოველი, ყოველი საგანი სახითოა, დროს გააჩნია მხოლოდ“ (ქვამსახურიდია)

და ამბიცია არ ჰქონია არასდროს არავისთან რა თქმა უნდა ვერ წაიკითხავდა. კითხულობს ის, ვისაც გააჩნია ზემოთ ჩამონათვალი თვისებები (შეძენილია თუ თანდაყოლილი მნიშვნელობა არა აქვს).

ზ) ვის აქვს წიგნი?

— 2008 წლის რესეტთან ომით გამოწვეული ქაოსით ძნელი დასადგენია მიდელაშვილების რომელ შტოს აქვს ამჟამად წიგნი და ვინ იყენებს სახელმძღვანელოდ. დაკვირვებული კაცისათვის არ უნდა იყოს ძნელი გამოსაცნობი მისი ამჟამინდელი მფლობელი. თავდაპირველად ამბობდნენ, რომ ციხის ახლოს მცხოვრებ კურდლელანთ უპივიათ, შიგ იხედებიან და იქ კითხულობენ სოფელში ვის რა უნდა აწყენიონ. ასევე გოგილაანთ, ციხესთან ტერიტორიული სიახლოვის გამო წიგნის შოვნის და ხელში ჩაგდების დიდ შანსი ჰქონდათ. თუმც ზემოთ ხსენებულნი აცხადებენ: სოფლის ციხე კურდლელანთ დაანგრიეს და წიგნიც იმათ იპოვეს საძირკვლის საიდუმლო სამალავშიო. სხვა მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ომამდე „სოფლის დიდი წიგნი“ წიკოლანთ ჰქონდათ, რადგან ყველაზე მეტ მოსაძულებელ საქმეს სოფელში ისინი აკეთებდნენ. წიკოლა-ანი თავის მხრივ დემეტრიანთ აბრალებენ: — იმათ აქვთ და ძმებმა, რომ ვერ გაიყვეს დახიესო. დემეტრიანი თადილაანთ აბრალებენ, თადილაანთ კი დამაჯერებელი და სარწმუნო არგუმენტი მოჰყავთ თავის გასასამართლებლად — ჩვენ ქაშუეთის დეკანოზები ვართ და ასეთ რამეს არ ვიკადრებთ, წიგნი თვალითაც არ გვინახავსო. ერთი სიტყვით, ზოგი რას ამბობს და ზოგიც რას. ერთი კი ცხადია, წიგნი ომამდე სოფელში ტრიალებდა, რისი დამამტკიცებელიცაა ჩვენში დატრიალებული „საქმენი საძრახისანი“.

თ) ამჟამად სად უნდა ინახებოდეს წიგნი?!

— ნათქვამია „ენას ძვალი არ აქვს რასაც უნდა იმას იტყვისო“, სწორედ მიესადაგება წინაპრის ეს შეგონება იმ ჭორებს, რასაც ამჟამად ლაპარაკობენ თანამემამულენი „სოფლის დიდი წიგნის“ დღევანდელ მფლობელ-მპყრობელზე. აქაც ძირითადად ორი ვერსია იკვეთება:

I. ბალანის სასაფლაოზე მიდელაშვილებმა ეკლესიის ეზოში დაკრძალულ თავიანთ მიცვალებულს ძეგლის ქვეშ ამოუდესო. რის გამოც ისედაც გულფიცხი ბალაშვილები ძლიერ გაბრაზებულან.

**„ორად განაწილებული სიხარული, ორქეცი სიხარულია, ხოლო
ორად განაწილებული მწუხარება – ნახევარი მწუხარებაა“
(რიუკექტი)**

(მკითხველს შევახსენებ, რომ ქსნის მარჯვენა მხარეს მცხოვრები
მიდელაშვილები 1920 წლამდე მდინარის მარცხენა მხარეს ს. ბალა-
ანის სასაფლაოზე იმარხებოდნენ)


II. წიგნი გვარის ერთ-ერთ შტოს (შეგნებულად არ დავასახელებ, თვითონ მიხვდება) ლტოლვილთა ახალ დასახლებაში, მცხეთის რა-
იონის სოფ. ფრეზეთში ჩამოუტანიაო. რუს-ოსთა ბლოკ-საგუშაგო-
ზე დეტექტორს რომ არ დაეფიქსირებინა თურმე ჯალაში შეუხვე-
ვიაო. მისი ჩამოტანიდან მალევე დაუწყია „უპატრონო“ კოტექტების
ძარცვაო. ერთი იმასაც ამბობენ, ახლოურმა დავითმა მშობლიურ
სოფელ მიდელაანს წიგნი, რომ მიუძღვნა 2006 წელში, „სამაგიე-
რო პატივისცემით“, მისი სასმელი წყლის მილების ამომყრელმა და
მომპარავმა გააკეთა ეს ყველაფერიო. ღმერთმა განსაჯოს მტყუან-
მართალი.

თანასოფლელებს ვთხოვ გამოიჩინონ ვაჟკაცობა - დახიონ და
დაწვან „ბოროტების დიდი წიგნი“. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოძ-
მე თანასოფლელებს და თანახეობელებს დიდ საფრთხეს შეუქმნიან
არსებული ნივთით. შესაძლოა ბოროტებამ და მავნებლობამ იბარ-
ტყოს, როგორც ქარჩოხის ისე ცხრაზმისა და ჭურთის დევნილთა
ახალ სამოსახლოზე, რისი ნიშნებიც თანდათან იკვეთება. ის რაც
ჩვენი გამოისობით ხდება ქარჩოხში იმაზე მეტი ვიგინდარობაა,
რაც უკვე მოხდა ქსანზე მომხდურის ხელით. ერთხელ მაინც თუ
დაფიქრებულა ვინმე, რატომ დაეცა უძლეველი, უძველესი, უდიდე-
სი კულტურის მქონე ბიზანტია?! — მე გეტყვით! — იმიტომ, რომ
მინიმუმამდე დაეცა როგორც გრაბიძე იტყოდა „მამულისთვის
თავდადება, შეგნება“. ყველა ყველაფერს იპარავდა, საზოგადოე-
ბა 50+1+40 გადაიქცა ვიგინდარებად. თვითონ ბიზანტიის ფლოტის
უფროისი ლუკა ნოტარა და კონსტანტინეპოლის მოქალაქენი აცხა-
დებდნენ ხმამაღლა - „გვირჩევნია გვეფაროს თურქული ჩალმა,
ვიდრე კათოლიკე პაპის ქუდიო“, — მსგავსად ჩვენი თქმა-ქმნისა და
თანამშრომლობისა ქსნის ხეობაში შემოჭრილ „ოსმალებისა“ თანა!

P.S. საველე კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ წიგნის ხელ-
ში ჩაგდების მსურველს უნდა შეეძლოს: ნიანგის ცრემლების ღვრა,

იუდას ამბორი, ოცდაათამდე დათვლა, დალეული უნდა ჰქონდეს ჩა-ილურის წყალი, არ უნდა ეშინოდეს დამოკლეს მახვილის და ძალლ კერბერისა, უნდა ჰქონდეს თეთრი კბილები და შავი გული, უნდა იყოს ას-თვალი, ას-ყური და ორ-გული.

მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, მავანს და მავანს უთქვამს, „სოფლის დიდი წიგნი“ ფრეზეთს არის და ამ ბოლო დროს შეუნა-ხავთ მის ჩრდილოეთით, ერთ მაღალ ციცაბო კლდეზე, რომლის მომპარავ-ჩამომტანი ან არნივი უნდა იყოს, რომ აფრინდეს ან ქვე-წარმავალი, რომ აცოცდეს. ვფიქრობ ნამდვილი არნივი წიგნის მო-პარვას არ იკადრებს და ნამდვილი ქვეწარმავალი კი დაიღუპება. არწივი მას ცაში კლანჭებით აიტაცებს და მიწაზე დაანარცხებს. და-ინტერესებულ პირებს ვეტყვი, რომ „სოფლის დიდი წიგნი“ არ ქსე-როქსდება და ერთიც, საიქიოში მარაოდ არ გამოიყენება.



„ქორწინება არის ზღვა, რომლისთვისაც ჯერ
კომპასი არ გამოუგონიათ“ (დიუბაი)

პირა

ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს: „ლამაზი ქალის პატრონსა ან ავი ძალლი უნდა ჰყავდეს ან ავი დედამთილიო!“ სოფ. ბალაანში რევოლუციამდე მცხოვრებ ვინმე გიორგი ბალხამიშვილს (მინაურობაში ჯიორას) ენით აუწერელი სილამაზის, ოსის ქალი, სახელად პელო ესვა ცოლად, რომელიც თმა გრძელი და ჭუა მოკლე ყოფილა. როგორც ამბობენ, მას ათასი „ქარი უქროდა“, რომელიც ხან საით გაიტაცებდა მისი ოცნების იალქანს და ხან საით. თაყვანისმცემლები საჭიროზე მეტი ჰყოლია. განსაკუთრებული, ახლო ურთიერთობა ჰქონია ერთ მიდელათ კაცთან.

ერთხელაც, ნარზე მჯდომ, ლამაზი ჩიტივით ასაფრენად გამზადებულ პელოს ქმართან პატარა შელაპარაკება — აქშევად მიუწევია და ბალაანთ სოფლიდან, მოპირდაპირე სოფელ მიდელანში ღამით გაფრენილა. ამ ამბით ძლიერ შეწუხებულა ჯიორა, ბევრი ცდილა ცოლის უკან დასაბრუნებლად, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, ხეობაში გავლენიან ჭიანაანთ ივანესთვის „დაუყრია ძალა“. და ცოლის დასაბრუნებლად უთხოვია დახმარება. ივანეც ცდილა, არ ემეტებოდა ლამაზი რძალი სოფლიდან დასაკარგავად, ცდას შედეგი გამოულია და ორი კვირის თავზე პელო გიორგისთვის (გიო-ჯიო-ჯიორა) მოუგვრია. სოფლის ენაკვიმატმა მოლექსებმაც არ დააყოვნეს და მომხდარი ამბავი თავისებურად გალექსეს:

„შეჭამანდი შევანელე,
ქინძითა და კამითაო,
ჯიორას ცოლი გაექცა
მთვარიანი ღამითაო.
ეს ჯიორა გამოუდგა
უანგიანი წალდითაო,
პელო აქეთ მოიხედე
შენი შავი თვალითაო.
მე მანდეთ არ მოვიხედავ
გინდა გასკდე — ჯავრითაო!“

„ლუյგმანსა ჰკითხეს: – ვისგან ისწავლე სიბრძნე? მან უპასუხა: ბრძებისგან. ისინი ხომ ფეხს მანამდე არ დასძრავენ, სანამ არ მოსინჯავენ იმ აღგილს, საითაც უნდა გადადგან ნაბიჯი“ (საბლი)

მოგვიანებით ლამაზ პელოს დრომ შეაკვეცა ფრთები და ათასი-დან ერთი ქარიღა უქრიდა. საწყენია, რომ ბოლოს გიორგი და პელო მაინც დაშორდნენ ერთმანეთს.

„მანჭვით სიკვდილს ვერ აიცდენ,
არის ფუჭი ალმოდება,
ქმარი-ცოლს და სული სხეულს
ბოლოს მაინც დაშორდება“.



„აღამიანთა გონება სამყაროს შემცნებასთან ერთად
იზრდება“ (ემპედოკლე)

ქარჩოხელი ჩოხოსნები

გადმოცემით, და არა მხოლოდ გადმოცემით, ხეობის სახელი „ქარჩოხი“ და მისი ტოპონიმი შავ ჩოხას უკავშირდება. როგორც ჩვენი კვლევა-ძიებიდან ირკვევა, ქარჩოხის ხეობაში სოფ. თინიკაანის ახლოს ჩრდილო-დასავლეთით და მურვლის ხევის სამხრე-თით უნდა ყოფილიყო ქართული სოფელი, რომლის მცხოვრებთა ჩაცმულობის — კერძოდ შავი ჩოხის მასიურად ტარების გა-მო სოფელს „შავჩოხი“ რქმევია, თურქ-ოს-მალობიდან კი ყარ-ჩოხი. ყარ-თურქულად შავს ნიშნავს. დროთა განმავლობაში ყ — ასო-ბგერის შეცვლა მოხდა ქ - ასოთი. ასე მიიღო ჯერ სოფელმა და მერე ხეობამ სა-ხელწოდება ქარჩოხი.



საუკუნეების განმავლობაში ქართველი კაცის ჩაცმულობაში ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს სწორედ ჩოხა-ახალუხი და ყაბალა-ხი წარმოადგენდა. თეთრ და წითელი ფერის ტანსაცმელთან შედა-რებით შავი ფერი სახმარად უფრო მოსახერეხებელი და პრაქტიკუ-ლი იყო, ამიტომაც გასაკვირი არ არის თუ რატომ ატარებდა სოფ-ლის მოსახლეობა კუსტარულად დამზადებულ შალის შავი ფერის ჩოხას.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ჩოხა, როგორც ჩასაცმელს, ისე ქსოვილსაც ენოდება. ეს გარემოება ვახუშტი ბაგრატიონს აქვს აღ-ნიშნული. ხოლო საბას ეს სიტყვა განმარტებული აქვს, როგორც მატყლის სამოსელი. ხოლო საჩოხეს შესახებ ნათქვამი აქვს — „შა-ლი მსხვილი, გინა წმინდა, საკაბეთ მონოზონთა და გლეხთა ჩასაც-მელი“.

ჩოხა სამოსლის მნიშვნელობით გვხვდება ქართულ ისტორიულ წყაროებშიც. იგი მოხსენიებული აქვს მერჩულეს გრიგოლ ხნძთე-ლის ცხოვრებაში, ლაშა გიორგის მემატიანეს, უამთააღმნერელს (XIII ს.) ფ.გორგიჯანიძეს (XVII ს.) და სხვა.

„მიზრძანა თუ: გონიერი, ხამს, აროდეს არ აჩქარდეს,
რაცა სკობდეს, მოაგვაროს, საწუთოსა დაუწყნარდეს“ (რუსთაველი)

ჩუხა — სპარსული, აღმოსავლეთიდან ბალკანეთამდე საზოგადოდ გავრცელებული სიტყვაა. ასე მაგალითად, ქურთულში — ჩახა, ჩუკა; თურქულში — ჩუგა; არაბულად — ჯახა; ლაზურად — ჩოხე. სპეციალისტთა აზრით, ეს ტერმინი ქართულში VIII-X საუკუნეებში უნდა იყოს შემოსული სწორედ ამ საუკუნეებიდან უნდა დარქმეოდა სოფელს სახელად ქარჩხი, ხოლო გარკვეული დროის მერე - ხეობას. ჩოხა, რომელსაც ძველთაგანვე კაბა ენოდებოდა, წარმოადგენდა ქართული სამოსელის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს ძველ საქართველოში. ქართველი უკაბოდ გარეთ არ გამოვიდოდა. კედლის მხატვრობის მიხედვით კაბა ძირითადად ორგვარი იყო — ერთი გრძელი კანჭამდე, მეორე მოკლე — მუხლამდე. კაბა წელში გაწყობილი იყო, კალთები კი განიერი ჰქონდა. ორივე ტიპის კაბა წინიდან მთლიანად გახსნილი იყო, მაგრამ ჩაცმის შემდეგ მთლიანად იკვრებოდა. ქართველი მამაკაცის ეროვნული კოსტუმის ჩოხა-ახალუხის კომპლექსში შედიოდა: პერანგი, ქვედა საცვალი, ახალუხი, ჩოხა, შარვალი, ქუდი, ყაბალახი, სარტყელი. ამ კოსტუმის აუცილებელ განწყობილობას შეადგენდა აგრეთვე ქამარ-ხანჯალი.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ახალმა ევროპულმა ტანსაცმელმა, რომელიც რუსეთიდან შემოვიდა საქართველოში ფეხი მოიკიდა პირველყოვლისა ბურუუაზიულ ფენებში, ხოლო შემდეგ სწრაფად გავრცელდა სოციალურად დაყოფილ სხვა კლასებშიც. რაც შეეხება მშრომელთა მასებს, კერძოდ გლეხობას, ქართული ხალხური ტანსაცმლის ელემენტები შედარებით უფრო დიდხანს შემოინახეს. რაც შეეხება ქარჩხს, იქ ჩოხა და ყაბალახი ხმარებაში კოლექტივიზაციამდე - 1930-იან წლებამდე ყოფილა.

ქარჩხში ძველ სახევისთავო სოფელ თინიკანს საკმაოდ დიდი სათიპი ადგილები ჰქონდა ქარჩხისა და ცხრაზმის ხეობის წყალგამყოფ ვარმულთისა და ცოცხვიროს მთებზე, რომელიც „ხატიმთად“ იწოდებოდა. ერთხელ ამ დასარყულ მთაზე, ყორულში, მთელი ფარა ცხვარი გაუშვა საბალახოდ ჩიტე ლოთიშვილმა. იმდროინდელი წესისამებრ, დაცულ სათიპ-მამულში საქონლის მძოვებელი მწყემსი ჯარიმდებოდა რამდენიმე სული საქონლით.

„სიბრძნე გამოცდილების შვილია“ (ლეონარდო დავითი)

დაინახეს თუ არა მთის მოპირდაპირედ მდგომა თინიკაანე-ლებმა თუ როგორ იძოვებოდა და იგლებოდა ფეხით თავიანთი სა-ნაქებო მთა, მაშინვე „გაფრინდნენ“ ხატიმთაში სოფლის სანაქებო ბიჭები კონია თინიკაშვილის წინამდლობით. მიუხტნენ, კარგა-დაც მოსდეს გვერდებში პავლიანელების გაბრიყებულ მეცხვარეს და ოთხი ცხვარიც წართვეს. თინიკაშვილებმა ცხვრები წამოასხეს, მაგრამ მოკლე ბილიკებით სოფლისკენ დაშვებულმა მწყემსმა ლო-თიანთ კაცმა წინ გაუსწრო მთის მეპატრონებს, პავლიანში მიიჭრა და მომხდარზე შეატყობინა, რათა ჭკუა ესწავლებინათ თავგასულ მეზობლებისთვის.

თინიკაანელებს წართმეული ცხვრები სოფ. პავლიანზე უნდა აერეკათ, ამიტომ მათ სიფრთხილე და წინდახედულობა გამოიჩი-ნეს, რადგან სოფლის ყველაზე ძლიერი კაცი ონიკაანთ საბა (პავლი-აშვილი) სახლში ეგულებოდათ, ამიტომ წინმავლად ერთი თავიანთი კაცი ზაქარა თინიკაშვილი გაგზავნეს, რომელიც სოფლის ხევში, — იელებში უნდა დამალულიყო და ამხანაგებისთვის ეცნობები-ნა პავლიანიდან წამოსულ ბიჭებში თუ იქნებოდა საბა პავლიაშვი-ლი და ჩიხის კალთები დაშვებული ექნებოდა ჩვეულებისამებრ თუ აკეცილი, როგორც გაბრაზებულთ, საჩხუბრად მიმავალთ ჩვევიათ. ყველაზე იცოდა, თუ ჩიხოსანი საბა კალთებ ჩამოშვებული საქმის გასარკვევად მიდიოდა, საერთო წესიდან გამომდინარე ის არ იჩხუ-ბებდა, თუნდაც ეგინებინათ, მაგრამ თუ კალთები აკეცილი ექნე-ბოდა, ჩხუბი გარდაუვალი იყო. არა და იმისი ჩხუბი პირდაპირ იმს ჰგავდა. რაღაც საშინელი ძალის პატრონი, ჩხუბში ფიცხი და დაუნ-დობელი ყოფილა.

დაინახა თუ არა რუსიხევის იელებში ჩამალულმა ზაქარამ კალ-თებაკეცილჩიხიანი საბა მაშინვე აცნობა „ყოჩალ“ ბიჭებს. იმათაც ცხვრებს უშვეს ხელი და ფხიტიჯვრის გზით, ლოთიანთ უბნის ავ-ლით, ხელცარიელები დაბრუნდნენ თავიანთ სოფელში.

როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები ამბობენ, არც კონია ყოფილა საბაზე ნაკლები ძალის პატრონი, მაგრამ საბას ნა-მეტანი ფიცხი ხასიათის გამო, კონია თინიკაშვილმა დაუთმო, რაღ-გან მეზობელ სოფლის კაცებთან მოერიდა ჩხუბსა და ხათაბალას, რაც არა მარტო ამ ორი სოფლის, არამედ მთელი ხეობის სასირცე-ვილო და საძრახისი საქმე გახდებოდა.

მიხეილი და ზორავია

საქართველოში სათავადაზნაურო გვართა შორის ქსნის ერის-თავები ერთ-ერთი უძველესი კულტურის მატარებელი გვარია. მათი გვარისა და სათავადოს — ცხრაზმის საერისთავოს წარმოშობის პირველი წყაროდ უნდა ჩაითვალოს XIV საუკუნის საგვარეულო ისტორია „ძეგლი ერისთავთა“, რომლის მიხედვით VI საუკუნეში, იმპერატორ იუსტინიანეს ხელშეწყობით, ჩამოყალიბდა ცხრაზმის საერისთავო, რომელმაც გაუძლო ყველა ეპოქის დამანგრეველი ძალის კატაკლიზმებს და ძლიერების მწვერთვალს მიაღწია. XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, ადმინისტრაციული ცენტრის ახალგორში გადასვლიდან ირგებს ქსნის ძლიერ საერისთავოს მანტიას და თანდათან იკავებს და კონტროლს ამყარებს შიდა ქართლის ტერიტორიებზე.

ერისთავების განაყრებმა XVII-XVIII საუკუნეებში დაიკავეს ქართლის ნაყოფიერი მინები, კერძოდ: ოძისი — საიდანაც ცნობილია დრამატურგი და პოეტი გიორგი ერისთავი. ქსოვრისი — ერისთავიანთ განაყარი რატიშვილები, მათგან ბოლოს ცნობილი იყო გაბრიელ რატიშვილი. მათი გვარის წარმომადგენლები იმარხებოდნენ სოფ. ყანჩავეთში. ლამისყანა — რომელიც მზითევში გაატანეს ერისთავებმა თავიანთ ქალიშვილს. აგრეთვე დაიკავეს სოფ. ფლავისმანი, საიდანაც ცნობილი იყო კონსტანტინე ერისთავი, ქვეში — ცნობილი იყო მამამზე ერისთავი. მეჯვრისხევი — ეკავათ ესტატე და მირმანოზ ერისთავებს, იქვე იყო ანასტასია ერისთავი — ხოშტარია, — დუტუ მეგრელის მეუღლე. გარეჯვარში ცნობილი ბოლო ბატონი გიგო ბრძანდებოდა, კარალეთში — მიხეილი. ერისთავები ცხოვრობდნენ აგრეთვე ტყვიავში, რეხაში, დოესში, ატენის ხეობაში, გორში, იკორთაში, კორინთაში და სხვა ადგილებში.

ქსნის ერისთავების გვარი ქართლის იმ თავადთა რიცხვშია, რომლებმაც ხელი მოაწერეს გეორგევსკის ტრაქტატს. 1833 წლის 9 დეკემბერს საქართველოს სათავადაზნაურო კრებაზე დაამტკიცეს მათი თავადური წარმომავლობა. გარდა ამისა, მათი გვარი საქართველოს უმაღლეს წარჩინებულ თავადთა სიაშია მითითებული.

**„სიბრძნილან შემდეგი სამი უნარი წარმოსდგება: მიიღო
მშვენიერი გადაწყვეტილებანი, უშეცდომოდ ილაპარაკო და
გააქცთო ის, რაც ჯერ არს“ (დემოკრიტე)**

მიუხედავად იმისა, რომ ქსნის ერისთავთა განაყრებს ქართლის ბარში საუკეთესო ადგილ-მამულები ჰქონდა დაკავებული, ქსნის სათავეებში მაინც არ თმობდნენ პოზიციებს. ბევრ მათგანს მთებში მემკვიდრეობით, ნასყიდობით ან იჯარით ჰქონდათ მფლობელობა-ში ზაფხულის საძოვრები, მათ დასახედად და საპატრონოდ ხშირად დაიარებოდნენ ბატონები. ერთ-ერთი მორიგი გასვლა მოაწყვეს ტყვიაველმა მიხეილ ერისთავმა და ახალგორელმა გიორგი (უორუკა) ერისთავმა. მათი მიზანი იყო ყელის ტბის მიდამოებში საძოვრების საკითხის მოგვარება, მიჯნების დადგენა და საბალახეს აღება უამურლებისაგან. სხედან ცხენებზე და მიდიან და მისაუბრობენ. მივიდნენ თუ არა ქარჩოებში, „ფოცხვერაანთ მინდორზე“ ტყვიაველი ერისთავი ეკითხება ახალგორელს:

გიორგი, ახლა რომ შენ ათასი თუმანი იპოვო გზაზე, რას იზამ?

რას ვიზამ, ჩამოვხტები ცხენიდან, ავიღებ და ჩავიდებ უბეში.

— მერქ?

— მერქ და გამოვბრუნდები შინისაკენ, აბა, ამოდენა ფულს თან ხომ არ ვატარებ?

მე არას მომცემ?

— შენ რაში უნდა მოგცე, ფული ხომ მე ვიპოვე...

ამის გამგონე მიხეილმა არც აცია, არც აცხელა, მოაბრუნა ცხენი და გამობრუნდა უკან.

— მიხეილ საით, რას ჩადი?!

— შენც შეგარცხვინ და ისიც, ვინც ამის მერე შენთან გაიაროს, ფული არ გიპოვია, არ მაძლევ, რომ გეპოვა, მაშინ ხომ სულ არ მომცემდი და დაბრუნდა შინ.

როგორ, იმ ათას თუმნიდან ნახევარი მე არ მეკუთვნოდაო - ჯავრობდა თურმე.

„ქუთა მარტო ცოდნა როდია, იგი ამ ცოდნის საქმეში გამოყენებაც არის“ (არისტოტელე)

ძუცოს ძუდი

ქინის სიმცირის გამო მრავალი შეხლა-შემოხლა ახსოვს ქსნის ხეობის მთასა და ბარს. მიწა იყო ყოველთვის ამოსავალი წერტილი ადამიანთა კეთილდღეობისა, ამიტომაა, რომ დღესაც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან ამგვარი პრობლემები. თუმც დღეს, დავებისა და საჩივრების განხილვა ცივილურად ხდება სასამართლოს დარბაზებში. ვთიქრობთ, ინტერეს მოკლებული არ იქნება აქ მოთხრობილი პატარა კურიოზი, რაც წარმოდგენას შეგვიქმნის ვიცოდეთ, თუ როგორ ერკვევოდნენ სამართალში და იურისპრუდენციის რა კაპიტალს ფლობდნენ წერა-კითხვის უცოდინარი ჩვენი წინაპრები.

მე-20 საუკუნის გარიურაუზე ქარჩოხში ორ მეზობელ სოფელს ბალაანსა და ჭორჭოხს გამუდმებით დავა ჰქონდათ მოსაზღვრე „სანიაო“ მთაზე. ბოლოს, დღის წესრიგში დადგა საკითხის ერთხელ და საბოლოოდ გადაჭრა. პრობლემის მოსაგვარებლად, სოფლის უხუცესთა რჩევით, ორივე სოფელმა აიყვანა მომრიგებელი — ადვოკატი. ბალაანელებმა სოფ. ძაბუეთის მცხოვრები ქუცო ყარაშვილი, ხოლო ჭორჭოხელებმა სოფ. მიდელაანში მცხოვრები ივანე ნინიკოს ძე მიდელაშვილი (ნინიკოანი, ბრიხია თედოს მამა. გადასახლდნენ ყვარლის რ-ში).

დაიწყო აღნიშნული დავის განხილვა-გარჩევა. არცერთ მომრიგებელს იურიდიული განათლება არ ჰქონდა. მათი განსწავლულობის გამოხატულება იყო მხოლოდ ღრმა ლოგიკური მჭერმეტყველება, გონებამახვილობა და სიტყვამოსწრებულობა.

ბალაანისა და ჭორჭოხის მცხოვრებთა კრებულმა თავიანთ მომრიგებლებთან ერთად მიაშურეს იმ ადგილებს, სადაც გეოგრაფიულად მდებარეობდა სადავო სათიბ-საძოვრები. გზად სჯაბაასით თანდათან იკვეთებოდა აზრი ჭორჭოხელთა მოთხოვნის სამართლიანობისა. ბალაანელებს გამართლების შანსები უფრო ნაკლები ქონდათ, რასაც თვითონაც გუმანით ხვდებოდნენ.

„სანიაო“ მთაზე ასულ მოდავეთა შორის ჩამდგარმა ქუცო ყარაშვილმა ერთ-ერთ ჭორჭოხელს ქუდზე ხელი უტაცა.

— ეს ქუდი ვისია?!

— ვისია და ჩემია! მე მეხურა თავზე — დინჯად უპასუხა ქუდის პატრონმა.

ქუცომ ახლა თავის ქუდზე დაიდო ხელი და დაიძახა:

ეს ქუდი ვიღასია?

ვისია და ვისაც თავზე აფარია — გაისმა პასუხად.

— მოდით! — მიმართა ჭორჭოხლებს ყარაშვილმა, — მოდით და მაგ დოქიდან ქუდზე წყალი დამასხით!

მივიდა ხელადით ხელში გაბრაზებული მოდავე და გამეტებულად დაასხა ქუცოს ქუდზე ცივი წყალი.

— ხალხო, ეხლა მითხარით ქუდიდან ჩამონადენი წყალი ვის ფეხებთან წადგა?!

— ვის ფეხებთან და შენს ფეხებთან! — იყო პასუხი.

— სწორედ, რომ სიმართლეს ამბობთ მუშაითო ხალხო. ეს „სანიაო“ მთა ქუდად თავზე ადევს ბალაანს. ამ ქუდ-მთაზე დადენილი და გამონადენი წყლებიც ბალაანელთა ფეხებთან იღვრება და ჩაედინება, რადგან მათია და ადრეც მათი ყოფილა. რაღას ესარჩლებით ამ ჭკვიან ხალხს. გასწიეთ იქით ოქვენი მიჯნები, ხომ ხედავთ, რომ ამათი მკვიდრი მამულებია ისტორიითაც და გეოგრაფიითაც.

ასე გადაწყვიტა თავისი მჭერმეტყველებით ქუცო ყარაშვილმა სადავო საკითხი ბალაანელთა სასარგებლოდ.



„როცა სახლიდან გამოდიხარ, ქარგად აწონ-დაწონე რა უნდა
გააკეთო, ხოლო როდესაც შინ დაბრუნდები, დაფიქრდი, რა გააკეთე“
(ქლეობელი)

„ლამზიანობა“


ქალების ჭორაობა, მეზობლებთან გაუთავებელი ლაპარაკი,
ლაი-ლაი და ქათქათი დიდი ხნის იქით გამომუშავებული, ჩამოყა-
ლიბებული, შეუცვლელი ჩვევა და ხასიათია. მართლაც, როგორი
სიმართლე უთქვამს ერთ სწავლულს: — ადამიანის ხასიათში არის
ისეთი რამ, რაც არ შეიძლება გასტეხო: — ეს ხერხემალია ხასიათი-
სა. სწორედ ამ ხასიათის მატარებელი და ამ ხასიათის ხერხემალ-გა-
უტეხელი იყო ასიოდე წლის იქით სოფ. ბალაანში მცხოვრები, ბეჟან
(ბეჟიკა) ბალაშვილის მეუღლე, გოჭაანთ უბნიდან გამოთხოვილი —
მაგდანა. ბეჟიკა იმ დროის დიდი ლიპერალი და წონა-ზომის მცოდ-
ნე კაცი ყოფილა. მისი მეუღლე მაგდანაც ემოციური, გულჩვილი და
გულალალი ქალბატონი ბრძანებულა.

საოჯახო ხელსაქმესთან ერთად ნამეტანად ყვარებია მეზობ-
ლებში სიარული და ახალ-ახალი ამბების მოყოლა-გავრცელება.
ხელსაქმის უდიდეს ნაწილს მეზობლებთან სიარულში აკეთებდა:
ჩეჩივდა, ართავდა, ძახავდა, ქსოვდა, კერავდა, ღებავდა დილიდან
— საღამომდე, ხანაც მზის ამოსვლიდან, მზის ჩასვლამდე დაღამე-
ბიდან გვიანდამემდე და მამლიყიულამდეც ბევრჯერ მჯდარა ჩეჩ-
ვა-რთვის ულამში, რაზეც, როგორც მაშინდელი „ძველი ხალხი“
იტყოდა „ლამფიანობდნენ“. იხსენებდნენ, ყვებოდნენ ათას რამეს,
დროგადასულ ამბებს, ვაჟეაცობაზე, გმირობაზე, მტერზე, მოყვა-
რეზე, ჭირზე, ლხინზე, აქეთურზე, იქეთურზე.

ერთხელაც ტარით, კვირიტავით და მატყლის ფთილებით ხელ-
დამშვენებული გოჭაანთქალი გავიდა მეზობლებში. გაიარა დილამ,
შუადღემ, საღამომ მოატანა მაგდანა მაინც არსად არ ჩანს. გაბრაზ-
და ბეჟიკა. ბუნებით ჭკვიანმა და კეთილმა კაცმა აბეზარ მაგდანას
რომ ვერაფერი მოუხერხა, აიღო ორომი — ხის დიდი მრგვალი ტა-
ბაკი, დააწყო ზედ თავისმიერ მომზადებული საჭმელები: ხავინი, ქა-
და, მწნილი, ყველი, ბოთლით არაყი, ხის ნახშირი — უჯმურისთვის
და სოფლის ზემო უბნიდან დაიწყო კარდაკარ სიარული და ძახილი:

ხალხო, — დილას ჩემი დედაკაცი სამ გამოვიდა ხელსაქმით მე
ზობლებში, პური მოშიოდა, ვერ ვპოულობ, თქვენთან ხომ არ არის!
— ვაი, თუ უსულო, მშიერი, გულწასული სამე გდია კალოში-ო.


— სოფლის ბოლოში ნახე! სოფლის ბოლოში! მახუშტაანი ლამ-
ფიანობენ და იქ იქნებაო შეუძრახეს მოთმინებადაკარგულ ბეჟიკას
თანასოფლელებმა.



„ენამ გულისა უნდა თქვას: ფერუმარილი რა საჭიროა“ (ილია)

პარგი შესაყრელი

1957 წელს, ქარჩხში, სოფელ ბალაანის სერგო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას, შეუერთდა სოფ. ჭორჭოხის კოლმეურნეობა. კოლმეურნეები გაერთიანებული ძალებითა და მეტი ენთუზიაზმით შეუდგნენ სოციალიზმის განმტკიცებას. დოვლათის შექმნაში კაცებს ქალებიც ეხმარებოდნენ და შიდა საქმეებს პირნათლად ასრულებდნენ. ბევრი ქალი 20-25 მეწველ ძროხას უვლიდა, ბევრი მკიდა, თიბავდა, პარსავდა, ყველს აკეთებდა და მამაკაცებს ანთავისუფლებდა ისეთი სამუშაოებიდან, რისი გაკეთებაც ქალის ხელით იყო შესაძლებელი.



გიორგი შიოს ქ
ბალაშვილი

ყველა კოლმეურნეობა თავის კუთვნილ მსხვილფეხა პირუტყვს ადგილზე კვებავდა, თავისივე სათიბებში დამზადებულ საკვებით. ბოსლებში გარკვეული რაოდნენობით იზამთრებდა გამწევი-მამალი საქონელი. მათით მოყავდათ კოლმეურნეებს პურეულისა და კარტოფილის დიდი მოსავალი. ხარების კარგად გასაზამთრებლად კარგი პირობები და კარგი, ხარისხიანი საკვები იყო საჭირო, რის-თვისაც ყველგან აშენდა დიდი ბოსლები, სართულზემოთ შიფერით გადაფარებული საბძლებით, რომელთა გვერდზეც მოაწყვეს სათივები. სათივეებში მთებიდან მარხილებით მოზიდულ თივებს ზვინებად დგამდნენ, დაფარებულში კი გალენილ ჩალას ათავსებდნენ. ჩალის შეჭმის შემდეგ გამოთავისუფლებულ ადგილს კვლავ თივით ავსებდნენ, რათა მშრალად ჰქონოდათ და ყუათიანობა არ დაეკარგა საკვებს.

ბრიგადირი ცდილობდა, საზვინე ადგილი ისე მოეწყო, რომ საბძელები თივის შეტანა-შეყრა ნაკლებ შრომატევადი ყოფილიყო და სუსტი სქესის წარმომადგენლებს ზამთარში არ გაჭირვებოდათ. საქმის გასაიოლებლად მოხერხებულ ადგილზე ზვინების დადგმა თავლის ადგილმდებარეობაზეც იყო დამოკიდებული. მაგალითად

„ენას ბრწყალი არ მოედება“ (ილია)


ბალაანელებს, დაუგეგმავად აშენებულ თავლასთან, ხარმარხილით უხდებოდათ დაშლილი ზვინების მიტანა და მერე ხელით შეყრა, რაც ორმაგ შრომას მოითხოვდა. ჭორჭოხლებს კი მოსახერხებელ ადგილზე „ფოცხვერაანთ კაკლის“ წინ ჰქონდათ მოწყობილი.

ერთხელაც სოფ. ბალაანიდან ჭორჭოხში საქმის საჭიროებაზე გადავიდნენ საწყობის გამგე გიორგი შიოს ძე ბალაშვილი (დაიბადა 1925 წ.) და ბრიგადირი თედორ (ჭიანა) ივანეს ძე ბალაშვილი (დაიბადა 1901 წ.) თედორ იუმორით დაჯილდოებული, ხუმარა და ეშმაკი კაცი იყო. იმ დღისით დაეშალათ ჭორჭოხელ ქალებს თივის ზვინები და დაცარილებულ საბძლებში „ვილკებით“ ჰყურიდნენ. უყურა თედომ, უყურა, შრომაში გართულ, მკერდსავსე, მსხვილნაწილი ლამაზ ქალებს მოეწონა მათი მიხვრა-მოხვრა და ვაჟკაცური შემართება, თავის კოხტა გრძელ ულვაშებზე ხელი გადაისვა და მანდილოსნებს ორაზროვნად გადასძახა:

ქალებო! როგორიც კარგები ხართ, ისეთი კარგი შესაყრელიც გქონიათ. საწყალი ჩვენი დედაკაცები, თვითონაც ხომ იტანჯებიან და ჩვენც გვტანჯავენ.

ჰო, შენი ჭირიმე, კარგი შესაყრელი გვაქვს, ბევრი დაგვნატრის! — გამოეხმაურნენ შრომაში გართული ქალები. - მაგრამ გენაცვალე, თედო, არ მოგვწონს შეყრისას, რომ სუნთქვა გვიჭირდება და მერე ვქოშინებთ. ცოდონი ვართ, ხანდახან უნდა შეგვიპრალოთ კაცებმა, ხანდახან! თქვენოდენა ჩვენ სად შეგვიძლია!

შეგიბრალებთ, შეგიბრალებთ! მიაძახა თედომ და ცხენს დეზები შემოჰკრა.



თედო ივანეს ძე
ბალაშვილი



„ესეც ეი ითქმის: კაცსა რა აუხდეს ნატგრა გულისა,
ხსოვნა აჩ ჰეამს ჭირისა, გით დღისა გარდასულისა“ (ილია)

არ გათეთრდების ყორანი...

შორეულ გადმოცემებზე დაყრდნობით, მხცოვან რესპოდენტთა თქმით დგინდება, რომ ქსნის ხეობაზე, კერძოდ ქარჩოხის ხეობის მოსახლეობის 95% მთიულეთიდან, ხევიდან და ფშავ-ხევსურეთიდანაა მოსული. გამონაკლის შეადგენს პავლიაშვილების გვარის ერთ-ერთი შტო — ძალუანი, რომელთა წინაპრები კვერიათ-მუხი-შართის პლატოს ჩრდილოეთით ე.ნ. პოროლიანის მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ.

მემატიანეს თქმით, მტერთა გამუდმებული თავდასხმებისა და შავი ჭირით ბარში ქართველი მოსახლეობის მკვეთრი კლების გამო, მთებიდან ბარში გადაინაცვლა ქართველობამ, მთაში კი მათი ნაამაგარი უძრავი ქონება და საგვარეულო ციხე-ტაძრები ქართველ მეფეებისგან ჩრდილოეთიდან მოწვეულმა ოსურმა მოსახლეობამ დაიკავა. განხორციელდა მოსახლეობის ეთნიკური როტაცია, ამიტომ იყო, რომ ქსანზე ქარჩოხის თემში მიღელაშვილები, გაროზაშვილები, წიკლაურები, წიპტაურები, ქაწაშვილები, თინიკაშვილები, ხოკრიშვილები, ბალაშვილები, ახლოურები, ელოშვილები, „ხარით შეყრილი“ პავლიაშვილები, ბალხამიშვილები, (ადლოლიანი), კარელიძეები (მოხევიანი), გოჭაშვილები — ყველა ჩრდილოეთიდან ანუ ლომისის ქედის „იქითიდან“ არიან გადმოსულები სხვადასხვა დროს.

ქსანზე ლომისის ცნობილ დეკანოზთა გვარი პავლიაშვილები „ხარით შეყრილ“ გვარად იკვეთება. გარკვეულ დროში მოხდა მოსული გვარების ძირძველ პავლიაშვილებთან გაერთიანება ხატის კარზე, ხარის დაკვლით, ლუდის მოხარშვით და შეფიცვის განსაზღვრული რიტუალით. რის საფუძველზეც აღნიშნულ გვარში წარმოიშვა შემდეგი შტოები: ხოსიტაანი, ებიანი, გიგილაანი, ბაქუზაანი, ონიკაანი და ძალუანი. ეს უკანასკნელი რატომდაც თაკილობდენ არც ისე შორეული წინაპრის ძალიკას სახელიდან ნაწარმოებ თავიანთ ზედწოდებას.

ცნობილია, რომ მიწიერ სამყაროში არსებობს სურვილთა კა-
32

ნონი, რის გამოხატულებაცაა ეგოცენტრისტული იმპულსები, ამბიციები, დიდების სურვილი და თვითდამკვიდრების მოტივი. სწორედ ამდაგვარი სურვილები იყითხებოდა პავლიაანში მცხოვრებ ძალუაანთ ნარმომადგენელთა შორის. სურვილმა შტოს წევრები პრაქტიკულ მოქმედებამდე მიიყვანა, მათ თავის თემს ხმამაღლა განუცხადეს, რომ ტოვებენ და უარყოფენ თიკუნ-„ძალუაან“ სახელს და უერთდებიან ძირულ ხოსტაანთ შტოს. ხატის კარზე „განძთან“ საჯაროდ გააკეთეს განაცხადი, რომ დღეის იქით „ძალლოაანდ“ აღარ მოეხსენიებინათ, რისთვისაც სამრისხველო სამანიც კი ჩასვეს ციხის მარნის ადგილზე — რუსიხევის მხარეს.

ძალუაანთ მიერ გამართულ „სამხთოში“ ხალხმა გვარიანად მოილხინა, ხარი ხარად შეიჭამა, არაყი არყად დაილია, ლუდი-ლუდად, სანთელ-საკმეველი დაინვა, ფიცი დაიდო, მაგრამ ხალხმა თავისი არ დაივიწყა და „ძალუაანი“ ისევ ძალუაანდ დარჩა. „წყალში გადაყრილი პურმარილი“ უმადურ თანასოფლელებს არ აპატიეს, გაბრაზებულ ძალუაანთ თავი შეურანწყოფილად იგრძნეს და ზოგი ბალთაში გადასახლდა და ზოგიც ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფელში (ძველ გავაზში). ხალხი კი გასაჯავრებლად მათ ნასახლარებს და ნაქონ სახნავ-სათიბებს დღესაც ძალუაანთ ადგილებად იხსენიებს.



სოფ. ბაგლიანი

„ძვირის მოქმედნი ძვირმან მოინაღია“ (გახტანგ გორგასალი)

ხელოსანი ხელოსნის მთელია!



ნიკო დავითის ძე
თინიკაშვილი



შვილიშვილი ეთერ
მარტიაშვილი-ბეგოიძია

გასული საუკუნის პირველ ნახევარში, სოფ. თინიკანში ცხოვრობდა ორი ხურო: ნიკო თედოს ძე და ზაქარია სანდროს ძე თინიკაშვილები. ორივენი მგელიანთ შტოს წარმომადგენელი, ორივე მშრომელი, პატიოსანი და სოფლის კაცები იყვნენ. გლეხური ხელოსნობის კვალობაზე ორივე გამოსადეგი, სოფლისთვისაც და ხეობისთვისაც. ნიკო თინიკაშვილი ხუროსთან ერთად კარგი მჭედლიც იყო. ამ ორ ხელობის გარდა დაუფლებული იყო თერძობას, მენალეობას, ნალბანდობას. „სუფთა საქმე“ იცოდა და „კარგი ხელიც“ ჰქონდა, რის გამოც საქმის დამკვეთები არ აკლდა. ზაქარაც კარგი ხურო იყო, მაგრამ ის მხოლოდ ერთი პროფესიით შემოიფარგლებოდა. მისი ძირითადი ნანარმი საჩვილე აკვანი იყო, რომელსაც ქარხნული ლურსმნით აკეთებდა. ნიკო კი აკვნის ფიგურებიან საგოგავებს, მალებს და ხიდებს ერთმანეთთან ფარეშით (ხის ჩხირით) ამაგრებდა და საერთოდ ლურსმანს არ ხმარობდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ჭედდა, როგორც სადურგლო ისე ცხენის და ხარის დასანალ ლურსმანს.

მრავალმხრივი და სრულყოფილი ხელობის გამო ნიკოს ზაქარაზე მეტი დამკვეთი ჰყავდა, ამიტომაც ანტაგონისტურად განწყობილი ზაქარა თავის ყველა კლიენტს, ახსნა-განმარტებითი ხასიათის რჩევებს და „ინსტრუქტაჟს“ უტარებდა ნიკოს სანინააღმდეგოდ. „მე ჩემი კლიენტი მყავს — ნიკოს თავისი. დაკვირვებული კაცი არასდროს შეცდება თუ ვისთან უნდა მივიდეს და ვის ნახელავში უნდა გაზარდოს თავისი პირმშო. ნაკურ-

თხი, წმინდა ხის მასალითაა გამართული ჩემი აკვნები, თანაც ლურ-სმნით! რკინას უჟმური არ ეკარება. შიგ გაზრდილი ბალღი წლების მერე შვილებს თავისივე აკვანში გაზრდის ისეთი მაგარია. აი, ნიკოს ჯერ საცხვრის მწვირეში უყრია გასაშრობად აკვნის მასალა შემდეგ ფარეშით აკეთებს აკვნებს“. უმეტესობამ არ იცოდა დურგლების პროფესიული ტერმინის მნიშვნელობა და კითხვაზე, თუ რას ნიშნავდა სიტყვა „ფარეში“, ზაქარა გულმოდგინედ ცრუ განმარტებას აძლევდა ყველას.

„ფარეში იგივე ფარმივი, უხარისხო, მალე მტვრევადსა და მალე ფუჭებადის გამომხატველია, ამიტომაცაა, რომ იმისნაირად არც მე ვწუწუნებ ხალხის მოსაზიდად და არც ჩემი კლიენტები ფარეშივობაზე, როგორც იმისები“.

მიუხედავად მათი ერთმანეთთან დაპირისპირებისა, არცერთს არ მოკლებია მუშტარი აკვნებისა და მათ აკვნებში გაზრდილ ყრმათ ის მადლი და სიკეთე, რაც იმ დროებაზე სუფევდა ქარჩოხში ისევე მათი — „ძველი ხალხის“ ტოლერანტობის გამოისობით.

დღეს თინიკანში აღარც ხელოსნებია და აღარც მათი მუშტარი. იმ დიდი წარსულის მქონე, სხვადასხვა გვარებისა და სოფლების წარმომშობ სოფელში 2010 წლის მობრძანებას აღარც კაცი შეხვედრია, აღარც ქალი და აღარც ბავშვი. არც ძალს დაუყეფია და არც მამალს დაუყივლია. დრომ დაამთქნარა და თავისი საზიზლარი, მწარე პირით გადაყლაპა ოქროს კარებიანი „სამების“ პატრონი, სახევისთავოს ხატების შესაკრებ-საბრძანისი, ხევისთავის საჯდომის სოფელი თინიკანი. შეუბრალებელი სისასტიკით დაანელა და გა აქრო ქსნის ხეობის 2008 წლის ოკუპაციამ სოფელი. ტყუილად კი არ უთქვამს ვისაც უთქვამს „დრონი მეფობენ და არა მეფენიო!“



**„სიყვარული არც მაშინ გეკითხება როცა მოღის და არც
მაშინ, როცა მიღის“ (ბუასტი)**

ტემატი

ქეორე მსოფლიო ომმა უდიდესი ნგრევა, გაჭირვება და ფიზიკური განადგურება მოუტანა მილიონობით ადამიანს. ომის მსახურალი ხელი მისი დამთავრებიდან კიდევ დიდხანს ეტყობოდა ქალაქს და სოფელს. ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ, გაჭირვებით იშუშებდა ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს. ქალაქთან და ბარის სოფლებთან შედარებით, მთის მცირემინიან სოფლებში უფრო დიდი ასპარეზი ჰქონდა დათმობილი სიღარიბესა და სასოწარკვეთას. ხალხი შიმშილით გმინავდა. მსოფლიო ომის შემდგომ მთის მოსახლეობა თემურლენგის დროინდელი ცხოვრებით ცხოვრობდა. ისინი ძირითადად კარტოფილით, ჩირით, ბალახეულობით, (მაჩიტა, ფხოლი და სხვა) კენკრით იკვებებოდნენ. საქმეს ართულებდა მაშინდელი თვალში საცემი მრავალშვილიანობა და ჯერ კიდევ ბოლომდე დაუმარცხებელი ეპიდემიები. უექიმობასა და უნამლო ყოფაზე რომ არაფერი ვთქვათ.

ყველას გვახსოვს რეჟისორ თ.აბულაძის მხატვრული ფილმი - „ნატვრის ხე“ და მისი პერსონაჟი — ელიოზი თავისი ფარლალა გაპარტახებული სახლით, რომლის ანალოგი (უკეთეს შემთხვევაში) მრავლად იყო მოის შემდგომი პერიოდის სოფ. ხოზოეთში და არა მარტო ხოზოეთში, სადაც აღნიშნულ დროს, მოცემულ ვითარებაში ცხოვრობდა მთის ერთი ბედოვლათი, წვრილშვილი კაცი მიხა გამხიტაშვილი. ადრე დაქვრივებულ ახალგაზრდა მიხას, რომ იტყვიან „თოკზე დასაწყობი“ ოთხი მცირენლოვანი შვილი დაუტოვა გასაზრდელად მეუღლემ.

წვრილშვილ კაცს სიღარიბესთან ერთად რომანტიკული სიყვარულიც მოეძალა და სასიყვარულო ურთირთობა გააძა თავისივე სოფელში ობგაძეებზე გამოთხოვილ ახალგაზრდა ქალთან. მიხამ თანდათან მოუხშირა თავის რჩეულთან შხვედრებს, რის გამოც ხშირად უწევდა წვრილი ბავშვების უმეთვალყუროდ დატოვება. ჩაკეტილ სახლში იმ დროებაზე მშიერ-ტიტველი ბავშვების გაჩერება დიდ სირთულეს წარმოადგენდა სიღარიბით ბეჭდადაღულ მიხასთვის, რომელიც ხშირად შორ მანძილზე დადიოდა პურობაზე მთასა

„სიცოცხლე უსიყვარულოდ ცუდი სიზმარია“ (იტალიური ანდაზა)

თუ ბარში, აგროვებდა ტყისა და მინდვრის ნობათს და ირჩენდნენ თავს. მათი ძირითადი საკვები კარტოფილისა და ჩირის გარდა წვენწყალა პიტნის, შინდის, ღოლოს „ეთნოგრაფიული“ შეჭამანდები იყო. განსაკუთრებით ბავშვებს მოსწონდათ „ლიკანებში“ მდგარი წითელი ტკბილი ტყემალი, ამიტომაც იყო, რომ „ლალაკას“ უსარგებლო წყალწყალა შეჭამანდებს ლიკანების ტყემალს რჩეობდნენ.

თავის „ლამაზისეულთან“ პაემანზე წასვლის წინ მიხა თავის შვილებს შეპირებული ტყემლის მოლოდინით აოკებდა.

— ჩემო ბარტყებო, ახლა ლიკანების ტკემალზე მივდივარ, სიმონა ძის დაწნულ კალათას გავამსებ და მალე მოგიტანთ, — ხომ დამელოდებით?!

— დაგელოდებით, მამიკო, დაგელოდებით!,- ერთხმად იძახდნენ ბავშვები. მამიკოც აჩქარებული ნაბიჯით გავიდოდა, გარედან კარებს დიდ კომბალს გაუყრიდა და თავის სატრფოს ტკბილად მიუგურგურებდა, თვითონაც დატკებოდა და მასაც დაატკებოდა ალერსით და ვნებით, მერე გაივლიდა ლიკანებში, ტკბილ ტყემალს მოუკრეფდა და სახლში გამომწყვდეულ ბავშვებს დიდი ამბით და ზარ-ზეიმით მიუტანდა.

ერთი ქართული ანდაზა გვახსენებს, „ტყეს დიდი თვალები აქვსო“. სწორედ ტყემ დაინახა პირველად რომანტიკულ ქსელში გახვეულთა შეწყვილება. დაინახა და დაიწყეს ჭორაობა, ხემ-ხესთან, წიფელმა — წოროსთან, წორომ — თელასთან, თელამ — თხემლასთან, თხემლამ — თხილთან, თხილმა — ტირიფთან, ტირიფმა — ტყემალთან და ტყემალმა გასცა საიდუმლოება. მას მერე მიხას მეზობელთაგან დარჩა ორაზროვანი სიტყვა „ტკემალი“. სად მიდისარ?! ეშმაქურად ეტყოდნენ სოფელში საეჭვოდ თუ არა საეჭვოდ მიმავალ მიხას, — „ტკემალზე“ — იყო მუდამ ღიმილნარევი პასუხი.



„სინდისით გაჭრობა არავის ამღიღებს“ (გოვენარგი)

მოვიდა პულუა!

ასწლეულების განმავლობაში ქართველმა ხალხმა მდიდარი მხატვრული მემკვიდრეობა შექმნა, რომელიც გმირულად დაიცვა მრავალრიცხოვანი მტრების გამუდმებული თავდასხმების პირობებში. ხალხური საკრავები მშობლიური მუსიკალური ენის საუკეთესო გამომხატველნი არიან და განუმეორებელი სილამაზის ჟღერადობით გამოირჩევიან. ამასთანავე, ყოველი მათგანი, არა მარტო ისტორიული ძეგლია თავისი ერის კულტურისა, არამედ მუსიკალური თვითადზრდისთვის ძალზე საჭირო და ყველასათვის ხელმისაწვდომი საშუალებაც არის.

ქართველი კაცის ხასიათიდან გამომდინარე ქარჩოხელების მუსიკალური გემოვნება და საკრავების მრავალფეროვნება ადეკვატური იყო მრავალი წლის მანძილზე მომხდურთა თავდასხმების შედეგად გამოწვეული მნუხარებისა, „მათ ზედა ძლევის“ მოწოდებისა და ბრძოლაში გამარჯვებით გამოწვეული სიხარულისა. მაგალითად, ხალხის რწმენით, სალამურის ნარმოშობის მიზეზი ადამიანის ჭირ-ვარამი ყოფილა. მისი მოსპობა არავითარ ძალას არ შეუძლია. ცეცხლიც კი ვერაფერს აკლებს თურმე სალამურს. ქართულ ყოფაში სალამური გამოიყენება ჭირშიც და ლხინშიც ისე, როგორც დოლი (დაფდაფი), დაირა და გარმონი-ბუზიკა.

ქარჩოხში, სოფ. ბალაანის ადგილ-მამულების ტოპონიმებში ფიგურირებს სიტყვა „ბარბითი“, რომელიც ძველი ქართული მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვანი, აზ დავიწყებული ძეგლია. ბარბითზე შოთა რუსთაველი წერს: „მოვშორდი ლხინსა ყოვლისა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა“. — უპირველეს ყოვლისა ირკვევა, რომ ბარბითი ქსნის ხეობის ზემო წელზე საკმაოდ გავრცელებული ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ მან ჩვენამდე ვერ მოალწია.

ჩვეუში საკმაოდ პოპულარული იყო და არის საკრავი დაფდაფი ანუ დოლი, რომელიც ჯერ კიდევ „ამირანდარეჯანიანში“ და „ვეფხისტყაოსანში“ იხსენიება. როგორც საბა მიუთითებს, „დაფდაფს ორივე მხარეს ეტრატი (ტყავი) აქვს რომელსა დაულს უწოდებენ იგინივე“ (იგულისხმება სპარსი).

„ქალს სწორედ ისეთ ღროს უნდა წააგლო ხელი, როცა ჭოჭმანს მოყვება“ (ქვამსახურია)

ასევე ქსანზე ფართოდ გავრცელებულ საკრავებს შორის არის გარმონი (ქალებისთვის მცირე გარმონი იგივე ბუზიკა) რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართველ მთიელთა ყოფაში. მას საქართველოს ბარშიც იყენებდნენ. გარმონის გამოყენების არე საკმაოდ ფართოა. იგი სახალხო დღესასწაულებზე, ქორწილებსა თუ მეჯლისებზე ჟღერდა, რის გამოც მისი რეპერტუარი სასიმღერო და საცეკვაო მელოდიებისგან შედგებოდა. იგი განსაკუთრებით ხშირად იხმარებოდა დაირას, დიპლიპიტოსა და ფანდურთან ერთად. ქარჩოხელ მთიელთა ყოფაში გარმონი და დოლი ახლო წარსულშიც აქტიურ და მნიშვნელოვან მუსიკალურ ინსტრუმენტებად გვევლინებიან. მეორე მსოფლიო ომიდან 70-იან წლების ჩათვლით ქარჩოხში ცნობილი იყვნენ მედოლე ობგაძე და მეგარმონე გიგოლა თინიკაშვილი. უიმათოდ ხეობაში ლხინი და დროს ტარება ძნელად თუ იქნებოდა. ქორწილში მათ მიერ შესრულებული მუსიკის თანხლებით — 3-4 დაირა უნდა დახეულიყო. ბოლო დროს 50-იანი წლებიდან სამწუხაროდ დაირა ხმარებიდან ამოივარდა და ობგაძეს და თინიკაშვილს ნიშნობა-ქორწილებში ამ აკომპანიმენტის გარეშე უხდებოდათ საზოგადოების გართობა.

ქარჩოხში ერთ-ერთი სოფლის გლეხის ოჯახში მამა-პაპური ქორწილის სუფრა იყო გაშლილი და შრომაში მოღლილი გლეხკაცი ლხინსა და დროსტარებას იყო მიცემული. დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, მდიდარს და ლარიძს ყველას უხაროდა ქორწილი. ტყუილად კი არ არის ნათქვამი „ლარიბის სუფრა უფრო გემრიელია ვიდრე მდიდრისაა“. მერცხლის ბუდესავით შეყუული ბანიანი სახლების წინ ხოჯანიბეგზე ანთებული მაშხალებით ეგებებოდა სოფლის ახალგაზრდობა ნეფე-დედოფალს და მის მაყრიონს. ანთებული ჩირალდნებისა და მაშხალების შუქზე გველებივით წრიალებდნენ ოფლში გახვითეული, ლაგამის მკვნეტელი ულაყები. ისმოდა მხიარული შეძახილები და თოფების ხმა, რომელთაც დროდადრო კუნაპეტ ლამეში გატყორცნილი მოკაშკაშე მაშხალების შხუილი ენაცვლებოდა. იქ მყოფთ სიამით უვსებდათ გულებს მაყრიონის თანწყობილი გუგუნი: „მოვდივართ მოგვიხარია, მოგვყავს წითელი

„პატიოსანი და უპატიოსნო აღამიანი შეიცნობა არა მარტო
იმით,რას აკეთებს,არამედ იმითაც - რა სურს მას“. (დემოკრატე)

ხოხობი“. (პატარძლები მეტწილად წითელი ფერის კაბებს იცმევ-
დნენ). დარიბთა ოჯახებს შეძლების სანაცვლოდ დიდი მადლი და
აურა სდევდათ თან. მაშინ ჯერ კიდევ სისხლისფერი ვაშლებით, წი-
თელ ნაჭერ შემოხვეული ჯვარ-ჩირალდნები იცოდნენ. სავალდებუ-
ლო იყო მეპურის პატივისცემა — ვარცლის დალოცვა. არ იყო სიე-
ბი, ფიქსირებული შესანევარი. ხალხი პატივისცემასა და შენევნას
ახალშექმნილ ოჯახისადმი უანგაროდ, ყოველგვარი იურიდიული
დოკუმენტის გაფორმების გარეშე აკეთებდა. უქონელი გლეხობა
„ნისიად“ ქეიფობდა მეზობლის ქორწილში. ფეხზე მდგომი „მყე-
ფარი“ ხმამაღლა აცხადებდა სუფრის წევრთა მონატანს. იცოდნენ
ფქვილის, თაფლის, არყის, თხილ-კაკლის, საოჯახო ხის ავეჯის,
სამზარეულოს ატრიბუტების ჩუქება. საკაბე-ჩითების, საპერანგე-
ების მირთმევა და სხვა.

ენანწყლიანი, ენალაქარდიანი „მყეფარი“ ყველას გასაგონად გა-
მოაცხადებდა: ზევითლიანთ შიოს მოურთმევია ერთი ურემი თხილი
და კაკალი, კისრად იდებს ორი დღით შრომას და ჯაფას მკასა და
თიბვაში. — ეს მაშინ, როცა მეზობელს ქორწილში 2-3 ჯამი თხილის
მიმტანი ლარიბი გლეხი ორი დღით თიბვა-მკაში დახმარებას ჰპირ-
დებოდა.

ქვევითლიანთ ტუხას და ფოცხვერაანთ აბროს მოურთმევია

ერთი კონი, კალმახით სავსე (20-იან წლებამდე იტყოდნენ: მო-
ურთმევია სოლომონს ცალგულით, ცალუღლით ორაგული დიდი).
მოურთმევია დიაკვან იოსებს უცეცხლო თაფლი თანგირა ქვაბით
(ხუმრობისთვის ზოგჯერ საარაყე ქვაბსაც იტყოდნენ).

სილარიბეში მყოფი ხალხი უფულობის გამო ქორწილებში ფუ-
ლად შესანევარს ვერ ჩადიოდა, გარდა იმ აზარტული ახალგაზრდე-
ბისა, რომლებსაც ცეკვა-თამაშით რჩეულთა თეალში მოხვედრა და
სილარიბისთვის ფარდის ჩამოფარება ჰქონდათ განზრახული.

ხანძარივით მძვინვარებდა მხიარულებას მიცემული ლარიბთა
ქორწილი. კვლავ თავდავიწყებით, გვერდიგვერდ უკრავდა განუყ-
რელი გარმონი და დოლი. სადღაც გამწრალიყო მუცლად ამოგვანი-
ლი, ხასტყავიანი, ვერცხლის ფულებით ახუნძლული ძველი დაი-
რა. შაბაში შაბაშზე მოსდიოდათ მუსიკოსებს, ნელ-ნელა ივსებოდა

„ქარგი გრძნობაა გრცხვენოდეს აღამიანებისა, მაგრამ უმჯობესია საკუთარი თავისა გრცხვენოდეს“ (ლოტოლსტოი)

მეგარმონე გიგოლას „საფეიქროზე“ მოქსოვილი შავი შალის პიჯაკის ჯიბე. ქორწილმა პიკს მიაღწია, ხალხი მხიარულობდა. მხოლოდ ერთი ქვრივი ახალგაზრდა ქალის გულში რაღაც გაურკვეველი გრძნობა და ცეცხლი ტრიალებდა, რომლის მიზეზი ერთის მხრივ იმ აუტანელი გაჭირვებული ცხოვრებით გამოწვეული სასოწარკვეთა იყო და მეორეს მხრივ შინაგანი ქალური ლტოლვა ძლიერი სქესი-სადმი, რომლითაც იმუხტებიან, როგორც ადამიანები, ისე ბუნების სხვა წარმომადგენლები (მაგ. მძუნობის პერიოდში ხვადი-ძუ ლომს ერთი საათის განმავლობაში 20-25-ჯერ ეწყვილება)


ქორწილი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო როცა სუფრას-თან მსხდომ მუსიკოსებთან შავებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი პელო მივიდა და მეგარმონე გიგოლა გარეთ გაითხოვა. ისიც ანგარიშმიუცემლად გვიდა გარეთ. სიბრძეები თავდახრით მდგომა ქალმა არც აცია არ აცხელა და გულის ჯიბეში მოულოდნელად ხელი ჩაუცა, მეგარმონეს შაბაშის ფულები ამოაცალა და სიბრძეები გაუჩინარდა.

ქვრივის ასავალ-დასავლის მცოდნე ნაქეიფარი მუსიკოსი ყველასთვის შეუმჩნევლად მოძალადეს აედევნა და საკუთარ სახლში მიადგა. თავისი ნამოქმედარით აღელვებულმა, სირბილით დაღლილმა, მკერდჩახსნილმა ქალმა ფულის სანაცვლოდ თავისთან სიამოვნება შესთავაზა. გიგოლამაც ჯენტლმენობა გამოიჩინა, ფული ქვრივს დაუტოვა და ჩახსნილი მკერდი ჩაუთბო ვნებამორეულ, გაჭირვებულ ქალს.

სად იყო და სად არა შეწყვილებულთ ოთხი წლის ობოლი ბიჭი წა-ადგა თავს. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა დედამ შვილს შესაძლებელი არტისტიზმით შესძახა: „ვაიმე, შვილო გაიქეცი, მოვიდა ბულუა!-ო ბავშვმაც დაუჯერა თავის გამზრდელს და შეშინებული გარეთ აივანზე გავარდა. რიტმული ინილო-ბინილოს შემდეგ ვნება ჩამცხრალი წყვილი დაშორდა ერთმანეთს, ქორწილიც დამთავრდა და დაიშალა. დაიშალნენ ის ბანიანი სახლებიც, ის დროებაც და სახელმწიფოც, რომელშიც ცხოვრობდა ულუკმაპუროდ დარჩენილი, გაჭირვებული ქვრივ-ობოლთა, და არა მარტო ქვრივ-ობოლთა მთელი არმია.

„სინდისი ათასი მოწმეა“ (ქვინტილიონები)


ნათქვამია „ორმა თუ იცის ღორმაც იცისო!“ ამ ამბის მერე მე-გარმონეს სოფლად თუ მეზობლად ქორნილებში, დიდი და პატარა დაფარულად თუ დაუფარავად ყველა „ბულუას“ ეძახდა. თავშეყრის ადგილებზე გიგოლას გამოჩენაზე „მოვიდა ბულუას“ შეძახილით ხვდებოდნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, მას მერე დედები ურჩ და ჯიუტ პატარა ბავშვებსაც კი აშინებდნენ — „მოვიდა ბულუა-ო“.



**„ჩვენ თავის დღეში არც ისე ბედნიერი ვართ და არც ისე
უბედურნი, როგორც გვვონია ხოლმე“ (ლარო შფუქო)**

გაპრო და სანდრო

თაშისტური გერმანიისა და დედამიწის 1/6-ზე, 22 402 200 კვ-კმ-ზე გადაჭიმულ რუსეთის უზარმაზარ სახელმწიფოს შორის



ამინან გიორგის ქე

ბაშარუელი

რიდა ეკონომიკური ჭრილობების მოშუშებას შესდგომოდნენ მშვიდ ცხოვრებას მონატრებული მთიელები.

ქსნის ხეობის ზემონელზე კვლავ წარმატებულ დარგად ითვლებოდა მეცხვარეობა, რომელშიც სახელმწიფო სექტორი დომინირებდა. 1945 წლის ზაფხულში, ქარჩობზე, სოფ. ჭორჭოხის კოლმეურნეობის ცხვარი მდინარე პატარა ლიახვის სათავეებში, ქნულის საძოვრებზე იმყოფებოდა. ფარას სამი კაცი მწყემსავდა, მათ შორის იყო ჭორჭოხელი, უმგილძირო, ძუნნი, ბეჩავი მეცხვარე გაბრო პავლიაშვილი. იგი უცხვრო-უქონელი, ბოგანო კაცი ყოფილა, რომელიც შრომადებზე განაწილებული პროდუქტებით არსებობდა. ჰყოლია ერთადერთი ბატყანი, ისიც გზაზე უპატრონოდ დაგდებული უნახავს, უბეში ჩაუსვამს და გაუზრდია. სილარიბესა და მეცხვარეობის მძიმე პროფესიას შეჭიდებული, შუახანს გადაცილებული, უმეცარი გაბრიელი მალე დაავადებულა და ომის დამთავრების შემდგომ სანგლის დიდ მთაზე, ამხანაგებს ერთ დილით ნაბადში გარდაცვლილი უნახავთ. ბედად ცხრაზმელი კაცი ცნობილი სარქალი და სახალხო მთქმელი ამირან ბაშარული მოდენილა გზად სახლში. შეხვენიან ჭორჭოხელები, უთხოვიათ რომ სოფელში

ომი სულ რაღაც ორი თვის დამთავრე-

ბული თუ იყო, მისგან მიყენებული ფიზიკუ-

რი და ეკონომიკური ჭრილობების მოშუშებას შესდგომოდნენ მშვიდ

ცხოვრებას მონატრებული მთიელები.

„მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება,ვერ აშენდება“ (ი. ჭავჭავაძე)

ამბავი ჩაეტანა საწყალ გაბრიელის გარდაცვალებაზე და რამდენი-
მე კაცი, წამოსულიყო ცხედრის წასასვენებლად, მანამდე კი ამხა-
ნაგებმა თოვლის ზვავი ცულით ამოქრეს, ცხედარი შიგ ჩასვენეს
სუნი რომ არ დასცემოდა. იქვე ბარხანაც ჩაუსვეს, ზედ გაბროს ნა-
ბადი და ფაფახი დაუკიდეს, „ჯავრია“ თევაზე დაუგდეს და სოფლი-
დან კაცების მისვლას დაელოდნენ. მესამე დღეს ხუთი ცხენოსანი
მიადგა სანგალში ჭორჭოხელთა არხაჯეს. იმ ღამეს ხრაკიანი არაყით
გაიბრუუნენ მისულნიც და დამხვდურნიც, ითაბირეს, ილაპარა-
კეს, ანონ-დაწონეს საქმის მდგომარეობა და ბოლოს დაასკვნეს:

რაზე ვაწვალოთ, ან ეს საწყალი გაბრიელი, ან ცხენები და ან
ჩვენი თავი. ასეთ ლამაზ და სუფთა ადგილზე დასაფლავებას ბევრი
ინატრებს. აქ ორ ჭიქითაც ეტყვიან ყოველთვის შესანდობარს ბიჭე-
ბი, აქ ბატონივით იქნება, იქ კი ვინ ყავს მომგონი.

ჭირისუფლებმა ბინაზე დაყრილ ლაფატკას, წერაქვს ჯოხები
გაუყარეს და ქვაკიბის მთის შუა კალთაზე, ერთ ჩავარდნილ, ღორ-
ლიან ტაფობში მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი უშვილძირო
გაბროს. სუფრაც სახელდახელო — ღარიბული გაუშალეს. ის ერთა-
დერთი, უბეში გამოზრდილი ბატყანი დაუკლეს და ორიოდე ბოთლი
სულადი არაყიც გამოუცალეს. საფლავს თავ - ბოლოში ღორლიდან
აღებული წითელქარაგოზიანი მაღალი ქვა-სამნები ჩაუსვეს და ზე-
მოდან ის მარადმწვანე დეკის ტოტები დააყარეს, რომლის გუდუ-
რებზეც დაწვენით აპირებდნენ ამხანაგები გაბროს სახლში წასვე-
ნებას.

ამ ამბიდან გავიდა რამდენიმე ხანი და ამირან ბაშარულმა შე-
იტყო ქარჩოხელების ეს საძრახისი სიზარმაცე და უპატივისმცემ-
ლობა, როგორც მიცვალებულის ისე წინაპართა ტრადიციებისა.
გაბრაზებულმა ამირან გიორგევიჩმა ლექსად გამოხატა თავისი გუ-
ლისწყრომა ქარჩოხელებისადმი:

„არ იყავით ქარჩოხლებო, (ჭორჭოხლებო)

შეირცხვინეთ ხალხში თავი

ვერ ითავეთ იმოტველა

შინ წაგედოთ თქვენი მკვდარი.

„ბელნიერება არის სიამოვნება უსინანულოდ“ (ლ.ტოლსტიო)

ხუთი კაცი წამოხვედით
სამარე ვერ გაუთხარეთ
ერთი ბატქანი ჰყოლიყო
დაკალით და შეუჭამეთ.

.....

უბედური გაბრიელი
ღორლიანებს მიაბარეთ“.

ძველთაგანვე მიცვალებულის მშობლიურ კუთხეში გადასვე-
ნების ტრადიციის დარღვევისათვის ცხრაზმისხეველ ამირან ბაშა-
რულისაგან გალექსვის პასუხად ქარჩოხლებმა სოფელ თოხთაში
მცხოვრებ სანდრო ბუქურის გალექსვა მოაყოლეს. ცხრაზმის ხევზე
სიღარიბეში მყოფმა ბუქურის ოჯახმა ჩუმად გაატყავა წმინდა ცხო-
ველად მიჩნეული მკვდარი ცხენი და საჭმელად ასო-ასო ხარიხაზე
გაკიდა. გაიგეს თუ არა ეს ქარჩოხლებმა მაშინვე ნიშნის მოგებით
გამოეხმაურნენ მეზობელ ცხრაზმელებს:

ცხრაზმის ხეობა თუ იცით,
მიმოფანტული კლდეშია,
ბუქური სანდროს ხანჯალსა,
ბუზი ეგება წვერშია.
იმას რომ თეთრი ცხენი ჰყავს,
მოკვდომია ბოსელშია.
დილით ჩავიდა სანდრია,
ხანჯალ გაუგდო ყელშია,
ჩლიქებამდე ჩატყავა
გაჰკიდა მაღლა ჭერშია,
ასო-ასო აიკუნა,
ღვიძლის შეწვა ხომ წესია.
ვაი, შერცხვით ცხრაზმელებო,
მკვდარი ცხენის მჭამელებო,
გაიხარეთ ქარჩოხლებო,
ყაჩალების დამჭერებო“.

„არ უნდა ინატრო ის... ჩასაც თითონ ბუნება უარყოფს და არ გვითმობს“ (ი.ჭავჭავაძე)

ჩართველების ერკებალი

XIX საუკუნეში საქართველოში განხორციელებული რუსიფიკატორული პოლიტიკის პირდაპირი შედევი იყო ეროვნული ტრადიციებისა და დაუწერელი კანონების დავინყება და იგნორირება, აგრეთვე სოციალური ჩაგვრა, შავ-ბენელი ძალების ყაჩაღებისა და მკვლელების გააქტიურება და სხვა ნეგატიური მოვლენები.

ზემოთ აღნიშნულ პერიოდისთვის ქსნის ხეობაზეც ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული ძალადობა, ყაჩაღობა, კაცის კვლა, მიტაცება, ოჯახებით გადახვენა და სხვა.

მთის ზნეკეთილიანი, მშრომელი ხალხი მუდამ იტანჯებოდა ქურდბაცაცა-მოძალადე ყაჩაღებისაგან, რომლებიც საბედნიეროდ მთის მკაცრი პირობების გამო ორგანიზებულ ჯგუფებს ვერ ქმნიდნენ, თითო-თითოდ ან ორ-ორნი დაძრნოდნენ და აშინებდნენ, აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ამგვარი ამბების ერთ-ერთი მაგალითია ჟამურის ხეობიდან მოძალადე ყაჩაღად გავარდნილი ვინმე ოსი მამსირა. ის გოლიათური ტანის — ფიზიკურად ძლიერი პიროვნება ყოფილა. ბილნი და უხათრო, დაეხეტებოდა მთაში და ბარში, სადაც მოისურვებდა იქ ქეიფობდა და ათენებდა ლამეს. რომელი ქალი, ცხენი, ხარი, იარაღი მოენონებოდა- მისი ხდებოდა, წინ ვერაძალა ვერ დაუდგებოდა მას და მის ამჟაონებს. როგორც ოსები ისე ქართველები მეტისმეტი უზნეობისა და ამორალურობის გამო „ერკემალს“ ეძახდნენ, რაც საბას განმარტებით მნერბავ ცხვარს ნიშნავს. წლების განმავლობაში დადიოდა ასე მნერბავი ბოტასავით ოსი მამსირა რყვნიდა და შეურაცხყოფდა ქართულ საზოგადოებას.

ერთხელაც თავს დასდგომია მდ. ქსნის მარჯვენა მხარეზე სოფ. ჭორჭოხის მოპირდაპირედ მოსახლე ბეჟუანთ პატარა უბანს, სადაც ოთხი ძმა ქენქაძე ბეჟუას შვილები ცხოვრობდნენ.

ძმებს არ სიამოვნებიათ დაუპატიჟებელი, ბილნი სტუმრის მისვლა, მაგრამ შიშით თუ სტუმართმოყვარეობის ტრადიციის გამო მაინც მიუღიათ და სუფრაც გაუშლიათ მისოვის. შეზარხოშებულ მამსირას ჯერ თვალი და მერე ხელი გაქცევია დედაბოძზე დაკიდებულ ვერცხლის ქამარ-ხარჯლისაკენ. მოსწონებია ყაჩაღს, უკითხავად

„დაუპატიუებელი სტუმარი აბუჩიაო“ (ქართული ანდაზა)

წელზე შემოუკვრია და დოინჯშემოყრილს ცეკვა-ცეკვით დედაბოძისთვის შემოუვლია შეძახილით, რაც იმას ნიშნავდა, რომ იარაღი უკვე თავისად ითვლებოდა.

მოთმინებადაკარგულმა უმცროსმა ძმამ, რომელიც სტუმარს სუფრასთან ეჯდა და მასპინძლობას უწევდა აღარ დამალა მისადმი წლების მანძილზე ნატარები ზიზდი, მივარდა მოძალადეს, თავისი წინაპრის ნაქონი ხანჯალი ამოაძრო ქარქაშიდან და მუცელში შეუყარა. ბასრმა იარაღმა მეორე მხარეს გაახედა. იმავე ღამით, რაც იმ დროებაზე საზოგადოების ურთიერთობებისთვის უცხო არ იყო, აყრილან ოთხი ძმანი, ცხენებზე აუკიდიათ რის წალებაც შეიძლებოდა და გადახვეწილან — თუ საით ესეც მაშინდელ ყოფითი ლაპირინთების გაუყვალობის გამო ინკოგნიტოდ დარჩენილა.

ქსნის ხეობაში ზარივით გავარდა სმა გამხეცებული ყაჩაღის მოკვლისა. ჟამურიდან ქარჩოშები რისხვით ჩამოვიდა ოსთა „ჯარი“. გადაწვეს და დაანგრიეს პეშუანში მოსახლე ძმების სახლ-კარი. მეორე დღეს ჟამურს წაასვენეს თავიანთი მოხეტიალე მონსტრი გოლიათი. გარდა ქართველებისა ბევრ ოსს გულში უხაროდა მამასირას სიკვდილი, მაგრამ მისი ხუთი ძმის შიშით ყველა „მწუხარების“


გამოსახატავად ფაგაანს მიაწყდა და ტირილით იგლეჯდნენ წვერებს.

მოკლულის დედა, ჯეჯიმ გადაფარებულ დიდ გამჭვარტლულ მერხზე იჯდა და ქართულ-ოსურად მოთქვამდა.

ოი, მამსირ! მამსირ!

ოი, მამსირ, მამსირ, შენ იყავი ქართველების ერკემალი, მაგრამ შენზე დიდი ერკემალი ქართველი ყოფილა.

დღესაც საცოდავად გამოიყურება ძმები ქენქაძე ბეჟუას შვილების: ელიას, ბასილის ბერის და გოგის ნამოსახლარი, სადაც დათვებისგან ტოტებდამტვრეული რამდენიმე ძირი პანტა და ერთი დიდი ნამეხარი კაკალიღა დგას მხოლოდ.



„ისეთი მამლებიც ბეგრია ამქვეყნად, გათენების შემდეგ რომ
ყიფიან“ (გამსახურდია)

უდედლოდ დარჩენილი მამლები

დღესაც კიდევ მოისმენს კაცი იმაზე თუ, როგორი მძიმე ზამ-
თოები იცოდა საქართველოს მთიანეთში გასულ საუკუნის 80-იან
წლებამდე. ხშირი იყო დიდთოვლობა და კოვისპირული წვიმები, რა-
საც ბუნებრივია წყალდიდობები, მეწყერი და ზვავები მოსდევდა,
ამ ექსტრემალურ მოვლენებს მოსახლეობის მსხვერპლი და ეკონო-
მიური ზარალი მოჰქონდა. თითქოს ჩვეულებრივ მოვლენად ექცია
ბუნებას ხეობის მაღალმთიან სოფლებში 4-5 მეტრიანი დიდთოვ-
ლობა. ხალხი, სადაც ნიჩბებით ვერ ერეოდა თოვლს, მსხვილფეხა
საქონლის დახმარებით იკვალავდა გზას.

ერთ-ერთი ზამთრის დიდთოვლობისას. თინიკაანელებმა ხარე-
ბით, ნიჩბებით და მერე კვლავ ხარ-მარხილით ჩაკვლიეს გზა მეზო-
ბელ სოფელ პავლიანში.

როგორც მაშინ იყო მიღებული, გასართობად მარხილებზე უმ-
ცროსები სხდებოდნენ. სოფ. თინიკაანში „ლელეს ქვასთან“ მოგრო-
ვილ ხალხს შორის თეთრიწვერა მაღალ-მაღალმა მოხუცმა, კარგახ-
ნის დაქვრივებულმა მიტრო თინიკაშვილმა (სახელოვან მეცხვარის,
მეხით მკვდარ რეზო თინიკაშვილის მამა), ჯელებს სთხოვა მარხი-
ლით ქვეით მეზობელ პავლიანში ჩაეყვანათ, თავის ბავშვობის დრო-
ინდელ მეგობარ ზორიყო გიორგისთან, რომელიც ახლახან დაქვრი-
ვებულიყო და ხარჯის მერე არ ენახა. უმცროსებმა უფროსს სურვი-
ლი შეუსრულეს, მარხილზე დასვეს, ხელში თავისი გრძელი კაკუჩა
დააჭერინეს და თავქვე დაეშვნენ. საქმეს მოთავებული პავლიანელი
ქალი და კაცი ციხის განძთან გამოსულიყო და უცბად ჩამოყრილ
დიდ თოვლზე ლაპარაკობდნენ. იმ დროებაზე ჩავიდნენ მთის წვე-
რებიდან ზვავების ყურებით მოწყენილი თინიკაშვილები. განძთან,
ცხვრის ტყაპუჭზე, მჯდომ წითელ ჩოხიან გიორგისთან გაჩერდნენ.
მიტრო მარხილიდან გადმოუსვლელად მიესალმა იქ მყოფთ. ერთმა-
ნეთი მოკითხეს ქვრივებმა. გაიხსენეს ახალგაზრდობის დროინდე-
ლი დიდთოვლობის ამბები, „სამთვალა გიგია“. ცალ თვალზე ხელის
აფარებით ლომისის ყელში, თოვლზე ერთმანეთისგან, რომ არჩევდა
კაცისა და დათვის ნაკვალევს. მოხუცებმა ბევრი რამე გაიხსენეს


„ვისაც სიყვარული შეუძლია, ის მოხუცი არ არის“ (პონტანსტი)

და ბოლოს ზორიყომ ჰქითხა მიტროს: — მამალი თუ გიყივისო.

— როგორ არა, — მიუგო დიდიხნის ნაქვრივალმა, ყოველ დილით წაიგრძელებს კისერს და ყივის.

— ეს ჩემო კარგო, უდედლოდ დარჩენილი მამლის ყივილი რაღა ყივილია, — აი ჩემი მამალიც აყივლდება ხოლმე, მაგრამ გაბრაზე-ბული ხანდახან ხელსაც კი ჩავარტყავ და თავსაც ვუგრეხ, — მაინც არაფერი გამოდის, რა ვუშველო, გაღმა-გამოღმა ამოდენა დედლებიდან ერთი ვერა მოუძებნე რა. მათ მოყურიადე ქალებმა დაირცხვნეს, თითქოს მათი ნათქვამი არც კი სმენიათ, ერთმანეთს შეხედეს და პირზე ხელის აფარებით გადაუჩურჩულეს: — ამ ცოცხალ-დამწვრებმა თავიანთ ავკაცობა სიბერეშიც როგორ არ მოიშალეს.

„ზამთრის დღე ერთი დამთქნარება არიო“ — ტყუილად კი არ უთქვიათ ძველ ხალხს. მოკლე ხანში მიტრო გიორგის და იქ მყოფთ დაემშვიდობა. ბალღებმა „დაქოქეს“ რცხილის წნელებიანი ხარმარხილი და ისევ იქ ასრიალდნენ, საიდანაც ერთი საათის წინ ჩა-მოსრიალდნენ.



„ქვეითების საქონლად არ არის საქონელია, მაგრამ თუ ნდობ გულს ამრიმობს, არ აღვიღო საშოვნელია“ (ღვურუმიშვილი)

ქილა-ერბო

ქარჩოხზე არის სოფელი ქენქაანი, სადაც დიდი ხანია ცხოვ-რობენ ქართლის გულიდან ბატონს გამორიდებული ქარუმიძეთა შთამომავლნი — ქენქაძეები. გვარის გამრავლება-გაძლიერებას ცხადია თან სდევდა შტოებად დაყოფა. მათგან ერთ-ერთ შტოს წარმოადგენს ბახაჩაანი ანუ ბაყაჩაანი. უინტერესო არ იქნება ორი-ოდე სიტყვით ჩვენეულ ვერსიას თუ საიდან უნდა მომდინარეობდეს საგვარეულოს შტოს სახელი „ბაყაჩა-ანი“.

საქართველოში ხმარებული სიტყვა „ბაყაჩა“ — მსუქან, ზორბა ბავშვის ნიშნავს, გვხვდება აგრეთვე კაცის სახელადაც. თუ ეს მონ-გოლების დროის სახელებიდან არ შემორჩენილა მაშინ იგი ოსურ ეპოსიდან არსი ნასესხები. პროფესორ ვასილ აბაევის მტკიცებით, სიტყვა ბაყაჩა იგივე ბაყათარ ოსეთში თურქულ-მონგოლური მოდ-გმის ხალხებიდანაა შესული.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ბაყაჩაანთ შტოს წარმომადგე-ნელი იყო გიორგი ქენქაძე. მის ოჯახს ახლო კავშირ-ურთიერთო-ბები ჰქონია ჭურთის ხეობის ოსებთან. ერთხელაც გიორგი ჭურთის ხეობაში მოხვედრილა. „ხელმრუდე“ კაცს ეშმაკი შეშჩენია, გინდა თუ არ გინდა მასპინძლისას ცხავატური ქილით ერბო რომ დგას შე-ნი უნდა გახდესო. გიორგისაც ბევრი აღარ უფიქრია, აპარვია ჩაძი-ნებულ ჯალაბს, ფრთხილად აუღია ერბოს ქილა და დასდგომისა სახ-ლის გზას, ბევრი უვლია თუ ცოტა, როცა ეშმაკიანი გულის გონე-ბით მიხვედრილა, რომ უჩინ-მაჩინობისთვის მეტი მანძილის გავლა აღარ იყო საჭირო, გზისპირზე თოვლში ჩაუფლავს ქილა, თვითონ უკან მიტრიალებულა და მასპინძლის უჩუმრად დაწოლილა თავის ტახტზე.

მეორე დღეს არც გიორგი აჩქარებულა სახლში წამოსასვლე-ლად და არც მასპინძელი ქილა ერბოს ქურდის საპოვნელად. გიორ-გი დილით დანაყრდა, ერთი-ორი ყანნი ხრაკიანი არაყიც უჭირა და არხეინად დაადგა სახლის გზას.

გიორგის ილეთი მაშინდელ 12 წლის ბავშვისთვისაც კი ნაცნო-

ბი და არახალია — ძველი იყო. ოსებს ასეთ „წვრილმანში“ ვინ და როგორ მოატყუებდა, მაგრამ გიორგიმ შეძლო, ვინაიდან ეშმაკი ეხ-მარებოდა ასეთ რამე-რუმეებში. მიდის გიორგი სახლში და მისდე-ვენ უჩინრად ოსი ლაპუები. ერთი სული აქვთ როდის აილებს მათი ყოფილი სტუმარი გზაში დამალულ ქილა ერბოს, რომ წაართვან და ფეხი ამოაკვეთინონ სტუმარ-მასპინძლობის ადათის ამრევს. ეს ყველაფერი წინასწარ გაისიგრძეგანა გიორგიმ:

— მე ამათი დედა! ვიცი, რომ გამომყვებოდნენ და სადამდე უნ-და მდიონ? — იქნებ სახლამდე?! — მერე უკან ხომ არ მოვბრუნდე-ბი... ამ ფიქრებში იყო, რომ ჩაიმუხლა ჯოხით მიყარ-მოყარა თოვლი. მერე ტყაპუჭის ერთი ბოლო აიკეცა, ვითომ... და განაგრძო გზა.

როგორცკი ოსის ლაპუები წამოეწივნენ ცხენებით გზაზე, მა-შინვე ჯოხები მოუღერეს, როგორც ხროვას ჩამორჩენილ მგელს და მოსთხოვეს ტყაპუჭის გახდა. გიორგისაც ეს უნდოდა, გაიძრო ტყა-პუჭი და რომ არაფერი ჰქონდა ოსებმა მგზავრს თავი ანებეს. მას მერე კარგა ხანი იარა გიორგიმ, ბოლოს, როცა მიუახლოვდა წინა ღამით დამალულ ერბოს ქილას, გამოუთხარა ჯოხით თოვლი, ამო-ილო, ქვირითივით ყვითელ ხვრიშ ერბოს თავზე, ოსებზე გამარჯვე-ბის ნიშნად თითით ჯვარი გამოსახა, ერბონანი თითი პირში გამოის-ვა, ქილა უბეში ჩაიდო და არხეინად განაგრძო გზა.

ინდე! დედა უტირე ოს ჩიჩაიებს! სადაც თავიანთი დაიკვეხონ იქ ბაყაჩაანთ გიორგისიც თქვანო!



სოფ. ქეჩქაანი

„უსხვისოდ მარტო ერთის გული სისხლის პარკია
აღებ-მომცემი აგებულებისა“ (ი.ჭავჭაძე)

ზიცი მნამს, პოლო მაკვირვებს

მკვლევარ-ეთნოლოგების მიერ ძველად დაფიცების რამდენი-
მე ფორმაა შესწავლილი, რაც წინაპარ თაობათა ყოფითი ურთიერ-
თობების ერთგვარი ათინათია.

ცნობილია რაიმე ბრალდების შემთხვევაში ბრალდებულის ხა-
ტის კარზე დაფიცება, თემის, სოფლის თანდასწრებით უდანაშა-
ულობის დასამტკიცებლად, ცნობილია აგრეთვე ძმად შეფიცვის
სხვადასხვა საშუალებები. დაფიცება ხდებოდა მაგიური ძალის გა-
მოყენებით: დაწვით, დამტვრევით, ქვის აგდებით და სხვა ხალხური
წესებით.

ჩვენი ხეობის ყოფისთვის დამახასიათებელი ყოფილა ბრალდე-
ბულის უდანაშუალობის დასამტკიცებლად ქვის აგდება და თავის
დახვედრება. კვლავ ასპარეზზეა ბაყაჩაანთ გიორგი, რომელმაც
თავისი ეშმაკობით მოხერხებით და ცრუ ფიცით თავი გადაირჩინა
აშკარა გალახვისა და სირცხვილის ლაფში ამოსვრისაგან.

პრინციპულ და უკან დაუხეველ, დროსტარების მოყვარულ
გიორგის ინტიმური კავშირი ჰქონია მეზობელ სოფ. ხოზოეთში
მცხოვრებ ლამაზმან ვინმე „ჩიტიანთქალთან“. ამ ორს შორის ხშირი
პაემნები ინიშნებოდა, ნისკვილში, სამწყემსურში, სამკალზე, სამ-
გზავროზე და სხვადასხვა მოსახერხებელ ადგილებზე. შეუტყვიათ
ქალის მაზლებს და გიორგის დამუქრებიან.

ერთხელაც მოხდა ისე, რომ ხოზოეთში მყოფი გიორგი დამუქ-
რებულებმა ნახეს და გვერდზე გაითხოვეს გასალაბად.

— მართალია გიორგი ხალხი რასაც ამბობს შენზე და ჩვენს
რძალზეო? — უთხრეს ბალანაშლილმა ძმებმა.

— არაო, არ არის მართალი და სადაც გინდათ და როცა გინდათ
იქ დაგიმტკიცებთ ჩემს უდანაშაულობას!

— როგორ? შეეკითხნენ.

განა უდანაშაულო კაცს, ხატისა და ხალხის წინაშე გამიჭირდე-
ბა სიმართლის დამტკიცება?! — დამაჯერებლად მიუგო გიორგიმ.

მაშინ გულუბრყივლო, მიუხედრებლმა მაზლებმა მიუგეს:

— აბა, მაშ დაიფიცე ქვის აგდებით თუ მართალს ამბობო.

**„ჰქუფა უხმარ აჩს ბრიყვთათვის, ჰქვა ცოდნით
მოიხმარების!“ (გურამიშვილი)**

— გიორგიმაც აიღო საჭიროზე ორჯერ დიდი ქვა, საჭიროზე ორჯერ მეტ სიმაღლეზე ააგდო და შესძახა:

ქვად ვიქცე თუ სიმართლე არ ვთქვა!

ქვად ვიქცე თუ სიმართლე არ ვთქვა!

ქვად ვიქცე თუ სიმართლე არ ვთქვა!

მაღლა აგდებულმა ქვამ უკან — თავთან ჩაუქროლა ამგდებს. დიდ სიმაღლიდან დაშვებულ ქვას რატომლაც გიორგიმ „ვეღარ და-უხვედრა“ თავი და სინანულით, უდანაშაულობის იმიტაციით განაგრძო ფიცი. ბოლოს და ბოლოს დაიჯერეს „ჩიტიანთქალის“ მაზლებმა გიორგის ქვად ქცევის სურვილი და რძალზე „ყურით მოთრეული ჭორები“.



„სირცხვილი, სირცხვილი, სირცხვილი — აი ქაცთა მოდგმის ისტორია“ (ნიკშე)

ორი საპა

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე უამურის ხეობაში, ზღვის დონიდან ყველაზე დაბლა მდებარე სოფელ ნავისხევში ცხოვრობდა შუახანს გადაცილებული საბა გურწიევი, ხოლო ქარჩოხის სოფ. პავლიანში მისივე თაობის კაცი საბა პავლიაშვილი. ეს ორი სოფელი თავიანთ სახნავ-სათიბებით და საძოვრებით ახლო იყვნენ ერთმანეთთან, ამიტომაც იყო, რომ ზოგჯერ მათი საქონელი ერთ ადგილზე შეერთებული ბალახობდა. ამ ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობებით ისარგებლა ნავისხეველმა საბამ და თავის სეხნიას, საძოვრებიდან ყველას დაუნახავად მოპარა ხარი. მიიყვანა ღამე სახლში, დაკლა და გაატყავა. მეორე დღეს ქურდმა გააგრძელა დაუმთავრებელი საქმე. სამას კილოიანი ხარი აქნა, დაჭრა პატარპატარა ნაჭრებად და თავისივე გაკეთებულ ხის დიდ კასრში ჩამარილა. ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო საქმეს მორჩენილი, რომ ხარის პატრონმა საკომიდან ჩასძახა თავის ნაცნობს და სეხნიას.

— ო, საბა, ვინა ხართ სახლში ქრისტეანი! გუშინ ხარი დავკარგე, სახლში ალარ მომივიდა და ხომ არაფერი გინახიათ, ან მისი დამნახავი ხომ არ იცით ვინმე.

რომელი ხარ შენი წირიმე, რომელი! — საბა შენა ხარ კაცო! არა გენაცვალე, არაფერი გინახამს, არაფერი! ჩამოდი, დაისვენე, სანამე რამე დალალული ვიქნები, დალალული! — გულიანად მიიპატიჟა საბამ-საბა და თან იქაურობა მიალაგა. დანა, ცული, თავი, კუდი, რქები იქვე ვარცლში ჩაყარა და ჭილობი გადააფარა თავი კი ნაბადში გაახვია და სკამად დაუდონ მომსვლელ სტუმარს.

— მოდი, მოდი, შენი წირიმე — მიეგება კარებში შემოსულ სტუმარს მასპინძელი, ორივე ხელი დიდი მოკრძალებით ჩამოართვა და შუაცეცხლის მარცხნივ სიბნელეში მდგომ პატარა სამფეხა, ბოლაურებიან მაგიდასთან ნაბადში გახვეულ ხარის თავზე დასვა.

დაილაპარაკე რამე, შეჭამე რამე, შე საწყალო, მწვადი გეწვება ტაფაზე მწვადი. ისე როგორ უნდა ნასულიყავი, რომ აქ ჩემთან არ

„ლუქმა მაშინ არის ტებილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი“ (ი.ჭავჭავაძე)

შემოსულიყავი. უცხოები ხომ არა ვართ, — ურცხვად ეუბნებოდა
მასპინძელი სტუმარს და თან ხუბულონას სუფრის გაშლას აჩქა-
რებდა.

სიმართლე უნდა თქვას კაცმა, რომ უამურისა და ლომის-ოხი-
რის ოსური მოსახლეობა სტუმართმოყვარეობაში და მასპინძლო-
ბაში ერთი-მეორეზე უკეთესები იყვნენ. სიაღალე და უშურველობა,
დიდი პატივისცემა და მოწინებით მოპყრობა, კანონად და ცხოვ-
რების სტილად ექციათ ოსობის დიდ უმრავლესობას. ოჯახის სტუ-
მარს ისინი სინდინდედ მიიჩნევდნენ, მას ფეხებსაც კი ბანდნენ პა-
ტარძლები და ახალგაზრდა ქალები. დილით წამსვლელ სტუმარს
პირის დასაბან წყალს კვლავ ქალები უსხავდნენ ხელისგულებზე.
ყოველთვის სასურველი იყო ოსისთვის ქართველი სიძე და ქართ-
ველი პატარძალი. ასევე ქართველისთვის იყო პატივი მოეყვანა
ოსი ეროვნების ქალი ან გაეზარდა ოს ქმართან ერთად შვილები.
იმდროინდელი ჩვენი მეზობლების ზნეკეთილიანობის პარადოქსუ-
ლი შემთხვევა ნავისხეველი საბას საქციელი, რომლისნაირებიც
არცხვენდნენ და ავტორიტეტს ულახავდნენ შრომისა და გარჯის,
ოჯახის და სტუმრის მოყვარე მთიელ ოსებს.

„ხონჩის“ ამბავში უამურელ საბას არაფერი დაუკლია ქარჩო-
ხელ საბასთვის, მაგრამ სტუმარი რას მოიფიქრებდა, რომ კარგ ურ-
თიერთობაში მყოფი სენია ხარს დაუკლავდა. სწორედ ასეთ ურთი-
ერთობის გამო იყო, რომ შემოსწრებულს თავისივე ხარის მწვადით
გაუმასპინძლდა. სადღეგრძელო ყანით ხელში, რომელიც „ნუაზან-
ად“ მიართვა, საბას ხარის ქურდი შემდეგნაირად დარისხა:

— ჩემო საბა, კარგი კაცი ხარ, მენანები, რით გიშველო, მე რა
შემიძლია, ვინც შენი ხარის თავს ზედ აზის და ვინც შენი ხარის
ხორცს წამს, დასწყევლოს ჩვენი ლომისის დიდმა ხატმა და ჩვენი
ალარდის ძალამ, იმან ზიდოს შენი ცოლ-შვილის ცოდო, ამინ!

მას მერე უამურზე და ქარჩოხზე ხშირად მოხუცები ახალგაზრ-
დებს უყვებოდნენ საბას ცუდ საქციელს, რათა მათაც არ ჩაედინათ
ასეთი უღირსი და საძრახისი საქმენი.

**„ყოველი ქაცი მისი საქმეების მიხედვით უნდა განვსაჯოთ“
(სერვანტესი)**

რევაზას მოხერხება

სრული ჭეშმარიტება იქნება თუ ვიტყვით იმას, რომ ქსნის ხე-ობის მცხოვრებთა შორის მოლექსე-მოშაირეებზე მეტად მომღერ-ლები უფრო მეტი გვყავდა. ძნელად თუ მოიძებნებოდა ჩვენში სო-ფელი, სადაც 2-3 კაცი არ მღეროდა. მღეროდნენ მუშურ-გლეხური შემართებით, ხვნაში, მკაში, თიბვაში, გზაში, ბრძოლაში, მაყარში და ვინ მოსთვლის კიდევ სად და სად. ერთი სიტყვით, ცხოვრების რთულ და მძიმე გზაზე, სადაც კი უშრომ-უბრძოლიათ ჩვენ წინაპ-რებს ყველგან სიმღერის შემოძახებით იგოზავდნენ გულსა და გო-ნებას.

აქ მოთხოვთ ერთი ამბავი ეხება ყიზლარის ზამთრის საძოვ-რებზე მყოფ ცხვარ-მეცხვარეთა დასახმარებლად ქარჩოხიდან მი-მავალ ხუთ კაცს: ბალაანის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურ-ნეობის თავმჯომარეს - ორდა ნიკოს ძე ბალაშვილს და მის მწყემსს ზაქარია პავლიაშვილს, ლომისის „დამკვრელის“ სახელობის კო-ბის თავ-რეს მიხა გოგის ძე ელოშვილს და მის მწყემსს რევაზ ბეროს ძე ელოშვილს, პავლიანის კო-ბის ფერმის გამგეს იოსებ გიორგის ძე პავლიაშვილს. ზემო აღნიშნული პირები თავიანთი ჩემოდნებით და გუდებით გაჩერდნენ თბილისის ცენტრალურ რკინიგზის სადგურ-ში, საიდანაც აპირებდნენ ბაქოს მატარებლით ყიზლარში გამგზავ-რებას.

ზის ქარჩოხელთა დელეგაცია რკინიგზის სადგურში და ელო-დებინან მატარებლის გასვლას. იქვე მოსაცდელ დარბაზში ზის 13-14 წლის ბიჭი და უკრავს ჩონგურს — არცთუ ისე კარგად. უსმინეს, უსმინეს ჩვენმა მგზავრებმა და ბოლოს მოთმინება დაკარგული ჩვენი „ეშმაკი“ რევაზა მივიდა ბიჭთან, ჩვეული ენაწყლიანობით გა-მოართვა მუსიკალური საკრავი და მიუტანა ზაქარას. ბალაანელთა მწყემსმა, რომელიც საუკეთესოთა შორის საუკეთესო მომღერლად ითვლებოდა, ჩონგურს ჩამოჰკრა, წუთში აუწყო სიმები და ოცი ძმის ლექსი დამღერა. ზაქარას სიმღერამ მსმენელებში ისეთი მოწონება გამოიწვია, რომ მალე მთელი ვაგზალი მომღერალს და მის თანმხ-ლებთ გარს შემოერტყა. ვისაც მძიმე ბარგი ჰქონდა ერთიმეორეს

„ჩვენში ყველაფერს გაპატივებენ ნიშს კი არა“ (შ.ნუცუბიძე)

ჩააბარეს და ჯარივით შეგროვილ ხალხს შეუერთდნენ. ქარჩოხელი მწყემსი კი კვლავ სიმღერას განაგრძობდა (ოცი ძმის ლექსი საკმაოდ დიდია) და ისეთი განცდებით მღეროდა, რომ ბევრს ცრემლებიც მოადგა თვალებზე. შოთა რუსთაველის ნათქვამი ამ მომენტისთვის სწორედ თარგივითაა მოჭრილი:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,

მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვა-
ნიცა გამოსხდიან,

ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირ-
დის, ატირდიან;

იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი დიან“.

მწყემსი ზაქარას ნამღერი ლექსი ტაშით და ოვაციებით დააგვირგვინა მსმენელმა. მალე მათივე თხოვნით კვლავ წამოიწყო სიმღერა ვეფხისა და მოყმისა, მაგრამ დარბაზში ატეხილმა ჩოჩქოლმა ხალხის ყურადღება მიიქცია. თურმე თვალს მოცილებულ ბარგს ქურდები გასჩენოდა და ბევრი გულუბრყვილო მგზავრი ცარიელი გაეშვათ. ხალხმა მეჩონგურეს თავი ანება და თავისი ტვირთის ძებნას შეუდგა. მოვიდა პოლიცია, გასასავლელები ჩაკეტეს და დაიწყეს დამაშავებების ძებნა. ვილაცამ დაიძახა, თვითონ ესენი არიან ქურდები და მათთან შეკრულები, ამათ მოაწყეს სპეციალურად ეს ყველაფერიო. აქეთ ეცა პოლიცია, იქით ეცა, მაგრამ ქურდებს უკვე მოესწროთ ხაფანგიდან თავის დაღწევა. ზოგიერთი იქ მყოფთა მოთხოვნით პოლიციამ დელეგაციის ხუთივე წევრი დააპატიმრა და იქვე სარდაფუში მოწყობილ იზოლატორში ჩააბრძანეს.

— რევაზა, ჯერ შენ ამოგიწყდა მეკომურობა და მერე ზაქარას, რა გვიყავით, რა დღეში ჩაგვაგდეთ, ჩიოდნენ და ტიროდენ თავმჯდომარეები. ჩვენ ჭირად მოურბენინე ჩონგური და ჩვენ ჭირად იმღერა ამ ყვავმაც. მატარებელი ერთ საათში გავა, მეორედ ბილეთებს ველარ ავიღებთ ფული წინასწარ გათვლილი და დაანგარიშებული წამოვიდეთ, რა გვეშველება!

პოლიციამ ეჭვმიტანილების დაკითხვა დაიწყო. მათაც აუხსენეს ყველაფერი, მაგრამ ამაოდ. უფროსთან რითი უნდა ემართლე



რევაზ ბერის ძე
ელოშვილი

„ძალმომრეობას უფრო აღვილად იტანს ქაცი, ვიდრე უსამართლობას“ (კოლტერი)

ბინათ თავი საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებს, ამიტომაც მაგრად ჩაკიდეს ხელი მთიდან ჩამოსულ ბრიყვ „ბაცაცებს“. მალე ჩვენ დავინახავთ, რომ ისინი არც ბრიყვები არიან და არც ბაცაცები, პირიქით- საკმაოდ გამჭრიახები, მოქნილები და ნიჭიერები.

— ცალთვალა ეშმაკო, ისევ შენ როგორმე უნდა გვიშველო, გა- დაულაპარაკა ორდამ, ცალი თვალით უსინათლო რევაზას. რევაზამ ჩმუჩვნა დაიწყო და მალევე ითხოვა ტვალეტში გასვლა. პოლიცია დაეჭვდა, ვაი თუ გაგვეპაროსო, მაგრამ რევაზამ დაარწმუნა: ჩემი ამხანაგები აქ არიან, ჯიბეში კაპიკი ფული არ მიღევს, გინდ გამიშ- ვათ, მე მაინც ვერ წავალ, ქალაქში დავიკარგები, გზა არ ვიცი. აქ ხომ არ ვიზავ იმას რაც..., უკადრისს ნუ მაკადრებინებთ! ჩინოვნი- კებმაც ახედ-დახედეს ქალამნებიან-ტყაპუჭიან ცალთვალა, უს- წავლელ მწყემსს და დანდობილად გაუშვეს. რევაზა მაშინვე მეორე სართულზე ავიდა პოლიციის განყოფილების უფროსთან და მოქარ- გული ენით აუხსნა:

— პატივცემულო უფროსო! მწყემსი ხალხი ვართ, მთის ხალხი. ყიზლარში მივდივართ. ჯიბეგირებს ვილაცისთვის ჩემოდანი მოუ- პარიათ და თქვენმა თანამშრომლებმა ჩვენ, — უდანაშაულოები დაგვიჭირეს, ბილეთები აღებული გვაქვს. მატარებელი საცაა გავა. არ გვიშვებენ, იქ კი დახმარება უნდათ ამხანაგებს, უპატრონიბით ცხვარი იხოცება. გვიშველეთ რამე, თქვენი იმედილა გვაქვს.

რევაზას დამხანავ პოლიციის უფროსს ეჭვიც არ შეუტანია მისი ნათქვამის სიმართლეში. გამოიძახა მორიგე და მკაცრად უბრძანა: როგორ ვერ უნდა იცნოთ მწყემსი ვინ არის და ქურდი ვინ არის, სას- წრაფოდ გაათავისუფლეთ ეს ხალხი, ცხვართან მიღიან დალესტან- ში, მატარებელი ათ წუთში გავა. ყველას თავის ტვირთით დასვავ და უზრუნველყობ მათ დაუბრკოლებლად გამგზავრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გაფუჭებულ საქმეზე პირდაპირ შენ აგებ პასუხს.


ქუდმოხდილმა რევაზამ კმაყოფილების ნიშნად თავი დაუკრა პოლიციის უფროსს, მორიდებით შეტრიალდა კარებისკენ და თავი- სი მოკლე ჩოხით აწურული გამოვიდა მისი კაბინეტიდან.

თხუთმეტი წუთი არ იყო გასული, რომ ქარჩოხელი მწყემს-მომ დერლები თავიანთ ბარგთან ერთად თბილისი-ბაქოს მატარებლით მიჰქოდნენ ნოლაეთისკენ.

„ცრუს ძალიან კარგი მეხსიერება უნდა ჰქონდეს“ (კვინტელიანი)

ცრუ

კოლექტივიზაციამდე მთაში მეცხვარეთა მენიუში წამყვანი ადგილი გაუცრელი ფქვილის ხამპალას და უმ რძეს ეჭირა. მართალია მორიგეობით საკლავის დაკვლა, ტრადიციული „შიმლიგი“, როგორც კერძო, ისე სახალხო საკუთრების დროსაც მოქმედებდა, მაგრამ მასში მონაწილეობას სიღარიბის გამო ყველა ვერ იღებდა. საკოლმეურნეო წყობაზე გა-დასვლის მერე, განსაკუთრებით 50-იან წლებიდან, თანდათან გაუმჯობესდა მეცხვარეთა პირობები, რასაც დაემატა ის უპასუხისმგებლობა, უყაირა-თობა და საზოგადოებრივი ქონებისადმი მგლური დამოკიდებულება, როგორც ხელმძღვანელ, ისე მწყემსთა მხრიდან, რაც საერთო პანდემიად იქცა სოციალისტურ სისტემაში.



გარდო მათქა
ძე ბალაშვილი

ძველად მეცხვარეთა კერძი ხამპალა, განვი-თარებულ სოციალიზმში ცხვრის ფარის ძალლთა საკვებად გადაიქცა, ხოლო მწყემსის გაღარიბებული მენიუ ხინკალმა, ხაშლამამ, წვნიანმა და სხვადასხვა კერძებ-მა შეავსეს. ცხვრის იძულებით დაკვლამ და ხშირმა დაცემებმა გა-მოიწვია მწყემსთა უგანრიგო კვება, რაც მოსაპეზრებელი ხდებოდა ყველასათვის, ამიტომაც მწყემსებს კვების რაციონში ინდივიდუალურად შეჰქონდათ ცვლილებები.

სწორედ ასეთ შემცვლელ პროდუქტად კარტოფილი მიიჩნიეს ბალაანელმა მეცხვარებმა სარდო ქანაშვილმა და ნოდარ ბა-ლაშვილმა. მათი ფარის მესამე მწყემსი მიხა თედოს ძე ბალაშვილი სამი დღით გაენთავისუფლებინათ და ბარბითში მდგომი ცხვარის მწყემსვაში დასახმარებლად სოფლიდან ასულ ამირან ბალაშვილს შეატოვეს, თვითონ კი ყაურმით დაყინჩულები კუნაპეტ ღამეში კარტოფილზე სკოლის ბალში ჩაიპარნენ.

ბალაანის 8-წლიან სკოლის დირექტორად მაშინ რკინის კაცი -ნასყიდ იასონის ძე ბერიანიძე იყო, ხოლო დარაჯად - ვარდო ნიკოს ძე ბალაშვილი, რომელსაც ღამითს სკოლის ტერიტორიის გაკონტრო-ლება ეზარებოდა და ადგილიდან იძლეოდა დამაინტრიგანებელ

„სიმართლეს ცოტა მუშტარი ჰყავს“ (ბუასტი)

და სალანძღვავ შეძახილებს.

ახალგაზრდა მწყემსები უჩუმრად შეიძარნენ სკოლის ბაღში, მოძებნეს კარტოფილის ნათესი და მეცხვარის ჯოხით დაიწყეს ამო-ლება. ჯერ ერთი ორმოც არ ჰქონდათ ამოლებული რომ სკოლის ყა-რაულის ნაცნობი ხმა მოესმათ:

— აი, თქვე უნამუსოებო, გხედავთ, გხედავთ, რომლები ხართ, რას აკეთებთ მანდ, რას?! რატომ არ გრცხვენიათ! გესროლოთ თო-ფი, გაგიმეტოთ?! — ყვიროდა შორიახლო მყოფი ყარაული.

მწყემსები შიშით ერთმანეთს ეცნენ, შლატაშლუტით გაცვივდ-ნენ ჩაშლილ ღიპისკენ და გაუჩინარდნენ. ნახევარ საათიან ქაქანი-სა და ვიშის მერე ხელცარიელები აცვივდნენ ბარბითში. რა კარტო-ფილი, რის კარტოფილი, დიდი ჩინური დანაც კი დაეკარგა ნოდარ ბალაშვილს — მიხას ნაჩუქარი.

ამირან ბალაშვილმა კი იცოცხლეთ ბევრი იცინა.

— ჩემი კარის მეზობელია და კარგად ვიცი მისი ეშმაკობა. ამას-ნინათ სკოლის ეზოში პატარა სუფრაზე შემოგვესწრო, ბერიანიძემ მადლობა გადაუხადა კარგი ყარაულობისთვის — ვარდომ მაშინ გაგვიმხილა, ხშირად ვცრუობო. ღამით გადმოვდგები და მოსაჩვე-ნებლად ვყვირი ქურდმა რომ ვერაფერი მომპაროსო.



ბალანის 8 წლიანი სკოლა 1976წ.

„ყოველ ქაცში იმდენი პატივმოყვარეობაა,
რამდენიც ჭერა იქლია“ (პოპი)

საცრისთვალება გიგო

მავიდანვე მინდა მკითხველს ვაუნყო, რომ წინამდებარე კურიოზი ეხება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქარჩოხის სოფ. მიღებაანში მცხოვრებ ერთ გენოტიპს გიგო მიღელაშვილს.

სიტყვა გენეტიკა ბერძნული სიტყვაა და სწავლობს ორგანიზმის მემკვიდრეობასა და ცვალებადობას ადამიანთა მიმართებაში. ეს არის ძევლისგან მიღებული ახალი ფიზიკური — ინდივიდუალური სახე. უდავოა, რომ ყველა ჩვენთაგანი ვართ მატარებელი გარკვეული გენეტიკური ფონდისა, რომელიც მოგვყვება შორეული წინაპრებისგან, რომლებიც გზადაგზა აქსოვდნენ, იძენდნენ, ამდიდრებდნენ ახალ-ახალი ფორმულებით, — ზოგს კარგავდნენ და, ასე, საზოგადოების გნვითარებასთან ერთად, ადამიანიც შეუმჩნევლად და შეუქცევლად განიცდიდა გენმოდიფიცირებას.

სოფ. მიღელაანში მცხოვრებ გიგოს, ამ ჭკვიან, საქმიან მენის-ქვილეს და ორაგულების მადევარ კაცს, გადმოცემით თავის ხელობის გამო შეყვარებია თევზაობა, რადგან მისი წისქვილების საღორეში წყლის მაღალი დონის გამო თურმე უამრავი ორაგული და კალმახი ბუდობდა.

მენისქვილე გიგოს წინაპრებისგან ბოძებული ძალზე დიდი, მსხვილი თვალები ჰქონია ისეთი, რომ ათი ათას კაცშიც ვერ მოიძებნებოდა მისი სადარი თვალების მქონე სხვა კაცი.

ერთხელაც მოხდა, რომ ეს ჭკვიანი, სოფლის „შინა კაცი“ ნათე-სავ-მეზობლებმა გასაყიდლებზე საყველიეროდ გაიყოლიეს ქალაქ თბილისში. ქალაქში ჩასული გიგო თავისი მსხვილი თვალების გამო შეუმჩნეველი არ დარჩენიათ არც ვაჭარ-მედუქნეებს და არც კინტო - ყარაჩოლლებს.

ქალაქს პირველად ნამყოფმა, ერთბაშად ბევრი ხალხის ნახვით და ქალაქის სანახაობებით გაშტერებულ-გაკვირვებულ საც-რისთვალება გიგო ქალაქელმა კინტოებმა გააშაყირეს:

ვაა, გენაცვალოს ბიძაშენი, თვალების ოჩხარი გქონდა?! — ცოტახანში გიგომაც ამოილო ხმა და გაუბედავად დაუბრუნა ხურდა.

ხოო, ბუ მყვანდა სუფრაზე თამადა, — გაულიმა ტფილისის მოქალაქეებს გიგომ და დამორცხვებულმა დაბლა დახარა თვალები.

„ნამეტანობას უფრო ბევრი ქაცი დაუღუპავს, ვიდრე ნაკლებობას“ (თეოგანი)

ასი ცლის უკან

გადმოცემით ძველ დროში, როცა ჯერ კიდევ ხევსურეთში ხა-
რის დასაწოლი ფართის სახნავი მიწა ერთი ხარი ღირდა, მაშინ ქსნის
ხეობის მთიან სოფლებში ამდენივე მიწის ფართობი - ერთი ხარის
ტყავი, რაც თავის მხრივ ერთ ჭედილად ფასობდა.

ოსი ეთნოგრაფის ბ.კალოევის მიერ დაფიქსირებული ხალხური
გადმოცემით ანალოგიური ფასი ფიგურირებს კავკასიის სხვა მთი-
ელებშიც. ალპურ ზოლში ქსნის ხეობის მაღალმთიან სოფლებში: ბა-
გინი, გორგა, საღო, თოვოიანი, ფაგაანი ხშირად ქერის მოსავლის
აღებასაც კი ვერ ასწრებდნენ თოვლით დაფარვის გამო. კომპაქტუ-
რად დასახლებულ მცირე მიწიან და მწირ მოსავლიან, კლდიან მთის
ციცაბო ფერდობზე შეფენილი სოფლების სილარიბეზე ხშირად
კეთდებოდა აქცენტი. მაგალითად ოს მთიელებში ცნობილი იყო
თქმულება ერთი ღატაკი გლეხის შესახებ, რომელსაც მძიმე შრო-
მის შემდეგ თავის კუთვნილ ნაკვეთში ნაბადი გაუშლია და დასასვე-
ნებლად წამონალილა, მაგრამ გაღვიძებულს ვეღარ შესძლებია მი-
სი პოვნა, რადგანაც მამული ისე მცირე ყოფილა, რომ ნაბადის ქვეშ
დაკარგულა. გაზვიადებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ანალოგიურ
პირობებში ცხოვრობდნენ ქარჩოხის თემის სოფლები, მაგრამ არც
სახარბიელო მდგომარეობა სუფევდა სახნავი მიწების უკმარისო-
ბით შეწუხებულ ბალანსა და მის მეზობელ დოჩიანში.

ბალანელები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მდ. ქსანთან
„დიდხევის“ შესართავის მარჯვენა მხარეს ვიწროდ გაგრძელებულ
სახნაც მიწებს დასახლებამდე „გრძელველად“ იხსენიებდნენ, რო-
მელიც სხვადასხვა დროს ხან ბალანელებს ეკავათ და ხან დოჩია-
ნელებს. ამ უკანასკნელთ უფრო მეტად აწუხებდათ მიწის სიმცირე,
რის გამოც გადაწყვიტეს ძალის გამოყენებით ამ მამულის დასა-
კუთრება. მოსალოდნელი წინააღმდეგობის დასაძლევად დოჩიანე-
ლებმა ადმინისტრაციულ ცენტრიდან — სოფ. მონასტრიდან მოიყ-
ვანეს მექრთამე პრისტავი ანუ ბოქაული. დანიშნულ დღეს უხათრო,
მოძალადე მეზობლებმა ბალანის კუთვნილ „გრძელველზე“

„რაյი შენი შეცდომა სცან და ოლიარე უტკვიანესი შეიქმენ“ (პოპ

გამოიტანეს ხარ-გუთანი და ცხენზე ამხედრებულ, შეიარაღებულ პრისტავის თანდასწრებით დაიწყეს მიწის მოხვნა. შენიშნეს რა ეს ბალაანელებმა, მოერიდნენ მეზობლებთან მდგომარეობის კიდე უფრო გამწვავებას და კალთა აკეცილი ჩოხოსანი სოსე (ბეჟიკა) ბალაშვილი გაუგზავნეს, რათა ხელი აელოთ უღირს განზრახვაზე. დოჩიანელებმა „სტუმართმოყვარეობა“ გამოიჩინეს და ბეჟიკა „სულადით“ გამოათვრეს. გაბრაზებულმა ბალაშვილებმა თანასოფლელ ლიბერალს უკან კვლავ ჩოხა აკეცილი მოურავიანთ დიმიტრი გამოუყენეს. სუფრაზე მიპატიუებულ დიმიტრიმ შორს დაიჭირა თავი და იქ მყოფთ ხმამაღლა განუცხადა, რომ თავი გაენებებინათ ხვნისთვის. პრისტავის მხარდაჭერით გაგულისებულებმა არად ჩააგდეს მოურავიანთ კაცის თხოვნა და კვლავ გააგრძელეს მუშაობა. მაშინ „ქედსიქითა“ ქედიდან მოთვალთვალე ბალაშვილებმა დიმიტრის დაუძახეს კვალში ჩანოლილიყო. ისიც იმის იმედად, რომ ზედ არ გადატარებდნენ ხარ-გუთანს ბაყაყურით გადაეშვა ახალ გავლებულ კვალში, მაგრამ დოჩიანელებმა მაშინვე ფეხებზე ხელი წაავლეს და ლიჭასთან ამოსულ მაჩიტასავით მოისროლეს დაუფარცხავში. გაბრაზებულმა მოურავიანთ ბიჭმა მაშინვე დაუძახა ქედს იქით შეგროვილ თანასოფლელებს, „თავზე ყაბალახები წაიკარით, ჩოხის კალთები აიკაპინეთ, ხელ-კეტებით და ხელ-ხვედებით წამოდით და ჭკუა ვასწავლოთ ამ ჩვენს ბუდეში მძრომ გუგულებსაო!“

არ გასულა დიდი ხანი, რომ მეზობლებს შორის წახევრად მოხნულ „გრძელველზე“ ისეთი ხელკეტაობა გაიმართა „დედა შვილს ხელში არ აიყვანდა“

ბალაანელებმა კეტებით ჯერ რუსი პრისტავი ჩამოაგდეს ცხენიდან, მერე მისდგნენ ურჩ მეზობლებს და ისე დათეთქვეს და ისე დაუჟეჟეს, რომ უმეხროდ დარჩენილი ყევარი გუთნეული სახნისათრეული გააბრუნეს სოფლისკენ, საიდანაც მოსულმა ქალებმა ჯინმარხილებით მძლივს წაასვენეს სახლებში თავიანთ დასისხლიანებული კაცები. თავგატეხილი, ცხენზე აბობლებული რუსი პრისტავი კი ქეიფისა და ქრთამის მიღების ნაცვლად ლანძღვა-გინებით გაიქცა მონასტერში. ბალაშვილებმა „გრძელველა“ შეინარჩუნეს, სადაც შემდგომ მათთან ერთად ელოშვილებიც ცხოვრობდნენ.

გალახულთა წასაყვანად მოსულ ქალებში ერთ-ერთი დოჩიანელი 63


ლის ცოლი — მანჯიკაანთქალი ბალაშვილის ბიჭთან ახლო ინტიმური კავშირის გამო ჩეუბში გამარჯვებულებმა გალექსეს. დასანანია რომ მისი ბოლო ერთი სტროფი შემორჩა მარტო უხუცესთა მეხსიერებას:

„მანჯიკაანთ ქალიო
დოჩიაანთ რძალიო,
მისი კოხტა ნიფხავი
ბალაანში არიო!“

(მთქმელი გიორგი შიოს ძე ბალაშვილი დაბ. 1924 წ.)

ამ საძრახისი ამბიდან გავიდა ერთი წელი და დოჩიანელებმა ბალაანელებთან შესარიგებლად ადუდეს ლუდი, გამოხადეს არაყი, დაკლეს ჭედილა, დააცხეს კალოსხელა „ხაბიზგინდები“ და „სამთხოს“ საერთო სალოცავში შერიგდნენ ისე, როგორც მამა-პაპის ადათი და წესი ითვალისწინებდა.

მას მერე გავიდა საუკუნეზე მეტი, მათ შთამომავალთ მართებთ გააკეთონ სწორი დასკვნები, დაინახონ მათში ცუდიც და კარგიც, რათა არ გაიმეორონ ის უარყოფითი და არ დაივიწყონ ის დადებითი, რაც წინაპართა ყოფისა და დროის თანმდევი იყო ასი წლის უკან.



„ძალიან დიღი გონიერება უნდა, რომ ადამიანი ყოველთვის კეთილი იყო“ (ეშენბახი)

შიანა და ჭუპულა

ისტორიულ-ეთონოგრაფიული მასალების საფუძველზე დგინდება, რომ ქსნის მოსახლეობის ყოფაში მჭედლობას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ახლო წარსულამდე. ამის კვალობაზე მჭედელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვალსაჩინო უფლებებით სარგებლობდა და გარკვეული მოწონებაც ჰქონდა.

რკინის მჭედლობასთან ერთად წარმოებდა სპილენძისა და ოქრო-ვერცხლის დამუშავება. მკალაობა და ზეინკლობა. ახალგორში სპილენძის ჭედვის განსაკუთრებული ისტატობით გამოიჩინენ მექვაბე — ხელოსნები სეროჟა ტატიშვილი (ტერტეროვი) და დათიკო ოხანას ძე გათენაშვილი (გათენოვი). ისინი ქსნის ხეობის მთისა და ბარის მოსახლეობაში კარგი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდნენ. მათთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ქონდა და მათნაირ გამრჯვე და პატივისან ხალხს, მათ შორის იყო ქარჩოხელი თედო ივანეს ძე ბალაშვილის ოჯახი.

ერთხელ, ახალგორში სეროჟას ქუჩაში მიმავალი თედო და მისი შვილი — ნიკა შემოეყარა. მოსწონებია ეს ორ-ორ მეტრიანი, გვერდი-გვერდ ლამაზად მიმავალი მამა-შვილი და თავისი ჩვეული გულწრფელობით უთქვამს:

„ჭიან-ჯან, რომ იცოდე როგორ უხდებით ერთმანეთს, როგორ მიხარია მამა-შვილთ გვერდიგვერდ რომ გხედავთ!“

თედომ, რომელსაც ყველა ჭიანას ეძახდა არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ „პადაჩასავით“ ჩააწოდა:

ჭუკულ-ჯან შენ რომ გიხარია მამის გვერდზე ჩემი შვილის დანახვა და ყოფნა, განა ჩვენ არ გაგვიხარდება მამაშენის გვერდით შენი ყოფნა და დანახვა. ხომ ვიცი, რომ მამაშენსაც ძალიან უყვარდი და შენც გიყვარდა“.

მამა — მამალმერთია, მამა ვის არ უყვარს! მიაძახა აჩქარებულ მამა-შვილს მჭედელმა, რომელმაც გვიანდა იგრძნო ჭიანას გადმორტყმული მათრახის სიმწარე და სიპრაზით თავი გააქწია.



ჭიანა თედოს შვილთაშვილი
ბეჭა ბალაშვილი

„ყველა ქაცი ქვეყანაზე არის ის განძი, რომელსაც უნდა
აღმოჩენა და დაფასება“ (გალაქტიონი)

გაპიაპრული ოსი

ქართულ-ოსურ უთრიერთობებზე ამ ბოლო დროს ბევრი ინერება, ინერება საქართველოში ოსთა გადმოსახლებაზე, მათ კომპაქტურად ჩასახლებებზე არაგვის, ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის ზემო წელზე. ინერება ოსებისადმი საქართველოს სამეფო კარის და მათი თავადების პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობებზე. ბევრი დაინერა, ბევრიც უნდა დაინეროს, მაგრამ ძალიან სწორი და ზუსტი განზომილებებით, რეალურად რაც იყო და რაც არის. ზოგიერთი მკვლევარი და მეცნიერი აკეთებს ოსეთის საკითხზე ისეთ „მნიშვნელოვან დასკვნებს“ რომ მას ახლო შეხება არ ქონია ოსურ მოსახლეობასთან, მის ზნე-ჩვეულებასთან, ყოფით ეთნოგრაფიასთან. არ ჩაუხედავს მთიელი ოსის არც გულში არც სულში, არც მისი ოჯახის ჭირსა და ლხინს გაცნობია. საერთოდ, საქართველოს ოსთა ეთნოგრაფიაზე, ქართველებისადმი მათ დამოკიდებულებაზე მე არ შემხვედრია რაიმე სერიოზული მასალები, თუ არ ჩავთვლით პროფ. ვალერიან ითონიშვილისა და მისი ვაჟის ან. გარდაცვლილ ვახტანგის ნაშრომს, სადაც პოლიტიკური ისტორია უფროა ვიდრე ყოფითი ეტიუდები.

ნამდვილად შესაშური კეთილი ურთიერთობებით იყო გაჯერებული ოსი და ქართველი, ქართველი და ოსი მოსახლეობის კავშირები. იყო მრავალი შერეული ოჯახები. ხშირი იყო ძმადშეფიცვის, და-ძმობის, ნათლიმირონობის, მეგობრობის მაგალითები. არავინ დაინტერესებულა ქსანზე ოსთა ყოველდღიური ცხოვრებით. არავინ ეცადა ჩასწვდომოდა მათ საფიქრალს, რას აკეთებდნენ, რის-თვის იბრძოდნენ, რისთვის შრომობდნენ, რატომ უთანაგრძობდნენ ქართველებზე უფრო მეტად 1804 და 1812 წლების მთიულეთის აჯანყებებს. ამჟამად ჩვენ მათგან თვალში ნაცარ შეყრილთ უნებლიერ გამოგვდის, რომ თითქოს შიგადაშიგ ოსურ სიკეთესაც ნაცარი აქვს თვალში შეყრილი. არაფერია, სიმართლეს ცოტა მუშტარი ჰყავს და იმ ცოტაში ერთი მეც მინდა ვიყო.

ამ ასიოდე წლის უკან ქარჩოხში ჩვენთვის ცნობილ მჭედელს

თედო ნინიკას ძე ელოშვილს სოფ. ჩიგოიანიდან ერთმა ოსმა რამ-დენიმე პირდაბლაგვებული ქორჩი მიუტანა პირის გამოსაყვანად და გასაალესად. სახელოსნოში მისულმა შემკვეთმა გრდემლზე და-დებულ გავარვარებულ რკინის მიჯრით დააწყო თავისი იარაღები. ჯიბიდან მონეტა ამოიღო და კრძალვის გამომხატველი სახის გამო-მეტყველებით გრდემლზე დაუდო: — აი, შენი ნირიმე, ეხლა მეტი არა გაქვს დაფაყაფონ და მერე გცემ პატივს, შილებს გეფიცები.

მჭედელმა უკმეხად შეხედა ოსს. არ ესიამოვნა ხელობაში შეძლეული მცირე თანხა. განაწყენებულმა გადაწყვიტა მისი გაბიაბრუ-ება და ირონიული ღიმილით უთხრა:

ირონ, მე რა პატარა ბავშვი მნახე. თუ აი ამ მონეტას პირით აიღებ სულ არ მინდა შენგან არაფერი, ეს ფულიც უკან წაიღე, ისე გაგიკეთებ ამ საქმეს.

დაუფიქრებლად დათანხმდა ჩიგოიანელი, — ამის აღებას რა უნდა?! თქვა და გულუბრყვილო ბავშვივით უკან ხელებდაწყობილი ფულის ასალებად დაიხარა.

ცხელ გრდემლზე ტუჩების შეხებას შიშინი მოჰყვა და სახელოს-ნოში შემწვარი ხორცის სუნი დადგა. შიშინს ფრუტუნი და ღმუილი მოჰყვა. ოსმა მონეტა მაინც აიღო, მაგრამ საკითხავია, თავისი ოს-ტატობის წყალობით, თუ ტუჩების ზედ მიწვით. ხელის ერთი მოს-მით მოიშორა და იქვე სამჭედლოს გობში მდგარი ცივი წყლით სახე დაიბანა.

— ეს რა მიყავი შე... ნირიმე! ბლაოდა ოსი.

— მაგარი ხარ ირონ, მაგარი! — აქეზებდა მჭედელი და გულიანად იცინოდა.



ოქროს ცული

ოქრო წარსულში ღმერთების, სიმდიდრისა და ძალაუფლების სიმბოლო იყო. მზის თაყვანის მცემლებს სწამდათ, რომ ოქრო წარმოიშვა მზიდან. ოქრო ითვლება ბრწყინვალებისა და დიდებულების, პატივმოყვარეობისა და სიმდიდრის გამოხატვის, აგრეთვე ვალუტის უზრუნველყოფის საშუალებად. ეს მეტალი არის ერთგულებისა და პატიოსნების სიმბოლო, მისგან მზადდება ნიშნობის ბეჭდები, რიტუალური ძეწკვები. უკანასკნელ გზაზე ადამიანებს ოქროულობას ატანდნენ. ენის ქვეშ უდებდნენ მის მონეტებს, როგორც ღირსებისა და პატივისცემის სიმბოლოს.

ექვსი ათასი წლის მანძილზე ყვითელ ლითონს სიხარულზე მეტი ხომ მწუხარება მოუტანია ადამიანებისთვის: შურს, უნდობლობას, ღალატსა და ვერაგობასაც მას აბრალებენ. რამდენი სისხლი დაღვრილა, რამდენი ომი გამართულა ტომებს შორის, ხალხებს შორის, სახელმწიფოებს შორის ოქროსთვის. შესაძლებელია მისი სახელწოდება წარმოიშვა ქართული სიტყვიდან „უქრობი“ იმის გამო, რომ ამ მეტალის ელვარება არ ქრება.

რაც შეეხება მანძებს - დგინდება, რომ კავკასიის მთებში ბლომად არის ოქროს და ვერცხლის მანძები. ვახუშტი ბაგრატიონი: „აღნერა ხევისა“ იტყვიან ლითონსა თქროსასა და ვერცხლისასა“. დიდი ხანია აგრეთვე ცნობილი იყო მცირე საბადოები ფშავში, დამბლუტში (აქცენტი აღმ. საქ. მთიან რეგიონზეა აღებული).

გადმოცემის თანახმად, ქსნის ხეობის სოფ. საძეგურის სახელიც ოქროს საგანძუროდან არის ნაწარმოები, სადაც 1908 წ. აღმოჩენილი იქნა გედესკარის მიდამოებში ნარიზაშვილების მიერ, ადრეანტიკური ხანის „ახალგორის განძი“, რომელიც მეცნიერთა დასკვნით, ადგილობრივ საოქრომჭედლოში არის დამზადებული.

ხეობაში ოქროს სამკაულები და ნივთები უეჭველია ხშირი ლაშქრობებით და მოგებული ომების გზითაც შემოდიოდა.

დიდგორის ომის შემდეგ დავით მეფის ისტორიკოსის სიტყვით, „გლეხნიცა თუნიერ ოქრო-ვერცხლისა არა რასვე აღიღებდნენ“.

1682 წელს სვიმონ მეფემ მუხრანის ველზე დაამარცხა სულთანის ჯარები მაჰმედ ფაშას მეთაურობით და ნადავლად ჩაიგდო 50

„აღამანის გონიერისაკენ სამი გზა აქვთ: აზროვნება – ყველაზე კეთილი გზა, მიბაძვა ყველაზე აღვილი, გამოცდილება – ყველაზე ძნელი“ (კონფუცი)

საპალნე ოქრო. ყოველივე ამას ემატებოდა საქართველოში სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებით მიღებული ოქროც.

„იყო დრო, როდესაც ძვირი ლირდა სპილენძი, ოქრო კი უსარ-
გებლო მეტალად იყო მიჩნეული, რადგან დარტყმაზე მჭრელი მხარე
ბლაგვდებოდა, ამჟამად სპილენძს აძაგებენ, ოქრო კი დიდ პატივ-
შიაო“, — წერს რომაელი პოეტი — ფილოსოფოსი ლუკრეციუსი.

ამბავი, რომელიც აქ უნდა მოგითხოვთ ოქროს ცულს ეხება, ის კი არავინ არ იცის, თუ საიდან გაჩნდა იგი ჟამურის ხეობაში. შესაძლოა წარმართ ღვთაებათა შესანირი ან სარიტუალო ატრიბუტიკის ნაწილი იყო. ამ მოსაზრებას საფუძველს უმაგრებს ჟამურის ხეობის გეოგრაფიული ერთეული „ბაგინი“ და მისი ტოპონიმი (საბა თავის ლექსიკოში შემდეგნაირად განმარტავს: „ბაგინი სომხურია ქართულად ბომონი ჰქვიან“ თავის მხრივ ბომონი მისივე განმარტებით: „სვეტია, ხატსა ანუ კერპს ზედ აღმართვენ“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულშიც ბაგინი მოცემულია როგორც მსხვერპლის შესანირავი ადგილი წარმართა.

სოფ. ელოინში მცხოვრებ მჭედელ თედო ნინიკას ქე ელოშვილს ერთმა უამურელმა ბოთე სმა ცული მიუტანა გასალესად.

„შენი წირიმე თედო, ბალლებმა ცული აღარ შემარჩინეს, სანამ რასმე ვიშვიდე კახჩინაში ჩემი პაპის გადანახული ცული წამოვილე. იქნებ გამოლეგს „ლრძილი ამოულე“ და გამილესე“.

მჭედლი ცულის დანახვისთანვე დაინტერესდა, ხალათზე ხელები შეიხოცა და თვალმოუშორებლად გამოართვა. ჯერ თითქოს გაშეშდა, გაქვავდა, მერე უცებ გონებაზე მოვიდა, ამოძრავდა, გაძრაზებული გამომეტყველება მიიღო და სწრაფად მოისროლა ცული შორიახლო ჭინჭრობში.


დაფურილი ცული რაღა მაქნისია, — მიუგო ოსს და იქვე კუნძხე ჩარჭობილ თავის ალესილ ცულს წასწვდა. — მე მოგცემ კარგ ცულს, ჩემგან საჩუქრად გქონდეს, მაგრამ იცოდე, ამ ცულის ბალლების ხელში ჩაგდება და გაფუჭება არ იქნება.

გახარებულმა ოსმა გუგულის ნერწყვში გალესილ ცულს ფხის

„შენ წონი ოქროს და გერცხლის, რატომ არ წონი შენ სიტყვასაც
ოქროს სასწორით?“ (მეფეთა – I.10.6)

გასასინჯად პირზე ცერა თითი გადაუსვა, მონონების ნიშნად თავი
გააქნია და მადლობა გადაუხადა „კეთილ“ ხელოსანს, რომელიც პა-
ტარა ბავშვივით ცმუტავდა, ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა და
სული ელეოდა თუ როდის ნახავდა კარგად ჭინჭრებში გადაგდე-
ბულ განძს.

ვაი თუ ოქროსი არ იყოს, ტყუილად ხომ არ მოვიშორე ჩემი
„ფრთიანი ცული“, ფიქრობდა ელოიანელი მჭედელი.



**„ბუნება თავისთავად ცარიელია და საშინელია:
ხალხი ქმნის მას ქვეყნად და სამშობლოდ“ (აუგრძახი)**

მყვირალა ხარი

ქართველი ხალხი გაჭირვების დროს გვერდში ედგა ერთმანეთს. მტრის თავდასხმების დროს სოფელი-სოფელს, ხეობას-ხეობას, საერისთავო საერისთავოს ეხმარებოდა, საჭიროების შემთხვევაში კი ყველა ერთად იბრძოდა მეფის გვერდით. თავდაცვითი ბუნებრივი ზღუდეების ნაკლებობის გამო ბარის მოსახლეობა მთას აფარებდა თავს. მთის მიუვალ, საიდუმლო სამალავებში იხიზნებოდა ხატ-ჯვრები და ბევრი სხვა საეკლესიო განძეულობა. ბარიდან მთაში იხიზნებოდა აგრეთვე ხალხი, როცა ქართლის ქალაქებში და დაბებში ჭირი მდვინვარებდა. მთისა და ბარის ურთიერთ სასიცოცხლო დამოკიდებულება ჩვენმა დიდმა მგოსანმა, მთის არწივმა ვაუაფშაველამ კარგად გამოხატა ლექსში:

„საფუძვლად, მთაო, ბარი გაქვს,
იცოდე, ტალახიანი.
თუ ის ჩავარდა უფსკრულსა,
შენ თან ჩაყვები ნიადა;
არ გარგებს, თორო შენ იცი,
მთავ ამაყობა ფრიადა“

მთა და ბარი ყოველთვის ერთმანეთს აპალანსებდა. მთიელს სამამულო წარმოების მარცვლეული 6-7 თვე თუ ყოფნიდა. დანარჩენი მარცვლეულის დეფიციტს ბარში განეული შრომის საფასურით ივსებდა. ამიტომ იყო, რომ მთის მოსახლეობა ჯგუფებად დაიარებოდა, როგორც სამკალზე, ისე სათიბზე და საბარზე, რათა სახლში ხორბალი ან ფული მიეტანა.

ბარში ქირაზე წასულ მომკელ-მთიბავთა შორის იმართებოდა შეჯიბრი მკაში, ძნის შეხვევაში (კარგ მემნურს ორი მომკელისთვის უნდა შეეხვია) სიმღერაში, დალევაში, შაირობაში, რაც შრომას სახალისოს და საამაყოს ხდიდა. ყანის პატრონს წაკვეთის ბოლოში ღვინით სავსე ჯამი და დაკლული საქონლის მოხარშული თავი ედგა. ვინც პირველი გაიტანდა მხრეულს, სვეს ის გამოცლიდა ჯამს და დაყოლებდა ხორცს. მემამულის ეს წამახალისებელი ხერხი დიდ

„ბევრი ლაპარაკი და ბევრის თქმა ერთი და იგივე არ არის“ (სოფოკლე)

სტიუმულს აძლევდა მინდვრად მოგუგუნე მომკელთა გუნდს.

ერთი ასეთი ორმოც კაციანი მომკელთა ჯგუფი ქარჩოხიდან ქირაზე წამოსულა მუხრანბატონთან. მათ შორის იყო ერთი ტანად ბრგე, სწრაფი, მოქნილი „უსისხლო მუშა“ პავლიანიდან ონიკაანთ შტოს წარმომადგენელი გიგილა პავლიაშვილი და მისი უმცროსი ძმა (დღეს პავლიანში მცხოვრები გიორგი გურამის ძე პავლიაშვილის პაპის, იოსების პაპა).

ორმოც ქარჩოხელს ძნას უხვევდა ოცი ადგილობრივი მექნეური. მომკელთა შორის ყოფილა მუხრანბატონის ყმა გლეხი, გოლიათური აღნაგობის ოსი, რომელიც საქმეს იმდენს არ აკეთებდა რასაც ყვიროდა და ოკა-ოკა-ოპუნას იძახდა. გიგილას არ მოეწონა ოსის ავყიობა და ზედმეტი ყვირილი. იქვე მდგარ მოსამსახურე ბიჭს დაუძახა — ჯამით ლვინო დამალევინე! დაალევინა და მთიელიც მიეჭრა ოსს ნამგალ-მომარჯვებული. რას ფახიფუხობ, რას ყვირიხარო!

—ხარი ვარ შენი წირიმე, ხარი და იმიტომ ვყვირივარ! — მიუგო ოსმა.

—აბა თუ ხარი ხარ გავეჯიბროთ, გამოგიჩნდება როგორი გამწევიც იქნები, ვნახოთ რომელი მივალთ ტიკთან და ხარის თავთან.

დადგნენ გვერდიგვერდ გიგილა და ოსი, დაიწყეს მკა. ოსი თავი-დან მართლაც მეტი თუ არა ნაკლები სისწავის მუშა არ გამოდგა. შუა სვემდე ტოლად მიინევდნენ წინ, მერე კი შეანელა ოსმა სვლა, გიგილამ კი მარჯვნიდან წამოუარა, გადაუსწრო და ბევრად წინ მივიდა ტიკთან და ხარის მოხარშულ თავთან, რომელიც იმ დღეს ბატონს დაეკლა მუშისთვის.

წინ მისულმა გიგილამ „მუხრანულით“ სავსე ხის ჯამი გამოცალა, ხარის თავი მხარზე დაიდო და ოსთან მივიდა.

—ვხედავ, გაგჭირვებია, ლაპუ ხარის თავთან მისვლა და აქ მოგიტანე, აქ მაინც მოაჭამე ერთი ყური. ეტყობა ესეც შენნაირი მყვირალა ხარი იყო და იმიტომაც დაკარგა თავი, შენც მეტი ალარ იყვირო თავს გაუფრთხილდი, — უთხრა გიგილამ და ოსის მაგიერ თავისი უმცროსი ძმა დაიყენა გვერდში და მომკელთა შორის იმ დღეს ავანგარდში იდგნენ, რისთვისაც ძმებმა ბატონისაგან ჯილდოდ საფუხხარები და ქება დაიმსახურეს.

„ცდომილებას ათასი გზა აქვს, ჭეშმარიტებას კი ერთი“ (ჩუსო)

უდანაშაულო დამნაშავე

სოფელი ხარბალი ქსნის ხეობაზე ცნობილი ადგილია, ის და სოფ. ქენქაანი ქენქაძების გვარის ძირითად სამოსახლოდ ითვლება. ხარბალელი ქენქაძების საგვარეულო შტოებია: 1 გოგიშვილიანი, 2. ხვთისოიანი, 3. ჭოჭლიანი, 4. ქვევითლიანი 5. ბუხრიანი. ამ ხუთ საგვარეულო შტოდან ორ შტოს გოგიშვილიანთ და ქვევითლიანთ ჰყავდათ თავთავიანთი მჭედლები. პირველს — გიორგი, მეორეს — ვანო. ვანოს სამჭედლო მოხერხებულ ადგილას „თალიანურებში“ გზის პირზე, ცხრაზმულის ხიდთან ჰქონია მოწყობილი, სადაც დღეს ქარჩხისის და ცხრაზმის ხეობის გზები ერთდება. ძველი სამჭედლოს ადგილი ამ რამდენიმე წლის წინ აღმოსავლეთის მხრიდან ჩამონილი მეწყერმა დაფარა.

ერთხელაც ამ სამჭედლოს წინ, გზაზე, ქარჩხები ცხენით მიმავალმა ივანე (ჭიანა) ბალაშვილმა დაინახა ქსნის პირზე მდგომი ხარბალელი ვანო ქენქაძე, რომელიც ქალამნების გასახდელად ჩახრილიყო და წყალში გასასვლელად ემზადებოდა. მჭედლის დანახვისთანავე ივანეს გაახსენდა მისგან ძველი წყენინება და სამაგიეროს გადახდის წყურვილმა სწრაფად აამოქმედა.

წყლის ხმაურში უგრძნობლად, თავდახრით მდგარ კაცთან, რომელსაც ის-ის იყო ფეხებზე დაეხადა და შარვალ აკაპინებული წყალში შედიოდა, ელვის სისწრაფით ზედ მიაგდო ჭიანამ ბედაური და უკნიდან გამეტებით დასცხო და დასცხო მათხრახი, ქსნის სლიპინა, ხავსიან ქვებზე კინკილით მიმავალ ფეხშიშველ ვანოს. დაფეთქებულმა უკან მოხედებაც ვერ მოასწრო, პირქვე ჩაემხო წყალში და ფორთხვა დაინყო, მოძალადემ კი თვალთმაქცურად მიაძახა.

საცა შენი დაიკვეხო, იქ ილურთქლიანთ სვიმანასიცა თქვიო!

— მოატრიალა თავისი კუდგამონასკული ბედაური და ხარბლის ჭალებიდან აშაშუბემდე ჭენებით ატარა.

ნახევრად გონებადაკარგული ვანო ძლივს გადაურჩა ქსნის ტალღებს. წყალნაყლაპი რის ვაივაგლახითა და წვალებით გაბობდა ნაპირზე. უქალამნოდ დარჩენილი, გალახული და წყალში ამოლუმპული წავიდა სახლისკენ, თან მკერდზე მუშტის ცემით იმუქრებოდა: — დედას გიტირებ მიდელათ სვიმანავ! მე თუ დავბერდი ჩემი

„შურიან ქაცს აუბედურებს საქუთარი უბედურება და სხვისი ბედნიერება“ (ბუასტი)

ძმები მაინც გადაგიხდიან, ჩემი ძმები! ჩამოხვალ, როცა იქნება და ვნახოთ მერე როგორი წახვალ, როგორი!

საქმე იმაში გახლდათ, რომ ივანე (ჭიანა) როგორც ხარბალელ ვანოზე ისე მიდელაშვილ სვიმანაზე ნაწყენი ყოფილა. ამ უკანასკნელს ხარბალში ქენქაძებზე გათხოვილი ყოლია შვილი და ქალ-სიძესთან ხშირად ჩადიოდა.

ვანოს და მის ძმებს რა დაავიწყებდათ ილურთქლიანთ სვიმანასგან ესოდენ უმიზეზო წყენას, ბოლმას გულში იტრიალებდნენ და სამაგიეროს გადასახდელად შესაფერის დროს უცდიდნენ.

ამ ამბიდან გავიდა რამდენიმე თვე და ერთ-ერთ რელიგიურ დღესასწაულზე ქარჩხიდან ხარბალში სიძესთან ჩავიდა ჩვენი სვიმანა. სიძე და სიმამრი ხატში სოფელთან ერთად გავიდა. წირვა-ლოცვის შემდეგ დასხდა მრევლი და დაიწყეს ქეიფი.

მგლებივით უყურებდნენ სამი ძმა ქენქაძები სუფრაზე არხე ინად მჯდომ სვიმანას. კიდევ რამდენიმე ჯამი ლვინის ჩამოტარება და სეირის მოყვარულები ნახავენ თუ რა ბიჭია ილურთქლიანთ სვიმანა. მოქეიფეთ ხმაზე შეეტყო, რომ სასმელმა გაჭრა. ძმებმა ერთმანეთს თვალით ანიშნეს და უმცროსს „რაღაც საქმეზე“ გვერდზე გაითხოვა სოფლის სტუმარი, ისიც გულდანდობით და ეჭვშეუტანლად გავიდა სუფრიდან მოშორებით მდგომ ძმებთან.


მისვლისთანავე ზორა ხარივით წამოაქციეს და გამეტებულად დაუწყეს ცემა უდანაშაულო კაცს.

— შენი დედა, შენი! რა დაგიშავა ჩვენმა ძმამ მათრახის ცემით ცოტასღა წყალში რომ არ ჩაახრჩე — წაქცულს წამოაყენებდა ერთ ძმა, მეორე დაპკრავდა ფუთიან მუშტს და ყარფუზივით გააგორებდა, კვლავ წამოაყენებდნენ, ხან ერთი ძმა ურტყავდა და ხან მეორე. სვიმანა ღრიალებდა. ქალებმა წიოკობა დაიწყეს, ხალხი აიშალა. ხანჯლებზე ხელდადებულები მივიღნენ სუფრასთან გულმოფხანული ძმები და ვითომც არაფერი მომხდარაო მშვიდად დასხდნენ. სანამ სვიმანას სიძე რამეს ეტყოდა გადარეულ ძმებს, მანამ თვითონ სისხლში მოსვრილმა სტუმარმა დაიღრიალა:

— აი, ჭიანავ, ამოგიწყდეს მეკომურობა! შენ მცემე, შენ, ამათ

„ესე ყოველი ცხოვრებაი, გითარუცა ყვავილი ველთაი, წარმაგალ
არს და დაუღრომელ, და ვინ სთესა – მოიმკო, და ვინ განაბნია
გლახაქთათვის – შექრიბა“ (იაკობ ცურტაველი)

კი არა! ამოვალ შენ ოხტში თუ ცოცხალი გადაურჩი ამ დამურულ
დევებს! (მჭედლობის გამო ხშირად ნახშირით იმურებოდნენ ქვე-
ვითლიანთ სამი ძმა და დევებს ეძახდნენ, რადგან მითოლოგიაში
დევების პროფესიად მჭედლობაა მიჩნეული). მალე კვნესა-კვნესით
ნაიყვანეს ხარბალელებმა სიძის სახლში სახე ჩალურჯებული და
ჩოხა შემოხეული უდანაშაულო „დამნაშავე“.




სოფ. ხარბალი

**„ყველაზე აღრე ცხოველი და ქვეწარმავალი შეიცნობს ხოლმე
კაცთა ოჯახის იაგარუოფას“ (ქამსახურდია)**

საძალლე



ყიდა მათეს ძე
გაროზა შვილი



თერთ ყიდას ძე
გაროზა შვილი

ვას გადაარჩინა.

მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა. ფაშისტური გერმანია ზე-დიზედ იღებდა ჩრდილოეთ კავკასიაში სტრატეგიულ პუნქტებს, რის გამოც ცხვარ-მეცხვარეებმა დაღესტნის მაგივრად ყარაიას ველებს მიაშურეს. სატელეფონო კავშირის მოშლა კი სერიოზულ დანაშაულად ითვლებოდა, რის გამოც ამაგდარ მწყემსს ერთი წლით მოუწია ციხეში ყოფნა — ბოლოს კი გაამართლეს: ამას სახლში ხომ არაფერი წაუღიაო. მართალია დასაგმობია მისი საქციელი, მაგრამ

50-60 წლის წინ, ქსნის ხეობაში მოწყობილი არაერთი ექსპედიციით დადგინდა, რომ ქსნელთა მეტყველება ბარის მხრით — ქართლურს უკავშირდება, მთის მხრით კი მთიულურს. სწორედ ამ მთიულურ სამეტყველო ლექსიკაში სიტყვა „საძალლე“ მრავალმხრივი მნიშვნელობით იხმარება, მათ შორის ანატომიურად „ასო“-ს გადატანით გამოხატულებადაცაა მიჩნეული.

გასული საუკუნის შუა ხანებში სოფ. ხოზოეთში ცხოვრობდა მეტად ცნობილი, გერგილიანი, შრომისმოყვარე, ნიჭიერი მეცხვარე ყიდა გაროზა შვილი. ამბობენ, რომ მას თავის თავზე მეტად ცხვარი ყვარებია, რაც დადასტურდა კიდეც 1943 წლის ზამთარში, როცა ყარაიაზე უბინაობის გამო ცხვარი სიცივით იხოცებოდა. ზამთარში ცხვრის სადგომების გაკეთების მიზნით თავდადებულმა მეცხვარემ ლამით, მინდოორში, კავშირგაბმულობის ბოძები მოჭრა და ცხვარი მასიურ დაღუპვას გადაარჩინა.

„აღამიანი მოქმედებისთვისაა გაჩენილი,
უმოქმედოდ ყოფნა წინა დღით სიკვდილია“ (ბუასტი)

მან ხომ ამით სახელმწიფოს კუთვნილი ხუთი ათასი სული ცხვარი გადაარჩინაო! — რაც ომის დროს მნიშვნელოვანი რესურსი იყო ქვეყნისთვის.


ამავდარი მეცხვარის ციხეში ყოფნი-სას ეშმაკს არ ეძინა — ბოროტი ენები ასი-სინდენ... კულაკივით იქცევა, საკუთარი 700 სული ცხვარი ჰყავს და ნახევარსაც არ აჩენსო... და მრავალი მისთანები გაჟღერ-და ინტრიგანთა მხრიდან. მთავრობის ნარ-მომადგენლებმაც არ დააყოვნეს და სოფ. ხოზოეთში ყიდას ჯალაბს მიუხტნენ, რათა „არა პატიოსანი“ შრომით დაგროვილი ქო-ნების, — ამ შემთხვევაში ცხვრის კონფის-კაცია მოეხდინათ.

დამსწრე „მოწმეებთან“ ერთად გარო-ზაშვილის ეზოში დიდი აყალმაყალი იყო. საკოლმეურნეო დოკლათის გადარჩენის-თვის ციხეში მყოფ ყიდას საკუთარი ცხვა-რი დაუთვალეს, კოლმეურნეობის სერზე დასერეს, დაკუპრეს და ჩააბარეს სოცია-ლისტურ საკუთრების ყველაზე საუკეთე-სო ერთგულ დამცველებს.

კონფისკაცია დამთავრებული არ იყო, რომ ავტონომიური ოლქიდან — სტალნი-რიდან მოვლენილ ერთ-ერთ მთავარ პირს, ვინმე ციბა ცორაევს მოუნდა ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ეზოში ზოგი მოტირალ და ზოგიც მოზეიმე ხალ-ხის თვალის მოსარიდებლად იქვე სახლის უკან ხმელი შეშის ხორას ამოეფარა და მოშარდვა დაიწყო. მის საუბედუროდ და ჩვენ გასა-ხარად თურმე შეშის ხორაზე, ჩრდილში, მიბმული ძაღლი „ჩიბა“ წოლილიყო, რომელიც უხმოდ წამოუხტა უცხო, დაუპატიჟებელ



გურამი, მარა, გიორგი და
თედული გაროზა შეილები



სტუმარს, სწვდა გადმოგდებულ „საძალლეზე“ და როგორც მამალს ყიო ისე გააძრო ტყავი. სტუმარმა ღრიალი მორთო. ჩიბა მიეტანა სადამდეც მისწვდა მერე კი მიწას კაწვრა დაუწყო. უნდოდა, ლუკმა-ლუკმად ექცია ოჯახის დამნელებელი. ციბა ცორაევმა იძრო ნაგანი დაუმიზნა და ის იყო უნდა მოეკლა, რომ ხელში ჩეკი მოხვდა და სას-როლი ჩაუვარდა.

თქვენი ალარა დარჩეს-რა ამ მზიან ქვეყანაზე! აგვაწიოკეთ, გაგვანადგურეთ, ამოტენა ცხვარი ნაგვართვით, დაგვანელეთ და კიდევ ძალლებსაც გვიხოცავთ? აგრემაც ძალლები ჩააკვდება იმის დედასა და მამას სულში ვინც თქვენ აქ მოგიყვანათ და ვინც ჩვენი ჭირით ვერა ძლება! წიოდა ყიდას დედა, ტანად პატარა დედაკაცი ფეფო მუზიონა და ჩეკს ხელიდან არ უშვებდა.

პატრონისაგან გამხნევებული ძალლი სულ გაცოფდა, აიწყვი-ტა, გაქცეულ კაცს ეცა უკნიდან და დუნდულებზე ტყავი ჩამოახია. ფეფო ძალლს წასწვდა, დაიჭირა საყელოთი და ზედ გადაეფარა, ემანდ მართლა არ მომიკლანო.

აყაყანებულმა ხალხმა „მთავრობის დიდი კაცი“ ჩალა ჩაფენილ ჯინმარხილში ჩააწვინეს და უახლოეს სამედიცინო პუნქტში — ბა-ლაანში სისხლმდინარე ჩაიყვანეს.

მალე ჭორიკანა ქალებისაგან ხეობაში გავარდა ხმები:

— ყიდას, რომ გაუგია ცხვრის ჩამორთმევის ამბავი ასე უთქ-ვია-ო:

— მაშინ ხელები დამაჭრან, ფეხები დამაჭრან, თვალები დამ-თხარონ და ცხვარსაც აღარ ვიყოლიებო!

ხალხმა ყიდა გაროზაშვილის ქონების აფორიაქებაზე ერთი ასეთი ფრთიანი გამონათქვამიც დატოვა: ციბამ ყიდას ცხვარი ჩა-მოართვა და ჩიბამ — ციბას საძალლეო!



იცინეს არაგველება

ჯერ კიდევ 600 წლის წინ, ქსნელთა და არაგველთა ურთიერთობებზე ისტორიული ჩანაწერები გააკეთა ლარგვისის წმ. თევდორე ტირონის ეკლესიის მოძღვარმა და მწიგნობარმა, ქსნის ერისთავების მატიანის შემდგენელმა გრიგოლ ბანდაისძემ. ახალ დროში კი ამ თემას ყურადღება მიაქცია ცნობილმა მეცნერმა, პროფესორმა დავით გვრიტიშვილმა.

შეუჩერებლად გარბის დრო. რომელიც უკან იტოვებს ძველს და მოაქვს ახალი ცხოვრება, ახალი მსოფლმხედველობა, ახალი ურთიერთობები, საზოგადოების ფორმირება, ცივილიზაცია, ადამიანური და დემოკრატიული ფასეულობების გამყარება. საბედნიეროდ, ქსნელებს, მეზობელ არაგველებთან დღეს აღარაფერი გვაქვს სადაც და გადასახედი, გარდა იმ შეჯიბრისა, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობა, ურთიერთპატივისცემა, სიყვარული და მეგობრობა ჰქვია. ვფიქრობ, ინტერეს მოკეთებული არ უნდა იყოს მეზობელ მთიულებზე კოლექტივების დროინდელი ერთი ინციდენტი, რომელიც, კერძოდ 1968 წელს ქარჩოხში, ბალაანის კოლმეურნეობაში ვალერიან გოჭაშვილის თავმჯდომარეობის დროს მოხდა.

60-იანი წლებში უამურის ხეობიდან მასიურად აიყარა ოსური მოსახლეობა და ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლდა, ხოლო მათგან გამოთავისუფლებულ მთებს ბუნებრივია ქარჩოხელთა ცხვარძროხა დაიკავებდა. ასეთი მონაცევლეობის პერიოდში უამურის ხეობის სოფ. მაყიანის მთების აუთვისებლობით ისარგებლეს მლეთელებმა და ქსნელთა ადგილში 70 ძირამდე თივა გათიბეს. შეიტყო ეს კოლმეურნეობის თავიკაცმა ვალერიანმა და დაუყოვნებლად გასცა ბრძანება: „გაბრიყვებულ მთიულებს თივები ანაპნეთ და კოლმეურნეობის სათივეში დაზვინეთო!“.

ბრძანების სისრულეში მოსაყვანად თავდაპირველად რვა კაცი გაიგზავნა, რათა მლეთელების თივები 300 მეტრის ქვემოთ დაეცურებინათ და შემდეგ კარგ ამინდებში სათივეში მიეტანათ. მათი ფიქრით მეზობლები ვეღარ მოახერხებდნენ დაცურებული თივების უკან, პირიქით გადატანას და ხელს აიღებდნენ თავიანთ ნაშრომზე, თანაც გადიდგულებულმა ქარჩოხელებმა მწყემსთა ენით მთიუ-

ლებს ნიშნისმოგებით დაუბარეს: — „მთიულია და ბრიყვობსო, დაე თავისთვის იყოსო“.

უკადრის შეურაცხყოფად ჩათვალეს არაგველებმა ქსნელების ეს მოქმედება და გაპრაზებულებმა გუდამაყრელები დაიხმარეს. ერთ მთვარიან ღამეს წყვილად შებმული 24 ცხენით თივები აღმა, მთის კალთაზე აზიდეს და პირიქით, თავიანთკე გადაიტანეს. შემდგომ არაგველებიც არ დაგვრჩნენ ქსნელებს ვალში და იმავე მწყემსის პირით შემოგვითვალეს:

— თეთრ საცვლებიანებო, საცა თქვენსა დაიკვეხოდეთ, იქ ჩვენსაცა თქოდეთო! (არაგველები ქსნელებს მოქსოვილი თეთრი, შეულებავი შალის შარვლების ტარების გამო თეთრსაცვლებიანებს გვეძახდნენ). ამით ქსნელებმა მლეთელ — გუდამაყრელებისაგან შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი და პასუხის პასუხად დაუბარეს:

— „გუდამაყრელი მკვეხარა, მსუქანსა ჭამ და მჭლეხარა“.

დღეს კი ქსნეულებსა და არაგველებს შორის ეს იუმორისტული კინკლაობაც გამქრალა და ერთმანეთის გასამხნევებლად მხოლოდ დაბალ ხმაზელა ვლილინებთ:

— ძმაო ძმითა ხარ ძლიერი,
თორ მტერი მოგერეოდა,
აგმტერდებოდა მტარვალი,
სალამი დაგელეოდა.



„არცარა ენის უტკბოსი იქნების და არცარა ენის
უმწარესი პირსა სოფლისა ქვეყნისასა“ (საბა)

სიტყვის ძალა

სოფელი ძაბუეთი 1969 წლამდე ერთადერთი ბოლო ოსური სოფელი იყო ქარჩოხის ხეობაზე, სადაც ცხოვრობდნენ ოსური გვარის წარმომადგენლები, მათში ერთ-ერთი გვარი მუზაევები იყვნენ. სოფელი კოლექტივიზაციამდე (30-იანი წ. დასაწყისამდე) 35 ოჯახს ითვლიდა, სადაც მოწინავე გლეხური კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. 1934 წელს გაიხსნა პირველი დაწყებითი სკოლა, რომლის მასწავლებლად დაინიშნა ფირუზ ბესარიონის ძე მუზაევი. მოგვიანებით ფირუზი და მისი ოჯახი საცხოვრებლად ქ. ორჯონივიძეში გადავიდა, საიდანაც სამამულო მოის გამო 1942 წ. კვლავ საქართველოში სოფ. ძაბოეთს დაუბრუნდა და წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, შემდეგ კი ფერმის გამგედ და სხვადასხვა თანამდებობებზე.

ომის დამთავრების შემდეგ ფირუზი ხშირად სტუმრობდა ორჯონივიძეში დარჩენილ ნათესავებს. შუახანს გადაცილებულმა წონაში საკმაოდ მოიმატა, რის გამოც ფიზიკური შრომა მისთვის შეუთავსებელი გახდა.

ერთხელაც ფირუზმა ქ. ორჯონივიძეში ყოფნისას ძმის — იასეს რჩევით, საქალაქო საავადმყოფოში სამედიცინო შემოწმება გაიარა. ექიმები მიხვდნენ, რომ მათი პაციენტის პირველი მტერი ჭარბი წონა იყო, რასაც უგანრიგო კვება და „პირის კარგი გემო“ ინკვევდა. სამედიცინო შემოწმების ბოლოს ექიმებმა პირდაპირ გამოუცხადეს 120 კილოიან კაცს: — კუჭი აშკარად ცუდ მდგომარეობაშია, სიმსივნე ახალდაწყებულია და მისთვის



ფირუზი ბესარიონის ძე
მუზაევი




ფირუზი (უმცროსი)
მუზაევი

„ბეღნიერებამ არასოდეს არ იცის ზომა“ (სენაკი)



ლია ქეჩაძე



ახალაშვილი ქეჩაძე

დამახასიათებელი ნიშნები კარგად არ იკვეთება, ამას დრო უნდა, წადით და სამი თვის მერე მობრძანდით, გამოკვლევებს ყველა კუთხით ჩაგიტარებთ და დაავადების სიმძიმესაც ზუსტად განვასაზღვრავთ.

დაღონებული და მოწყენილი ჩამოვიდა საქართველოში ფირუზ ბესარიონოვიჩი. ალარც ჭამის მადა ჰქონდა, ალარც სმის. აღარაფერი ახარებდა მის ლალ და მხიარულ ბუნებას, ყოველ წუთს თვალწინ სიკვდილი ელანდებოდა.

ეჭ, არაფერი ყოფილა კაცის სიცოცხლე, იტყვიან წუთია წუთისოფელიო, — წუთი კი არა წამია, წამი! — იძახდა ცხოვრებაზე ხელ-ჩაქნეული ფირუზი და ჩუმად ითვლიდა უბე-დურებისა თუ ბეღნიერების მომტან ავბედით სამ თვეს.

ფირუზი იმ სამ თვეში უფრო ხელგაშლილი და კეთილი გახდა. წაცნობებთან თუ


უცნობთან მხოლოდ ქეიფი, პურმარილი, კარგი ბიჭობა და კიდევ უფრო მეტად კარგი სახელის დამტკიცებასა და განმტკიცებას ახმარდა საოჯახო რესურსებს. ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, ცხადია ფირუზიც შეეცდებოდა თავისი ღრმა კვალი და ეტოვებინა ნაცნობ-ნათესავთა და მეგობართა ცნობიერებაში. ერთი სიტყვით გულძალოვანი, გულფიცხი, მექალთანე, მეგობარ-ძმაკაცებში ქეიფის მოყვარული, დარდიმანდი, ვაჭრობაში ჩახედული, ოფლის გამოუდენლად ფულის მშოვნელი კაცი ისე ცხოვრობდა თითქოს ამ ქვეყნად ერთი დღით იყო მოსული და ცდილობდა ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოესწრო.

თუმც სიმართლე ბოლომდე უნდა თქვას კაცმა, რომ მანამდეც ბესარიონოვიჩს მხოლოდ კარგი საქმეები გამოსდიოდა ხელიდან. მავანს და მავანს არ ეგონოს, რომ მისი ჰუმანურობა და სიქველე, ხანში შესულობის, ან თუნდაც ექიმების უტაქტო ხუმრობის ნაყოფი იყო

**„მინდა ვიყო სახელოვანი, — ეს ბეღნიერებაა, მაგრამ მინდა
სასარგებლოც ვიყო ეს მოვალეობაა“ (პიუკ)**

და მისთვის უცხო იყო მეზობლისა და მეგობრის გვერდით დგომა. ცნობისთვის დავძენ, რომ ფირუზის 108 ნათლიდედა ჰყავდა, როგორც ჩრ. ოსეთში ისე საქართველოში. ერთხელ ხუმრობით უთქვაშს ბესარიონვიჩს, — ჰიტლერმა 92 ნათლიდედა წამართვა, ომი რომ არა 200 ნათლიდედა უეჭველი მეყოლებოდაო.

ფირუზი ნაწყენ, გაბრაზებულ და მოვალე ხალხს ჩიტის ნაკენკი ბალივით დაუტკბა. ვისთანაც ნამდურავი და უმძრახი იყო შეურიგდა, ყველა ნათესავი მოინახულა და, რაც მთავარი იყო, გაცემულ-გასესხებულის რესტრუქტურიზაცია მოახდინა — ყველა ვალი ჩამოწერა. მამა-პაპეულ სალოცავს, ძაბუქითის მაცხოვრის სახელობის სალოცავში კვირადლისით (უდლეოდ) სამი წლის მოზვერი შესწირა, გამართა დიდი პურობა და მეგობარ-მეზობლები აქეიფა. საწყალი მისი მეუღლე ილურთქალი ფეფო მეტი ჯაფისგან ფეხზე ძლივს იდგა. ცოლ-შვილმა ფირუზი ყოველგვარი საოჯახო საქმეებიდან გაათავისუფლა, მის მიერ ყოველ დღე სახლში მიყვანილ სტუმრებს უშურველ, სანაქებო სუფრას უმლიდა ილურთქალი. სუფრაზე ყოველთვის ქათამი და ყველის უშველებელი, კალოსხელა ოსური ქადები იდო. მალე ფირუზმა მოზვერს ხბო, ცხვარი და გოჭებიც მიაყოლა, თან შეფარვით, დანის მიუკარებლად, თითით გაფხეკილ ბეჭის ძვლებს აკვირდებოდა, შიშნეული ზვერავდა, — ის, ტიალი სიკვდილი ხომ არ მყავს ჩასაფრებულიო. საბედნიეროდ, ყოველი ბეჭის დათვალიერებისას სევდის მაგიერ სიხალისე ემატებოდა და სტუმრებსაც მეტი ხალისით ავსებდა.



**ფირუზის მეოთხე თაობა
გოთხვი ქობაური**

მიუხედავად ხშირი სუფრებისა და ოჯახური საქმეებიდან გამოთავისუფლებისა, ფირუზი ნელ-ნელა წონაში იკლებდა და ხდებოდა, თითქმის თვეში ორჯერ უწევდა ქამრის დაპატარავება. მიუხედავად მისი უშიშარი ბუნებისა, ჯანდაცვის საკითხში ძალიან სუსტი გამოდგა და ბავშვის

„ცხოვრების სუფრაზე დაჯექ და ნუ დაეყრდნობი“ (პითაგორა)

გულზე უფრო პატარა — ჩიტის გული ჩაიდო მკერდში.

რის ვაიგაგლახით გავიდა სამი თვე. დაღონებულმა ფირუზ-მა დატოვა მშობლიური ქსნის ხეობა და როგორც თვითონ იტყო-და „სირისტიან“ ორჯონიკიძეში თავის მკურნალ ექიმებს მიაკითხა. ექიმებმა დაინახეს თუ არა ქონ დაღვრილი, ულიპო პაციენტი ესია-მოვნათ, გვერდით დაისვეს, წნევა გაუზომეს, კარდიოგრამა გადაუ-ღეს და გულახდილად უთხრეს:

ფირუზ ბესარიონოვიჩ! თქვენი და თქვენი გულის დაუნდო-ბელი მტერი სიმსუქნეა, რაც საბედნიეროდ უკვე მოგიშორებიათ. დღეიდან თქვენ არანაირი საშიშროება აღარ გემუქრებათ. კიბო არ გქონიათ და სანამ ასეთ ფორმაში იქნებით ვერც ვერასოდეს გაგიჩ-ნდებათ.

გაბრაზდა ფირუზი. თქვენი დედა...! თქვენი მამა... სულ მაუშტა-მაუშტა უძახა ექიმებს, ხან ქართულად და ხან ოსურად. — მე ამათი დედა... რამდენი მაზარალეს მოსატანი ვალები დამაკარგინეს, დარ-დით კინალამ კაცი მომინელეს, ესე როგორ შეიძლება, ესენი ექიმები კი არა ტარტაროზებია, ტარტაროზები! — ყვიროდა ყელში სისხლ-მომდგარი ფირუზ ბესარიონოვიჩი.

ამ ამბიდან გადის თხუთმეტიოდე წელი და მართლაც სიმსივ-ნე დაუდგინეს კუჭზე ბესარიონოვიჩს, — რაც მას შეცდომა ეგონა, გაბრაზებულმა ექიმს საავადმყოფოს ფოიეში „ტაბურეტკაც“ კი ეს-როლა. სამწუხაროდ ეს დიაგნოზი რეალობა გამოდგა და 1977 წლის 7 იანვარს ალაგირში გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი თხოვნაც შეუსრულებელი დარჩა. რატომლაც ვერ მივაბარეთ იმ მინას, რო-მელმაც ის გაზარდა. ეს ფირუზ ბესარიონოვიჩი იყო ჩემი ძვირფასი პაპა. (ვ.ქ.)



„ ბრიუგი ჰქვიანის ბარგია, ზურგით სათრევი გულალა
უნდა ჰქვიანმა აწოროს ბრიუგის ნათალი მრულალა“ (ვაჟა)

ცალულვაშა — ცალნამუსა

ქნელია ბოლომდე ჩასწვდე და შეიცნო მეცხვარის პროფესია, თუ თვითონ არ გქონია შეხება ცხვართან. მამა-პაპური კანონის მიხედვით მეცხვარე თუ გქვია უდავოდ ხარ გმირი, ნამდვილი ვაჟკაცი, ამტანი, მომთმენი, გამძლე, გამშედავი, ღონიერი, გონიერი, ნიჭიერი, ბუნების მოსიყვარულე, ფაუნის დიდი მცოდნე და ქომაგი.

მთაში დაუნდობელი ქურდი მეცხვარის სახელზე უფრო სამარცხვინო კაცისთვის არაფერი არ არის. უფრო თავმოსაწონი და პატივსაცემი კი „დიდი მეცხვარის“ სახელია, რომლის ვაჟკაცობისა და სამართლიანობის სიმბოლოს მისი ულვაში, იარაღი და ცხენი წარმოადგენდა.

კარგი მეცხვარისთვის კარგ ცხენად ითვლებოდა ისეთი ბედაური, რომელიც სისწრაფესთან ერთად შეძლებდა ლამით კლდებზე ფეხშეუცდომლად სიარულს, მძიმე ტვირთის გადატანას, ზღვანყალში გასვლას, პატრონთან „ლაპარაკს“ და გონივრულ ურთიერთობას.

იარაღი უნდა ყოფილიყო აუცდენელი, ხანჯალი ბასრი „გუგულის ნერწყვში გალესილი“, მოვერცხლილი და მოსევადებული, რომელიც „უალალოდ“ არ შეეხებოდა სხვის საქონელს. ულვაში კი ის ატრიბუტი იყო კაცისთვის, თუ არა თავისი, სხვისას ვერ იყიდიდა, ვერ მოიპარავდა, იარაღივით ვერ გასაჩუქრდებოდა და ვერც ოქრო-ვერცხლით მოირთვებოდა, იგი ბუნებისგან ჯილდოდ და სინდის-ნამუსის დასტურად ეძლეოდა ადამიანს. სახეზე ულვაში პირდაპირი ბეჭედი იყო ვაჟკაცობისა. ულვაშის ტარების ტრადიციის პარადოქსია აქ ნაამბობი კურიოზი, რომელიც ყიზლარის ზამთრის საძოვრებს უკავშირდება.

ქარჩოხელ მეცხვარეთათვის განკუთვნილ საძოვრებზე ხშირად მეზობლად მდგომი ჭართლელთა ცხვრის ფარები ბალახობდნენ. ფარას და მის ოთხფეხა ერკემლებს წინ, მხარზე თოფგადაკიდებული ორფეხა „ერკემალი“ დაუძლვებოდა. ანთროპოლიგიურად ქართველის არამსგავსი, ავრეხი, შესახედაობით და აღნაგობით

„სრულ უმეცრებას აღამიანი სრული გონიერებაჩლონგობამდე მიჰყავს (ჰელვეციუსი)

მახინჯი, შავი დიდი ულვაშებით, ცხენის კბილებზე უფრო დიდი, თითისისხო კბილების მქონე, მოძალადე „ბალახის ქურდი“ დადი-ოდა ქარჩოხელთა ადგილებში და თავის შესახედაობით აშინებდა და ჩაგრავდა ქსნელ მწყემსებს. მათი ცხვრის მსაზრდოებელი კუ-ტიმლაშათი და მიტლინგა ბალახით ალაღებდა და ასუქებდა თავის ცხვარ-ბატკანს.

ერთხელაც მოთმინება დაკარგულმა ჩვენმა მწყემსებმა, თინი-კაშვილი რეზოს ვაჟეაცობით დაიჭირეს ეს ავყია, ბრიყვი მთიული და უთხრეს: ულვაშს რად ატარებ, რისთვის გინდაო?

განეიტრალებულმა ჭართლებმა ყინჩად მიუგო:

— როგორ თუ რისთვის?! — ვაჟეაცობისა და ნამუსის ნიშნა-დო.

მერე შენ არც ვაჟეაცობა გაგაჩნია და არც ნამუსი, ულვაშები ტყუილად გაქვს, უნდა მოგპარსოთ. — ამოაძრო რეზომ, ბურნაზე გაშელართულ ცხენისკბილებიან მოძალადის ქარქაშიდან მისივე დანა და ცალი ულვაში ჩამოპარსა და გააფრთხილა:

თუ კიდევ დაარღვევ საზღვარს, თავს გადაგპარსავთ და თუ მა-ინც ჭკუას არ ისწავლი ყურებს დაგაჭრით — უთხრეს და გაუშევს. ცალულვაშიანი და თავგატეხილი წავიდა მთიული, დადიოდა და ჩიოდა - ახალგორელებმა აი, რა დღე დამმართეს და პასუხი აგები-ნეთო. ეს ცალულვაშა მაშინდელ სოფლის მეურნეობის სამმართვე-ლოს უფროსთან მიხეილ გელაშვილთან მივიდა. მიხეილი მოხევე კა-ცი იყო და მეზობელი მთიული კაცის თახსირობა ითაკილა.

უნამუსო კაცი ცალულვაშსაც არ იმსახურებს, ნეტავი მაჩვენა ვინმემ ის კაცი, სულ რატომ არ მოგპარსა რომ დადიხარ და გვარცხ-ვენ ქართველებს, მომშორდი აღარ დამენახო თვალით, — გალანძღა მოხევემ ჭართლელი მთიული. წამოვიდა და დადიოდა ერთ თვემდე ასე ცალულვაშა — ცალნამუსა მეცხვარე საჩივნელად, ინსტანცი-დან — ინსტანციაში, სანამ თავისი მოქმედებითაც არ დაამტკიცა სახეზე არსებული ანთროპოლოგიურად მანამდე დასაბუთებული თავისი არაქართველური წარმომავლობა.

**„აღამიანის ხასიათში არის ისეთი რამ,რაც არ შეიძლება
გასტეხო: ეს ხერხემალია ხასიათისა“ (ლიხტენბურგი)**

სამაგიერო და მისი კულტ

წვიმიანი და ცივი შემოდგომა, ზამთრის პირზე მზიანი და თბილი ამინდით ქარჩოხლებს გულს, რომ მოულბობს, დაუმთავრებელ საქმეს დაამთავრებინებს, საზვავებიდან თივებს საგულეებზე დააქუჩებინებს, წიფლის ხმელ შეშას სახალიკედან სახლში ქალის ზურგზე ფოთოლდაფენილი გუდურებით მიატანინებს, ზამთრის-თვის მომარაგებულ წმინდა დოლის პურსა და ქერ-დიკას წისქვილებზე დააფქვევინებს, ბაგას, გოდორს, ჯინს, ლასტს, რომ დააწვნევინებს, მარილს, ნავთს, საპონს, რომ მოამარაგებინებს და გლეხკაცს გული-გულიალაგას დაადებინებს. მაშინ იტყოდა დალლილი ქსნელი: — ერთი პატარა ზაფხული კიდევ წავიდაო. სწორედ ერთი ესეთი პატარა ზაფხული მთავრდებოდა იმ დღეს, როცა წავისხევზე მცხოვრებმა „დეზებიანმა“ ჩიტემ, მამა-პაპურად მოილნინა და გაერთო სოფ. ელორიანში რევაზ ელოშვილის ოჯახში.

რევაზა იმ ცნობილი, მაღალი მთების შვილი იყო, რომელიც ამაყი კავკასიონის სამხრეთის განშტოებაში ლომისის მთაგრეხილად წარმოგვიდგება. მისი ქმედებები ხანდახან არა ეთიკურია და მიუღებელი. მისალებია მისი შრომისმოყვარეობა, ოჯახის ერთგულება, ნათესავ-მეგობართა და მეზობელთა პატივისცემა, მათი ჭირისა და ლხინის გაზიარება, სტუმართმოყვარეობა, ამხანაგისა და სიტყვის არ გაცემა, არა მექალთანეობა. ხეობაში ჭკუის საკითხავი კაცი, ენა მოსწრებული, ტკბილად მოუბარი და რაც ამჯერად ჩვენთვის უფრო საინტერესოა, დიდი იუმორისტული ნიჭის პატრონი იყო.

ის დღე, რომელიც ჩიტემ ელოშვილ რევაზასთან გაატარა, მართლაც ქართული ოჯახიშვილობისა და სტუმართ-მასპინძლობის დემონსტრირება იყო, ხოლო იმ დამეს, ფრიად პატივცემულმა სტუმარმა, რაც მასპინძლის ოჯახს გაუკეთა, არანაირად მთის დაუწერელ კანონს არ ექვემდებარება. მიტომაც, შემდგომში მასპინძლის გადადგმული ნაბიჯი ჩიტეს მიმართ ადეკვატური, მაგრამ ამავდროულად ნეგატიურიც იყო.

ნაქეიფარი და ნასვამ-ნაჭამი ჩიტე რევაზამ გზაში საფრთხის გამო თავისთან სახლში დაიტოვა, თბილ და რბილ ლოგინში დააძინა

„იღამიანები არასდროს განიცდიან სინდისის ქვეჯას ჩვეულებად ქვეული საქციელის გამო“ (კოლტერი)

და მეტი პატივისცემით ზედ ნაბადიც მიაფარა. სტუმარმა „დაიძინა“. ლამე მეტად ცივი და წვიმიანი იყო. ჩიტეს გულში ჰქონდა ამოჭრილი იმ ფიქრის განხორციელება რაზეც წინა წლებშიც უფიქრია და განუხორციელებია კიდეც. ზამთარი დგება, ჯალაბს 10-12 მეშვე ქერზე და მწარე კარტოფილზე ხომ არ დატოვებდა, უნდა ემოქმედა ისე, როგორც რევაზას ბერნი ძროხის ნახვის მერე გული და გონება კარნახობდა. ჩიტეს წადილის ასასრულებლად ის ლამე ძალზე ხელსაყრელად ეჩვენებოდა. „პირველ ლამეს“ უხმაუროდ აეპარა საწოლიდან მასპინძელს, ბოსლიდან ძროხა გამოიყვანა, ნავისხევზე სახლში აიყვანა, თვითონ დაბრუნდა, ყველასთვის უჩუმრად დაწვა და დაიძინა. „მეორე ლამეს“ დაიწყო თოვა. ჩიტეს ნაკვალევი თვით დედამინასაც აღარ ახსოვდა, ირგვლივ ყველაფერი თოვლს დაეფარა.

გათენდა. ოჯახიშვილებმა გაიღვიძეს. ბანები გადახვეტეს. და ბოსელში ჩასულებმა „ბაბილა“ მოიკითხეს. რევაზას გულმა უგრძნო, რომ ჩიტემ უღალატა, მაგრამ სამხილის უქონლობის გამო დაითმინა, გადაწყვიტა ცივი გონებით ემოქმედა.

— ჩიტე, მე შენი დედა გავტყან, აქ რომ არ ყოფილიყავი უთუოდ შენ დაგაბრალებდი, ეხლა კი ვეღარაფერს გეტყვი.

ჩიტემ და მისმა ჯალაბმა რევაზას საპინვით ზურგიანი ბერნი ძროხა დაკლა და იმ ზამთარს კარგი გემოც გამოიღეს.

ამ ამბიდან გავიდა შვიდი-რვა თვე და ახლა რევაზა ელოშვილი მოხვდა ჩიტეს სახლში. მასპინძელმა მეტი სიხარულით ქუდი ააგდო ჭერში და სტუმარს მხიარულად მიესალმა. რევაზას ახსოვდა ჩიტეს „ქველმოქედება“ და აი, შემთხვევამ ხელში შეაჩეჩა სამაგიეროს გადახდის შანსი. დარბაზის ბორჯლალ-ბოლაურებიან დედაბოძს ვერცხლის მშვენიერი ქამარ-ხანჯალი ამშვენებდა. კარგად მოილ-ხინეს „ავტორიტეტებმა“. „ცალთვალა ეშმაქმა“ თავი უფრო მეტად მოიმთვრალა ვიდრე იყო და დასაძინებლად დაწვა. ჩიტე იმის ჩიტი არ იყო, რომ წინდაუხედაობა გამოეჩინა. ჭადრაკში საშიშ ფიგურა-სავით სტუმრის მოსალოდნელი სვლის თავიდან ასაცილებლად და ქიშის დასაძახებლად სახლის გასასვლელი კარი ჩაკეტა. თვითონ კი

„სინდისი და პატიოსნება ტანსაცმელს ჰგავს: რაც უფრო მეტად
არის შელახული, მით უფრო დაუღევრად ეპყრობი“ (აპულეუსი)

დაწვა და უდარდელად დაიძინა.

რევაზას შურისძიება არ აძინებდა. ადგა ჩამოხსნა ქამარ-ხანჯა-
ლი და ფანჯრიდან შორს ჭინჭრებში მოისროლა, რის მერეც მასპინ-
ძელივით მშვიდ ძილს მიეცა. მეორე დღეს ბოლაურებიან დედაბოძ-
ზე ალარ ბრჭყვიალებდა მოსავადებული ხანჯალი და მოცვარული
ქამარი. ჩიტეს ნელი მოსჭრა სხვის ნელზე თავისი ქამარ-ხანჯლის
შემორტყმის გაფიქრებამ. რევაზამ თავი იმართლა: — ნუხელის გა-
რეთ არ გავსულვარ ღრმა ძილით მეძინაო. მომდევნო ღამეს ნავიხე-
ვის ჭინჭრებიდან ძვირფასი ნივთების წალება რევაზასთვის მტრის-
გან წართმეული დროშის დაბრუნების ტოლფასი იყო.

ზემოთ მოთხრობილი ამბებიდან 3-4 წელი თუ იქნებოდა გასუ-
ლი, რომ სოფ. ელიოიანში რევაზას ძმამ არსენ ბეროს ძე ელოშვილმა
იქორწინა ჩიგოიანელ ქალზე. ქორწილში ნეფეს გვერდს უმშვენებ-
და მეჯვარე არსენ გიორგის ძე პავლიაშვილი, (დოლაბა) რომელსაც
წელი რევაზასგან ნათხოვარ ვერცხლის ქამარ-ხანჯლით დაემშვე-
ნებინა.

შუა ქორწილში, როგორც მაშინ „მოდად“ იყო ქცეული გახდა
ჩეუბი და ხანჯლების ტრიალი. მეჯვარე წამოდგა, სუფრიდან გა-
დავიდა და ხანჯალი გააძრო. მონინაალმდევე მხარემ იცნო წლების
წინ ჩიტეს დაკარგული ქამარ-ხანჯალი და ჩხუბმა ურფო მეტი დატ-
ვირთვა მიიღო. საქმეში საბედნიეროდ იმ დროის გავლენიანი ოსი
უხუცესები ჩაერივნენ და მდგომარეობა განიმუხტა. საბოლოოდ ეს
აურ-ზაური ქამარ-ხანჯლის წართმევითა და დანაშაულის გახსნით
დამთავრდა, რომლის საბოლოო დასკვნა თქვენი გასაკეთებელია,
ძვირფასო მკითხველო.



**„ქომიკურია თავდაჯერებულობა იდამიანისა, რომელიც
მთელი სერიოზულობით აქტოებს რაღაცას და ყოველთვის იმის
საპირისპიროს იღებს რასაც ესწრაფვის (პეგელი)**

იცინიან ეარჩოხელები

საიგაკი ანუ საიგა, მამონტების დროინდელი ფაუნიდან შემორჩენილი ძეგლია. მისი არსებობის ისტორია 50-70 ათას წელს ითვლის. მაშინდელი ფაუნის აბსოლიტური უმრავლესობა კლიმატის შეცვლის გამო ამონებდა, საიგაკი კი გადარჩა და ევრაზიის უზარმაზარ კონტინენტზე ღია ლანდშაფტის მასობრივ სახეობად იქცა.

საიგაკი ძალიან სწრაფად დარბის. საფრთხისგან თავის დაღწევისას მას საათში 80 კმ. სიჩქარე შეუძლია განავითაროს და თან ასეთი მაღალი ტემპი საკმაოდ დიდხანს შეუძლია შეინარჩუნოს. მის რეცეპტები სამოსავლურ მედიცინაში უხსოვარი დროიდან სხვადასხვა სახის პრეპარატების დასამზადებლად იყენებენ, ხორცს კი როგორც კასპიის ზღვის სანაპიროს მოსახლეობა, ისე დაღესტნის სტეპებზე მომთაბარე ჩვენი მეცხვარეები საკვებად მოიხმარდნენ.

საიგას ხორცს ერთი უარყოფითი თვისება აქვს, ოდნავ ზედმეტად მირთმევისას იწვევს კუჭის მოქმედების დარღვევას და ფალართს. ამგვარ უხერხეულობას და დისკომიფორტს გადაეყარა ყიზლარში ქარჩხელ მწყემსთა დასახმარებლად ჩასული ჩვენთვის კარგად ცნობილი კოლმეურნე რევაზ ბეროს ძე ელოშვილი. მას სამწუხაროდ აწყინა მწყემს — მონადირეთა მიერ ნანადირევმა, მამონტების დროიდან შემორჩენილი ფაუნის — საიგაკის ხორცმა.

სამწყემსურში ყოველდღე მინდვრად მოსიარულე, საკმაოდ გაუსაძლის ყოფაში ჩავარდა. მას არც ფარმაცევტის მისამართისა და არც შინაურ ექიმბამთა მიერ შექმნილ ნამლებზე მიუწვდებოდა ხელი. დადიოდა ასე გალაჯული, შეწუხებული სახით და ჯავრზე სკდებოდა, რომ მისი ამხანაგი სოფ. კალერთიდან ვანო ხოკრიშვილი მთის ჯერანივით დაბოტებდა და აბუჩად იგდებდა ტრანაშეყრილ რევაზს. ბეროევიჩს ერთ-ერთ უარყოფით თვისებად შეიძლება ჩაეთვალოს წყენინების გულში დამარხვა და სამაგიეროს გადახდის დიდი სურვილი. ამჯერად მასში გაიღვიძა შურისძიების დიდმა სურვილმა, რომლის საფუძველს ვანოსგან ძველი უპატივისცემლობის ხსოვნა წარმოადგენდა.

„ხანდახან ჭიკვიანიც არის ხოლმე სულელი, ხოლო სულელი კი არასოდეს ჭიკვიანი“ (სალონტინი)

ცხვრის სამწყემსავად სტეპში ერთად მოსიარულე რევაზა და ვანო თითქმის კარგი მეგობრები ჩანდნენ, ერთმანეთის მოჭირნა- ხულებად ეჩვენებოდა შორიდან შემხედავ კაცს. სინამდვილეში სა- მაგიეროს გადახდის ჭია აცოცებიდა და არ ასვენებდა „ცალთვალა ეშმაკს“. ერთხელაც მინდორში გასულმა, ფალარათით შეწუხებულ- მა რევაზამ გადაწყვიტა ვანოსგან დაცინვის პასუხად თავისი არა სახარბიელო მდგომარეობა გამოეყენებინა და არაეთიკური, ძალზე უტაქტო მოქმედებით გაებიაბრულებია.

— ვანო, შეი ჭიიმე, ერთი რამე უნდა გითხრა., მცხვენია კიდეც, მაგრამ რა ვენა უკან დასახევი გზა აღარაა. საჯდომზე ეკალი მაქვს შრქობილი. ერთი კვირაა ესე ვიტანჯები, უნდა მიშველო რამე, ვკვდები კაცი, — უთხრა რევაზამ თავის ამხანაგს.

— როგორ თუ ეკალი! ტრაკზე ეკალს რა უნდა? აქამდე რატომ არ მითხარი, როგორ იტანდი? სხვის გაჭირვებაში მაგარი ხარ, შენ- თვის კი მორიდებული.

— ეს რამდენიმე დღეა ესე დავეთრევი, მეხათრება, მრცხვე- ნია და რახან გითხარი შენი ჭიიმე, ერთი შემომხედე, იქნებ გამო- აძრო, — უთხრა რევაზამ ამხანაგს. და ჩექმების ყელამდე შარვალ ჩახდილმა უკანალი მიუშვირა. ვანომაც გამოცდილი ექიმ-პროქტო- ლოგივით შეხედა საჯდომზე და ინტერესით ჩაეკითხა აბა სად? აბა სად? აქ არაფერი ეკალი არ არის.

— როგორ თუ არ არის, კარგად შეხედე, შეი ჭიიმე, კარგად, უნ- და მომარჩინო.

— რისგან მოგარჩინო, ვერაფერს ვერ ვხედავ! — სად გტკივა, მითხარი, სად?

— აი მანდ, შეი ჭიიმე, კარგად შეიხედე, კარგად! — უთხრა გაბ- რიყვებულ ვანოს რევაზამ და სტრატეგიულად ხელსაყრელ პოზი- ციიდან დაცალა საიგაკის ხორცით დაბინძურებული მუცელი და პირდაპირ ვანოს სახეზე მიაქაქა. ფუკუ — და წამოხტა რევაზა. ჩახ- დილი შარვალი ხელით ეჭირა და მაკე საიგაკივით მოღუნული გარ- ბოდა მინდორში. ვანომ ბევრი იფურთხა, იგინა, რის ვაივაგლახით გაისუფთავა გაოთლილი ტოლალებით სახე. გულზე მჯილი შემო-

იკრა და ცხრასართულიან გინებებსა და მუქარებს მოჰყვა. იმ დღი-დან რევაზამ სერიოზული მტერი და თავის პოტენციური მკვლელი შეიძინა. დაუძინებელ მტრად გადაეკიდა ხოკრიშვილი ელოშვილს. ვანოს ხალხში დაუფიცია, რომ თავის გრძელი ხანჯლით, რომელიც ყველგან თან დაჰქონდა, — მოკლავდა რევაზას და არ აპატიებდა ასეთ უგვანო შეურაცხყოფას.

რომ იტყვიან, რევაზა სათოფედ არ ეკარებოდა დაზარალებულს და მაქისმალურ სიფრთხილეს იჩნდა, რომ არსად შეყროდა პირის-პირ. გარკვეული დროის შემდეგ ენაწყლიანი ბეროევიჩის ტაქტიკამ, გამოასწორა ვანოსთან უტაქტობით გაფუჭებული ურთიერთობა. წელიწადნახევრის მერე მიგზავნილი შუაკაცების დახმარებით მოხერხდა ამ ორი ქარჩოხელის შერიგება. რევაზამ ძველი ყოჩი დაკლა ხოკრიშვილთან შერიგებაზე და კარგი პურმარილი გაშალა. ამ ძალ-ზე სასირცხვილო, დამამცირებელი ქმედებით დაადასტურა ორივე ქსნელმა, რომ მიუხედავად ასეთი დიდი ცდომილებისა, მაინც მათ ბუნებაში არ იჯდა დემონი, რომელიც ერთ რომელიმეს მაინც მიიყვანდა სრულ ფიასკომდე.



სტების საიგადი

„ჩვენი გული ხშირად გაეხუმრება ხოლმე ჩვენს გონებას“ (ლარო შფუქო)

პრიგადირის მოხერხება

1975 წლის ერთ მშვინეულ დღეს, ქარჩიოხის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფ. წიპტაურების მკვიდრმა, ბალაანის კოლ-ბის მემინ-დვრეობის ბრიგადის ბრიგადირმა, შაშო მათეს ძე წიპტუარმა, ცნობის ასაღებად მიაკითხა სა-სოფლო საბჭოს, რომლის თავმჯდომარე გახ-ლდათ ამირან ორდას ძე ბალაშვილი, მდივანი მერაბ მიხეილის ძე ბალაშვილი, ხოლო ბუღალ-ტერი კი ცნობილი იუმორისტი ვარდო ალექ-სანდრეს ძე გოჭაშვილი.

შაშომ სამუშაო ოთახის კარები მოწინებით შეაღო, იქ მყოფთ მიესალმა და საქმის საჭი-როებაზე ცნობა მოითხოვა. გოჭაშვილმა ბრი-გადირს გამომცდელი თვალით შეხედა. მერე მდივანს მიუბრუნდა და უთხრა: ამ კაცს ცნობა დაუწერე და მე მომაწოდე. შტამპიან ქალალდ-ზე საჭირო ცნობა სახელდახელოდ დაიწერა, თავმჯდომარემ ხელი მოაწერა, ბეჭედი დაარ-ტყა და ვარდოს გადაულოცეს. მან ცნობა გუ-ლის ჯიბეში ჩაიდო და კვლავ შაშოს ვულგარუ-ლად შეხედა.

— ბალდო ერთ შეკითხვას მოგცემ, თუ უპასუხებ, ცნობას წაიღებ, თუ ვერ უპასუხებ მაინც წაიღებ, მაგრამ 6 ბოთლ „გარეჯს“ იკისრებ, ამ პურისმჭამელ ბიჭებთან, — თანახმა ხარ?!

— თანახმა ვარ! — გულიანად გაიცინა ბრიგადირმა და კითხვას დაელოდა.

შენ როგორც მემინდვრეობაში მომუშავე კაცს შეგეკითხები, რა ჰქვია შენ დაკავებულ პოსტს?

ჩემს დაკავებულ პოსტს ჰქვია ბატონო, — მემინდვრეობის „ბრიგადელი“.



შერაბ მიხეილის ძე
ბალაშვილი



შაშო მათეს ძე
წიპტაური

არ არის სწორი პასუხი, — უთხრა გამომცდელმა და გრამატიკულად შეუსწორა: შენ გქვია მემინდვრეობის ბრიგადირი და არა ბრიგადერი. ეს ერთი — უთხრა გოჭაშვილმა, მეორე: სადაური სიტყვაა ბრიგადირი?

— სადაური და რუსული, — მკვირცხლად უპასუხა ბრიგადირმა.

— არც ეს არის სწორი პასუხი. — ბრიგადირი რუსულიდან შემოსული გერმანული სიტყვაა. კარგი, გეპატიება ენციკლოპედიური გაუნათლებლობა, გლეხურს შეგვეითხები. ეხლა გამოგიჩნდება რა ნიჭისა და ალლოს პატრონი ხარ. თუ შეკითვას ვერ უპასუხებ ჩვენს წინადადებას მიიღებ.

— მაშ ასე — ხელის მტევანი ჩამოარტყა მაგიდის კიდეს გოჭაშვილმა და ფეხზე მდგომ, გაჭიმულ, ორმეტრიან ბრიგადირს ბოლო და გადამწყვეტი შეკითხვა დაუსვა:

გახვედი შენი ბრიგადის კუთვნილ ნაკვეთზე, რომლის ბოლოზეც ეზოსთან ახლოს შენიშნე კუკი. მითხარი როგორც მოწინავე ბრიგადირმა როგორ უნდა გაიგო კუკი ქალისაა თუ კაცისა?

— როგორ თუ როგორ უნდა გავიგო ალექსანდროვიჩ, მივალ, დავხედავ, კარგად დავაკვირდები ისე, რომ თვალი დავადგა და ფეხი არა. თუ იქვე სულ ახლოს მოფსმულია მივხვდები, რომ ქალისაა, თუ არა და კაცისა.

აპა, შე ძალუა ლამაზო! — გაუწოდა ცნობა ბულალტერმა და თან უსაყვედურა: — რა კარგი სუფრა დაგვაკარგინეო! გულუბრყვილო, ბრტყელკბილებიანი ბრიგადირი კი იდგა და იცინოდა დოლში გამარჯვებული ცხენის პატრონივით.



„ადამიანი უფრო ჩქარა აწყენინებს იმას, ვინც
უყვარს, ვიღოვ იმას ვისიც შიში აქვს“ (მაკიაველი)

ოცდი ამოსული

ქმბავი რომელიც აქ უნდა გიამბოთ 1971-73 წლების პერიოდს ეხება. ბოლო აღნიშნულ წლამდე ახალგორიდან ქსნის ზემონელის-კენ ავტობუსი არ მოძრაობდა. მთის მარშრუტის ბოლო პუნქტი ლარგვისი იყო. სწორედ ამ პუნქტიდან ახალგორში ავტობუსით გასამგზავრებლად ქარჩხიდან ლარგვისში ფეხით ჩაბრძანებულა ვარდო გოჭაშვილი.

დეგას, ქარჩხიდან ფეხით ნამგზავრი ჩვენი ალექსანდროვიჩი და ელოდება ახალგორიდან მომსვლელ ავტობუსს. შიძშილით არ შია, მაგრამ თეთრ ლეინოს, მონასტრის ქსნისპირა რესტორანში, გნებავთ იქვე მდგარ სასადილოში, დიდი სიამოვნებით გეახლებოდათ, თუმც ფრთხილობს, ერიდება სასადილოს, მართალია მის სიახლოვესაა, მაგრამ მისკენ გახედვაც არ უნდა, ეტყობოდა, რომ რაღაც საშური საქმე გამოჩენოდა „ყასბების ქალაქში“.

ავტობუსი იგვიანებდა, თითქოს მის ნაცვლად საიდანლაც ფეხ-თეთრი ცხენით მოთოხარიკდა, შუახანს გადაცილებული გავაზელი იოსებ კაჭიური. ცხენი ღობეზე მიაბა და სავაჭროს ნაცვლად სასა-დილოში ისე შეკუნტრულდა, რომ ვარდო არამცთუ მიიპატიჟა, ხეირიანად გამარჯვებაც არ უთხრა.

ვარდოს ძლიერ ეწყინა თავისი ტოლი კაცისაგან, თანაც ძველი ნაცნობისაგან ასეთი დაუმსახურებული მოქცევა და თავისთვის გაიფიქრა: — დრო, რომ მქონდეს ხომ დედას გიტირებდი კაჭიურო, ისეთს დაგათრობდი, რომ ცხენის მაგივრად აიმ ლაფიან ლორზე ჯდებოდეო.

არ გასულა ათიოდე წუთი და ავტობუსიც მოვიდა. მანქანიდან



გარდო ალექსანდრეს ძე
გოჭაშვილი

„გამოიზოგეთ დრო, დრო — ქარგაა, რომელზედაც იქსოვება სიცოცხლე“ (ჩიშარ)

პირველი ჩამოხტა ვარდოს ერთ-ერთი „პრიამოი“ ძმაკაცი სოფ. ხოზოში მცხოვრები მათე გიგოს ძე გამხიტაშვილი. მან მეგობრისად-მი პატივისცემის გამოსახატავად ორივე ხელით ჩამოართო ხელი, მოიკითხა და უთხრა: — შენ ვიცი უცხენოდ არ იქნები ჩამოსული, ქარჩობზე მივდივარ და ჭორჭოხამდე გავიყოლებდიო.

— როდის იყო ვარდო უცხენოდ და უმაუზეროდ დადიოდა. აგერ როგორი ცხენი მიბია, — ანიშნა კაჭიურის ცხენზე და გაუცინა.

რაიონიდან შილიფად მისული მათე მაშინვე მოახტა ფეხთეთ-რას. ვარდო ახლო მივიდა ცხენთან, მეტი დამაჯრებლობისთვის მო-სართავები აუჭირა, პირში ლაგამი ამოსდო გავაზე ხელი დაურტყა და მიაძხა, ცხენი სახლში გყავდეს, ზეგისთვის აღწერაზე ამოვალ და იქ დამახვედრეო! მათემ სიხარულით ქუსლი შემოსცხო „მეგობრის“ ცხენს და ნიავივით გავარდა. ვარდო კი ავტობუსში ჩაჯდა და ახალგორში წავიდა. დარჩა იოსება უცხენოდ, ბოთლა ღვინისა და ხარჩოს ამარა. ძველი ნათქვამია, — ძუნნი კაცი ბევრს არ სვავსო, იოსებმაც იმ ძუნნი კაცივით მალე მოითავხელა და ფქვილის წა-სალებად ცხენი მოიკითხა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ვერსად ვერ წახა თავის ფეხთეთრა. საბედნიეროდ დამნახავი გამოუჩინდა და სწორი ინფორმაცია მიაწოდეს.

შენ ცხენზე ხოზოური მათინა დაჯდა და სულ კუდგაჭვერილს მიარბენინებდაო. იცა თავში ხელი, არ დაიჯერა: — მათე მე ცხენს როგორ მომპარავდაო?!

არა, არა, მართალია, ზუსტად მათე იჯდა კარგად დავინახეთო. სხვა რა გზა ჰქონდა გავაზელს, ქუდი გვერდზე მოიგდო და გაეკიდა ბრაზმორელი. მიდის მათე და მისდევს უკან იოსები. ორივემ ბევრი ირბინა. მივიდა ხოზოეთში ფეხთეთრა და ცოტახანში მიჰყვა ოფლ-ში გაწურული კაჭიური.

— რა მიყავი შე ოჯახდანგრეულო, რა ცუდი მოგაგონდება ჩემ-გან, რა ცუდი გამიკეთებია შენთვის ამდენი, რომ მარბენი და მას-ხარად ამიგდე. რად წამოიყვანე ჩემი ცხენი?! გულამოვარდნილი ქა-ქანით საყვედურობდა გავაზელი ქარჩოხელს.

— მე რა გარბენე, შენი რა წამოვიყვანე. რას მედავები? გაკ-

ვირვებით მიუგო მათემ.

რა და კიდევ თვალში ნაცარს მაყრი?! მაბრმავებ? არ ეკადრება შენისთანა კაცს ამნაირი საქმის კეთება. რატომ არ ტყდები, რა პატარა ბალლივით იქცევი. ცხენი ჩემია მთელმა ქვეყანამ იცის, თქვენ საწილოდანაც კი უზიდია მაგ ცხენს თვები.

ცხენი გოჭაშვილმა მომცა. იმისია, მე კი არ ვიჩემებ, ზეგ თვითონ ამოვა და წაიყვანს, მე ნუ მეჩეუბები.

— რა გოჭაშვილი, რის გოჭაშვილი, ცხენი მომეცი, აქიდან მაინც ნუღარ მატარებ ფეხით, ბალლივით რატომ მექცევი? აგრ მოკაკულ ლექსოს რამდენჯერ ყოლია ულამში იმას მაინც უთხარი ვისიაო, თუ შენ დაგიბრმავდა თვალები და ვეღარ არკვევ ვერაფერს — გაბრაზდა იოსები.

დიდი დავი-დარაბის შემდეგ მათემ როგორც იყო დაუბრუნა მეზობელ სოფლელს თავისი ცხენი. დაბრმავებით კი არც მათე დაბრმავებულა და არც იოსები. სამწუხაროდ ხეობაში ცნობილმა კოლორიტმა კაცმა, ბევრი კარგი საქმის გამკეთებელმა, დიდი იუმორის მქონე ვარდო ალექსანდროვიჩმა სიბერეში დაკარგა თვალის ჩინი. დიდი სამეგობროსი და სანათლიმამოს პატრონი, მშობლიურ ჭორჭოხში, ბებერი ცაცხვების ქვეშ განისვენებს სამარადისოდ.



მათე გოგის ძე გამზირა შვილი

**„იღმიანი ყოველთვის ყველაზე საინტერესო მოვლენა იყო და
იქნება აღმიანისათვის (ბელინსკი)**

პოვლიეთის პოცონი

გასული საუკუნის 70-იან წლებამდე, ქარჩოხის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელი ბალაანი, კომპაქტურად დასახლებულ პუნქტად ითვლებოდა. ერთმანეთის მიჯრით, მერცხლის ბუდეებივთ მიშენებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა სახურავები და ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი ბანები, ვიწრო შუკებით და-ყოფილ ტერასულ დასახლებას წარმოადგენდა. სოფელს ცენტრში აღმართული პირამიდული ფორმის კოშკი ამშვენებს. იქვე, კოშკის სამხრეთით ძველ, მამა-პაპურ სახლში ცხოვრობდა „მოურავიანთ“ შტოს წარმომადგენელი - გიორგი შიოს ძე ბალაშვილი, ხოლო კოშკიდან დასავლეთით შორიახლო „მათეანთ“ შტოს წარმომადგენელი - ასანა (არსენ) ლექსოს ძე ბალაშვილი.

ერთხელ ეს კარის მეზობლები და ახლო ბიძაშვილები გიორგი და ასანა მსუნავი ლორისგან მოთხრილ და გადაადგილებულ მიჯნის ქვაზე წაიკიდნენ. შიოვეიჩი კოლმეურნეობაში ფინანსებს აღრიცხავდა, იყო მოქეიფე და სტუმართმოყვარე, მაგრამ ამავდროულად ფიცხი და ემოციური კაცი. ასანა კი წყნარი, დინჯი, დუდუნით მოლაპარაკე.

ლორის დინგით არეულ მიჯნაზე, ორიენტაცია დაკარგული მეზობლები ცდილობდნენ თავთავიანთ სიმართლის დამტკიცებას. ბახუსის დროს გიორგიმ მეტისმეტი გაბრაზება იცოდა. ამჯერადაც, ყვირილით და ხელების ქნევით გაქანდებოდა მიჯნისკენ, მივარდებოდა, ფეხით გახაზავდა მინას, მერე კივილით უკან ქამარზე ჩაფრენილ მეუღლეს — კეკეს დამორჩილდებოდა და სახლისკენ მიჰყვებოდა გინებითა და ხელების ქნევით. ახლა ამის შემყურე სახლის კარებში მდგომი ასანა წამოვიდოდა, გიორგის გახაზულს წაშლიდა და სხვა ხაზს გაავლებდა. ახლა დარიკო დაებლაუჭებოდა თავის მხარბეჭიან ქმარს და რის ვაივაგლახით აბრუნებდა უკან. არის ერთი განამარია და ყვირილ-ჭყივილი ბიძაშვილებით დასახლებულ პატარა სოფელში. კაცმა არ იცის როდამდე გაგრძელდებოდა ან რით დამთავრდებოდა ლორის დინგით გამოწვეული ეს უსიამოვნო

„იყავი ტურთა, იყავ უებარო,
მდიდარი, ბრძენი, მხნე და ჰევიანი
მაგრამ ფიქრისგან არ განიშორო,
რომ შენ ხარ მხოლოდ აღამიანი“. (გურიელი)

კომფლიქტი, რომ უცებ საიდანლაც არ გამოჩენილიყო ცხენზე ამ-
ხედრებული, ჩვენთვის კარგად ცნობილი ვარდო ალექსანდრეს ძე
გოჭაშვილი. ვარდომ ერთი ჰაერში გაატყლაშუნა შავი, ტყავის კნუ-
ტი და დასჭყივლა მოჩხუბარ მეზობლებს:

— რას შვრებით გაბიდაურნო, რა გაჩხუბებთ, როგორ არ გრცხვე-
ნიათ!

ვარდომ მკაცრი, ომახიანი ხმით შეუტია ასანას: შენ სახლში შე-
დი და „დიდმოურავიანის“ კითხვა გააგრძელე! — შენ კი გიორგი მო-
დი აქ ჩემთან!

ვარდო თვალის დახამხამებაში გადმოხტა თავის იორღა ცხე-
ნიდან, იქვე ღობეზე მიაბა, მერე მოჩხუბარს ხელკავი გაუყარა და
დამნაშავესავით, თითქმის იძულებით შეიყვანა თავის სახლში. არ
გასულა დიდი ხანი და შიონათ გიორგის სახლიდან სადაც სულ ცო-
ტახნის წინ წივილ-კივილის ხმა ისმოდა მშვენიერი „სუფრულის“
ჰანგები გამოდიოდა.

ასანა კი კითხულობდა თუ არა „დიდმოურავიანს“, ეს თქვენთ-
ვის მომინდვია ჩემო ქარჩოხელებო.

ასე მარტივად ჩააქრო ვარდო გოჭაშვილმა ორ მეზობელს შო-
რის გაჩხნილი კომფლიქტის კოცონი.



„ღვიძონში უფრო მეტი ხალხი იხჩხობა ვიდრე წყალში!“ (ანდაზა)

შეგრჩეს მარჯვენა

მითქმის ნახევარი საუკუნის წინ, ქარჩოხში, ბალაანის ს. ორჯონივიძის სახელმძიმელოში კოლმეურნეობა, თავმჯდომარე ვალიკო გოჭაშვილი, თავის მსხვილფეხა საქონელს აზამთრებდა მცხეთის რაიონის სოფ. ძალისში, სანაცვლოდ ამ სოფლის მეურნეობის საქონელი მთელი ზაფხულის განმავლობაში ქსნის ხეობის სუბალპურ საძოვრებზე ბალახობდა. ასე ჰარმონიულად იყო შეთავსებული ერთმანეთს მთისა და ბარის რესურსები, საკოლმეურნეო სექტორი კი თანდათან მშვენდებოდა და შენდებოდა.

ერთხელაც, კოლ-ბის გამგეობის გადაწყვეტილების თანახმად, ქარჩოხიდან ძალისში მესაქონლეობის ფერმის შესამონმებლად და იქ არსებული პრობლემების მოსაგვარებლად გაიგზავნა მთავარი ბუღალტერი ვარდო ალექსანდრეს ძე გოჭაშვილი, ფერმის გამგე არსენ ისაკის ძე პავლიაშვილი (მირზაანთი) და მძღოლი ოსია ილიკოს ძე გოჭაშვილი. ზემოთ აღნიშნულ ობიექტზე, დელეგაციის სამდლი-ანი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად „აღმოფხვრილი იქნა ყოველგვარი პრობლემები“ და მეოთხე დღეს ოსიას „ბობიკით“ ბრუნდებიან ძალისიდან ქარჩოხში. საკოლმეურნეო შრომის აქტივისტებს გზად ერთი მუხრანელი კაცი დაემგზავრათ, მათაც ხათრი ველარ გაუტეხეს, ვილისში ჩაისვეს და სახლის კარებამდე მიიყვანეს. გამომშვიდობებისას მუხრანელი გაჭირვეულდა, გინდათ თუ არ გინდათ, ჩემს სახლში უნდა ვიქეიფოთო. შემოთავაზებაზე უარი არ უთქვამთ ბახუსის მოყვარულ ჭორჭოხელებს.

მალე შეზარხოშდა სტუმარ-მასპინძელი. ჩვენი მკითხველის-თვის უკვე ცნობილია სტუმრების ასავალ-დასავალი, მაგრამ არ იყითხავთ ვინ არის მუხრანელი კაცი ანუ ჩვენებურების მასპინძელი.

მასპინძელი გახლავთ სოფლის ერთი ტიპიური ქართლელი - გვარად ღვინიაშვილი, მოქეიფე და ნამეტანი სასმელის მოყვარული კაცი. მას თურმე ჩვევად ჰქონია, ეტაპობრივად, დაახლოებით 3-4 თვის ინტერვალით ალკოჰოლის სისტემატიურად მიღება. მის ამ ცუდ ჩვევას ამძიმებდა სიმთვრალეში თანამოქეიფებისადმი გინება და უცემზურო სიტყვებით მიმართვა. ცხადია, ამჯერადაც,

„არაყი თეთრია, მაგრამ ცხვირს აწითლებს და სახელს აშავებს“ (ჩეხოვი)

თავისას არ მოიშლიდა მუხრანელი. შესვენების მერე ლვინიაშვილს კვლავ ეწადა მთიულებთან ქეიფით დაეწყო სასმლის ზღვაში ტივით ოთხვიანი მოგზაურობა.

— აიღე შენი დედა მოვ...ან დაასხი! — ხშირად მიმართავდა ლვინიაშვილი ასეთი სიტყვებით ჩვენს თავმომწონე ბუღალტერს ვარდო გოჭაშვილს, რომელიც ასეთ გინებას არა კაციშვილს არ აპატიებდა, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა.

ყელში სისხლმომდგარმა ვარდო ალექსანდროვიჩმა ოსიას გადაულაპარაკა გადით მანქანა დაქოქეთ და მეც მოვდივარო. გავიდა მძღოლი და ფერმის გამგე, დაქოქეს მანქანა და ჩასხდნენ. ელოდებიან ამხანაგს. დეკემბრის დასაწყისი იყო და საქმაოდ ციოდა.

მასპინძლისაგან მორიგ შეგინებაზე გოჭაშვილმა აიღო ნახევრად სავსე საღვინე, პირი დაუცო და პირდაპირ თავზე უხეთქა. თავიდან სისხლმა შადრევანივით გადმოასხა, კაცმა გონება დაკარგა და მაგიდაზე დაემხო. ვარდო წყნარად ადგა, ჩაიცვა პალტო, აიღო ქუდი და დიასახლისის შემოსვლამდე კარები გაიარა. კიბეებზე ჩამოსვლისას კი ყურში ჩაესმა ქალის ნაღვლიანად ნათქვამი, — შეგრჩეს მარჯვენა!


აბა ვინ ეტყოდა ამ სიტყვებს ასეთი ამბის მერე, — ფიქრობდა თავისთვის უკვე მანქანაში მჯდომი ვარდო და თან სარკეში იყურებოდა ხომ არავინ მოგვდევსო.

გავიდა რამდენიმე თვე. აპრილის დასაწყისში კვლავ გაიგზავნა ბალაანის კოლ-ბის მანქანა ძალისიდან ნამჯის მოსატანად. მძღოლშოთა ბალაშვილს ფერმაში საქმეების მოსაგვარებლად ქარჩოხიდან გაპყვა ფერმის გამგე არსენა პავლიაშვილი.

ძალისიდან უკან მობრუნებულ ჩვენებურებს კვლავ დაემგზავრა ვინმე, გვარად მუნჯიშვილი, რომელსაც მორების სახერხი „ცირკული“ მიჰქონდა მუხრანში გასაღესად. ახალგორელებმა ამჯერადაც პატივი სცეს ბარელ კაცს და მისი მითითებით საჭირო ადგილზე მიუტანეს ხერხის პირი.

შოთამ მანქანა პირდაპირ იმ კაცის ეზოს პირში გააჩირა, სადაც დეკემბერში სამმა ჭორჭოხელმა იქეითა. ეზოში ვიღაც სქელი დედა-

კაცი თოკზე სარეცხს ფენდა, მორჩა თუ არა თეთრეულის გაფენას მანქანასთან მივიდა და საკმაოდ რიხიანი ხმით შეუძახა არსენას.



არსენ ასაკის ძე
პავლიაშვილი

— თქვენ ის ხალხი არა ხართ ჩემს ქმარს თავი რომ გაუტეხეთო?

— არა ქალბატონო, არა! — მიუგო ფერმის გამგემ თავაზიანად.

— როგორ თუ არა, რომ დასკდით, დაძეხით და მერე ქმარი მიცემეთ ზუსტად შენ ის კაცი ხარო.

— არა ქალბატონო, რას ბრძანებთ, ვიღაცაში გეშლებით, მე ის არა ვარ ვინც თქვენ გგონიათ.

— როგორ თუ მეშლება. ამხელა ორმეტრიანი კაცი როგორ შემეშლები. — ისე-დაც წითელი არსენა სულ გაწითლდა და გაყვითლდა. შეატყო ეს ქალმა და უცბად დაუყვავა.

— გადმოდი კაბინიდან, გადმოდი ნუ გეშინია, მადლობა უნდა გითხრა. თქვენ, რომ მაშინ ჩემი ქმრისთვის არ გეცემათ და მისთვის სისხლი არ გამოგედინათ რა გვეშველებოდა. იმ დიდ ზამთარს სულ ტირილში და ჩხუბში გაგვატარებინებდა. შეგრჩეს მარჯვენა! მთელი ოთხი დიდი თვე სულ სიამტკბილობაში ვიყავით. ერთხელაც არ დამთვრალა და არ უჩინაბია.

არსენასგან ამ ამბის მოყოლის მერე, ვარდო გოჭაშვილი მიხვდა, თუ ვის ან რად უნდა ეთქვა მისთვის კიბეებზე ჩამოსვლისას იმედის მომცემი ის ორი დაუჯერებელი სიტყვა — შეგრჩეს მარჯვენა!



„საღ ჭეუას ფასი დაეკარგებოდა, რომ თვითეული ჩვენგანი არ იჩემებდეს“ (ცერტერმაიერი)

ის პი არ არის პიზობა

სოფელი ბალანი ქარჩოხის ერთ-ერთი ლამაზი და მოხდენილი დასახლებაა თავისი განუმეორებელი ლანდშაფტით, თავისი უნიკალური „საშუალება“ წყაროთი, რომლის ტოპონიმი პირდაპირი დასტურია მისი კეთილგემოვნებისა.

სოფელს სამ ნაწილად ყოფს საშუალება და დიდხევი, მათ შორის ცაცხვისა და ბზის ტევრში შევიწროებულ ზოლზე მტრედივით ყელ-მოლერებული წმ. გორგის სახელობის ეკლესია და ღვთისმშობლის ნიშია. ნიშის დასავლეთით მდებარეობს ქარჩოხის ხეობის „ძმათა სასაფლაო“, ხოლო მის სამხრეთით, საშუალების მარცხნივ, ბალანის (ძველი სახელწოდებით ახალდაბის) ან მოშლილი, მიტოვებული ნასახლარები და შუა საუკუნეების კოშკია თავისი მარნით.

მთის ეს ჩვეულებრივი სოფელი თავისი ბუნებრივი კომპონენტებით: სათიბ-საძოვრით, ტყით, წყლით, მთით შეხამებულია ადგილობრივ რელიეფთან და ქმნის ერთიან ლანდშაფტს.

სოფ. ბალანის უკან მდებარეობს ლომის-ალევის მთიდან შემოჭრილი მთაგრეხილი, მნიშვნელოვანი და საუკეთესო სათიბებით, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე ბალანისა და ჭორჭოხის სოფლების მცხოვრებთათვის, უფრო ადრე კი ქენქანედელანელთათვისაც მნიშვნელოვან საკვებ ბაზას წარმოადგენდა მესაქონლეობის განვითარებაში.

აღნიშნულ სათიბებში გარკვეული ადგილი ჭორჭოხელ გოჭაშვილებს ეკავათ. მათი საგვარეულოდან, რომელთა ძირი გვარი მთიულეთიდან გადმოსული ბუთხუზებია, ჩვენთვის კარგად ცნობილი პიროვნება ვარდო ალექსანდრეს ძე გოჭაშვილი, ზაფხულის ერთ ცხელ პაპანაქება დღეს გასულიყო სათიბად და შეუსევნებლივ დვრიდა ოფლს. სადილობისას აიკვირაძლა. დალლილი და მოშიებული დაეშვა თავქვე და სოფ. ბალანის ბირჟაზე გაჩერდა.

უდელში გალახული ხარივით გამოიყურებოდა „ტაპორქებში“ გამოწყობილი, ნაჯაფარი, კაფანდარა ტანის ალექსანდროვიჩი. ხალხმრავალ სოფლის ბირჟაზე, გაამაყებული მამალი ფუტკარივით

**„ხშირად, გითომ და სირცხვილის გამო, აღამიანი
სამარცხვინო საქმეს სჩადის“ (შილერი)**

ბზუოდა ხალხი. დასვენებული ბირჟავიკები დაღლილ, არა-ქათგამოცლილ ვარდოს ემასხრებოდნენ, ხუმრობლნენ, იცინოდნენ. ახალგაზრდებს გართობა და სეირის ყურება უნდოდათ.

მალე ბირჟაზე მდგომებმა დაინახეს, რომ ზემო ქარჩოხიდან მოდის არსენა-დოლაბა გიორგის ძე პავლიაშვილი. კაცი გამოც-დილი, ენაწყლინი, ახოვანი, ომახიანი, ლაუღაუა პირისახით, თავზე ძვირფასი „ბუხარცკი“ ქუდით, სტალინური პიჯაკით, გალიფე შარ-ვლით და პრიალა „აზიანცკი“ ჩექმებით. მის დანახვაზე იქ მდგომმა ნოდარ ბალაშვილმა გოჭაშვილს უთხრა:

— აბა, ახლა შენც იტყვი კაცი ვარო და დოლაბაც იტყვის კაცი ვარო. შეხედე მთასავით მოდის, თანაც როგორ ამაყად და მედიდუ-რად უჭირავს თავი. მაგან შენნაირ ჩია კაცს რომ დაარტყას (თვი-თონ ნოდარი მალალი კაცი იყო) პამინდვრის სარზე ღრმად ჩასვამს მიწაში.

ვარდომ იუკადრისა — ის კი არ არის ბიჭობა, ხალხში დევივით დადიოდე და ნაცარქექიას ძალა გქონდეს. გენიძლავებით მოსვლის-თანავე ძირ დავცე თქვენი დოლაბაო.

— კარგით, გახალისდა ყველა იქ მყოფი, რომლებიც ზოგი გო-ჭაშვილს უჭერდა მხარს და ამხნევებდა, ზოგსაც დოლაბას სიძლი-ერისა სჯეროდა.

თუ წავაქციე, თხუთმეტი ბოთლი ღვინო უნდა იყიდოთ თავისი ზაკუსკით თუ არა და მე ვკისრულობ — თქვა ალექსანდროვიჩმა და დასახვედრად მოემზდა.

არსენ გიორგევიჩი ჩევეული სიდინჯით, ამაყად მივიდა ბირჟაზე იქ მდგომთ ზრდილობიანად ყველას ხელი ჩამოართვა, და აი,

ვარდომ გვერდზე გაიხმო. წრიდან გასვლა და არსენასათვის მარცხენა მკლავით ხელუკულმა მუშტის ძლიერი მირტყმა მკერდსა და კუჭს შუა ერთი იყო. ყველაფერი წამიერად მოხდა.

არსენა ოდნავ წელში მოიხარა, მერე თანდათან დაბლა დაეშვა, ჩაიხვია და დაეცა. ვარდომ მაშინვე მიაშველა ხელი.

რა იყო შე კაიკაცო ხუმრობა არ იცი? გამოგცადე. ამხელა კაცს რა მოგდის, ადექი, არაფერია, დამშვიდდი.

არსენამ ამოხედა. შე ოჯახ ამოწყვეტილო, რაზე მკლავ, რა და-
გიძავე?! უდანაშაულო კაცს რატომ მკადრებ ასეთ რამეს!

ჩაჩოქილი დოლაბა წამოაყენეს. ვიღაცამ ძირს გაგორებული
ქუდი გაუბერტყა და მიაწოდა. ახალგაზრდებმა, რომლებმაც სიცი-
ლი აიტეხეს, ყველაფერი უთხრეს გიორგევიჩს და წაგებულ ღვინო-
ზე მიიპატიუეს. დოლაბა ისე იყო გაბრაზებული, რომ ყური არავის
აღარ ათხოვა, გაიბერტყა მტვრიანი შარვალი, ქუდი გაისწორა და
უკან მიუხედავად გასცილდა იქაურობას.

იმ დღეს გოჭაშვილის წყალობით წაგებულთ, მოგებული კვირა-
ძალი გამოუვიდათ. თხუთმეტ ბოთლს კიდევ ხუთი ბოთლი ღვინო
მიამატეს და კარგად მოილხინეს „ელიოზას“ სასადილოში. ალექ-
სანდროვიჩს ეტყობოდა ღვინოზე მეტად ორმეტრიანი კაცის წაქცე-
ვა უფრო ახალისებდა, თუმც კარგად იცოდა, რომ ბირჟაზე მოგება,
დოლაბასთან შესარიგებლად სამომავლოდ ათი ბოთლი ღვინის კის-
რებას მაინც ნიშნავდა.



„სიტყვა ცოცხალი ორგანიზმია და ღროთა განმავლობაში ხშირად შინაარსს იცვლის“ (შ.ნუცუბიძე)

ვაშატი

სიტყვა-ფაშატი ცხენის სქესის განმსაზღვრელია. მოვუსმინოთ საბას:

— „ცხენნიცა სახელებითა განიყოფიან: რამეთუ მამალსა ეწოდებიან ახტა; ხოლო დედალსა რდალი და ჭაკი, ხოლო შვილთა მათთა კვიცი. ხოლო კვიცსა ახტას ულაყი ეწოდების და რდალსა — ფაშატი“.

ანეგდოტებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას რომ კახეთის რეგიონში ბევრად მეტია ცნობილი ზოოფილიაზე ვიდრე საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში, თუმც სახედრების, ცხენების და მათი შემსწავლელი დარგის განვითარებით კახეთს არ ჩამორჩებიან მთის ის რეგიონები, სადაც სოფლის მეურნეობის მთავარ დარგად მესაქონლეობაა აღიარებული.

ვიტყვი იმსასც, რომ ცხენი და სახედარი მთის მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამავდროულად საპირისპირო უარყოფით დატვირთვასაც იძენს მდედრი ცხოველების ყოლა და მათით მამაკაცების სარგებლობა. ფაშატი ცხენი და ვირი ზოგჯერ კახელი მიხოს მსგავსად ქალს მონატრებულ მწყემსს შეიძლება ცოლშიც კი შეშლოდა. ასე, რომ სიტყვა „ფაშატი“ ერთგვარ ორაზროვან, ირონიულ სიცილსაც კი იწვევს ქსნურ ქართლურ დიალექტიკაში.

გარდა ამდაგვარი უხერხულობისა, მთაში ოდითგანვე სირცხვილად იყო მიჩნეული ვაჟკაცი კაცის ფაშატ ცხენზე შეჯდომა. მეტ-საც ვიტყვი, ჩვენში საშუალო შეძლების ოჯახს ჰყავდა ე.წ. „სადიაც“ ცხენები, თავიანთი რბილი ლამაზი ბალიშებით, ყაჯრებით და სხვა სპეციალური აკაზმულბით. „სადიაცოზე“ თუნდაც იაბო — მამალ ცხენზე კაცის დაჯდომა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ერთი სიტყვით ფაშატ ცხენზე შეჯდებოდა ზოოფილით დაკავებული — გათვალული კაცი, რომლის სინდრომი ჯერ კიდევ არსებობდა გასული საუკუნის შუახანებამდე.

ამავე საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ქარჩოხის ტერიტორიაზე მიუხედავად ბავშვების დიდი კონტიგენტისა 8-წლიანი

„უფრო ქებულს გაქებთ ხოლმე, გიღრე ქების ღირსს“

(ლა-ბრუიერი)

სკოლა ფუნქციონირებდა, სადაც მივლინებულ პედაგოგებს, როცხობრივად ბევრად ჩამორჩებოდა ადგილობრივი კადრები, რომელთა შორის ახალგაზრდა თაობის ნაკადი სჭარბობდა.

მშობლიურ სკოლაში დიდი პედაგოგიური ენთუზიაზმით იღვ-ნოდნენ ქარჩხის სკოლის კურსდამთავრებულები ხვთისო ელოშ-ვილი, ქსენია, მერაბ, ამირან და გაიოზ ბალაშვილები, ლილი ბალ-ხამიშვილი და სხვები. ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებ-ლებში პედაგოგიურ ცოდნას ეუფლებოდა ბევრი სხვა ქარჩხოხელი ახალგაზრდა.

ადგილობრივი კადრებიდან ერთ-ერთ აქტიურ და წარმატებულ მასწავლებლად მიიჩნეოდა ამირან ორდას ძე ბალაშვილი, და აი, ამირან მასწავლებელი მორიგ გაკვეთილს ატარებს თავის სადამრი-გებლო კლასში. მაშინდელი განაწესის თანახმად, სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგიანეს სამ კვირაში მასწავლებელს უნდა მოე-დინა თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა ოჯახების გაც-ნობა, უნდა გასაუბრებოდა მშობლებს, შეესწავლა ოჯახური მდგო-მარება, თუ რა პირობებში უწევდა ბავშვს ცხოვრება, მეცადინე-ობა, როგორ ჰქონდა მოწყობილი საორგანიზაციო კუთხე, ყოველ-დღიური რეჟიმი და სხვა. ვინაიდან იმ დროებაზე სკოლებში ტარდე ბოდა 7-8 გაკვეთილი, თანაც სასწავლო დღედ ითვლებოდა შაბათი, — დროის სიმცირის გამო გაკვეთილზე მასწავლებელ-მოსწავლეთა შორის წამოიჭრა საკითხი თუ როგორ და რა საშუალებებით მოე-დინა დამრიგებელს, რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ სოფ-ლებში ბავშვთა პირობების შესწავლა. სხვადასხვა აღტერნატიული გზების ძიებისას მასწავლებელმა განაცხადა:

— მე ყველაზე მოსახერხებელ საშუალებად ცხენი მიმაჩნია, მაგრამ სამწუხაროდ არ მყავს.

ვითხოვოთ მასწავლებელო! — იყო შეძახილი ბავშვებისაგან.

— ვისგან, ვისგან, ვინ მათხოვებს?! შემოდგომაა და ყველას თავის საქმეზე სჭირდება.

მამაშენი ხომ არ მათხოვებს? — შეეკითხა მასწავლებელი გუჯა ქენქაძეს.

მას... ჩვენი ცხენი სანგლის გზაზე კლდეებში გადავარდა თავის


ბარგიანად, — დანანებით უპასუხა მოსწავლემ.

— თქვენი? თქვენ მათხოვეთ — მიუბრუნდა დამრიგებელი უკან რიგზე მჯდომარობრობან ქენქაძეს.

ჩვენი ცხენი დაშავდა, თანაც დამალი ჩამოუვიდა და გავყიდეთ მას... აღარა გვყავს! — იყო პასუხი. მაშრავ ვქნა, სად ვიშოვო კარგი ცხენი — ჩაილაპარაკა ამირან მასწავლებელმა და გოგოებს გადახედა შენუხებული სახით. უცებ გაისმა, ნაზი, მორიდებული ხმით ნათევამი, იმ ლამაზი და მორცხვი ბავშვისა, ვინც არასოდეს ზედმეტად ხმას არ იღებდა.

— მასწავლებელო ჩვენ გვყავს ცხენი, გათხოვებდით, მაგრამ ფაშატია!

თქვა თუ არა ეს, წინარიგში მჯდომმა, სარქალის, გოგლა ხოკრიშვილის ქალიშვილმა ლალიმ მთელი კლასი ახარხარდა. დიდხანს იცინეს ბავშვებმა, იმდენი იცინეს, რომ ის გაკვეთილი გაკვეთილად აღარ შემდგარა და იმ სიცილის ექომ დღემდე, ჩვენამდეც კი მოაღნია. საკითხავია რა დატვირთვით უთხრა 15 წლის ლალიმ მასწავლებელს სიტყვები — „მაგრამ ფაშატია“, — ჩანს ბაეშვური ემოციით, აზრისა და შინაარსის გაუცნობიერებლად, უფროსებისაგან გაგონილის მიბაძვით.



ბაღაანის 8 წლიანი სკოლა

„ხეალინდელი დღე არ უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს
პროგრესი, წინსელია ადამიანისა ფუჭი სიტყვად არ მიაჩნია“ (იჰაკეშვაძე)

აკონ — კაგუა

1975 წლის გაზაფხულია. ბალაანის 8-წლიანი სკოლის VII კლასში ტარდება გეოგრაფის გაკვეთილი. გაკვეთილი მიჰყავს ახალგაზრდა პედაგოგს, კლასის ხელმძღვანელს ამირან ბალაშვილს.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ხანად ბალაანის სკოლაში ერთ-ერთ მონინავე კლასად ითვლებოდა ამირან მასწავლებლის სადამრიგებლო კლასი. მოსწავლეები დიდი ხალისით ეუფლებოდნენ როგორც ფიზიკურ ისე ისტორიულ გეოგრაფიას. ახალგაზრდა, ნიჭიერი მასწავლებელი დიდი ენთუზიაზმით ხსნის სამხრეთ ამერიკის რელიეფს, რომლის დახასიათებისას ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა ამ მხრის ყველაზე უმაღლეს მწვერვალ - აკონ-კაგუას. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელმა მოახდინა ახსნილი მასალის განმტკიცება და მოსწავლეებს შემდგომი კონტრ შეკითხვები დაუსვა, კერძოდ ის, თუ რომელი მწვერვალი ითვლებოდა ლათინურ ამერიკაში უმაღლეს მწვერვალად.

ბავშვები დაფიქრდნენ. ქართული ენის ლექსიკისთვის საკმაოდ უცხო სიტყვები რატომდაც ვერ დაიმახსოვრეს. მასწავლებელმა შეკითხვა გაიმეორა. კვლავ სიჩუმეა. მაშინ ამირანმა შეკითხვა შეატრიალა.

რომელია არგენტინის უმაღლესი მწვერვალი, რომელიც მდებარეობს ანდების მთებში?

კვლავ სიჩუმეა. ბუზის გაფრენის ხმაც კი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა კაცს სუნთქვა შეკრული ბავშვთა გარემოცვაში.

და აი, წინა რიგში მჯდომმა ერთმა ქერათმიანმა გოგონამ გაუბედავად მძიმედ ასწია ხელი.

მასწავლებელი გაიბადრა. სიხარული ველარ დაფარა და საზე-იმო განწყობით, ემოციურად რამდენჯერმე გაიმეორა: — ყოჩი, ყოჩი — გენრიეტა! ყოჩალ ქენქაძე! ყოჩი!.. მე ვიცოდი, რომ შენ იცოდი! —



გენრიეტა (კულგაძე)

ქენქაძე

იძახდა თავმოწონებით ამირან მასწავლებელი.

ფეხზე წამოიჭრა უმალ, გამხნევებული გენრიეტა (ჯულეტა)
ქენქაძე და წამოიძახა: — გაკუა მასწავლებელო, გაკუა!

რაო! — გაკუა — ოო! — აი შე უზრდელო, საზიზღარო, ეს რა
მაკადრე ამდენ ბავშვებთან, ეს რა მაკადრე! ყვიროდა „გაბრაზე-
ბული“ მასწავლებელი და თან ფისში მოხარმულ სტოლბისგან გათ-
ლილ შავ ჯოხს თავისავე მაგიდას ურტყამდა. სიწითლე მორეულმა,
შერცხვენილმა, ქერათმიანმა გენრიეტამ თავი დაბლა დახარა და
ამხანაგების სიცილ-კისკისის ფონზე დემონსტრაციულად დატოვა
საკლასო ოთახი. იმ დღეს ახსნილი მასალა მომდევნო გეოგრაფიის
გაკვეთილზე მასწავლებელს აღარავისთვის უკითხავს, რადგან ყვე-
ლა ხვდებოდა რომ ამ ინციდენტის შემდეგ უცოდინარი აღარავინ
მოვიდოდა და ამირან მასწავლებელიც პირდაპირ ახალ თემაზე გა-
დავიდა.

დღესაც ამაყად დგას სამხრეთ ამერიკაში უმაღლესი მწვერვა-
ლი აკონ-კაგუა, ხოლო მის ირგვლივ ატეხილი სიცილი 35 წლის მე-
რეც ისევ ახსოვს გენრიეტას და მის კლასელებს.



გენრიეტას ქლასელები

„ბრძენმა იცის, რომ მან იცის,
შტერს ჰეონია, რომ მან იცის“ (ესპანური ანდაზა)

რევაზა ყანობში

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებამდე, ჩრდილოეთით ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო და საგაჭრო ურთიერთობების განვითარება, რასაც ხელს უწყობდა ყიზლარის ზამთრის საძოვრებისკენ მიმავალი საქარავნო გზები, გარკვეულ როლს თამაშობდა ქსნის ხეობის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე, კერძოდ გახშირდა იქ მოსახლე ქართველ და არაქართველ ქალებზე ქორწინება.

გასული საუკუნის 50-იან წლებში, ქარჩხის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფ. ელოიანში მცხოვრებმა პარფინა მიხას ძე ელოშვილმა მოიტაცა ყაზბეგის რაიონიდან ყანობელი კობიაშვილის ქალი. მოტაცებას ქალის მშობლებისგან მაღლევე მოჰყვა კბილების კრაჭუნი და გულზე ხელების ბრაგუნი. ქსანზე მიხასთან მუქარას მუქარაზე აგზავნიდნენ მძახლები. თუმცა მაღლევე დაყარეს ფარხმალი ამაყმა მოხევეებმა და შერიგებისათვის კულისებში სამზადისს შეუდგენენ.

მოხევეთა ხასიათისათვის დამახასიათებელი სიფიცხე, სიმსუბუქე და ამპარტავნობა საქართველოს ყველა კუთხეშია ცნობილი, მათ შორის ჩვენშიც. ამიტომაა, რომ იუმორისტულ ასპექტში აჰყავთ მათზე სხვადასხვა ამბებისა და კურიოზების მოყოლა. ჩვენში ისიც ცნობილია, რომ ფშავ-ხევსურებისა და მთიულებისაგან განსხვავებით მშიშრებიც არიან, თუმც აქვე დავძენთ, რომ ერთობ პარადოქსულია მე-18 საუკუნის ცნობილი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1756 წ.წ.) მიერ მოხევეების დახასიათება:

„... კაცნი არიან მებრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი, ვითარცა მთიულნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოველითა. სარწმუნოებით ქართველთა თანა, არამედ მისიცა უმეცარნი“.

ქსანზე ქარჩხის სამზადისს შესდგომოდა ლომისის „დამკვრელის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ-მიხა გოგის ძე ელოშვილი. მან როგორც ქარჩხში ერთ-ერთმა ანგარიშგასანევმა, გავლენიანმა „თავს-მჯდომარემ“, საზოგადოებაში მიღებულმა

„ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები თქვენც ისევე მოექცით მათ (მათ 7:12)

პირმა და კარგმა თამადამ, საკადრის პურმარილს შესაფერისი კაცებიც შეურჩია. მათ შორის იყო ჩვენთვის ცნობილი პიროვნება, ენაწყლიანი, ლაქარგიანი, მოთნე, ფრიად მოხერხებული და პასუხის სის სწრაფ დამბრუნებელი რევაზა ბეროს ძე ელოშვილი.

რევაზას გარდერობს ყოველთვის ამშვენებდა ერთი ხელი „სანამ მუსო ტანსაცმელი“, როგორც სირმებით გაწყობილი ქართული ჩოხა-ახალუხი ყაბალახით, ვერცხლის ქამარ-ხანჯალით, ისე სტალინური, გნებავთ ჯენტლმენური ჯიქებიანი ბიჯაკი და გალიფეს შარვალი, აზიანცკებით, ტყავის ბრტყელი სამხედრო ქამრით და „ბუხარცკი“ ქუდით, თუმცა ამჯერად ჩვენი ამბის გმირი ყანობში რატომლაც ძველი „საფეიქროთი“ მოქსოვილი გახუნებული შალის შარვლით წავიდა, თან მიხას უთხრა იქიდან ორჯონიკიძეში ვაპირებ წასვლასო. მიხას არ მოეწონა რევაზას „დუხაბურობა“, მაგრამ მეზობელს ხათრით ვეღარაფერი შეკადრა ჩაუცმელობაზე.

მალე მოკაზმულ ცხენებზე ამხედრებულმა ქსნელებმა საჭმელ-სასმელით და საჩუქრებით სავსე ჭრელი ხურჯინები და ჯეჯიმ-ბოხჩები ლომისის მთის ავლით ზემო მლეთაში გადაიტანეს, საიდანაც ზეგისთვის დაბარებული იაბოები ბიჭებს უკან გამოატანეს, მათ შორის „სადიაცოც“, იქიდან კი „პალტარა ტონკით“, ახალ ნათესავებთან შესაშური კეთილგანწყობით, შესარიგებლად გაემგზავრნენ. მისულთ დამხვდურთაგან სალამ-ქალამის შემდეგ კიდევ მოუწიათ მოხევური ბუხუნის მცირე მოსმენა, რასაც მალევე მოჰყვა სანაქებო სუფრის გაშლა.

ყანობში კობიაშვილებს, ორჯონიკიძიდან მოწვეული უტაქტო, გაოსებული მოხევის კაცი დაეყენებინათ სუფრის თამადად, რომელ-მაც მისვლისთანავე სტუმართშორის სუფრაზე ლიდერობისთვის ბრძოლა დაიწყო. ცდილობდა ყველასგან უსიტყვო მორჩილებას და ყურადღების ცენტრში მოქცევას. არ ერიდებოდა გამომწვევ გადა-დახილებს, უფრო მეტად ენაწყლიან, კომუნიკაბელურ რევაზას მი-სამართით, რის გამოც ბეროვავიჩმაც აითვალინუნა და ანტაგონისტურად განეწყო მისადმი. სუფრაზე დაჩაგრულმა ქსნელმა ვითომდა წასასვლელად რამდენჯერმეც კი წამოიწია, მაგრამ დამძახლებულმა

„კერ არც ერთი ცოდგა არ შემხვედრია, რომ შესაფერს
გარემოებაში მეც არ ჩაიღიძინო“. (გოთუ)

ბულმა მასპინძელმა არ დაანება, რომლის მიმართაც თამადისადმი
განსხვავებით რევაზა დიდ მოკრძალებას და პატივიცემას ავლენ-
და.

ქეიფი ჩამთავრდა, შესარიგებლები შერიგდნენ, დასალოცე-
ბი დაილოცნენ, დასალევი დაილია, შესაჭმელი შეიჭამა და ბოლოს
გაბრუულმა სტუმარ-მასპინძელმაც დაიძინა.

დილით ცალთვალა რევაზამ ყველა ორთვალას დაასწრო სა-
ნოლიდან ადგომა. თამადამაც გაიღვიძა, ადგომა დააპირა, მაგრამ
ვერსად მიაგნო თავის ახალ „გალიფე“ შარვალს. დაუძახა მასპინ-
ძელს. მანაც, რომ ვერ ნახა ვერსად შარვალი იფიქრა, ალბათ უსი-
ნათლო რევაზი თვალით კარგად არ დააკვირდა, სიბნელეში ვერ გა-
არჩია და ჩაიცვაო.

ოჯახის უფროსი გარეთ გავარდა, რევაზა კი ამ დროს ბალკონ-
ზე გადი-გამოდიოდა, ბოლთას სცემდა და თან ორჯონიკიძისკენ მი-
მავალ გზას გაჰყურებდა. სახლის პატრონმა მოწინებით აცნობა
საქმის ვითარება და თან მოუბოდიშა, მკლავზე გადაკიდებული ძვე-
ლი გახუნებული შარვალი აჩვენა, — ეს თქვენი ხომ არ არის!

რევაზა გაბრაზდა, — რას გადამეკიდა ეგ კაცი, მე მაგის დედა!
გახუნებული შარვლით ქარჩოხიდან აქ წამოვიდოდი. ხომ გეუბნე-
ბოდი წუხელის — გამიშვი, წავალთქო.

რევაზამ კიდევ ერთხელ შეუკურთხა წინადლის თამადას, გაბ-
რაზებით გადააფურთხა და მაუდის ახალი გალიფე შარვლით ქალაქ
ორჯონიკიძეში გაემგზავრა. თავმომწონე ამპარტავანი და ყოყლო-
ჩინა თამადა კი გახუნებული სიძველით გაწითლებული შალის შარ-
ვლით ოჯახს დაუბრუნდა, თუმც სავარაუდო რევაზასეული შარ-
ვალი სახლამდეც არ მიეტანა და სადმეს მაღაზიაში გამოიცვალა.
პირაქეთელმა პარფინამ და პირიქეთელმა მოხევის ქალაიმ — ვერი-
კომ კი ერთად ტკბილი ცხოვრება დაიწყეს.



„ცუდი მაგალითი ქეთილის ხასიათს ათახსირებს“ (ბუნზენი)

მთიალები მთიულები

ყველას ახსოვს ის აღუნერელი სულიერი ტკივილი, ნერევა და უბედურება, რაც მთელ ქვეყანას მოუტანა მეორე მსოფლიო ომში. ხალხის გაჭირვება განსაკუთრებით ომის შემდგომ პირველ ხუთ წელში იგრძნობოდა. მოსახლეობა დრტვინავდა. ლუკმაპურის საშოვნელად ხალხი იმიერ კავკასიაშიც კი გადადიოდა, წელებზე ფეხს იდგამდა, რათა ცოლ-შვილი როგორმე გამოეკვებათ და შიმშილით არ დახოცილიყვნენ.

აღნიშნულ ომამდე და ომის შემდეგ, ქსნის ხეობის ზემო წელის მოსახლეობა, მჭიდრო კავშირში იყო ჩრდილოეთ ოსეთთან, სადაც სეზონურ სამუშაოზე ნაშოვნი ფულით შეძენილი სიმინდი, არაგვი-დან ლომის-ოხირისა და ხანდოს ყელით ქარჩხსა და ცხრაზმაზე გადმოქანდათ.

ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა ქ. ორჯონიკიძეში შეშის საჟურნალის დამზადებაზე მყოფმა ქარჩხელმა ლევან მათეს ძე ბალაშვილმა და რევაზ ბერის ძე ელოშვილმა ბიდარა ფეხით გადმოვლეს და დაღლილ-დაქანცულები ლამის გასათევად სოფ. ზემო მლეთაში ნაზღაიძებთან გაჩერდნენ.

მასპინძელი ალალად დაუხვდა „სტუმარსა ლვთისასა“. მოშიერული, გაბანდულ ქალამნებიან მგზავრებს ხელ-ფეხი დააბანინეს, დააპურეს და ქვეშაგებიც კარგი დაუგეს. დაწვნენ და დაიძინეს მთიულთა სტუმრებმა. თუმცა რევაზას არ დასძინებია, დერეფანში სატყუარასავით დაკიდებულ საქალამნე ტყავის შოლტებს დიდველიდან მონაბერი ქარი აფხაკუნებდა და ძილს უფრთხობდა. ბევრი იტრიალა თუ ცოტა, ბოლოს ცდუნებას ველარ გაუძლო ძილდამფრთხალმა კაცმა, ადგა, უჩუმრად გავიდა დერეფანში, გადააფსა, ჩამოხსნა ტყავის შოლტები, იქვე ხის კაკვის საკიდელზე დაკიდებულ ამხანაგის აბგაში ჩააწყო და ყველასაგან შეუმჩნევლად დაწვა.

დილით რიერაჟზე ნამოდგნენ ნაზღაიძებისგან პატივნაცემი სტუმრები, ძროხების წველაში გართულ დედაბერს დაემშვიდობნენ, მადლობა გადაუხადეს და მზის ამოსვლამდე ლომისის ნიშს მოატანეს.

„სანათური ქრიტიკისა უნდა ანათებდეს და არა სწვავდეს“ (ფაგარტი)


ლომისის ნაკოჭართან დასვენებულ მგზავრებს თავზე უკან და-დევნებული მასპინძელი წამოადგათ.

ლომისის მადლმა, ძალიან გაბრაზებული ვარ. წუხელის დე-რეფნიდან საქალამნე შოლტები მომპარეს. უთუოდ ვირ-ეშმაკის ხე-ლი ურევია. შენ ხომ არაფერი იეშმაკე რევაზავ, თუ ხელს გამოგიყვა უნდა დამიბრუნო ვერაფრით ვერ შეველევი, ფეხშიშველი ვერ დავ-რჩები, — იძახდა მთიული და ქშენა-ქშენით მოლაპარაკე რევაზას გუდაზე უხსნიდა გაქონილ თასმას.

რევაზამ შორს დაიჭირა თავი — რას ამბობ კეთილო კაცო! მე რომ მომტეხოდა ხელი და ეგ საქმე გამეეთებინა, ჩვენი დიდი ლო-მისა არც გამაკეთებინებდა და არც მაპატიებდა. ამ თავის ნიშამდე ცოცხალს არ მომიყვანდა.

მთიული დაიბნა, რა ეთქვა აღარ იცო-და, ან ვინ დაედანაშაულებინა როცა რე-ვაზას გუდაში ახალ ნაყიდი ტანისამოსისა და მჭადის გარდა ვერაფერი ნახა. ნაზღა-იძემ აღარ იყადრა ლევანას გაჩხრეკა. ამ ცნობილ უჩინ-მაჩინიან კაცს არ უკადრია ეს საძრახისი საქმე და პატიოსნებაში ეჭვ-შეუტანელი კაცი როგორ რამეს იყადრებ-დაო, — გაიფიქრა მდევარმა და სხვაზე მუ-ქარით და გულჯავრით უკან გაბრუნდა.


ნამოვიდნენ ულელტეხილისკენ „უდა-ნაშაულო“ ქსნელები, მოაღწიეს თუ არა ლომისას ჩაიმუხლეს, პირჯვარი გადაისა-ხეს, ცოტახანს დაისვენეს, დატკბნენ კარგახნის უნახავ მოელვარე ქსნის ყურებით. შორს ჰორიზონტზე მუქ-მწვანე ჩრდილებში გა-ჭიმულ ქსნის ხეობას, ბატონის მოვერცხლილ, გასროლილ ოოფი-ვით აემგა ნისლი. რა ტკბილია სამშობლო და მისი მთა-ველი, უფ-რო ტკბილია ის ადგილი სადაც ჩვენ და ჩვენს მამა-პაპას უთანი გვბმია, გვიმკია და შვილივით გაზრდილ შარმას და მირმას, ლვინიას და ორბას ნალგაკრულ ფეხთან ერთად ჩვენი ქალამანით კალოზე



ლევან გათხეს ძე
ბალა შვილი

წრეში გვილენია „პური ჩვენი არსობისა“.

მგზავრებმა დაიქვეითეს. წნელივით დაგრეხილ ბილიკს დაუყვნენ და გიზოიანთ წისქვილების ახლოს მუავე წყალთან გაჩერდნენ. იქვე დიდ ქვებზე ჩამომსხდრებმა მადის ამღვძრელ ცივ მუავე წყალს ცივი მჭადი დააყოლეს და პატარახანს შეისვენეს.



წამოსვლისას რევაზამ უთხრა ლევანას: — მე ხომ გინაწილე ჩემი გუდის საპალნე, ეხლა შენი გუდაც გახსენი და რაც შიგ გაქვს ისიც გავინაწილოთ.

შოლტების წუხანდელი ქურდობა რევაზას ოინები იყო. გაბრაზე-ბულმა უარი უთხრა ამხანაგს ნადავლის გაყოფაზე.

მაშინ ნუ იყვეს ელოშვილი რევაზა თუ შენგან ერთი-ორად არ ამოვილო საქალამნეს ნაფასურიო.

უეჭველია რევაზას არ გაუძნელდებოდა თავისი დანაპირების პირნათლად შესრულება, თუმც მოგვიანებით, მავანთა და მავანთა თქმით ისევ თავის თავზე შეწუხებულ ლევანას, თავის ხელით გაუტანია ელოიანში რევაზასთან მთიულთა კენკეშით გაზრდილი ოთხფეხის შოლტები.



„არ არსებობს ქერძო საკუთრება სიცილზე, არასდროს არ არსებობდა და არც იარსებებს“ (გ.ნიშნიანიძე)

ეურდი თავმჯდომარები

„მელას თავისი მახრჩობელა უყვარდა“ — სწორედ ანალოგიური ურთიერთობა სუფევდა ლომისის კოლ-ბის თავ-რეს მიხა ელოშვილსა და მის კოლწევრ და მეზობელ რევაზ ელოშვილს შორის. რაიონში, ოლქში თუ კასპიისპირეთში მივლინებების დროს ყოველთვის თან ახლდა „ცალთვალა ეშმაკი“, რომელიც არც კარგს უလევდა და არც ცუდს. იუმორი და მოხერხება, რაც რევაზას გააჩნდა, საერთოდ არ ჰქონდა ბატონ მიხას, ნაკლებად ბალაანის კოლ-ბის თავრეს ორდა ნიკოს ძეს, რომლებსაც რევაზას-თან, ილიკო გულაროვთან და ვალოდია გამხიტაშვილთან ერთად მოუწიათ ყიზლარში გამგზავრება.

ჩვენს მგზავრებს ჩრდ. კავკასიის ერთ პატარა ქალაქ გუდურმელის მატარებლის მოლოდინში ორი დღე შეაგვიანდათ. ერთი კვირის ნამგზავრები ტანზე ჭუჭყამა და პირზე ბალანმა შეაწუხათ. გადაწყვიტეს ჯერ დალაქთან ნასულიყვნენ, მერე აპანში. მაშინ წესად იყო, რომ თავმჯდომარე ნაღდი ფულით იხდიდა კოლ-წევრის მგზავრობის, კვების, საყოფაცხოვრებო, სპეცტანსაცმლის და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს, რაც შემდგომ (ზოგჯერ მეტიც) ხელფასიდან ექვითებოდათ საწყალ კოლმეურნეებს.

ერთად შევიდნენ ქარჩოხელები სადა-ლაქოში. ჯერ თავმჯდომარებმა მოიპარ-სეს პირები, მერე ფერმის გამგეებმა და რევაზ ბეროს ძემ. ბოლოს მომსახურების ღირებულებაც გადაიხადეს თავაზიანად თავმჯ-



ბალაანის კოლ-ბის თავ-ზე
თრდა ნიკოს ძე
ბალაშვილი



გალოდია ღავითის ძე
გამხიტაშვილი



ილია გულაძოვი

დომარეებმა და გაემართნენ აბანოსაკენ, მაგრამ ვინ მიუშვა იქამდე. ქუჩაში გამოსულებს უკან ლეკის ორი თეთრხალათიანი მუტრუკი-დალაქი მისდევთ ლანძღვა-გინებით. გაუკვირდათ ყველას. გაჩერდნენ.

ვინ მოიპარეთ ჩვენი პირსაპარსები, ახლავე მილიციაში წაგიყვანთ თუ არ დაგვიბრუნებთ! — ყვიროდნენ გულმოსულები.

ამხანაგებს განგებ ჩამორჩენილმა რევაზმა გალექებულ დალაქებს წასჩურჩულა: ფული ვინც გადაგიხადათ, ისინი იქნებოდნენო. მათაც კარგად ჩაცმულ-დახურულ

თავმჯდომარეებს მოაშურეს, გაუჩხრიკეს ჯიბეები და ორივეს პიჯაკის წინა ჯიბიდან ამოაცალეს მოპარული სამართებლები. გაკვირვებული მიხა და ორდა ერთმანეთს შეყურებდნენ, — ნეტავ რახდება?

ახლო მისულმა ტროყია ლეკებმა ხელი ველარ ასწიეს მათზე არანაკლებ ტანიან თავმჯდომარეებზე და გინებით დაემშვიდობნენ „გურჯიებს“. დიდი ფიქრი არ დასჭირვებიათ გაბითურებულ კოლმეურნეობის თავკაცებს, თუ ვის უნდა ჩაედო მათ ჯიბეში ტყავზე ალესილი მჭრელი იარაღი.



„შეუძლებელია პატიოსნად აზროვნება იქსადაც მთელი ფიქრი
ადამიანისა პურის ლუკმის შოვნას უნდება. (მონტესკიე)

ღვართი მაღლიდან იყურება!

გასული საუკუნის მეორე ნახევარი ცნობილია თავისი კატაკლიზმით, სისხლისმღვრელი ომებით, ხალხის სიღატაკითა და შიმშილით. ფაშისტურმა ომმა უამრავ მსხვერპლთან ერთად უამრავი გაჭირვება მოუტანა ქსნის ხეობის მოსახლეობას. მის მთიან ნაწილში მყოფთ უფრო მეტი სიდუხჭირე არგუნა წილად ბუნებამ. გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სირთულით, კერძოდ, უგზოობის, მცირემინიანობისა და მკაცრი კლიმატის გამო, რასაც ზედ ერთვოდა სტიქიური მოვლენები, ჯერ კიდევ დაუმარცხებელი ეპიდემიები, მუშახელისა და გამწევი ძალის უკმარისობა და სხვა.

გაჭირვება განსაკუთრებით უტევდა მთის იმ სოფლებს, რომლებიც ჯერ კიდევ განუვითარებელ სოციალიზმის დროიდან დაცარიელდნენ, სადაც ცივილიზაციის არანაირი სიკეთით არ უსარგებლიათ იქ მცხოვრებ მთელებს. ერთ-ერთ ასეთ სოფლად ქარჩხში ითვლებოდა ოსური მოსახლეობით დასახლებული ლომისისხევი. ამ სოფლის ბევრმა ოჯახმა ომში დაკარგა მარჩენალი და ამ მაღალ მთის კალთაზე უსახსროდ, ეულად, წვრილი შვილების ამარა დარჩენ მათი ოჯახები. ბევრი წლობით ერთ ახალ ჩასაცმელს ვერ იძენდა, ზოგ ოჯახში თვეობით არ ცხვებოდა პური, რომლის მაგივრობას მოხარშული ქრისტიანული ქრისტიანული სწევდა.

სოფლად მთის გლეხობა თუ რამეს ხელში მოიგდებდა, ჩალის ფასად ახალგორელ ვაჭრებს აძლევდნენ. უგზოობისა და უტრანსპორტობის გამო თვითონ ვერ უკეთებდნენ რეალიზაციას და ასე მუქთად ატანდნენ ქორვაჭრებს.

მკითხველს ცოტა წარმოდგენა, რომ მაინც შეექნას იმდროინდელ და უფრო ადრეულ ვითარებაზე, მოვიყვანთ თბილისში გამომავალ, ერთ-ერთ მაღალ რეიტინგულ გაზიერში დაბეჭდილ სტატიას ახალგორელ ვაჭრებზე:

„ახალგორელი ვაჭრები ფანცი-ფუნცობენ. ზოგ-ზოგი მათგანი თაგვებისაგან ამ ზამთრით დაჭმულ ტომრებს აკონკებენ და თანაცერთმანეთს გადასძახიან: — ყოჩალ აზარუაჯან, კერე, კერე ტომრები თუ მოვიგებთ რასმე, წრეულ მოვიგებთ! — ყველა მხრიდან შიმშილობა გაისმის კოდი პური ხუთ-ექვს მანეთზედ ავა — აი!

აზარუა უკმაყოფილოდ პასუხობს ზაქარია ნარუმ-ბალს — ჯერ

„სპილო ხორთუმით ქლაგს მსხვერპლს, გველი — ქოცნით, მეფე — ღიმილით, ხოლო მოღალატე — პატივის მიგებით“ (კავკასიური დღი)

კიდევ ვინ იცის! ამოდელა საქონელი ნისია გამიცია და ჯერ კაპიკი არ ვიცი! ლომისის ხეველებმა თუმანი ორ კოდ პურად გამომართვეს, ვინ იცის, რა ნაგავს მომაყრიან კოდნახევარი ძლივს დადგება.

აიღებ ერთ ფუთ მარილს, 60 კაპიკად ღირებულს, მისცემ — გამოართმევ ერთ ფუთ ყველს 6 მანეთის ღირებულს — მოგება ამასა ჰქვია არც ჯაფა არც წელის ტკივილი“.

დაახლოებით შვიდი ათეული წლის იქით, ს. ლომისისხევში ცხოვრობდა უკიდურესად გაჭირებული, წვრილშვილი ახალგაზრდა ქვრივი ქალი მოხუცი მამამთილ-დედამთილით. ქალი წელებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ ოჯახის მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. იგი იყო შვილებისა და უპენსიონ, დავრდომილ მოხუცთა ერთადერთი პატრონი, მის ოჯახში სიღატაკე გამეფებულიყო. შიშველ-ტიტველი ბავშვები და მოხუცები დროის დიდ ნაწილს სამოსის არქონის გამო ქვეშაგებში ატარებდნენ. ქალს კი რა ექნა შიშველი სხეულის დასაფარი კაბაც კი დასძველებოდა და ნაქსოვ შალებში იყო გამონასკული.

ზაფხული კარგახნის დაწყებული იყო და გახუნებულ შალების თრევით გულდამძიმებული ქალი უხალისოდ ხვდებოდა კარზე მომდგარ, ყოველ მთიელთა მთავარმონამე ლომისის წმ. გიორგის დიდ დღესასწაულს. სახალხო სანახაობებთან ერთად ამ დღესასწაულზე იმართებოდა ვაჭრობა-გაყიდვები. მოდიოდნენ როგორც ახალგორელი ვაჭრები, ისე ჩრდილოეთ კავკასიიდან ქისტები, ლეკები, ოსები, რომლებიც ყიდიდნენ ხელოსნური წარმოების პროდუქციას. განსაკუთრებით ქალის მორთულობებითა და აქსესუარების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ურიების მოძრავი სავაჭროები. ფართლეულით ვაჭრობაში ცნობილი იყვნენ ახალგორელი ვაჭრები, რომლებიც მოჩარდახულ (კიბიტკიანი) ურმებზე მოწყობილ სავაჭროებში ყიდიდნენ თავიანთ საქონელს. ხდებოდა ბარტერული — გაცვლითი ვაჭრობაც.

„ქალო! — როდამდე უნდა იარო მაგ გაწყალებულ კაბაში. ხომ ხედავ ხორცებს ვეღარ გიფარამს! დაძველდა! დაიხა-დააკერე, დაიხა-დააკერე, დაიხა და როდემდედა უნდა აკერო, როდამდე უნდა იყო ეგე ბეჩავად?! — დალოცვილი ლომისიობა კარებზე მოგვდგომია, ჩა-დი ლომისისხევის ჭალაზე იქნებ ღვთისნიერი ვინმე ნახო ვაჭარ-

„გიღრე სუნთქვას ადამიანი, იმედოვნებს კიღეც“ (ციცერონი)

მეწვრილმანე და ნისიად მოგცეს ერთი საკაბე ლომისობას, კავკავი-დან ჩამოსულ გურინიანთ ელას შევაკერინებდით“. — უთხრა ჭუჭყი-ანმა, გრძელფრჩხილა საპყარმა დედამთილმა შიშვლად დარჩენილ ახალგაზრდა რძალს. მასაც მეტი რა გზა დარჩენოდა და სამშაბათს, საღამოხანს ჭალაზე დამდგარ მოვაჭრე-მეწვრილმანეთა შორის მუშტრის თვალით დადიოდა — უსახსრო, უქონელი ქალი. ხან რომელ რიგზე მივიდა, ხან რომელ რიგზე. ზოგან შეზარხოშებული მოქეიფენი დახვდნენ, ზოგიც წვიმის მოლოდინში სავაჭროს ანესრი-გებდა, რათა არც თავი დასველებოდა და არც გასაყიდი საქონელი. ბოლოს ტყის პირად მდგომ კიბიტკიან ურემთან გაჩერდა. მძუმა-რედ დაყრდნობილ სომხე ვაჭარს გამოელაპარაკა, უთხრა დაუფა-რავად თავისი გაჭირვება და ერთი საკაბე ფართალი სთხოვა. ვა-ჭარმა სასონარკვეთილი ქალის გაჭირვებით ისარგებლა და უთხრა, რომ მოეცადა, ვინაიდან ფართალი ამხანაგისა იყო, რომელიც საკ-ლავის საყიდლად იყო გასული — მოვიდოდა და აუცილებლად მის-ცემდა. ქალმაც დაუჯერა და დაცდა ამჯობინა. ამხანაგმა დაიგვია-ნა. ლოდინში ჩამოლამდა. წიფლის შეშაზე დანთებული კოცონთან ვაჭარსა და ქალს შორის გარიგება მოხდა. მასთან ღამის გათენების სანაცვლოდ - საკაბეს, საპერანგეს და ლამაზ, წითელ ქოშებს მიი-ღებდა. ერთი სიტყვით საავდროდ გამზადებული ის კუნაპეტივით შავი ღამე თეთრად გაათენეს თეთრ ნაბაზზე თრთოლვაში თეთრ-გვრემანმა და შავგვრემანმა. მეორე დილით არ უწვიმია, მაგრამ მა-ინც წყლიანი თვალებით დაბრუნდა სახლში მოტყუებული და გულ-გატეხილი ქვრივი ქალი. ვაჭართან „ამხანაგი არ მისულა“ და მასაც ვერ მიუცია „სხვისი საქონელი“ ნისიად. სამაგიეროდ ერთი, ჯიბეში დებით გაცრეცილი „ფული“ — სინამდვილეში ობლიგაცია მისცა, რომლითაც ცრუ ვაჭრის თქმით — ყველგან იყიდიდა საკაბეს, საპე-რანგეს და სხვა ბევრ წვრილმანს.

ქსნელებმა ხშირად ვიცით თქმა: ღმერთი მაღლიდან იყურებაო! — დღესასწაული ბოლომდე არც იყო ჩამთავრებული, რომ საშინე-ლი წვიმა ნამოვიდა. მლოცავმა მალევე აიკრა გუდანაბადი და თავს უშველა. სავაჭროებიც ალაგდა და ყველა თავის გზას დაადგა. იმ დღეს, ვინც წვიმას მშრალი გადაურჩა, საღამოს აღორებულმა და ადიდებულმა ცხრაზმულამ თავისი მღვრიე, ტალახიანი ტალღები მაინც შემოახვია. სომეხი ვაჭრის „კიბიტკიანი“ ურმისთვის ძლიერ დაურტყამს სწრაფ მდინარეს გადაუბრუნებია მთელი თავისი სა-ვაჭროთი, თავზე დაუმხია და დაუხვრჩია ძუნნი და უმადური „ჯენ-ტლმენი“ ვაჭარი.

„გული და თვალი ბიწიერების მაჭანკლები არიან“ (თალმუდი)

ჯიგრიანი მძახლეპი

ქარჩოხელ ცნობილ მეცხვარეს არსენ ალექსის ძე ქენქაძეს — (წვერას), ორი ვაჟიშვილი ჰყავდა: ვანო და შალვა. უფროსი ვაჟის ვანოს სიდედრი, ქალბატონი მარო ახლოური მიდელაშვილების — მახარეანთ რძალი იყო, ხოლო უმცროსი შვილის — შალვას სიდედრი, ქალბატონი მაგდანა მაჭარაშვილი ბალაშვილების რძალი. არსენას ეს ორივე მძახალი დიდიხნის დაქვრივებული ქალები იყვნენ, ლამაზები და ტანადები. არანაკლებ ტანადი და ლამაზი ქალი ყოფილა არსენას მეუღლე — ხაჯარა. თუმცა ჯერ ისევ სიბერის სიჭაბუკის ხანაში ყოფილა არსენა, როცა ცალუღელა ხარივით მარტოდ დარჩენილა, მძახლების საფრთხობელად.

არსენამ ღრმა სიბერემდე იცოცხლა. 86 წლის ბერიკაცი ყიზლარიდან ქარჩოხამდე ცხვრის ფარას ისე მოერეკებოდა რომ ერთხელაც არ დამჯდარა მანქანაზე და ცხენზე. ის სიხალისე და მხიარული ხასიათი, რომელიც მას ჭაბუკობიდან მოსდევდა სიბერემდე შემორჩა. მეცხვარეობის მძიმე პროფესიამ, ცხოვრების გრძელ გზაზე ნანახმა სევდამ და მწუხარებამ წელში მოღუნა, მაგრამ ვერასდროს ვერ გადატეხა პატრიარქი მეცხვარე. როგორც ზემოთ ვთქვით არსენა სიბერეშიც ხალისიან და ოხუნჯ კაცად დარჩა.

დაქვრივებამდე, იუმორს აყოლილმა არსენამ ერთხელაც თქვა, მოდი და შევიტყობ ჩემს მძახლებიდან რომელს უფრო თეთრი უკანალი აქვსო. ერთ-ერთ სადლესასწაულო სუფრაზე მოწვეული მძახლებს წვერა არსენა ჩვეული გულკეთილობით და განსაკუთრებული ხელგაშლილობით შეხვდა. დამისთევით დაიტოვა და კარგადაც გაართო. ფიქრებს აყოლილმა, სახლ-კარს მოცილებულმა და დაღესტნის ტრამალებში გამოღამებულმა მეცხვარემ თავისდა ძალაუნებურად



არსენ ალექსის ძე
ქენქაძე



მაგდანა მაჭარაშვილი-
მალაშვილის

„ყველას ეშინია სიბერის და ყველას კი უნდა სიბერემდე მიცოცლეს“ (გუასტი)

გაიფიქრა და აისრულა კიდევ გულის წადილი.

ნათქვამია ფიქრსა და ხუმრობას კაცი არ მოუკლავსო, და აი წვერამაც კეთილ ხუმრობად ნაფიქრს, თუ რომელ მძახალს უფრო თეთრი... ექნებაო პასუხი გასცა.

გვიანობამდე ისხდნენ მძახლები და ერთმანეთში ტკბილად მასლაათობდნენ. ხანდახან არსენა გარეთ დერეფანში გავიდოდა და იქვე კუნძზე წვრილ გამხმარ შეშას ანაკუნძებდა. სახლშიც ბლომად შეიტანა და კარებს უკანაც მოზრდილი გროვა დააყენა.

დაწვნენ ლაპარაკითა და ქათქათით მოღლილი ქალები, ყველამ ერთ დიდ მამაპაპურ დაბაზში მოისვენა და არსენა კი ძველებურ, დიდ ღუმელს აყრიდა და აყრიდა წინასწარ მომზადებულ წვრილ და ხმელ შეშას.


ოთახში საშინელი ბუღი ტრიალებდა. ჯერ ახლოურთქალმა გადაჰკრა საბანს ფეხი, მერე მაჭარათქალმა, არსენა კი თვალებს კიტრებში გადაპარულ ბალლივით აცეცებდა.

მას მერე კარგა დრომ განვლო. სიბერეში, სიმთვრალის დროს უხელებდნენ ახალგაზრდები და გაახსენებდნენ არსენა პაპას ძველ „გრესებს“ და თან ჩაეკითხებოდნენ: — თუ დაუნახე და გახსოვს რომელ მძახლისა მოგეწონა, რომელს უფრო თეთრი უკანალი ჰქონდაო?

მაჭარათქალისა ისე ანათებდა, — „როგორც ბროლი-ბადახშიო, ცვარი — ნამი ბალახშიო!“ გულუბრყვილო სიცილით ამბობდა წვერა და თან გრძელ ულვაშებს იგრეხდა.



გარიბ ახლოური
მიღელა შეიღისა



კოლია მახარეს ჟე
მიღელა შეიღილი



**„იშვიათია რომ,თავის შესახებ ჰეშმარიტების მოსმენა
კაცს ეამოს“ (სუგური)**

თუშის თავგადასავალი

გასული საუკუნის 80-იან წლებში, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ერთ-ერთ მონინავე და შრომის დამკვრელ, მილიონერ კოლმეურნეობად ითვლებოდა ბალაანის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლ-ბა, რომელიც მეცხვარეობაში არნახულ ნარმატებებს აღწევდა. რესპუბლიკისა და საკავშირო გარდამავალი დროშები თითქმის ფეხს არ იცვლიდნენ ქარჩოხიდან. კოლმეურნეთა საკუთრებაში 30000 სული ცხვარი და თხა ითვლებოდა, მსხვილფეხიც რამდენიმე ათასი იყო.

ქარჩოხის, იგივე ბალაანის კოლმეურნეობაში მაღალი ანაზღაურების გამო ადგილობრივ კოლნევრთა გვერდით ცხვრის ფარებს ამრავლებდნენ და მწყემსავდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული ხელშეკრულებით გაფორმებული პირები. აღნიშნულ კონტრაქტორ მეცხვარეთა შორის კოლ-ბაში შრომობდნენ თუშეთიდან მოსული მოსე ბოჩილაიძე და მის მიერ მწყემსობას ნაზიარები, ჯერ კიდევ პირტიტველი თუშის ბიჭი შოთა შამშალაიძე.

შოთამ დიდხანს მწყემსა ქარჩოხელთა ცხვარი. მან მოსვლისთანავე პატიოსანი შრომით და კეთილ ბუნებით ყველას შეაყვარა თავი, პირველ რიგში ერთ ლამაზ გოგონას—მარინე ქენქაძეს. მათ სიყვარულით შექმნეს ოჯახი და ზედსიძე კაცს რაიონის ხელმძღვანელობამ ურიგოდ წითელი ნოლშესტი მისცა, მალე ქვეყანა აირია. შოთას ცხვარი გაზიარებული ჰყავდა მეზობელ გრიშა (ბაბაჯანა) ქენქაძესთან. დედით ოსი გრიშა, არად მიიჩნევდა იმხანად გახშირებულ ყაჩალთა თარეშს ქსნის ხეობაში და ფიქრობდა, რომ არ აკადრებდნენ იმას, რაც უამურის მთებში თავისმა დაქირავებულმა



ზეზა შოთას ძე
შამშალაიძე



ნინა ავთანდილის ძე
ქენქაძე

„ზეაღმავალი შეიძლება შედგეს კიდეც და ქვედაქანებული კი არასდროს“ (ბონაპარტე)

ლეკებმა ოსების ხელშეწყობით გააკეთეს. გულდაჯერებულ არენ-დატორს მთებიდან 2000 სული ცხვარი მოსტაცეს, მათ შორის იყო თუშის 100 სული ცხვარი. ცხვრის გატაცებას მაღლე სამგლეთის მთებიდან ხარების გარეკვა მოჰყვა, ხარებს — მანქანის მოტაცება, მანქანას კი ქარჩოხში კაკლის მბერტყყავი, გაიძვერა და თავზე ხელალებული კოლია მეგრელიშვილის გამოჩენა, რომელმაც მოტყუებით ფოთში ჩაატანინა თერთმეტი დაკლუული ღორი, ფული კი თვითონ ჩაიდო ჯიბეში. ამის თაობაზე თუშის მეზობელმა სოფ. ქენქანში მცხოვრებმა ავთო ქენქაძემ ლექსად გამოხატა სასოწარკვეთილ თუში შოთას უიღბლო თავგადასავალი.

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ,
და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის
იმათი კუბოს ფიცარი“.

ეს ბრძნული გამონათქვამი
მე, თუშს, პირიქით ამიხდა,
ცოლშვილზე შეყვარებულმა
დავკარგე მამა-პაპიდა.

თუშურ ბაშტეტში გაზრდილმა,
ვარჩიე ახალგორშია,
მოსემ, რომ წამომიყვანა
მოვდევდი როგორც გოშია.

ცხრა წელიწადი ვიარე
ნოღაელების ველზედა,
შეყვარებული ვიყავი
ტურფას და მარინეზედა.

სამზეოს დავაბოტებდი,
თავი მეგონა ბატონი,
მარინე ცოლად შევირთე
და გავხდი მისი პატრონი.

„ორჯერ არავინ არ ცხოვრობს, მაგრამ არიან ისეთებიც,
რომლებიც არცერთხელ არ ცოცხლობენ“ (ჩუქერტი)

წითელი ნოლშესტი მყავდა,
ბურთივით იყო შეკრული,
ცხვარ-მეცხვარეზე სიმღერით
გულილა მქონდა შეჭმული.



ვაი ჩემს ბედს რა ვუთხარი,
მთლად უკულმა დატრიალდა,
სულ წელიწად ნახევარში
ყველაფერი ატიალდა.


ასი სული ცხვარი მყავდა,
მამლებით და დედლებითა,
ერთ დღისით გაარეკინა,
ბაბაჯანამ დედეულთა.

ცხვრის ბარაქა გამინელდა,
იმედ მქონდა ხარებისა,
ისიც ლაპუთ წაიყვანეს
რა მემართა ოხრებისა.

წელანაც ვთქვი შესტი მყავდა,
ნომერ თექვსმეტ-თექვსმეტითა,
ისიც ოსებმა მომპარეს
ღორილა მყვა თერთმეტითა.

დასუქდნენ და დაიზარდნენ,
ჭამდნენ რკოსა და წიფელსა,
მანქანას აღარ ვდარდობდი,
კოხტას, ლამაზს და წითელსა.

ცხვარი, ხარები, მანქანა,
ვთქვი, ვითომც არა მყოლია,
უცებ საითმე გამოტყვრა,
კაკლის მბერტყავი კოლია.




„ქვეყანა საგსეა სასიამოვნო საწამლავით“ (ქეიტი)

ორი კვირა ჩემთან იყო,
მყავდა ხორცსა და წვენზედა,
ღორების დანახვაზედა
ხელს გადისვავდა წვერზედა.

თუში! — გინდა გაგიყიდი,
კარგ ფასებში ღორებსაო,
ოღონდ შენ მე დამიჯერე
ნუ აყვები ჭორებსაო.

დავხოცეთ, ფოთში გავყევი.
ხელი ჩავკიდე ხელშია,
უკან სახევი არ არის
ბოლმა მანვება ყელშია.

დავდექით ფოთის ბაზარზე,
ყიდვა დაუწყო გულებსა,
რამდენ კილოსაც გაყიდის
იმდენს იჯიბავს ფულებსა.



მესამე დღისით დამისვა,
რავი რა აღარ მექადა,
ბოლო-ბოლო კი ის მითხრა,
ფულის შეწერვა მენადა.
იმ წუთში თვალთ დამიბნელდა,
ვაიმე, წყალი წამისვი,
მუხლის ჩოქელა ვეხვეწე
ოღონდ ცოცხალი გამიშვი.


თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ,
ბევრსაც ვჯობივარ ქსნელსაო,
მოსე, აქ მოყვანისათვის
გიგინებ დედის ხსენსაო.

თუში ვარ თუშად დავრჩები,
გული მუდამ მაქვს ბავშვური,
სადაც მინდა იქ ვილოცებ,
კაცი ვარ მუდამ კაცური.

**„ბევრმა არ იცის რა ბევრი ცოდნაა საჭირო, რომ
ვიცოდეთ რა ცოტა ვიცით“ (უნმენანტი)**

იქნებ დაგინეგულია

ქსნის ხეობას ბევრი კარგი, ნიჭიერი და სახელოვანი მეცნიერებელია. ცხვრისადმი მათი სიყვარულის გამოა, რომ ჩვენში ლეგენდებივით ყვებიან მწყემსის მძიმე და რთულ გზაზე თავსგადახდენილ დაუჯერებელ ამბებს. ერთ-ერთი ასეთი მეცნიერებული ქარჩოხიდან იყო არსენა ალექსის ძე ქენქაძე, (წვერა) მან დიდხანს, 75 წელი იარა ცხვარში, რომელიც გახლდათ ცოცხალი მატიანე ქსნის ხეობის მეცნიერების ისტორიისა. აქ ერთი პატარა კურიოზი მინდა მოვყვე მის მიერ განვლილი ცხოვრებიდან.



**ნინა ბახარეს ასული
მიდევლა შვილი-ქენქაძისა**

ნინა ბახარეს ასული მიდევლა შვილი-ქენქაძისა და ცოლ-შვილის რვა თვის უნახავი, ყიზლარიდან ფეხთ ჩამოსული არსენა ქენქაძე ჯერ კიდევ თავის დიდ ოჯახთან ერთად გაუყორდა ცხოვრობდა, ტყაპუჭ გადაფარებულ ტახტზე წამონალილიყო და 350 კილომეტრიან გზაზე სიარულით დაღლილ და დაქლეთილ ფეხებს ასვენებდა, თან გამოცდილი თვალით ოჯახში არსებულ უფროს-უმცროსების ურთიერთობებს აკვირდებოდა. არსენას თავის ოჯახში რაც არ მოეწონა იყო ის, რომ რძლები ბალაპანქალი და მი-დელაპანქალი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. გარდა ამისა ხმასარ სცემდნენ დედამთილს. ერთი სიტყვით - ყველანი ერთმანეთს ებუტებოდნენ, რაც არღვევდა ოჯახის იმ იდილიას, რა იდილიაც გასული წლის შემოდგომაზე, ყიზლარში წასვლის წინ დატოვა ამაგდარმა შეცხვარებმ.

ოჯახში რძლები მოსაჩვენებლად სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ, მამამთილთან წყნარად და თავმონონებით იქცეოდნენ, ეჯიბრებოდნენ კიდეც ერთმანეთს მისადმი ყურადღებასა და პატივისცემაში, ეგების ჩემ შვილებს უფრო მეტი წითელ თუმნიანები აჩუქოსო.


არსენა კი კვლავ წყნარად ტახტზე იწვა თავის განუყორდნელ წეკოს

ლეჭავდა და თან სადილის სამზადის თვალს ადევნებდა.

არსენას მეუღლემ — ხაჯარამ ყაურმის ქვაბი გახურებული ლუმელიდან ძირს გადმოდგა და დუხორკაზე მდგარი ლობიოს თანგირა ქვაბი დაბლა ცეცხლს მიუმარჯვა. მალევე მოარბენინა ლობიოში შეღებილი ხის კოვზი, დაურია და მარილითაც შეაზავა. არ გასულა დიდი ხანი, რომ დედამთილთან და მაზლისცოლთან უმძრახმა ბალაანთქალმა მოთუხთუხე ლობიოს ქვაბს ახადა, დინჯად მოურია და მამამთილთან მეტი დამაჯერებლობით, რომ საჭმელს მე ვამზადებო მწვანილებითა და მარილით შეაზავა, მერე კიდევ ერთხელ მოურია, დააფარა და წავიდ იკბინა, მაგრამ არავისთვის არაფერი უთქვამს.

გავიდა სულ ხუთიოდე წუთი და ლობიოს ქვაბთან ახლა ტანწერნეტა მიდელათქალი ნინა მოცქრიალდა. კეკლუცად მოარბენინა მზითვში მოტანილი ვერხვის ხისგან გამოთლილი, აჭრელებული ტაგანი, დიდი მონდომებით ჩაურია, მარილით შეანელა და უფროსის გასაგონად ჩაილაპარაკა, — წინაკა დავიწყნიათ, კვლავ დაუზარელად გაცქრიალდა, ძეგლევური წითელი წინაკა მოიტანა, ხახვთან ერთად ჩააჭრა, ქვაბს პირი უჩინა, ცეცხლს შეშა მიაშველა და გაუჩინარდა.

გაბრაზდა არსენა, მიხვდა, რომ ისევ ყელში ამოსული ყაურმის ჭამა მოუწევდა. წინდებიანი წამოხტა ტახტიდან, აილო მახარეანთ ნაქონი ხის სამარილე, გადახადა ქვაბს და თან კვნესით დაიძახა: — მეც უნდა ჩავაყარო, იქნებ დაგინებულია!.. და ჩააყარა ვეძასავით გამლაშებულ ლობიოს შეჭამანდს, მილიონი წლის წინ ზღვის ფსკერზე დალექილი მარილი. მერე ნაღეჭი თამაქო შორს გადაანიტა, მაჯაგანით გაფხეკილი ტყაპუჭი მოიხვია და ტახტზე წამოგორდა სეირის საყურებლად.



„პატარა მწუხარება ყბედია ღიღი კი ხმა ამოულებელი“ (სენეკა)

შიათა და შილის უფლები

ქვემოთ მოყვარული მარტინის 1/6-ზე წითლად გადაჭიმულ სოციალისტურ სახელმწიფოს, უჭირდა საქართველოსაც. შრომისუნარიანი მამაკაცებისგან დაიცალა ხეობის სოფლები. მეცხვარის ვაჟეცურ პროფესიას კვლავ მიუბრუნდნენ თადარიგში გასული ხნიერი მეცხვარები. ხოლო დანარჩენი მძიმე, მამაკაცური სამუშაოები: თიბვა, მკა, ლენვა, შეშისა და თივის მიტანა და თქვენ წარმოიდგინეთ გუთნის დედობაც კი ქალებმა იტვირთეს, მაგრამ საუკუნეების მანძილზე მთაში წესად ნატარები სარიტუალო ტრადიციები არ დაურღვევიათ. მიცვალებულისთვის სამუდამო განსასვენებელი, „სასახლისა“ და საფლავის გამზადება — მინის მიყრა ვერ იგუა ქალურმა ბუნებამ.

ცხოვრების მთელი სიმძიმე გაითავისეს, როგორც უნარიანმა ქალებმა, ისე მოზარდებმა და მოხუცებმა. ცხოვრების ცუდი პირობების, უექიმობის, უნამლობის, უსახსრობის გამო სიკვდილიანობა გახშირებულიყო, რაც პირდაპირ კავშირში იყო ქვეყნის საომარ მდგომარეობასთან. ხშირად ქარჩხის ერთი სოფლიდან მეორე სოფელში ეძახდნენ სახლში დარჩენილ ბერიკაცებს, ისეთი ტრადიციული წესების შესასრულებლად, როგორიც იყო მიცვალებულისთვის „სასახლის“ აგება, „წესის“ აგება, საფლავის გაჭრა და დაკრძალვა.

ომის დროს სოფ. ქენქანში მოხდა ერთი უბედური შემთხვევა. უსინათლო მოხუცი ქალი ბანიდან გადმოვარდა და დაიღუპა. იმ დროებაზე სოფელში მამაკაცი არავინ იყო, რომ მიცვალებულისთვის სასახლე გაეკეთებინა და საფლავი გაეთხარა. საშველად დაუძახეს ბალანიდან თედო (ჭიანა) ივანეს ძე ბალაშვილს, რომელიც თანაგრძნობით მოეკიდა ჭირისუფლებს. ორი დღის მანძილზე განეული შრომით მოხადა ჭიანამ თავისი მოქალაქეობრივი ვალი მეზობლებთან. დაკრძალვის მერე შესანდობარ სუფრიდან წამოსვლისას ჭიანამ დამწუხარებულ ოჯახს და მის სამეზობლოს შეფარვით განუცხადა: ქენქანო, ჩემი ნუ მოგერიდებათ, ასეთ გამოულეველ საქმეზე ხშირ-ხშირად დამიძახეთ არ დაგზარდებით.

დიდი მადლობა ჩვენო თედო, მადლად მოგცემს ღმერთი გა

„შეგნებული გქონდეს მოვალეობა და არა შეასრულო,—
ეს ლაპრობაა. (კონფუცი)

ჭირვებულთა დახმარებას, იცოცხლე, იცოცხლე! — დალოცეს გა-
მოღმელებმა გაღმელა.

გვიანდა მიხვდნენ ჭირვეული ჭირისუფლები ჭიანასაგან ჭინჭა-
რივით გადმორტყმულ ორაზროვან სიტყვების მნიშვნელობას, მაგ-
რამ გვიანდა იყო. მწვანიაძირში ლატნების მოქანავე ხიდზე ჭინჭრა-
ქასავითლა მოჩანდა ზედ მიმავალი ჭიანა.



„იმის სიკეთეს ერიღევინც ქეთილობით თავს იქებს შენს
წინაშე“ (ეშენბახი)

როგორ არის საპაპა?!

საგულისხმოა, რომ ქსნის ხეობის ბოლო და მთავარ დასახლე-
ბულ პუნქტად რუკაზე დატანილია სოფელი ბალანი, სადაც ქარ-
ჩიხის სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ შენობის გარდა არსე-
ბობდა სკოლა, ინტერნატი, ბიბლიოთეკა, კლუბი, სამედიცინო და
სავეტერინარო პუნქტები, მაღაზია, სასადილო, ფოსტა-ტელეგრა-
ფის და საფოსტო განყოფილებები.

ბალანის საფოსტო განყოფილების გამგედ ათწლეულების
მანძილზე მიხეილ მიტროს ძე ბალაშვილი იყო. ალიშტულ განყოფი-
ლებაში ახალგორის რაიონული ფოსტის გავლით საბჭოთა კავშირის
მრავალ კუთხიდან იგზავნებოდა უურნალ-გაზეთებისა და წერილე-
ბის დიდი ნაკადი. უბანს სხვა პერსონალთან ერთად ემსახურებოდა
საფოსტო ავტომანქანა — მძღოლი ერვანდი ილურიძე.

ერთხელაც რაიონში ჩასულ მიხეილ ბალაშვილს თავის საფოს-
ტო უბნისთვის, ქარჩიხში მიაქვს საჭირო ინვენტარი და უურნალ-
გაზეთები. ტრანსპორტის ნაკლებობის გამო თუ ხეობის ჭარბი მო-
სახლების გამო, ხშირად ერვანდ ილურიძეს საფოსტო ავტომანქა-
ნით უხდებოდა მგზავრების უანგაროდ გადაყვანა. ამჯერადაც მი-
სი მანქანის ძარაზე მგზავრთა შორის აღმოჩნდა მიხეილის ქვისლი
ახალგორიდან, ცნობილი ნალბანდი წყალობა ოვაშვილი. წყალობას
მთელ ახალგორის რაიონში იცნობდნენ და დიდი და პატარა პატი-
ვისცემით ეპყრობოდა. მას თითქმის ყველა სოფელში ჰყავდა მე-
გობრები და კეთილის მსურველი ხალხი.

ფოსტის ავტომანქანა ქარჩიხში ავიდა და პირველივე სოფელ-
ში ჭორჭოხის ბირჟაზე გაჩერდა. სადაც თავი მოეყარათ სოფლის
ქალებს, მათ შორის იყო წყალობას დიდიხნის ძმაკაცის საბა პავლი-
აშვილის მეუღლე ყველდაბიდან ფეფო — ახლოურთქალი.

საბა 101 წლის ასაკში გარდაიცვალა 1990 წელს. იცოდა აზერბა-
იჯანული, რუსული, ოსური და ინგუმური ენები. წყალობამ იცნო ძმა-
კაცის მეუღლე, რომლის გამომცხვარი ქადა-პურით ბევრჯელ ყოფი-
ლა პატივნაცემი. ბირჟაზე გაჩერებულ მანქანიდან წყალობამ ყველა
იქ მყოფთ დარბაისლურად დაუკრა თავი და ტკბილი სიტყვით

„გქონდეს იუმორის გრძნობა — ეს იმას არ ნიშნავს იყო გონებამახვილი და ასევე იყო გონებამახვილი არ ნიშნავს იმას, რომ გაქვს იუმორის გრძნობა“ (ბაკარიანი)

მოიკითხა ფეფო და მისი მეუღლე:

— როგორ არის საბაკა!

— საბა კარგად არის გენაცვალე, რა უჭირს, იცოცხლე, მადლობა! შენ როგორა გყავს ცოლ-შვილი? ხომ კარგად არის ვარა?!

კარგად არის, იცოცხლე, მეც ღვთისწყალობით არამიშავრს-რა. საბაკა რომ მენახა უფრო გამიხარდებოდა, მაგრამ არაუშავრს-რა. სახლში რომ მოვა უთხარი ჩემს ძმაკაც საბაკას — წყალობამ მოგიკითხათქო!

ვეტყვი გენაცვალე, ვეტყვი! — და თან ახლოურთქეალი ქალების სიცილს არაფრად აგდებდა, ქიშმირის თავშალს ისწორებდა, თითქოს მათ ჯინაზე თმებს, რომლებსაც აქამდე არასდროს აჩენდა — ყველას დასანახად იშლიდა. სასაცილო კი ის იყო, რომ ხუთი ენის მცოდნე საბაკას ცოლმა, რუსული ენიდან ერთი სიტყვის მნიშვნელობაც კი არ იცოდა და თავის საყვარელი მეუღლის სახალხოდ ლანძღვას პირლიმილიანი ხვდებოდა.



ბისეილ მიტროს ქე
ბალაშვილი



საბა სიხას ქე
პაგლიაშვილი



„ქეთილი აღამიანი თავის მოქმედებაში იპოვის ჯილდოს“
(ზასსილიონი)

რაზ-რაზ-ვზიალი!!

ქსნის ხეობის ფიზიკური გეოგრაფიდან გამომდინარე მის ზე-მო წელზე, როგორც ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ისე გან-ვითარებული ინფრასტრუქტურით ყოველთვის გამოირჩეოდა სო-ფელი ლარგვისი, სადაც ჯერ კიდევ „ერთობის ბიჭებმა“ ემბრიონის სახე მისცეს კომუნას. მაღვე ლარგვისში შეიქმნა აღმასრულებელი ორგანო, კოლმეურნეობა, სკოლა, მაღაზია, ფოსტა-ტელეგრაფი, აიგო 100 ოჯახზე გათვალისწინებული ჰესი.

1941-45 წლების ომის შემდეგ ქვეყანა უფრო წინ წავიდა, გა-უმჯობესდა ხალხის ცხოვრების პირობები. სოფელს შეემატა ბიბ-ლიოთეკა, საავადმყოფო, პურის საცხობი, სასადილო, რესტორა-ნი. დღის წესრიგში დადგა ხეობის ყველა დასახლებული პუნქტის ელექტროფიცირება. სამოციანი წლების დასაწყისისთვის ჭურთა, ცხრაზმა, ქარჩოხი უკვე აღარ წარმოადგენდა ლარგვისისთვის ცენ-ტრიდანულ პუნქტებს. სამივე ხეობაში შეიქმნა ცხოვრების საუკე-თესო პირობები.

სოციალიზმის განმტკიცება გულისხმობდა ქვეყნის ელექტრო-ფიკაციას. ლენინის მიერ შედგენილი და დამტკიცებული „გოელ-როს“ გეგმა და მისი ძირითადი სახელმძღვანელო ლოზუნგი „სოცია-ლიზმი პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“ ხორცს ისხამდა.

დადგა დრო, ქარჩოხშიც გამქრალიყო მრავალსაუკუნოვანი სიბნელე. 1966 წელს დაიწყო ხეობის ელექტროფიკაცია. საძეგუ-რიდან ზევით სამუშაოებს აწარმოებდა ქ. თბილისის მე-7 საამშე-ნებლო კანტორა. ბრიგადას ხელმძღვანელობდა ნიკო ინასარიძე. მისი რაზმი მოსახლეობასთან ერთად შიშველი ხელებით ეწერდა მძიმე ფიზიკურ შრომას. ბრიგადას ყველანარად ხელს უწყობდ-ნენ კოლმეურნეობათა თავკაცები. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის კარგი დამოკიდებულება და დახმარებითი ურთიერთობები, რასაც ინასარიძის ბრიგადას უწევდა სოფ. პავლიანის მკვიდრი, ბალანის ს. ორჯონიქიძის კოლ-ბის თავმჯდომარე, ხეობისთვის ბევრი კარგი საქმის წამომწყები, ენერგიული კაცი იოსებ გიორგის ძე პავლიაშვი-

ლი (დაიბ. 1927 წელს).

იოსები და ნიკო ერთობლივად შედგენილი გეგმით და მუშა-ხელის მორიგეობითი ბეგარის შემოლებით, მნიშვნელოვან წარმატებებს აღნევდნენ ქარჩოხის უბანზე. ელ. ხაზის ბოძების მინაში ჩასმისას ბრიგადირი ათი-თორმეტი კაცის გასამხნევებლად დიდი ხმით დაიძახებდა, რაზ-რაზ-ვზიალი და ფისში მოხარშული თორმეტ მეტრიანი ხის ბოძიც წამოიმართებოდა. დღესაც 2010 წელს ნიკოს ბრიგადის ჩასმული ელ. ბოძებით კიდევ მიეწოდებათ ზოგიერთ აბონენტებს ელექტრო ენერგია.

გაზაფხულიდან შემოდგომამდე ამნაირი შეძახილებით გააცნო და დაამახსოვრა თავი ქარჩოხელებს ბრიგადირმა ინასარიძემ. ბილო ერთ-ერთ პუნქტზე მუშაობისას იოსებ პავლიაშვილის მძლოლის გოგია ქენქაძის სახლის ეზოში ნიკო თავის ბრიგადას კვლავ ომახიანი შეძახილებით ამხნევებდა. სახლში მხართებოზე წამოგორებულ გოგიას ნიკოს ყვირილით გაღიზიანებული მეუღლე შეეკითხა: ნეტავი ერთი გამაგებინა ბოძების აყენებისას, ამხელა ხმით რას ყვირის ეს კაციო?

რას და იმას, რომ ვინც არ გვეხმარება იმათი ცოლი და დედა.

— ვზიალი ნე პრისედაიტე — რაღა არისო?

— რა არის და ის, რომ ვინც სახლშია და გარეთ არ გამოდისო იმათი ცოლი და დედა უფრო ძალიანაო — მიუგო გოგიამ.

ადე შე ოხერო და ტიალო, მიეხმარე შოთერი რაღა არის, რას აგინებინებ, მთელი დიდი ზაფხული. დედაშენი თუ არა, მე მაინც არ გენანები!

პ.ს. ნიკო ინასარიძე ის ადამიანია, ვისაც ვაუა გიორგის ძე ბაშარულთან და ნიკა გაბრიელაშვილთან ერთად დიდი ამაგი აქვს განეული ჩვენი ხეობის საკეთილდღეოდ.



კოლმეურნეობის თავჭრომარე
იოსებ გომბგის ძე
ბაგლიაშვილი



„ქვეყანა ტაძარი კი არა არის, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს,
არამედ სახელოსნოა, საცა უნდა იჩქებოდეს და მუშაობდეს“
(ი.ჭავჭავაძე)

როგორ გადაარჩინა სამეგრელოში გაზრდილმა თხამ მისა ელოშვილი თავმჯდომარეობიდან განთავისუფლებას

ც ყოველი, როცა ამბობდნენ და წერდნენ, — ლენინგორი ანუ ძველი ახალგორი. მოვიდა დრო როცა ვამბობთ და ვწერთ ახალგორი, ანუ ყოფილი ლენინგორი. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა, ქსნის ხეობა დავკარგეთ, იქ მყოფმა უცხო (არც ისე უცხო) ტომელებმა ახალგორს „ძველი“ სახელი - ლენინგორი აღუდგინეს, მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა მოხდეს ჩვენთვის სამართლებრივად და ისტორიულად ახალგორი იყო, არის და იქნება.

სტალინის მეფობის მიმწუხრს, მაშინდელი ლენინგორის რაიკომის პირველი მდივანი გახლდათ ილია პავლეს ძე გალდავა. ფიზიკურად და სულიერად ძლიერი და ლამაზი, არაჩვეულებრივად შრომის, სამართლიანობისა და პატიოსნების მოყვარე კაცი, რომელიც არა-ნაირ კორუფციულ გარიგებებში არ ყოფილა გახვეული და უანგაროდ ემსახურებოდა ქვეყანას (ბევრი ამბობს, რომ იმისნაირი კარგი რაიკომის მდივანი არ ჰყავდა ახალგორს. რესპონდენტთა თქმით მის მერე მოსული რაიკომის მდივანი უზნაძე გალდავას აჩრდილი იყო, მათ შემდეგ მთელი რაიკომი ჭაობში ჩაეფლო).).

ილია პავლოვიჩი ახალგორში, ყოფილი რაიკომის შენობის მარჯვენა მხარეს, გვერდით ეზოში ცხოვრობდა მეუღლესთან და სამშვილთან ერთად.

1950-იან წლების დასაწყისში დაიწყო სოფლის წვრილ-წვრილი კოლმეურნეობების გაერთიანება. ზემო ქარჩოხში სოფელ ელო-ანის და ოხირის კოლმეურნეობები გაერთიანდა ლომისის „დამკვ-რელის“ სახელობის კოლმეურნეობასთან და თავმჯდომარედ და-ინიშნა მიხა ელოშვილი. გაერთიანებულ ლომისის კო-ბას გადაეცა ყოფილი კოლმეურნეობების ქონებაც და ვალებიც, წარმოების სა-

შუალებები და საწარმოო ძალები. კოლმეურნეობის კუთვნილ 7000 სული ცხვრიდან მაღლ 5000 სული ცხვარილა დარჩა. დანარჩენზე შედგა აქტები და 2000 სული ცხვარი გატარდა ნამკვდრევში. დიდი რაოდენობით „დაცემის“ გამო თავ-რეს ახალგორის რაიკომში ხშირად იბარებდნენ, ისიც მოხერხებისდაგვარად არიდებდა თავს შეკრებებს და სიტყვით გამოსვლებს.

ერთხელაც რაიონში დაბარებული მიხა არ გამოცხადდა „ავად-მყოფობის“ გამო, არ გასულა დიდი ხანი, რომ მიხა ახლა პლენუმზე დაიბარეს. თავმჯდომარესაც რაღა გზა პქნდა, მითითებულ დღეს გამოცხადდა პავლოვიჩთან. სხდომა რატომდაც მოგვიანებით დაიწყო. მანამდე მიხა და მისი რამდენიმე ამხანაგი რაიკომის ეზოში მასლაათობდნენ, აკრიტიკებდნენ პირველ მდივანს. ერთმანეთს უყვებოდნენ მის მეტისმეტ სიმკაცრეზე და წესრიგიანობაზე. ბოლოს ერთ-ერთ ამხანაგმა თქვა:

ჩვენ რაიკომის მდივანს თავისმა ბიძაშვილმა სამეგრელოდან თხა ჩამოუყვანა საჩუქრად, რომელიც სახლთან, პატარა ბაღში, აი იმ სამკაპა ვაშლის ხის ტოტებში გაჭედილა და ასე საცოდავად ჩამომხრევალა. — სხორცედ ამ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის გამოცდილ და გერგილიან მუშაქს მაგონებს ჩვენი პავლოვიჩი, — დაცინვით თქვა მოსაუბრებ.

ცოტახანში სხდომაც დაიწყო, სადაც სიტყვით გამოვიდა ილია გალდავა და ქარცეცხლში გაატარა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით ის პირები ვინც მესაქონლეობას კურიოებდნენ. თავის გამოსვლაში პავლოვიჩმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ზარალიანი კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, აღნიშნა, რომ მათი უნიათო და უგერგილო მოქმედებები დიდ ზიანს აყენებდა, როგორც ადგილობრივ კოლმეურნეთა მატერიალურ კეთილდღეობას, ისე ქვეყნის საერთო ბიუჯეტს.

დაუნდობლად გააკრიტიკა ახლად გამსხვილებული ლომისის კოლმეურნეობა და მისი თავკაცი მიხა ელოშვილი. კატეგორიულად მოითხოვა მისი ამ თანამდებობიდან გადაყენება. მიხას შეკითხვითაც მიმართა კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის ლიდერმა, აეხსნა ყველასათვის თუ რამ გამოიწვია მის კოლმეურნეობაში ცხვრის დიდი რაოდენობით დაცემა. მიხამ ამჯერადაც

**„აღამიანი ან სულ ქვევით და ქვევით ეშვება ან სულ ზევით
და ზევით მიღის, ორჯერვე თავის საქმეების წყალობით“**
(ხიტოპადეშილან)



**ლომისის კოლმეურნეობის
თავზე მიხა გოგის ძე
ევლოშვილი**



**შეილთა შეილი
ნინო ელო შეილი**

პასიურობა გამოიჩინა და ხმა არ ამოულია,
რის შემდეგაც რაიკომის მდი
ვანმა მისდამი ანტიპათია სხდომის დასას-
რულისთვის კვლავ გამოხატა და პრინცი-
პულად მოითხოვა მიხასგან მოესმინათ თუ
როგორ და სად გაქრა 2000 სული ცხვარი.

გაბრაზებული მიხა ფეხზე წამოდგა და
პირველ პირს მოურიდებლად უთხრა:

ილია პავლოვიჩი, ვალიარებ, რომ მე
ვტყუივარ და ვერ მოუარე 7000 სულ
ცხვარს, მაგრამ თქვენი ოჯახის ხუთ წევრს
ერთი თხა, რომ გყავდათ როგორ ვერ მოუა-
რეთ, რა უყავით!

დარბაზში თავშეკავებული სიცილი გა-
ისმა. გამნარდა პავლოვიჩი, ეს რა მითხარი,
შე ტეტია, შე უცოდინარო, დღესვე გაგან-
თავისუფლებ თანამდებობიდანო, იმუქრე-
ბოდა რაიკომის მდივანი.


სხდომათა დარბაზი მიხამ მალევე დე-
მონსტრაციულად დატოვა, ხოლო ილია
პავლოვიჩმა კოლმეურნეობის თავმჯდომა-
რედ კვლავ „ტეტია და უცოდინარი“ ელოშ-
ვილი.



**„ნათესავი ნაწილია ჩვენი ხორცისა, ხოლო მეგობარი
ნაწილია ჩვენი სულისა“ (არისტოტელე)**

პრაძიაგები

სსრ კავშირში ლეონიდ ილიას ძე ბრეუნევის მეფობის ხანის, 70-იანი წლების მიწურულს, ბალანის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნების წევრმა სოფ. ძაბუეთიდან ავთანდილ ფირუზის ძე მუზავემა დაღესტანში, ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ტბებში თევზაობისას, ბასრ საგანზე ფეხი გაიჭრა და კაჩუბეის საავადმყოფოში მოათავსეს სამკურნალოდ. ჭრილობა იმდენად სერიოზული გამდგა, რომ კვირაზე მეტი ხნით მოუწია სტაციონარში ყოფნა, იქიდან გამოწერისას, მასთან მისი ამხანაგის, ომარ მათეს ძე გამზიტაშვილის ვიზიტი დაემთხვა. თითქმის განკურნებული პაციენტი მკურნალმა ექიმმა კიდევ ერთხელ გასინჯა, წამლები გამოუწერა, დარიგება მისცა და სანახავად მისულ ამხანაგს თან გამოაყოლა.



**ავთანდილ ფირუზის ძე
მუზავე**

ავთანდილმა და ომარმა იქვე ახლოს მდებარე აფთიაქში გამოწერილი წამლები შეიძინეს. წამლებს შორის იყო შუშის დიდ, თეთრ ბოთლში მოთავსებული სამედიცინო სპირტი ჭრილობაში ინფექცია არ შეჭრილიყო. წამლების შეძენის შემდეგ ათი დღის უნახავმა ამხანაგებმა რკინიგზის სადგურის სასადილოში შეიარეს და ორი ბოთლით აღნიშნეს საავადმყოფოდან მშვიდობით გამოსვლა. სასადილოდან წამოსულ ავთანდილს სპირტის ბოთლი ჯიბეში ჩაედგა და ყელი უჩანდა, დანარჩენი წამლები ქალალდში გაეხვია და უბეში ჩაედო.



**თეიმურაზ ავთანდილის ძე
მუზავე**

მიდიან წაქეიფარი ძმაკაცები რკინიგზის სადგურში და თან სა-

შენი მასალებით დატვირთულ მატარებლის ვაგონებს ათვალიერებენ, თუ ჩვენი მძღოლები შიფერის წასაღებად არიან ჩამოსულები გავყვეთო, — უთხრეს ერთმანეთს. დადიან ხან პლატფორმებზე, ხან ატალახებულ ვინრო გასასვლელებში და ექცენ ნაცნობ მძღოლებს. ამ დროს, შორი-ახლოდან ვიღაც შეზარხოშებულმა, პერანგ ამოჩეჩილმა ლეკმა უხეშად, მბრძანებლური კილოთი დაუძახა:ეი, ბრაძიაგი, ბლიად სუ-და იდიტე! ეტუ დოსკუ დალუნი პერემესტი იზ ეტოგო ვაგონა ნა ტუ მაშინუ!..



**ომარ მათეს ძე
გამხიტაშვილი**

ომარმა ვერ გაიგო კარგად ლეკის ნათე-ქვამი, რადგან მოშორებით იდგა და მანქა-ნებს ათვალიერებდა. მივიდა ამხანაგთან და შეეკითხა, — რა გითხრა მაგ ჩურქანმა?

რა, ვერ გაიგე?!

— ვერა, ამ ქარში რას გავიგებდი.

— ბრაძიაგები ვგონივართ ამ ჩემისას და გვიბრძანებს, რომ ვაგონიდან მანქანაზე გადმოვტვირთოთ ფიცარი.

ომარს გაეცინა, — ლეკმა მისი სიცილი თანხმობად აღიქვა და ავთანდილთან მი-სულმა ჯიბეში ნახევრად მოჭანჭყარე წამ-ლის ბოთლზე მიუთითა:

ი, ეტუ ბუტილკუ ზაპოვნიუ ი ეშჩიო ად-

ნუ პოლიტრუ კუპლიუ.

მეგობრებს გულიანად გაეცინათ. შეზარხოშებული ლეკი ცო-ტახანში უსიტყვოდ გასცილდა „ბრაძიაგებს“.



„სამი მესამედი აღამიანებისა მაიმუნები არიან იმათი ვის
შორისაც ცხოვრობენ“ (სურულე)

ავტორიზეთ აღდგენილი უპის ტექნიკოსი

ზოგია რასაც ფიქრობს იმას ლაპარაკობს და იმასვე აკეთებს, ზოგიც კი სხვას ფიქრობს, სხვას ლაპარაკობს და სულ სხვას აკეთებს. ცნობილი ქართველი კომპიუტორი, რევაზ ლალიძე, რასაც ფიქრობდა, იმას წერდა და იმას აკეთებდა, მან მშვენიერი მუსიკა დაწერა ლამაზი პატრიოტული სიმღერისთვის „ტყე შეუნახე შვილებსა“. ბევრიც მღეროდა ტყის შენახვაზე, ბევრიც ლაპარაკობდა, მაგრამ სამწუხაროდ, ლაპარაკისას ბევრი საწინააღმდეგოს აკეთებდა, ისე როგორც ყოფილი ლენინგრადის სატყეო მეურნეობის ერთ-ერთი ტექნიკოსი ქართლოს ლობიშვილი. ეს ქსოვრელი კაცი ახალგორის სატყეოში მუშაობდა, რომლის დირექტორიც 1977 წ. გახდათ ქარჩხელი ამირან ორდას ძე ბალაშვილი.

ქართლოსმა სატყეოს ერთ-ერთ უბანზე მოახდინა აღურიცხავად სამასალე ხის უკანონო ჭრა და მისი მითვისება, რაც მაშინდელ განვრთნილ რევიზორ-კონტროლიორებს არ გამოპარვიათ. აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით მეურნეობის დირექციამ სამხრეთ ოსეთის სატყეო სამართველოს უფროსის ნოდარ ზადიშვილის ერთობლივი გადაწყვეტილებით ლობიშვილი განთავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან. ამ ამბიდან არ გასულა დიდ იხანი, რომ სატყეოს დირექტორი ამირან ორდაევიჩი ახალგორის რაიკომის მეორე მდივანმა ბატონმა არჩილ ჩიტიშვილმა გამოიძახა და სთხოვა: თქვენი მეურნეობის ან განთავისუფლებული მუშაკი ჩემი ნათესავია, მანუხებს, აღარ მასვენებს და იქნებ სხვა რაიმე სამუშაო დაავალოთ. დირექტორმა მზადყოფნა გამოიტქვა და მეორე დღეს სამსახურში აღდგენის მოხხოვნით, მასთან კაბინეტში ქართლოსის სტუმრობისას ცხინვალში ოლქის სამმართველოს უფროსთან — ზადიშვილთან დარეკა.

ბატონო ნოდარ, საქმიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ამხანაგი ლობიშვილი, რომელიც ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილებით გავათავისუფლეთ უბნის ტექნიკოსის თანამდებობიდან, მთლად ერთპიროვნული დამნაშავე არ არის და აღნიშნული დანაშაულის სიმძიმე უფრო მეტად სხვა პირთა დაუდევრობასთან და უპასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. იქნებ დავაპირუნოთ ჩვენს სის-

„სირცხვილი აღამიანის უძგირფასესი უნარია“ (სალტიკოვ-შედრინი)

ტემაში, მივცეთ შანსი, რომ კეთილსინდისიერი შრომით დაგვიმტკიცოს თავისი ერთგულება.

— ზადიშვილი აიჯაგრა. ბალაშვილის პატიოსნებაში და უანგარობაში ეტყობოდა ეჭვი შეეპარა — სამსახურში ლოხიშვილის დაბრუნებისთვის შესაძლოა ქრთამი აიღო და აქ ჩემი გაცუცურაკება და გაბიაბრუება უნდაო.



**ამირან ოხლას ძე
ბალა შვილი**

საოლქო სამმართველოს უფროსი მეტად გამოცდილი, გაწვრთნილი და ინტრიგანი პიროვნება იყო. ის ჯერ კიდევ 1961 წელს 26 წლის ასაკში ლენინგრძის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა. ბატონმა ნოდარმა თავი შეიკავა სატყეო-ში ქართლოსის აღდგენაზე და რიხიანად განაცხადა ტელეფონში: — ეგ საქმე საფუძვლიანად უნდა იქნეს გამოძიებული და გადაწყვეტილებაც შესაბამისად მიღებული. მე პირადად ეჭვი მეპარება მის

უდანაშაულობაში, ვფიქრობ ის კაცი ეხლა მანდ არის, შენს გვერდით და ცდილობს შეცდომაში შეგიყვანოს. არავითარ შემთხვევაში არ წამოეგო ანკესზე, — აფრთხილებდა მეურნეობის დირექტორს გაბრაზებული სამმართველოს უფროსი. —

არა, ნოდარ ზურაბოვიჩ, რას ბრძანებთ, არც ისეთ არასანდო პიროვნებად იკვეთება ამხანაგი ლოხიშვილი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, თუმც მე არ ვარ მომხრე საქმის მიჩქმალვისა. მე მხოლოდ სიმართლეს გეუბნებით და არა სხვა რამეს. არც ის პიროვნებაა ამჟამად ჩემთან კაბინეტში, რა მაქვს დასამალი.

როგორ თუ არა, ვიცი რომ მანდ არის და მალავ!

— არ არის აქ, არა, ნოდარ ზურაბოვიჩ, — ეუბნება უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ამირან ბალაშვილი და თან კუთხეში გასუსულ ქართლოსს უყურებს. აბა თუ მანდ არა არის მაშინ შეაგინე!

— რა დაუშავებია ბატონო ნოდარ, რატომ შევაგინო?

„სინდიზე უფრო დაუნდობელი ინკვიტორი არ არსებობს“ (ა.გერცენი)

— როგორ თუ რა დაუშავებია, უღირსი საქციელი ჩაიდინა, სახელმწიფოს სიმდიდრე გაფლანგა, გაანადგურა, მიითვისა რის გამოც სამსახურიდან იქნა გაგდებული და ეხლა იძახი რა დამიშავაო, მაში შესაგინებელი არ არის ესეთი კაცი.

კი ბატონო, შევაგინებ თუ დაიჯერებთ მის აქ არ ყოფნას და ჩემს უანგარობას, — გაუბედავად უთხრა ამირანმა და თან ქართლოსს ხელით ანიშნა რა ვქნა?

ფერნასულმა ქართლოსმა თავის, ხელებისა და ფეხების ერთდროული დაქნევით თანხმობა მისცა დირექტორს შეგინებაზე.

კი ბატონო, როგორც გენებოთ ზურაბოვიჩ, როგორც და რასაც მეტყვით იმას შევაგინებ. — იყო ბალაშვილისგან გამოკვეთილი პასუხი.

შეაგინე პირდაპირ ასე: — ქართლოს ლოხიშვილს მოუ...ნ კეთილები. ამირანმაც შესამჩნევი მორიდებით სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ნაკარნახები, სალანდლავი სიტყვები.

ეხლა შეაგინე ასე: — ქართლოს ლოხიშვილს მოუ...ნ სუყველა-ფერი! — ღრიალებდა ცხინვალდან ახალგორში 100 კილომეტრიან სადენით ზღვარს გადაცილებული სამართველოს უფროსი.

გაუბედავად მაგრამ უკვე საკმაოდ დამაჯერებლად სიტყვა-სიტყვით იმეორებდა იმიტაციაში ძალით ჩათრეული მეურნეობის დირექტორი და თან ყოფილ ტექნიკოსის დაღრეჯილი სახე ჰქონდა ფოკუსში გასწორებული.

ეხლა კი შეაგინე ასე: ქართლოს ლოხიშვილს მოუ...ნ ცოლი და დედა. — კვლავ ღრიალებდა ტელეფონში მუხრუჭანყვეტილი ჩინოვნიკი.

ამირან ორდაევიჩიმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და თავდავიწყებით გადაეშვა „კეთილშობილების“ მორევში. შეუცდომლად და მხატვრული გამომეტყველებით, ნიჭიერი დეკლამატორივით წარმოსთქვამდა სავარძელში მოკლათებულ სამართველოს უფუფროსისსის ნაკარნახებ სიტყვებს, — ქართლოს ლოხიშვილს მოუ...ნ ცოლი და დედა!

„ის კი არა არის დასანანი რომ აღამიანშა ფული, სახლი ან
ქონება დაკარგა, ყოველივე ეს აღამიანს არ ეჭუთვნის. დასანანია
მხოლოდ კაცი თავის აღამიანურ ღირსებას რომ დაკარგავს“
(ეპიატეტი)

რაიკომის II მდივნის ნათესავს ცხრა სართულიანი გინებებით
დატანჯული სახე კიდევ უფრო დაელრიჯა, ერთი ამოიოხრა, გაუ-
გებარი სიტყვები ჩაიბურტყუნა და სიმწრის ოფლდასხმული გარეთ
გამოვარდა.

გავიდა რამდენიმე დღე და ჩვენი „ავტორიტეტალდგენილი“
უბნის ყოფილი ტექნიკოსი კვლავ თავდაუზოგავად ჩაერთო ალ-
ტერნატიულ სამუშაოზე სატყეოს თანამშრომლების მხარდამხარ,
სოციალიზმის განმტკიცებისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში.



„გონიერასა და ჭიუას შორის ხალიან დიღი მანძილია“
(ზონაპარტი)

ჩვენებურები

საბჭოთა კავშირში ლეონიდ ილიას ქადაგი ბრეჟნევის მეფობის მიმწერს (გარდაიცვალა 1982 წ.), ქარჩხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გოგი არსენის ქადაგი მოლარე გაიოზ გიგოლას ქე თინიკაშვილი საბჭოს კუთვნილ სახელფასო თანხის ასაღებად ახალგორში ჩავიდნენ. 3-4 საათიანი ლოდინის შემდეგ გაირკვა, რომ იმ დღისით ფულს ვერ გასცემდა რაიონული ბანკი.

ლოდინით დაღლილებმა გადაწყიტეს „ბაზრის“ სასადილოში ესადილათ და საღამოს ოთხ საათიან ავტობუსს გაჰყოლოდნენ ქარჩხში. სასადილოში მისულთ დაუხვდათ კარგი მოქეიფე და მეგობრების პატივისმცემელი, შეზარხოშებული ვალიკო გოჭაშვილი. დაინახა თუ არა ძმაბიჭებში მოქეიფე ვალერიანმა ქარჩხელები სიხარულით შესძახა: — გაუმარჯოს ჩვენებურებს! და სუფრაზე დიდი პატივისცემით მიიწვია.

დაჯდომამდე შემოსწრებისა მოჰყუდა ახალგაზრდებს და გვერდით აქეთ-იქიდან დაისვა ორივე. მალე გაირკვა, რომ ღვინო გათავებულიყო. (ვალიკო თავის საძმაკაცოსთან თავისივე ღვინით ქეიფობდა რესტორნებსა და სასადილოებში)

შენ, ჩვენებურო! — ჩახვალ ჩემთან და ერთ ბოცა ღვინოს ამოიტან საჩქაროდ, — უთხრა ჭორჭოხელმა ჭორჭოხელს. ვიღაცამ ანგარიშიცემლად წამოიძახა: ღვინის ამოტანას ჩვენი ჩასვლა სჯობია!

მეტიც არ უნდოდა ვალერიანს: აბა ყველანი ჩემთან, სახლში! — შესძახა ომაზიანად საკმაოდ ღვინომორეულმა თამადამ. სუფრის წევრთაგან, ვისაც ღვინო უკვე მოძალებოდა და იცოდა ვალერიანის ახირებული, დაუნდობელი ხასიათი ქეიფში, — ზოგი შეიგნით პოვრებთან დაიმალა, ზოგმა თავი მეტად მოიმთვრალუნა, ზოგიც საპირფარეშოს შეეფარა და ვალიკოსთან წასვლას შეგნებულად აარიდა თავი. შემორჩა მხოლოდ ორადორი ქარჩხელი: გოგი და გაიოზი. ორივეს ხელკავი გაუყარა და თავისთან წაიყვანა, რომელიც სულ 200 მეტრში ცხოვრობდა სასადილოდან.

„ხასიათი აღამიანთან ერთად არ იბაღება, იგი აღზრდის ღროს
შეიძინება და საბოლოოდ ყალიბდება ცხოვრების შემდგომ გზაზე“
(დობროლუბოვი)

სახლის ეზოში შესულმა მასპინძელმა ბრძანების კილოთი
შეუძახა მეუღლეს: — ქრისტინე, მაღლა სახლში გაშალე პურმარი-
ლი! დიასახლისმაც წამსვე შეასრულა მეუღლის ბრძანება, დაინტე-
ერიფი. სიმართლე, რომ თქვას კაცმა პავლიაშვილს და თინიკაშვილს
ღვინის დიდ მსმელად, არც მაშინ და არც მერე არავინ თვლიდა, მი-
უხედავად მათი აღნაგობისა.

საათნახევრიანი ქეიფის მერე პავლიაშვილმა სადლეგრძელოში
ტკბილად შეაპარა გოჭაშვილს:

— ალექსანდროვიჩ ქარჩოხში აუცილებელი საქმე გვაქვს, რომ
არ ავიდეთ არ შეიძლება, ცოტა შევამოკლოთ, ავტობუსის გასვლის
დროც ახლოვდება.

წასვლა ჯერ ადრეა, არავითარი ავტობუსი, ჩემი მანქანით წახ-
ვალთ, მტკიცედ თქვა ვალერიანმა და მორიგ სადლეგრძელოზე გა-
დავიდა.

ცოტახნის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ გარეთ გასვლა
ითხოვა.

ბალდო, ემანდ ღმერთი არ გაგიწყრეს, არ შეცდე, გაფრთხი-
ლებ, არ გაიპარო!

არა ლექსანდროვიჩ, პაპკას აქ ვტოვებ, რომც გამაგდო საბუ-
თების გარეშე როგორ წავალ. — თქვა დამაჯვერებლად და გარეთ
გავიდა. ჩაირბინა მარმარილოს კიბეები და საპირთარეშოს საპირის-
პიროდ ალაყაფის კარებისკენ უჩუმრად წავიდა. კარების შიგნით
კუთხეში ჟიგულის 3-4 საბურავი იდო. ფრთხილად გამოაღო რკინის
კარები და უკნიდან კეფაში მძიმედ რაღაცა მოხვდა. მიიხედა უკან
და ახლა სახეში იგრძნო ძლიერი დარტყმა. თავმჯდომარეს თვალით
დაუბნელდა, ნახევრად შემოხსნილ კარებს დაეყრდნო, სიმძიმის გა-
მო კარები კიდევ უფრო გაიღო, ზედ დაბლაუჭებული გოგი კედლის-
კენ ზურგით წაიღო და საბურავებში ჩაკეცა. სეტყვასავით დაუშინა
მუშტები სტუმარს წონასწორობადაკარგულმა მასპინძელმა.

— რაა, გაპარვა გინდოოდა?! ხომ გაგაფრთხილე, ბოცა გაგიხსე-
ნით, კარგი სუფრა გაგიშალეთ, მანქანით წასვლას შეგპირდით და

„ვისაც ზოგიერთ შემთხვევაში ჭიუა არ დაბნევია, მას ჭიუა არ ჰქონია“ (ლესინგი)

კიდევ გინდოდა რომ მასხარად აგეგდე, ჩვენებურები მაინც არ იყვეთ დაგხოცავდით! დაგხოცავდით!

საბურავებში ჩაჭედილი გოგი უმწეოდ იქნევდა ხელებს და ამა-ოდ ცდილობდა წამოდგომას. ბოლოს იძულებული იყო თავდაცვა-ზე გადასულიყო. გაიოზი მაშინ ჩამოეშველა თავმჯდომარეს, როცა მის პერანგს მასპინძელი ფხრებდა.

აა, შენც აპირებდი გაპარვას! შენც ამის ლოსკუნტი ხარ ფრიც... — და ახლა მას წაუშინა ვალერიანმა.

ოჯახის დიასახლისმა ყვირილი დაინტყო, მივარდა ტელეფონს და მილიციაში დარეკა. ორ-სამ წუთში ფეხით მოვარდა მილიციის განყოფილებიდნ ზელიმხან სოკუროვი. დაინახა თუ არა, ქუჩაში სტუმრებს ლანძღვა-გინებით გაკიდებულმა ვალერიან ალექსანდ-როვიჩმა თითქოს გონებაზე მოვიდაო — გაიღიმა.

დღეს ზუსტად შენნაირ კაცს ვეძებდი, რომ ერთი ჯიგრიანად დამელია. მოჰკიდა ხელი იარაღიან მილიციელს და ძალდატანებით სახლში შეიყვანა. კიდევ კარგი, რომ ვალერიანს თავისი „ტაბელუ-რი“ იარაღი არ გახსენებია, თორემ საკითხავი იქნებოდა, ავიდოდ-ნენ თუ აიტანდნენ ქარჩოხში ჩვენებურებს ჩვენებურები — კაცმა არ იცის.



„ბელნიერება მუდამ მამაცთა მხარეზეა“
(პეტრე ბაგრატიონი) 1765-1812

გადით და გამოვდივარ!

1959 წელს ქარჩოეში, ბალანის 8 - წლიანი სკოლის დი-რექტორად დაინიშნა ცხრაზმის ხეობის სოფელ დადიანეთში დაბა-დებული და გაზრდილი, მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე ნასყიდ იასონის ძე ბერიანიძე (ბატატიანთი). მას ომში მიღებული



ბალაანის ქოლ-ბის თავ-ზე
გარდო ილექსანდრეს ძე

ჭრილობები კარგახნის მოშუშებული ჰქონ-და, როცა უმაღლესი განათლების მისა-ლებად გამოცდები გორის პედინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე ჩააბარა, და აი ერთხელაც დამამთავრებელი კურსისი სტუდენტი, თავის განუყრელი ტყავის ხელ-ჩანთით გორიდან მომავალი დგას იგოეთის გზაჯვარედინზე და ელოდება შემხვედრ ავტომანქანას, რათა როგორმე მიაღწიოს ლარგვისამდე, იქიდან კი ფეხით მივიდეს დადიანეთში.

არც ისე დიდი ხნის ლოდინის შემდეგ გამოჩნდა საპირისპირო მხარეს მიმავალი, ქარჩოხელთა „გაზიკი“. კაბინაში ზის ბალაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარდო გო-ჭაშვილი, ძარაზე კი 2-3 სხვა კაცი. ვარდომ დაინახა თუ არა სკოლის დირექტორი, მაღალი — ორ მეტრიანი ნასყიდ იასონოვიჩი გადას-ძახა: ჩვენ კასპში მივდივართ, ორ საათში უკან დავბრუნდებით და წაგიყვანთ!

მართლაც არ იყო გასული დიდი დრო, რომ იგოეთში გადასახვევ-თან კასკადიორებივით მოცვივდნენ ქარჩოხელი ჯენტლმენები. მათი დანახვისთანავე ბერიანიძე მანქანისაკენ გაქანდა, ხელის ერთი აქნე-ვით ხელჩანთა ძარაზე მოათავსა, მისი ერთი ფეხის საყრდენზე ადგმა და უკვე მანქანზე იჯდა.

— ეგრე არა! — შესძახა კაბინიდან გადმოსულმა გოჭაშვილმა. დაბლა ჩამოდი, ჯერ პატარა პური უნდა შევჭამოთ რესტორანში. ეგ ფულებით სავსე ჩანთა (წიგნებით სავსე ჩანთაზე!) თან წამოიღე არავინ მოგპაროს... და რესტორანში რიხიანად შეუძლვა ოთხაციან ჯგუფს.

„თვით ქაბან ქაცსა გაამხნობს ქარგის ქაცისა საზღლობა“ (იოსებ თბილევი)

იმ დროებაზე საკმაოდ ცნობილ რესტორნად ითვლებოდა „იგორეთი“. შევიდნენ „გზაზე დამდგარი“ ქსნელები, თუმცა კარგად იცოდნენ რას ნიშნავდა ვარდოს — „პატარა პურისჭამა“, მაგრამ რას იზამდნენ, ის კი ჩაილაპარაკეს „ხარი მოკლას თივამაო“ და შეჲ ყვნენ წინამძღოლს რესტორანში, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა. ქარჩოხელების გვერდით მაგიდაზე 7-8 შეზარხოშებული კაცი იჯდა და უწმანური სიტყვების კორიანტელს აყენებდა. დაინახეს თუ არა სტალინურ ხალათში და გალიფე შარვალში გამოწყობილი, აზიანცკებიანი, ტანმორჩილი გოჭაშვილი გაჩუმდნენ და ოვალიერება დაუწყეს. არ გასულა ნახევარი საათი რომ შეზარხოშებულებმა ახალმოსულების მისამართით შეიგინეს. ოთხეული გემრიელად შეექცეოდა სადილს და ხმა არავის ამოულია. ათიოდე წუთში კვლავ გამეორდა გინება. ვარდო მოიღუშა და ხარბად დაუწყო ყურება აყლაყუდა ვირგლებს, რომლებიც საკმაოდ გამომწვევად უყურებდნენ. ამჯერადაც მოითმინა ვარდომ.

გავიდა გარკვეული დრო და კვლავ უკვე მესამედ და მკაფიოდ გაისმა მათი მისამართით გინება. — თქვენ არ დაიძრეთ ადგილი-დან, თქვა ვარდომ მე მივალ და ამათ სუყველას დედას ვუტირებ.

შეცბნენ ქარჩოხელები, განსაკუთრებით ახალგაზრდა დირექტორი, როგორც ყველაზე მაღალს ჩხუბის შემთხვევაში ნასროლი ბოთლი, თუ მფრინავი თეთვი მე უფრო მომხვდებაო, — გაიფიქრა მომავალმა ისტორიკოსმა.

ვარდო წამოდგა, დინჯად, აუღელვებლად მივიდა ჩხუბის მოსურნეთა მაგიდასთან და წყნარად რაღაცა უთხრა.

უცებ აიშალნენ მოქეიფე, ღრეობაში გადასული ბიჭები, თითქმის ყველას ერთდროულად მოუნდა სკამიდან წამოდგომა, წამოდგნენ და არც თუ ისე ხმამაღალი შეძახილებით გაემართნენ



ქარჩოხის სკოლის დირექტორი
ნახევრი იასონის ძე ბერიანიძე

„მხოლოდ დროული სიმამაცეა ქების ღირსი“ (სენეკა)

გასასვლელისაკენ, მათ გვერდით მიჰყვება ვარდო. მივიდნენ თუ არა კარებში გოჭაშვილმა შეუძახა: — გადით და გამოვდივარ!

მთვრალი, „დევ-გმირად გადაქცეული მოჩხუბარიძეები“ ერთ-მანეთს ალარ აცდიდნენ კარებში გასვლას, და აი გავიდნენ თუ არა, იძრო უბიდან გოჭაშვილმა ბარაბნიანი და შეუძახა:

— აი ეხლა მოგი... ცოლსა და დედასა!-ო და კიბის საფეხურთან ფეხებში დაახალა ზედიზედ რამდენიმე ტყვია გასულთ. ატყდა ერთი ჩოჩქოლი. ქალებმა წივილ-კივილი მორთეს. ვარდომ ახლა პაერში გაუშვა რამდენიმე ტყვიის გულა და მისდევს უკან გაქცეულთ.

გვიშველეთ, გვიშველეთ, ხალხო! დაგვხოცა მთიდან ჩამოვარნილმა გიუმა!

ვარდომ ბარაბანდაცლილ, ლულაგაცხელებულ პისტოლეტს ერთი შეუბერა და უბეში ჩაიდო, მერე ფეხზე წამოცვენილ ფერწასულ ამხანაგებთან ერთად სუფრაზე დაბრუნდა.

მაგათი დედა კი ვატირე, მაგათი! — სადაც თავიანთი დაიკვეხონ იქ ქარჩხელი ვარდო გოჭაშვილისაცა თქვანო და ვითომ აქ არაფერი მომხდარაო კვლავ ქეიფი გააგრძელეს მთიელმა განგსტერებმა.

სანტერესოა რას ეტყოდა მთვრალ მაგინებლებს სუფრაზე მათთან მოსული გოჭაშვილი?! რომ ასე უმტკივნეულოდ. აურზაურის გარეშე გაიყვანა რესტორნიდან გაბრიყვებული იგოეთლები.



„განათლებული გონიერი აკეთილშობილებს ზნეობრივ გრძნობებს: თავმა უნდა აღზარდოს გული“ (შილერი)

დესტაპილიზაციის პროცესი

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ჩატარებულ ადგილობრივ არჩევნებს 70-იან წლებამდე ჩვენში რატომდაც „დებულებას“ ეძახდნენ, რაც პირდაპირი მნიშვნელობით, ნიშნავს ოფიციალური წესების კრებულს რისამე მოსაწყობად, შესასრულებლად. ამიტომაც საბჭოთა კონსტიტუციის დებულების (კანონის) მიხედვით რაიონულ და ადგილობრივი მმართველობის დეპუტატების არჩევის პროცესს ხალხმა დებულება უწოდა.

მაშინდელი კანონების თანახმად, ავადმყოფს, ინვალიდს, მოხუცს და საპყარს თუ კი შეეძლო სხვისი დახმარებით გადაადგილება, თუნდაც მარხილით, ვალდებული იყო, პირნათლად შეესრულებინა კომუნისტური პარტიის დებულებით დადგენილი კანონები და არჩევნებში მონაწილეობა მიეღო. ხალხი როგორც კომუნისტური იდეოლოგიის შემსრულებელი, იმ შეგნებით რომ ყველა უნდა გამოცხადებულიყო არჩევნებზე, აღნიშნულ კამპანიას არავინ აკლდებოდა, ზოგჯერ იგი დიდ სახალხო ზემიად იქცეოდა, მამა-პაპურ, ტრადიციულ საკულტო სალოცავებში გზამოქრილ ხალხისთვის. დებულების დროს ეწყობოდა ხალხის თავშეყრა, ნახულობდნენ ერთმანეთს, ეცნობოდნენ, იმართებოდა კონცერტები, ჭიდაობა, ქეიიფი, რითაც თანდათან იმსხვრეოდა იმ დროებისთვის ჯერ კიდევ დამახასიათებელი მთის სოფლების იზოლირებული, კარჩაკეტილი ურთიერთობები.

1968 წელს ქარჩოხის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები. ზემოთ ნათქვამის თანახმად ამ არჩევნებზეც ხალხმა კარგად მოილებინა. ბალაანის მაშინდელ 8-წლიანი სკოლის საქმეთა მმართველმა გაიოზ არსენის ძე პავლიაშვილმა (მირზაანთი) სახლიდან გაიყოლა „ნასახემსებელი“, რაც საბაბი გახდა დებულების შემდეგ 7-8 კაცის მოლეხინისა.

ზამთარი იყო. ციონდა. დეპუტატობის კანდიდატებისთვის ხმის მიცემის შემდეგ ქარჩოხელმა პედაგოგებმა: მერაბ და ამირან ბალაშვილებმა, გაიოზ პავლიაშვილმა, სოსო კანკაძემ, საბჭოს ბულტერმა ვარდო გოჭაშვილმა, მემინდვრეობის ბრიგადერმა ლექ-

სო პავლიაშვილმა და მეგარმონე გიგოლა თინიკაშვილმა გადაწყვიტეს სკოლაში თავიანთებურად აღენიშნათ საბჭოთა მშრომელების დიადი ნების დადასტურება.

სუფრას თამადობდა ჩვენთვის კარგად ცნობილი, აღმატებული პიროვნება ვარდო გოჭაშვილი. მის მაღალფარდოვან, მკვეთრად გამოკვეთილ, ღრმა შინაარსიან, ოუმორისტულ და გრამატიკულად გამართულ, მწყობრ მეტყველებას არ შეეძლო მისადმი პატივიცემით და მორიდებით არ განეწყო მსმენელი, რომელიც ერთპიროვნულ ლიდერად აღიარებდა სუფრაზე ჩვენს ვარდო ალექსანდროვიჩს.

ქეიფობენ ქარჩხის საზოგადოების წარმომადგენლები. პატარა ნათალ ჭიქებში ისხმება, როგორც ლვინით დასუყული ბარელი იტყვოდა „ხრაკიანი“ არაყი. ამხანაგები საკმაოდ შეთვრნენ. ფეხზე დგას თამადა. ისმის პათეტიკური სიტყვები. სადღეგრძელო ეძღვნება ქსნის ხეობას, მის ხალხს, ფლორას, ფაუნას. და აი, ვარდო გოჭაშვილმა თავისი მგზნებარე გამოსვლა დაამთავრა გიორგი ლეონიძის ლექსით, რომელიც 1952 წლის მარტში მას მოუსმენია პოეტისაგან სოფ. იკოთში.

„რომ ქართულ სიტყვას ჯერ არ უქია,
ჩვენი ლამაზი მდინარე ქსანი,
მე ეს ხარვეზი მინდა შევავსო
ამ ხეობაშიც დავრეკო ზარი.
სიტყვას ვიძლევი, სიტყვა სიტყვაა,
სიტყვა დავვერცხლო ოქროში მდნარი,
ჰანგი ვაჟღლერო და გავაშენო
ამ ხეობაშიც მე ლექსის ზვარი,
რომ თავის ლამაზ ვაჟის ქებისთვის
მე ტაშს მიკრავდეს მოხუცი მტკვარი“.

ალექსანდროვიჩმა ლექსი წაიკითხა და ალავერდს მის მოპირდაპირედ მჯდომ გიგოლა თინიკაშვილთან გადავიდა, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ, უცებ გაისმა კაცის ხორხისმიერი ნაწყვეტნაწყვეტი უცნაური ხმები და თამადის წინ თევზზე გიგოლას კილები დაცვივდა. გავიდა წამიც და ხელში რევოლვერშემართულმა ვარდომ შეჰქვირა:

— ვინ დაარტყა ჩვენს გიგოლას მე იმისი ცოლი და დედაო! ესე როგორ შეიძლება კაცის გამეტებით დარტყმა, რომ კბილები გააყრეინო!

**„ქარგია გაღვიძებული აღამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია
აღამიანი, რომელსაც ძილშიც არ სძინავს“ (ჭავჭავაძე)**

— ღრიალებდა გაბრაზეპული გოჭაშვილი და ხან კანკაძეს მიუშვერდა იარაღს, ხან ლექსო პავლიაშვილს და ხანაც გაიოზს, რომელიც ის-ის იყო მორჩა ვარდოს ნათქვამი ლექსის ქალალდზე დაწერას.

სიტუაცია დაიძაბა. თამადა და ბარაბნიანი ფეხზე დგას. ხალხი მთვრალია. ეშმაკს არ სძინავს. სასხლეტზე ოდნავ ზომიერი შეხება და ერთი იმათგანი მკვდარია. არავინ იცის ვისი დედა ატირდება. ვარდო არ ცხრება, ზომაზე მეტადაა განერვიულებული, თითქმის უმართავია. ვინ განმუხტავს დაძაბულ სიტუაციას?!

და, აი, ისევ გიგოლა წამოდგა, დარცხვენილი და შეშინებული. — არა ალექსანდროვიჩ! არა, არავის დაურტყამს ჩემთვის. თავი ვეღარ შევიკავე — ცხვირი დავაცემინე, კბილების პროტეზი მაქვს ხელოვნური და... ასე...

გოჭაშვილი წელში გაიმართა, მაღლა აწეული ბარაბნიანი ხელი მოუხრელად, პირდაპირ გიგოლასკენ დამიზნებით დაუშვა.

— აი, მე შენი ავი და კარგი! შე ინტრიგანო, შე აფერისტო გინდოდა, რომ ხელოვნურად დაგეძაბა სიტუაცია, მოგეხდინა დესტაბილიზაცია, შეცდომაში შეგეყვანე და კაცი მომეკლა!

— ცხვირინის უტრიალებდა მოლაპლაპე იარაღს აგზნებული თამადა უკბილოდ დარჩენილ, მოჩლიფინე გიგოლას.



„თუ მაღლსა იქმ და გაამულავნებ, სხანს ნაქნარს მაღლს უკანვე
თხოულობ“ (სირუსი)

ილო გაპარაშვილს და მის სტუმრებს გაუმარ-ჯოს!

ქ-20 საუკუნის 70-იანი წლებია. „ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“, ისე სწყურია სწავლა მთის ნიჭიერ ახალგაზრდობას და აი, საქართველოს უმაღლეს და ტექნიკურ სასწავლებლებში, მრავალი სტუდენტი ეუფლება სხვადასხვა პროფესიას 800 წლის იქით შოთა რუსთაველი რომ ქადაგებდა „მიეცით ნიჭა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსება“ სწორედ ისეთი ხანა დასდგომოდათ საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობას.

ახალგორის (მაშინდელი ლენინგრადის ქველი სახელი ალუდა 1990 წ. 4 სექტემბერს) ავტოსადგურში მთიდან ჩამოსულმა სამმა ახალბედა სტუდენტმა ამირან ბალაშვილმა, არჩილ და ომარ ოლაძებმა თავი მოიყარეს დედაქალაქში გასამგზავრებლად.

სალამო იყო. ტრანსპორტი ნაკლებად მოძრაობდა. სადგურს აშკარად ავტომანქანების სიხალვათე ეტყყობოდა. ბედად თბილისიდან ტაქსი მოვიდა. გადმოსხა მგზავრები შეტრიალდა და სტუდენტების წინ გაჩერდა. ახალგაზრდებმა ტაქსის მძლოლს სთხოვეს თბილისამდე წაყვანა, მან კი განუმარტა, რომ კაცზე მგზავრობის ღირებულება სამი მანეთია და სანამ მეოთხე მგზავრი არ გამოჩნდებოდა, ფეხს არ მოიცვლიდა.

დგანან, ელიან, ელიან და აი მოვიდა კიდევაც, ერთი მაღალი, გამხდარი, თითქმის შუახანს მიღწეული, საკმაოდ ნასვამი კაცი, მოსულმა დამხვდეურთ გასაგონად ჩაიღლაპარაკა, ქსოვრისამდე მივდივარ. ბიჭებს არ ესიამოვნათ ქსოვრისის ხსნება. ბოლოს მათგან ერთმა, ამირან ბალაშვილმა აუხსნა, რომ ტაქსი მიდის თბილისში და ელოდება 3 მანეთიან მგზავრს.

ცოტა თითქმის იუკადრისა ნასვამმა მგზავრმა: — მერე შენ რა იცი, რომ მე ჩემს სამ მანეთს არ ვიხდი და „დაუე“ თქვენსასაც. ბიჭები მიხვდნენ, რომ კაცურ კაცთან ჰქონდათ საქმე. დაუძახეს მძღოლს, ჩასხდნენ ტაქსში და გაუდგნენ გზას თბილისისაკენ.

ყმანვილებმა თავაზიანობა გამოიჩინეს და უცნობს როგორც

„ყველაზე გვიან ჭიქუასა და გონებას შევიძენთ ხოლმე“ (რუსო)

შედარებით ასაკიან კაცს წინ მძღოლის გვერდით დაუთმეს ადგილი. იგი ენაწყლიანი და კარგი მოსაუბრე გამოდგა.

მე, ბიჭებო ქსოვრელი კაცი ვარ ილო გაბარაშვილი, მიყვარს ძმობა, მეგობრობა, ქეიფი და დროსტარება. მართალია ციხიდან ერთი კვირის გამოსული ვარ, მაგრამ არ გეგონოთ ცუდი კაცი. მეზობელმა ჩემს ადგილში ჩასო მარგილი, ვერ მოვითმინე უსამართლობა და ვდრიკე. ერთი წელი გავატარე და გამოვედი.

მე ისეთი კაცი არ გეგონოთ, — კვლავ განაგრძობდა საუბარს ახალგაცნობილი, — ზოგიერთი მარტო გარეთ, რომ ბაქი-ბუქობს და სახლში კი დაუპატიუებელი სტუმარივით იქცევა.

კი, — ბევრი მინახავს ასეთებიც, დაემონმა უკან მჯდომი ამირან ბალაშვილი.

არა, მე უფრო ბევრი მინახავს, გარეთ რომ იკვეხის და სახლში ცოლის შიშით სტუმარი ვერ მიუყვანია და ხმის ამოღებისა რომ ეშინია, — აუნია ხმას შეზარხოშებულმა ილომ.

მე ეგთი ბიჭი არ გეგონოთ, რასაც გარეთ ვიძახი იმას შიგნით. მე რომ სახლში სტუმარი მიმყავს მთელი ჩემი ოჯახი სმირნაზე დგება. იქ რაიმე ზედმეტი სიტყვა და ნარბის შეკვრა არ იქნება. ამას დაგიმტკიცებთ კიდეც, მაშინ არ იყოს ამ ქვეყანაზე ილო გაბარაშვილი.

ნახევარ საათში ჩვენი მგზავრები უკვე ქსოვრისში იყვნენ.

— აბა ეხლა ყველა მივდივართ ჩემთან. ხმა არავინ გამაგონოთ, განაცხადა გაბარაშვილმა და მძღოლს ანიშნა იქვე გზის პირას, სახლთან შეეჩერებინა მანქანა. მძღოლი დაიღრიჯა. კაცო, თქვენ თუ საქეიფოდ გქონდათ საქმე თავიდან რატომ არ მითხარით. გეგმა მაქვს შესასრულებელი. მე ჩემი მომეცით და ნავალ. სახლი მაქვს, კარი მაქვს, ცოლ-შვილი მელოდება, მანქანა გარაუში უნდა დავაყენო — ეგრე კი არ არის, გაცხარდა მძღოლი.

აბა, ეხლა ყველანი მივდივართ ჩემთან სახლში, დინჯად გაიმეორა ილო გაბარაშვილმა და თან დასძინა: მე გიხდი გეგმას, შენი რა მიდის? გადმოდი და ერთი მამა-პაპურად, ძველქართველურად მოვილხინოთ. მძღოლი უსიტყვოდ დათანხმდა. მანქანა სახლთან შორიახლო გააჩერა და იქვე მდგომ სახლის ეზოში შევიდნენ. ილომ

„რაც არ აღმოცენდების, არც დაითესვის“ (ითანე ბოლნელი)

შორიდანვე შესძახა: ილო მოდის, ილო! მალე სახლის კარები გაიღო და ბავშვი გამოვიდა, ბავშვს თავისიზე უფროსი ძმა მოჰყვა, შემდეგ დედა და ბებიაც გამოვიდნენ სიმაღლის მიხედვით დაწყვნენ და უკვე ზღურბლზე მისულ ილოს და მის თანხმლებ ოთხ კაცს ერთხმად შესძახეს: ილო გაბარაშვილს და მის სტუმრებს გაუმარჯოს!

დაძახებისთანავე ქალები სახლში შეტრიალდნენ, ბავშვები კი მამას მიეალერსნენ.

ილომ თქვა ქვევრი უნდა გავხსნათო, ამირანს მიუთითა ქვევრის პირისთვის მიწა შემოეცლია. ილოს მეუღლე თვაურების ქალი დიდი კრძალვით და ბოდიშების მოხდით მივიდა სტუმრებთან და სთხოვა, რომ ქვევრი არ გაეხსნათ. მასში საზედაშო ღვინო იყო და მხოლოდ დღესასწაულის დროს უნდა მოხდილიყო.

დაგპატიუებთ, გენაცვალეთ. მობრძანდით დღესასწაულზე. თქვენ თვითონ მოხადეთ ქვევრი და შეთქმული საქლავიც თქვენ თვითონ დაკალით. დღესთვის კი სხვა საუკეთესო ღვინო გვაქვს ბოცებში, თქვენ თვითონ ამოირჩიეთ რომელიც მოგეწონებათ ის მიირთვით. სთხოვა თავაზიანად სტუმრებს დიასახლისმა.

დიდხანს ისმოდა მხიარულების ხმები გაბარაშვილების სახლი-დან. ბოლოს ყელამდე ნასიამოვნები სტუმრები გამოემშვიდობნენ კეთილ მასპინძელს და დაადგნენ ქალაქისკენ მიმავალ გზას.

გზაში რამდენჯერმე გაიმეორა მასპინძლის სტუმართმოყვარეობით, გულუხვობით და სიკეთით მოხიბლულმა ტაქსის მძღოლმა: ოცი წელია ტაქსზე ვმუშაობ, აქეთ-იქით დავდივარ, სად აღარ ვყოფილვარ, რანაირ კაცს არ გადავყრილვარ და ამნაირი კაცი და ამნაირი ცოლ-შვილის პატრონი ჯერ არ შემხვედრია.

ცხადია საქებარი სიტყვები ტაქსის მძღოლს, ილოს დიდად კე-თილ-მეგობრულმა ქცევამ და მასში დანახულმა ქართულ-ოსურმა სტუმართმასპინძლობამ უფრო მეტად ათქმევინა და არა მის მიცემულმა ოცდახუთ მანეთიანმა.



„ცხოვრება იგავ-არაკივით შინაარსით იზომება და არა სივრჩით“ (სენტა)

მარტინ არ დაელევა!

მიუხედავად იმისა, რომ ქსნის ხეობა მთაგორიანია და მისი ტერიტორიის ნახევარი ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლა მდებარეობს, მაინც მის ერთ-ერთ უძველეს დარგად შევენახეობა ითვლება. ათასწლეულის იქით ცნობილი იყო ნირქვლის ღვინო. ასევე ანგარიშგასაწევია ცხავატურაზე — რეხვას მარჯვენა ნაპირზე ტერასულად გაშენებული ზვარი — მაღლარი, რასაც ზურგს უმაგრებდა ცხავატში საუკუნეების განმავლობაში ღვინოს დასაყენებელი საუკეთესო ქვევრების შეუწყვეტელი წარმოება.

ვაზს, რომ ხეობაში საპატიო ადგილი ეყავა იქიდანაც ჩანს, რომ ქსნის ერისთავების რეზიდენციაში 1759 წ. აგებული ლარგვისის წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიის კარები გადმოცემის მიხედვით ცხავატის ვაზისგან ყოფილა დამზადებული. შესაძლებელია მისმა ამშენებელმა ერისთავმა გაიმეორა მანამდე არსებული ტრადიცია კარებთან მიმართებაში. აქედან შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ქსნის ხეობის, როგორც ბარში ისე მთის ძირში, ანუ გარდამავალ ზოლში, ყურადღება ექცეოდა მევენახეობა-მეღვინეობას და ამ პროცესს თავის მხრივ უნდა შეეწყო ხელი როგორც მიწისქეშა მარნების გაჩერისთვის მთის რეგიონში (სოფ. წიპტაურები, ჭორჭოხი, ზოდეხი, ნახიდი), ისე გვიანი პერიოდის ღვინის მოვაჭრე დუქნების გაჩერისთვის.

სავაჭრო-საქეიფო დუქნები ახალგორის გარდა იყო ხეობის შეყოლებაზე: კორინთაში, ნახიდურაზე. ცნობილ, პრესტიულ დუქნად ითვლებოდა საძეგურში „კაკლის დუქანი“. ლარგვისში დუქნები ჰქონდათ ახალგორელ ვაჭრებს „ცაგალიანთ“, „კაზარიანთ“, „ნარუმბლიანთ“ ასევე ურიებს და ოსებს. დუქნები ჰქონდათ მოწყობილი ადგილობრივ ქართველებს ლომისის ხევში და სხვა გზაჯვარედინებზე.

გარკვეულ მომენტში დუქანი ფუნდუკის როლსაც არსულებდა გზად შემოლამებულ დაღლილ და მშიერ მგზავრისთვის. ამბავი, რომელიც სოფ. კორინთის დუქანში მოხდა დაახლოებით 1898-1900 წლებს უკავშირდება. ქარჩოხიდან ახალგორში არქიელის თანაშემ

„საღ ჭერას ფასი დაეკარგებოდა, რომ თვითეული ჩვენგანი არ იხემჯდეს“ (ვერტერმაიერი)

წესთან საქმეზე წასულმა სოფ. ბალაანში მცხოვრებმა უშვილო და ცალთვალა კაცმა გიგო ბალაშვილმა (კრივამ) მარლი იორდა ცხენის გავაზე შემოისვა მეზობელი 11-12 ნლის ლევან შაქროს ძე ბალაშვილი და ახალგორის გზას გაუყენა. კრივამ გზად მოშიებული ბიჭი კორინთის დუქანში შეიყვანა დასანაყრებლად. იქ მათ დაუხვდათ ძველი ნაცნობი, უკანუბნელი მეცხვარე ბია ბაშარული, რომელმაც ბიძა-ძმიშვილი დასალევად სუფრაზე მიიწვია.

დაბაკნეთიდან უკანუბანში გადასახლებული ბიას მამა-პაპა „დიდ მეცხვარებად“ ითვლებოდნენ. ასევე თავისი გამოჩენილი გერგილიანობით დიდ მეცხვარედ ითვლებოდა ბია, რომელსაც ბევრ მოყვარე-მეგობართან ერთად მოშურნებიც ჰყოლია. ამ დროებაზე იქვე დუქანში ქეიფობდა ერთი ალეველი მეცხვარე ლოვა თანდილაშვილი, რომელიც შურობდა ბაშარულს. ლოვას ცხვარი ჩანგილარში გაუზამთრებია და გაზაფხულის პირზე ერთიანად დახოცვია. ბიას კი ქანდამი კარგი დოლი აუღია და ცხვარ-ბატყანიც შინ უკვდოვოდ მიურეკავს. ჯავრითა და ბოლმით გულგასიებული, ბალაანაშლილი ლოვა ბიასთან სუფრაზე მისულა და შეუძახნია:

„რას იბერები ბიაო,
რა პირი დაგიღიაო,
მე თუ ცხვარ-თოხლი გამინებდა,
ქილაში ყვითლად ყრიაო.
წავალ და მეც იქ ვიყიდ
სადაც, რომ იაფიაო!“

თქმა და ბიასთვის დარტყმა ერთი ყოფილა. უდანაშაულო კაცი მაგიდებში არეულა. კრივას ხმა არ ამოუღია, რადგან არ იცოდა თუ რაში იყო საქმე. ლოვა დაბრუნდა თავის მავიდასთან და მიეცა ლხინს მეგობრებთან ერთად. ბიამ აქ ვითომ არაფერიაო ქეიფი გააგრძელა. არ გასულა დიდიხანი, რომ ახლა ბია მიადგა ლოვას და მის სამეგობროს.

„თუ გსურს ყველაფერი დაიმორჩილო, თვით დამორჩილდი გონიერი“ (სენეკა)

„რად მინდა შენი ცხვარ-თოხლი
ოხრადამც დაგრჩენიაო,
თუ ჩხუბი გინდა გამოდი
გავსინჯოთ როგორიაო,
თან დაიხმარე სოფლები.
გრუი და ალევიაო,
არ შეშინდება შენიდან
ბაშარაული ბიაო“.

ისევე მოექცა ბია ლოვას როგორც ის რამდენიმე წუთის წინ მას. ამჯერად ბია აღარ გაჩერებულა დუქანში. აჩქარებული ნაბიჯით გა-მოსული პირდაპი ცხენს მოხტომია და ცხრაზმისკენ მოუქუსლავს. სუფრასთან დარჩენილი კრივა და პატარა ლევანა წამოსასვლელად ემზადებოდნენ, რომ ლოვას სუფრიდან ერთი ბრგე აგებულების კა-ცი მოსე მწითური მივიდა და უთხრა:

გიგო, გიცნობ მე შენ. გამიგია მთაში შენი ვაჟკაცობა, მაგრამ ბარშიც მოგინევს ვაჟკაცობის დამტკიცება. წელან შენმა ამხანაგმა რომ ჩემი ამხანაგი გალახა და გაიქცა, ამიტომაც უნდა დაგიმტკი-ცოთ, რომ აქ ჯერ ჩვენ ვართ ძლიერები და მერე თქვენ.

გიგომ თავაზიანად მიიღო მოსეს გამოწვევა, მოიბოდიშა, აუცი-ლებელი საქმე მაქვს ახალგორში, ჩავალ და იქიდან მოტრიალებუ-ლი შეგხვდებით.

მართლაც სამხრობის დრო იქნებოდა როცა კრივა და მოსე ერთმანეთს კვლავ კორინთის დუქანში შეხვდნენ. მოპაექრეებმა გადაწყვიტეს წილი ეყარათ თუ ვის უნდა დაერტყა პირველი. რო-მელიც ერთი დარტყმით წაიქცეოდა გალახულად ჩაითვლებოდა. წილი ყარეს და პირველი დარტყმის უფლება მოსეს შეხვდა. მაშინ ქარჩოხელმა მოითხოვა, ახალგორს ვეღარ მოვასნარი ღვინის და-ლევა და ერთი ცხავატური ჯამი დამალევინეთო. კრივამ ღვინო და-ლია და მოემზადა დასახვედრად.

მოსემ გაიწოდა ბერასავით ხელი და გამეტებით დაარტყა, კრი-ვა შეპარბაცდა, რამდენიმე მოკლე ნაბიჯი ჯერ უკან მერე გვერდზე გადადგა, თავი გაიქნია და დატრიალებულ დედამინასთან ერთად გაბოტილი გაჩერდა.

„ლვინო ახალი, მეგობარი ახალი უქეთუ დაძველდეს,
სიხარულით სკა იგი“ (ზირაქი)

ჯერი ცალთვალა კრივაზე მიდგა. დარტყმამდე კიდევ ერთი ჯამი დამალევინეთო, ამჯერადაც დაალევინეს ლვინო ალევლებმა. ახლა გიგომ გაინოდა ლატანივით ხელი და არნახული ძალის დარტყმით დაბარბაცებულმა მოსემ თავი ვეღარ შეიკავა და ჩაიჩოქა. მაშინვე მისცვივდნენ ამხანაგები მოსეს, წამოაყენეს, მუხლისთავები გაუბერტყეს, ჩოხა-ახალუხი გაუსწორეს და უკვე გონებაზე მოსული მოსე განკარგულებას იძლეოდა. დღეს აქ მყოფი ყველანი დავსხდებით დუქანში და ჩემი ხარჯით გათენებამდე ვიქეიფებთო.

მოსეს გალახვის მერე უშვილძირო, ცალთვალა კრივა ამაყად დადიოდა და, რომ იტყვიან, თავზე მამალ ბუზს არ ისვამდა, მაგრამ ნათქამია „მჯობს მჯობი არ დალევიან“. კრივა მას მერე ბევრ ვაჟკაცს აპუჩად იგდებდა, სამკალზე იყო, სუფრაზე, თუ „სამგზავროზე“.

ერთხელ ქარჩოხის რამდენიმე სოფლის წარმომადგენელი ახალგორიდან ცხენებით დაჯარულები მოდიან ქარჩოხში. გზაში გაამაყებულმა კრივამ ნამეტანი „გაახურა“. თვალში ამოილო ხოზოელები, მათაც უთმინეს, უთმინეს და ბოლოს სოფ. ქენქაანის ძირში „ლილლარზე“, გზის გასაყართან რომ მივიდნენ ანდრო გაროზაშვილმა მუშტის ერთი დარტყმით ძირს ჩამოაგდო ცალთვალა დევი.

მას მერე ხეობაში გავარდა ხმა, დიდმა და პატარამ გაიგო, რომ ისეთი ძალიანი კაცი როგორიც კრივა იყო ანდრომ ლილლარზე გალახა.

როცა ანდრო რაიმე საქმის გამო მოხვდებოდა სოფ. ბალაანში იქაურებს ხუმრობით ეტყოდა: — სად არის და როგორ არის ოქვენი კრივაო. ოხუჯობის მოყვარულებიც არ დააყოვნებდნენ და ეტყოდნენ: — ლილლარზეა, გელოდებაო! — უთხარით, რომ აქ ვარ და მნახოსო, — ნიშნის მოგებით ეტყოდა ბალაანელებს გაროზაშვილი ანდრო.



„უსარგებლო სიცოცხლე უდროო სიკვდილია“ (გოეთე)

უცდა გიამპოთ, გილეასოთ...

ვერავინ იტყვის, რომ მეგალითური კულტურის ნაკვალევი ქსნის ხეობაშიარ შეიმჩნევა. ჩვენში გავრცელებულ ლეგენდა-თქმულებში ფიგურირებენ გიგანტი ქვები, რაზეც ხალხმა შემოგვინახა თითქმის დაუჯერებელი, ნახევრად ისტორიულ-მითოლოგიური გადმოცემები, რითაც ივსება და ლამაზდება ქსნის ხეობის მტვერწაყრილი ისტორია.

ვიცით ლეგენდა ცრაზმის ხეობაში უკანუბნის ციხის გალავანზე, ცხრა ძმის ხელით დადებული მეგალითური ქვისა და მის ძირზე ძმებისაგანვე ანდერძად დატოვებული წარწერა — „ცხრა ძმამ დავდეთ და ცხრაზმელებო თქვენ გადმოიღეთო!“. ვიცით ასევე ჭურთის ხეობის სოფ. კუცხოეთში არსებული 4 ტონიანი მეგალითი ქვა — დევის ფილი და ფილთაქვა, რომელზეც თვალნათლივ ეტყობოდა დევის დედის ხელის ნავლები. აგრეთვე ცნობილია ლეგენდა ქსნის სათავეში ყელის ტბის გაჩენისა, რომლის ფსკერზე დევს მოთეთრო დიდი სიპის ქვა, რასაც ერთ დროს მეცხვარე თავისივე ხელით ამოთხრილი ჭის სარქელად იყენებდა. ერთხელაც დავიწყნია მას დაფარება, წყალს უდენია და ტბა გაჩენილა.

ირიალობისაგან განსხვავებით, რეალურად ყელის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, პატ. ლიახვის ხეობაში, ქნუღის ხუთსართულიანი ციხე-კოშკის ნინ დევს ერთი დიდი სიპი-ქვა, რომელზეც ამოტვიფრულია ხინკალი და ზედ აწერია ილია გაროზაშვილი. ამ ქვას შთამბეჭდავი ისტორია აქვს. ახსოვს, ბევრი მოგონებები, ამბები მწყემსთა ბინისთვის დამახასიათებელი მრავალი ღამისთვევა, ცეცხლის ალზე მოლხენა, სახინკლე ცომის ზელა და გამოკვრა, ჯოხგაყრილ, შემურულ თუჯის მოთუხუებებე ქვაბიდან დიდ ქვაზე ცხელ-ცხელი ხინკლის ამოყრა, რაშიც



ილია სერგოს ძე
გაროზა შვილი



მორგენი ილიას ძე
გაროზა შვილი

მუდამ ხუმრობის ხასიათზე მყოფი ილია გაროზაშვილი მოსაწონ, გულმისასვლელ ქალების სახელშექმეულ ნიშნეულობებს: ღოლოს, დეკის, ჩხამის ფოთლებს ან მარილს, ფქვილს, ცომს, ხორცის ნაჭერს პატარა ჩხირს და სხვა მისთანებს ატანდა ხინკლებს გულში. ჭამის დროს ვისაც შეხვდებოდა სახელდებული ნიშნიანი ხინკალი იმ ღამეს, მათი წარმოდგენით ის ქალი მასთან გაათევდა ღამეს



ემზარი ილიას ძე
გაროზაშვილი

ნაბადში. იყო აგრეთვე მწყემსთა ყოფისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა გართობები. ასეთი მრავალი ტკბილ-მწარე მოგონებები ახლავს დღეს ცხვარ-მეცხვარის გარეშე დარჩენილ, სამანმოშლილ ქსნის ხეობის მთასა და ბარს.

ქარჩოხზე ყიდა მათეს ძე და ილია სერგოს ძე გაროზაშვილებმა სხვა დანარჩენ ვაჟებაც მეცხვარეთა გვერდით დგომით გაამდიდრეს და გაალამაზეს ქსნის ხეობელ მწყემსთა სათავ-გადასავლო — საგმირო ისტორია. ისინი კარგი მეცხვარებიც იყვნენ, კარგი მამებიც, კარგი მა-

მულიშვილებიც, გაუგონარი შრომისმოყვარეობით, გამძლეობით, იუმორული ნიჭით და ალლორიანი მეურნის თვისებებით დაჯილდოებულნიც. გავა დრო და უთუოდ დაიწერება ქსნის ხეობელ ნიჭიერ, თავდადებულ მეცხვარეთა საგმირო ამბები.

აქ მკითხველს მინდა მოვუთხრო ამბავი 60-იანი წლების ბოლოს არაგვის ხეობაზე — მთიულეთში ილია გაროზაშვილის მიერ გამოჩენილ გმირობაზე.

ყიზლარიდან მომავალ ცხვარს გუდაურთან საშინელი ქარიშხალი დაატყდა თავს. ქარმა ცხვრის ფარა გაიტაცა და დიდი ნაწილი სოფელ განისასთან ახლოს ფრიალო კლდეზე გადაყარა. კომბალშემართული ნინ დამდგარი ილია ცხვრის ფარის შეჩერებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. ამ ბრძოლაში ცხვრის სამი-მეოთხედი დაიღუპა. თვითონ კი ბეწვზე გადარჩა.

უნდა გიამბოთ, გილექსოთ,
სამოცდა შვილდი წლისაო,
ზამთრის საძოვრებს გამოსცდა
გაროზაშვილი ილაო.

რაღ მინდა უშინაარსო სიცოცხლე ოხერტიალი?! (გაფა)

სახლში, რომ მოუხაროდა
ჩქარა ატარა ფარაო,
გუდაურში რომ მოვიდნენ
თოვლ-ქარი მოაყარაო,
მოსცხო და მოსცხო ნაქარი,
ცხვარი კლდეს გადაყარაო.
ილა წინ დახვდა ცხვრის ფარას
საყარს ზედ აეფარაო,
7 წლის ყოჩას გადამხტარს
ხელით ზედ წაეტანაო,
ცოტასლა თან არ გადაყვა
ჩანს წერას აეტანაო.
მწყემსები გზას ვერ ხედავდნენ,
ბარგი თოვლს გაეტანაო,
მოვიდა ჩვენი მთავრობა
ვილისი მოეყვანაო.
რას შვრები ილავ! უყვირის,
მდივანი რაიკომისა,
თავს რატომ სწირავ ფარასა
დრო ხომ არ გვიდგას ომისა.
შიგ ჩასვეს გაროზაშვილი
მღეთაში ჩაეყვანათო
იქაც ცხვრის ფარას ტიროდა
როგორც მთესველი ყანასო.



ილიას შვილი შვილები:
ლალი, ნატო და ილია

ორი მუხლი

მთის კაცის სიალალე, გულკეთილობა, გულწრფელობა და თავმდაბლობა, ყოველთვის თვალში საცემი იყო როგორც სტუმ-რისთვის ისე მისი მასპინძლისთვის. „სანთელ-საკმელი გზას არ და-კარგავსო“ — ნათქვამია ძველთაგანვე, სწორედ ამ გამოთქმის შე-საბამისი მაგალითია ის, რაც აქ უნდა მოგითხოთ.

სოფ. ხოზოეთი ყველაზე ხალხმრავალი დასახლება იყო ქარ-ჩოხში. „ძველების“ თქმით საღამოს სოფლის ბოლოს, მამულებში, რომ მივიდოდა კაცი, ქალაქის მსგავსად ხალხის ხმაური ისმოდაო. ასეთი სიძლიერე და ხალხმრავლობა ხოზოეთმა მეორე მსოფლიო ომამდე შეინარჩუნა. ბუნებრივია აქედან ომშიც ყველაზე მეტი წა-ვიდოდა და სამწუხაროდ მეტიც დაიღუპებოდა. ბევრი კარგი, ულ-გაშიანი და ქოჩიანი ვაჟუაცი შესწირა სამშობლის, დიდი წარსუ-ლის მქონე მთის პატარა სოფელმა. კომუნისტებმა იქ მაშინ გააკე-თეს სამანქანო გზა, როცა აღარავინ აღარ ცხოვრობდა. დღეს კი იმ ნასოფლარის ნახვის უფლებაც კი მოგვესპო.

ფაშისტებთან ომი ახალი დამთავრებული იყო. სოფელი კვლავ გამოცოცხლდა. ხალხი შრომაში ჩაეხა. სოციალიზმი მტკიცდებოდა. ხოზოეთში კოლმეურნეობის თავდა იყო, სადაც მშრალ, მსხვილფე-ხა საქონელს აზამთრებდნენ. იმ ზამთრის პირზეც კოლმეურნეებმა 33 სული მსხვილფეხი დააბეს ბაგებზე. გავიდა შემოდგომა. მოვიდა სუსხიანი ზამთარი. იალალებიდან ჩამოსულ გათქვირებულ-გალა-ლებულ ხარებს თავლაში საზღვავები დაეზნიქათ და ზაფხულში გამხმარი ბაგების ჭრიალთან ერთად სიმაძლრით გამოწვეული ქშე-ნა და საამო ბუბუნი ისმოდა.

იმ ხანისაზე ფერმის გამგე გახლდათ სამამულო ომის მონა-ნილე — „ნაპლენარი“ ლექსო გამზიტაშვილი — მოკაკული ლექსო, როგორც მას მეზობლები ეძახდნენ. მომვლელად კი მისივე ზაფხუ-ლის მწყემსი კეთილი და ჭკვიანი კაცი სიმონა (ყაყა) გაროზაშვილი.

„ნუ დაუახლოვდები ისეთ აღამიანს გისაც სინდისი მეტისმეტად მოქნილი აქვს“ (დელაკრუა)

მათ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ 25 ლიტრი ნავთი გამოუყო, ზამთარში საქონლის ბოსლის გასანათებლად. ნავთი ფერმის გამე გემ სახლში წაიღო, სიმონასთვის კი არაფერიც არ მიუცია.

შუახანს გადაცილებული სიმონა ზაფხულში მთაზე ნალოლი-ავებ, ნაამაგარ ხარებს სათუთად უვლიდა. მარილს ყოველ კვირა დღეს აჭმევდა, საურველს არ აშორებდა. თივა რაც ზომა-წონით იყო გათვლილი ერთ მაკატოსაც არ აკლებდა. ერთი სიტყვით მეგობარივით ექცეოდა მადლიან, ნაჯაფარ საქონელს.

ნათქვამია - ეშმაკს არ სძინავსო. სწორედ ეშმაკისგან დაწყევ-ლილი (ცნობილია ეშმაკის ლოცვის დიდი სიკეთეც) დამე იყო ის ღამე, როცა სიმონამ თავის პატარა შვილთან ერთად საქონელს შესედა. დამით ყინავდა და ბოსლის კარების ღრიჭოები თივის ფთი-ლებით ამოექოლა. სიმონამ აღარ მოინდომა დათბილული ბოსლის კარების გაღება და ფანჯრიდან შიგნით გადასვა პატარა ბიჭი, თან ცეცხლმოკიდებული რეზინი მიაწოდა გასანათებლად:

შვილო მიიხედ-მოიხედე, ხომ არაფერია აშვებული, რომელი-მეს ხომ არ უჭირს?!.. გადმოყრილი არ ექნებათ ვიცი, გვიანობამდე მანდ ვუჯექი, საზღვავებიც კარგად გადმოვუხვეტე! — უთხრა პა-ტარას და ფანჯარასთან დაელოდა.

ბიჭმაც ფათი-ფუთით მიირბინ-მოირბინა, იქით იმას მიხედა, აქეთ ამას. ბაგებშიც ჩაიხედა. ყველაფერი რიგზე იყო და ფანჯრი-დან უკან გადმოძვრა. — მამამ ფანჯარაც კარგად დაგმანა ჩალე-ბით, რეზინის კვარი ჩააქრო და დამშვიდებულები წავიდნენ სახლში.

ამ საქმიდან გავიდა ნახევარი საათი რომ სახლში მყოფ სიმონას ხალხის ხმაური მოესმა. გავარდა გარეთ და რას ხედავს: ცეცხლის ალშია გახვეული კოლექტივის ბოსელი. ხალხი უკვე მისულიყო, მაგრამ საქონლის გადარჩენის იმედი აღარ იყო. სიმონამ გააღო კარები და ფეხებში დამწვარი საქონლის გამდნარი ქონის ნაკადი ეცა. საცოდავი თითო-ოროლა ჯერ კიდევ ცოცხალი საქონელი საშინდალ ღმუოდა. მნახველს მათი საცოდაობით გული უწუხდებოდა.

„გმირსა ჰქმნის შემთხვევა, მართალსა კი ყოველდღიური სიქველე“ (მასსილიონი)

რცხილის წნელის საძირეებზე დაბმულ საქონელს ქონით გავსილ უკანტანზე ცეცხლი ეკიდათ და გველებივით იკლაკნებოდნენ, ან-თებული მაშხალებივით აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ. იმ დიდ ბოსლი-დან ერთი ძერნი ძროხა გადარჩა მხოლოდ. ხალხის ქონება ცეცხლ-მა შეიწირა.

მეორე დღესვე დაადეს ბორკილები საწყალ სიმონას და ახალ-გორს გააქანეს, საქმე ძიებას გადაეცა. ახალგორიდან მალე ორთა-ჭალის ციხეში უკრეს თავი ტუსალს.

სიმონას ციხეში შავი გაგების ბიჭები შემოეხვივნენ გარს და პკითხეს, - ბიძაჯან აბა ერთი გვითხარი რაზე ჩაგსვეს ამ გოთვერ-ნებმა, ჩვენც ხომ უნდა ვიცოდეთ?

რაზე შვილო და იმაზე რომა კოლექტივის ბოსელი დაიწვა, ბო-სელში კი 33 სული საქონელი ება.

მერე! მერე! შენ დაწვი თუ როგორ იყო, — ვინ გაამტყუნეს?

— მე გამამტყუნეს გენაჩალიაო! თორემ აქ ჩემი ფეხით ხომ არ მოვიდოდი.

როგორ თუ შენ, ბიძაჯან, სასამართლომ რა განაჩენი გამოგი-ტანა? რომელი მუხლით გაგასამართლეს, რომელი მუხლი მოგიყე-ნეს?

არ ვიცი გენაჩალიაო! უწიგნური მწყემსი ვარ, იმოტველა განა მესმის. ორი მუხლი მაქვს, ორივე აქა მაქვს და რა გავიგო რომლით გამასამართლეს გენაჩალიაო — მიუგო საწყლად სიმონამ.

მორიგი შეკითხვების მაგივრად საკანში დიდხანს ისმოდა ხარ-ხარი და ხელის-ხელზე გაკვრით გულიანი სიცილი. ბოლოს წამოდგა ერთი შავგვრემანი ახალგაზრდა და განაცხადა: დღეიდან ვინც ამ ბიძა-კაცს რამეს დაუშავებს აქ ვერ გაიხარებს. ძალზე პატივსაცემი უდანაშაულო გლეხი კაცი ჩანს და ბატონივით უნდა შევინახოთ.

მართლაც მთელი ექვსი თვის მანძილზე სიმონა ხელშეუხებელ „შეიხივით“ იჯდა და დამღეროდა ფანდურზე საგმირო-სავაჟკაცო სიმღერებს. ლექსებს, ანეგდოტებს და ათასგვარ ძველ თქმულებებს

„მაღლი მსუბუქია და ცოდო მძიმეა“ (ჭავჭავაძე)

უყვებოდა გალიაში გამომწყვდეულ „ბულბულებს“.

მალე სასამართლომ საქონლის მომვლელი სიმონა გაამართლა, ხოლო ფერმის გამგეს ლექსო გამხიტაშვილს „ხალხის მტრისა“ და „სახელმწიფო ქონების განზრას განადგურების“ იარლიყი მიაკერა. მან, როგორც ფერმის გამგემ, კოლექტივიდან მიღებული ნავთი მომვლელს კი არ გადასცა ლამფის გასანათებლად, არამედ თვითონ მიითვისა. თივა-ჩალით და საქონლით სავსე ბოსელში რეზინის ან-თება პირდაპირ ცეცხლის კერის გაჩენას უდრიდა, რამაც არ დააყოვნა და სახელმწიფომ დიდი ზარალი ნახა. საქმეს ამძიმებდა ფერმის გამგის ფაშისტებთან სამწლიანი „პლენად“ ყოფნა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამრთლომ ლექსო გამხიტაშვილს მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღვეთა შრომით-გამოსასწორებელ რეჟიმის კოლონიაში — ციმბირში გადასახლებით. ჩვენი სიმონა კი რეაბილიტირებული, გაღიპული და კარგად ჩაცმულ-დახურული დაუბრუნდა მშობლიურ ხოზოეთს.

გავიდა 6-7 წელი და დიდი ბელადის სიკვდილის მერე ქართველი ხალხის დიდმა „მეგობარმა“, კომუნისტური პარტიის ღირსეულმა შვილმა, მგზნებარე ლენინელმა და „უდრევი ნებისყოფის პოლიტიკურმა მოლვანემ“, ამხანაგმა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა ციმბირში გადასახლებული ალექსანდრე (მოკაკული ლექსო) სერგოს ძე გამხიტაშვილი სამშობლოში დააბრუნა.



გულუბრყვილო თავმჯდომარე

გასული საუკუნის 50-იან წლებამდე ქსნის ხეობის მთის პატარა სოფლებში წვრილ-წვრილი კოლმეურნეობები არსებობდა. კოლმეურნეობის წევრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მათი ხელმძღვანელების უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი იყო. გაუნათლებლობის აღმოსაფხვრელად და ხალხში სწავლის დასანერგად ყველა სოფლის კოლმეურნეობათა კანტორებში შეიქმნა ღამის სკოლები, სადაც გლეხები წერა-კითხვას და მარტივ მათემატიკას ეუფლებოდნენ.



კოლმების თაგ-რე
არსენ პეტრეს ძე
შიპრაური

მეორე მსოფლიო ომის დროს, მაღალმთიან სოფელ წიპტაურში შეიქმნილი იყო პატარა კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარედ მუშაობდა ძალზე ჭკვიანი, შრომის მოყვარე, ბავშვივით კეთილი და გულუბრყვილო კაცი არსენ პეტრეს ძე წიპტაური.

არსენ პეტროვიჩი — გამრჯე, პატიოსან და სპეტაკ თავმჯდომარეთა კატეგორიას მიეკუთნებოდა. იყვნენ სხვა, განსხვავებული კატეგორიის თავმჯდომარები: ამბიციურები, პატივმოყვარენი, უშრომელა-ფუნაგორები, ქედიფას და ქალებს გადაყოლილები, რომლებიც კარგად ჩაცმულ-დახურულები, კოლექტივის ქონებით შექნილ ძვირადლირებულ, იორღა ცხენებით დადიოდნენ, ფულიც ედოთ მუდამ ჯიბეში და ჯალაბიც მაძლარი ჰყავდათ. არსენი წიპტაური კრისტალივით წმინდა, პატიოსან ცხოვრებას ეწეოდა და თათბირებზე ფეხით დადიოდა ახალგორში, იშვიათ შემთხვევაში ნათხოვარი ცხენით თუ წავიდოდა.

ერთხელაც მაშინდელმა რაიკომის პირველმა მდივანმა ილია პავლეს ძე გალდავამ ყველა კოლ-ბის თავ-რე თავისთან დაიბარა, მათ შორის სოფ. წიპტაურის კოლექტივის თავკაციც. არსენ პეტროვიჩი ქარჩონდან ახალგორში ფეხით ჩავიდა.

გზაში „ფანჯრებიანი“ ქალამნები დახეოდა და ახალგორში მაკაროვის სახელოსნოში გაებანდა. მივიდა რაიკომის ეზოში და ელოდება

„მამაკაცი საზოგადოების პატივისცემის ღირსი უნდა იყოს,
დედაკაცი კი საქუთარი თავის პატივისცემისა“ (პაასი)

თათბირის დაწყებას. მოვიდა პავლოვიჩიც. შენიშნა თუ არა მან
სტენდთან მდგარი ქალამნებდახეული, ძველი შალის შარვლით კო-
ლექტივის თავმჯდომარე — მივიდა მასთან, მიესალმა და უთხრა:

კომუნისტები იმიტომ ვშრომობთ, ვიბრძვით და ვსწავლობთ,
რომ ხალხმა თავი უფრო ბედნიერად იგრძნოს, კარგად ჩაცმულე-
ბი და კუჭმაძლრები დავდიოდეთ. არ მომწონს შენი ასეთი ყოფა, გა-
ბანდული ქალამნები, გახუნებული შარვალი და პიჯაკი, წელზე ბა-
ნარ შემოკრული, რა არის ეს?! თავმჯდომარეს ეს ეკადრება? აიღე
საერთო ბელლიდან მარცვალი, გაყიდე და იყიდე წესიერი ტანსაც-
მელი, რომ ახალგორში ჩამოსვლისას ჩაიცვა. არსენამ მიამიტი ბავ-
შვივით დაიმორცხვა და გულწრფელად მიუგო:

კი ვფიქრობდი, რომ სხვებივით მეც რამე მეყიდა, მაგრამ ზოზ-
რონასი შემეშინდა.

ზოზრონა ვინდაა? — კანონს თუ არ დაარღვევ არავისიც არ
უნდა გეშინოდეს. აი ფული, წადი და ერთი ქამარი მაინც იყიდე - და-
ნარჩენი, როგორც გითხარი ისე მოიქეცი.

მას მერე კი იყიდა არსენ პეტროვიჩმა ერთი ხელი სანამუსო
ტანსაცმელი და რეზინის ჩექმები, მაგრამ დიდად ეუხერხულებოდა
ლარიბ თანასოფლელებთან კარგი ტანსაცმლით გამოჩენა.



სოფ. წიპტაური

„აღამიანისთვის აღამიანებზე საინტერესო ქვეყნად არაფერია“
(პუმბოლდტი)

ერთი ინტრიგა და სამი სპეციაკლი ინტრიგა — „კომუნისტების მზე“

როგორც ცნობილია საქართველოს გასაბჭოებიდან 10-15 წლის მანძილზე კოლექტივიზაცია ხან ორი ნაბიჯით წინ და ერთი ნაბიჯით უკან მიღიოდა, ხან კი ორი ნაბიჯით უკან და ერთი ნაბიჯით წინ მიინვედა. 1935 წელს ქსნის ხეობის ზემო წელის სოფლებში შეიქმნა წვრილი კოლექტიური მეურნეობები. ხალხს ჩამოართვეს მსხვილფეხი და წვრილფეხი საქონელი. მათივე ძალებით ააშენეს ბოლშევიკებმა პირუტყვის სადგომები, მიუხედავად ამისა გარკვეველი მიზეზების გამო კვლავ ერთ ადგილზე გაიყინა კოლექტივების შექმნის პროცესი. ღარიბ-უქონელმა გლეხობამაც კი, რომელთაც თავიანთი ავლადიდება შეეძლოთ ზურგზე აეკიდათ და ხეზე ისე ასულიყვნენ, რომ დაბლა არაფერი დარჩენოდათ, დაკარგეს იმედი და რწმენა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა. დაბნეული იყო საშუალო გლეხობა, გახარებული იყო შეძლებული, გერგილიანი მეურნე — გლეხი, რომელიც დღედაღამ კომუნიტების მაგინებელი იყო. ერთი სიტყვით გლეხობა სამად იყო გაყოფილი.

1. კომუნიტების მომხრეებად; 2. მოწინააღმდეგებად და 3. ზომიერ ანუ ნეიტრალურ ფენად.

ქარჩხის ზოგიერთ სოფელში თითო - ოროლა შეძლებულ, კომუნისტების მაგინებელ გლეხებს შორის სოფ. ელოიანში მცხოვრები რევაზ ბეროს ძე ელოშვილიც მოისაზრებოდა. ისედაც ჩვევად ქცეულ გინებას — ქონი (თ-ქონი) დედა მოვ... ანის ძახილს, კიდევ სხვა მრავალი უცენზურო და უხამსი სიტყვებით ამდიდრებდა. ქარჩხში რაიონიდან ცხენებით მისულ მთავრობის წარმომადგენლების თანდასწრებით ბეროევიჩმა ხშირად იცოდა თქმა:

— გამაგებინეთ ბოლოსდაბოლოს, რომელი მთავრობა და ხელისუფლება შეცვლის ჩვენს გაძალებულ ცხოვრებასო? ერთი რამ აშკარა იყო, ბეროევიჩს კომუნისტები არ მოსწონდა.

ერთხელაც რევაზ ელოშვილი მილიციელებმა ახალგორში დაიბარეს. მისი ჩასვლის დღეს ახალგორიდან თბილისში ტაეპით გადაჰყავდათ პოლიტპატიმრები და საეჭვო ელემენტები. ეს ჩვენი

„თუ შეგიძლიათ,ნურავის ემტერებით“ (შოპერ ჰაუერი)

რეაზიც ლოდინისა და წვალების გარეშე ბადრაგის თანხლებით გა-
ამგზავრეს უშიშროების სახალხო კომისარიატში.

რევაზას უშიშროების ერთ-ერთ კაბინეტში სხვადასხვა რანგის
ოფიცირები და როგორც თვითონ თქვა — ბრტყელი ქამრებით მორ-
თული მაუზერიანი ჩეკისტები დახვდნენ. ერთ-ერთმა, მწვანე მაუდ-
გადაფარებულ მაგიდის თავში მჯდომმა იკითხა მობუზულ რევაზა-
ზე, — ამის საქმე მომიტანეოთ.

საქმე არ შემდგარა ამხანაგო ოფიცერო, — მოახსენა ახალგო-
რელმა სტრუნიკმა. — ფაქტზე დავიჭირეთ და პირდაპი აქ წამოვიყ-
ვანეთ.

— რა ბრალდებით? — იკითხა ჩეკისტმა.

— საბჭოთა ხელისუფლების მოძულე და მაგინებელი კულაკია
ამხანაგო ოფიცერო!

რევაზამ არც აცია, არც აცხელა და ეიფორიაში ჩავარდნილმა
თავის გადასარჩენად ერთი ნაბიჯით წინ წადგომით განაცხადა,

არ შეიძლება თქვენ ჭიიმე, რომ გამაგებინოთ, მაინტერესებს,
ეს ხელისუფლება დიდხანს იქნება თუ მალე გადავარდება?

კაბინეტში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. კომისარი ფეხზე
წამოდგა, რევაზასთან მივიდა და ხელკავით თანჯარასთან უსიტყ-
ვოდ მიიყვანა.

მოსალამოვებული იყო. მზის ჩასვლას ბევრი ალარაფერი აკლ-
და. მთაში „პატარა მზეს“ შეჩვეულ რევაზას ქალაქის პორიზონტზე
დაგდებული სისხლისფერი, უზარმაზარი მზის დისკო დაანახა და
დინჯად, გამტკიცული ხმით უთხრა კომისარმა:

— ხედავ იმ მზეს?

— კი, შეი ჭიიმე, როგორ არა ვხედავ, — მიუგო შიშისგან ფერ-
დაკარგულმა რევაზამ.

ერთი რამე იცოდე, გჯეროდეს და დაიმახსოვრე: საბჭოთა ხე-
ლისუფლება და კომუნისტური პარტია მანამდე იქნება დედამიწაზე
სანამდე ცაზე იქნება ეს მზე. თუ გაქრება მზე, მაშინ გაქრებიან კო-
მუნისტებიც!

ამ მგზნებარე კომუნისტის წყალობით იმ დღესვე გაათავისუფლეს
რევაზა და სახლში დაბრუნეს. ყველა ამ ცუდ საქმეში დამნაშავედ ბე-
როევიჩი თავის მეზობლებიდან მეტადრე მიხა ელოშვილს მიიჩნევდა.

„ხალხები არასოდეს არ იღუპებიან, თვით ყველაზე მქაცრი ტირანის რეზიძის დროსაც კი“ (დიმიტროვი)

მას მერე გავიდა დიდი დრო. როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში ისე ხეობაშიც წარმატებით განხორციელდა კოლექტივიზაცია. „კომუნისტური პარტიის სიპრეზიტ და წინამძღოლობით“ ჩვენმა ხალხმა მოიგო დიდი სამამულო ომი. რევაზ ბერიევიჩმა საკუთარი სისხლითა და ოფლით დაიცვა საბჭოთა ქვეყანა. ომში გამარჯვებას შესწირა მარჯვენა თვალი და ქსნის ხეობას თვალის ჩინისა და სამხედრო ჩინის გარეშე დაუბრუნდა. ომის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა მსოფლიოში კომუნიტების როლი და მათი მზის მცხუნვარება. მრავალი წლის მანძილზე რევაზას გულშიც არ გამქრალა წყენა კარის მეზობლისადმი და ისიც შეძლებისდაგვარად უხდიდა მათ სამაგიეროს, უდგამდა სპექტაკლებს, როგორც კულისებში ისე ფართო აუდიტორიის წინაშე.

სპექტაკლი 999 ანუ „ვნების კვირა“

ერთ-ერთი საშუალება მეზობელზე რევანშისა და გულის მოფხანისა ხელთ მიეცა რევაზ ბერიევიჩს. მან წინასწარ შეარჩია თავის ეზოს გვერდით მიხას თივის ზვინი, რომელსაც თავზე მავთულებით გადაბმული ქვები ჰქონდა და კიდებული. სცენარის ავტორმა და დამდგმელმა რეჟისორმა, საქმის უკეთ წარმატებისთვის 5-6 ბოთლი ნავთი მოიმარავა და ორ ამოდენა წყლით სავსე ბოთლებს გვერდით მოუწყო. სპექტაკლის დადგმისთვის დრო როგორც უკვე ვთქვით უდავოდ ნიჭიერმა კაცმა ვნების კვირა აირჩია. ინტერეს-მოკლებული არ იქნება მკითხველისთვის თუ შევახსენებ ნახევარი საუკუნის წინ რა რელიგიური დატვირთვა ჰქონდა ვნების კვირას და რა რიტუალები სრულდებოდა ამ დროს ქსნის ხეობაში.

ბზობიდან აღდგომამდე კვირას ვნების კვირა (ვნების შვიდეული) ეწოდება. ამ კვირაში განსაკუთრებულად გამოირჩეოდა დიდი ორშაბათი, დიდი ხუთშაბათი და წითელი პარასაკვი.

ჩვენში დიდი ორშაბათი კუდიანების დღე-ღამედ ითვლებოდა. მოსახლეობის წმენით კუდიანი ეშმაკის მოციქულია, რომელიც ორშაბათს მიდიოდა ეშმაკთან, რომ მისგან გაეგო რა უბედურობები უნდა მომხდარიყო სოფელში. ეშმაკთან ყურის გდების, ანუ მისნობის

**„შურისძიება არის სუსტთა სულის წადილი
ღირსეულს მისთვის არ ექნება გულში აღვილი“ (კერნერი)**

წესები ამავე კვირის ოთხშაბათს სრულდებოდა.

ქართლის მთასა და ბარში ვნების კვირის ოთხშაბათს ყველგან ჭიაკოკონობა იცოდნენ. მუშაობა მხოლოდ სადილობამდე შეიძლებოდა. ამ დღეს მარტო მჭედლები მუშაობდნენ. მათთვის მუშაობა აუცილებელიც იყო, რათა მიჯაჭვულ ამირანს არ აეწყვიტა და მჭედლები არ ამოქმოცა.

ქართლში ჭიაკოკონობის ნაცარს სხვა ნაცარში აურევდნენ და კომბისტოს მოაყრიდნენ, ჭია ალარ შექამსო. ზოგი ამ ნაცარს გაზაფხულის პირველ დაქუხებისას ხელუკულმა გადაყრიდა ან ხილს მიაყრიდა სეტყვა ალარ იქნებაო. ზოგ-ზოგიც ნაცარტუტას აკეთებდა და თავს იბანდა, თმის ბოლოჭამიები და მუწუკები ალარ გაგვიჩნდებაო. ხუთშაბათს მრავალ წელს გაძერწებული, უნაყოფო ხეზე ცულით ხელში დაექანებოდნენ, ვითომ მოსაჭრელად, უკან ოჯახის რომელიმე წევრი გამოეყიდებოდა, დაიჭერდა და არ მოაჭრევინებდა. ამგვარად შეშინებული ხე იმავე წლიდან უთუოდ მსხმოიარე შეიქმნებოდა.

ხალხური წარმოდგენიდან გამომდინარე რაკი კუდიანი ორშაბათს ეწვეოდა ეშმაქს და მისგან შეიტყობდა, თუ რა ცუდი აჩბავი უნდა დატრიალებულიყო სოფელში, — ცხადია ელოიანშიც რევაზას უკვე ეცოდინებოდა, რომ დიდ ოთხშაბათს ჭიაკოკონობის ღამეს მიხა ელოშვილის თივის ზვინი დაიწვებოდა.

მართლაც ჭიაკოკონობა საღამოს ზვინს ცეცხლი გაუჩნდა. ფეხზე დადგა მთელი სამეზობლო. ხალხი კეტებით, მიწის მიყრით, წყლის მისხმით ცდილობდა როგორმე ჩაქრო, მაგრამ ამაოდ. რევაზამ დაგულებულ „წყლის“ ბოთლებს „ცეცხლის ჩასაქრობად“ და მეზობლების დასანახად ზვინზე დაკიდებულ ქვებზე დაუწყო სროლა. დამსხვრეულ ბოთლებიდან დაღვრილი ნავთი ალაპებდა მეზობლებისგან ჩაქრობის პირზე მისულ ცეცხლს. რევაზას „გული ულონდებოდა“ მეზობლის ქონების პირწმინდად განადგურების გამო, მაგრამ რას იზამდა, „ბევრი ეცადა“, მაგრამ ამაოდ. ცეცხლმა ფერფლად აქცია წუთის წინ მიხას ქონებას მითვლილი გარაყანიანთკარში ნათიბ-ნახვეტი, ყუათიანი საკვები. — ესეც ესე, თქვა ბოლოს რევაზ ბეროევიჩმა და გრძელ ულვაშებზე კმაყოფილებით გადაისვა ხელი.

„ყველაზე უტყუარი ნიშანი უმაღლესი ღირსებისა – შურის არქონაა“. (ლარო შფუქი)

სპექტაკლი 1000 ანუ მიდიოდა მატარებელი

მომდევნო სცენარის სიუჟეტი უკავშირდება მატარებელს, რომელიც დაღესტნის მლაშე სტეპებისკენ მიდიოდა და მიაქროლებდა ათასი რჯულის ხალხს: დიდსა და პატარას, მდედრსა და მამრს, ერთგულს და ორგულს, ჩინიანსა და უჩინოს, ფულანსა და უფულოს, ვნებიანსა და ლმობიანს, მიდიოდა მატარებელი და თან მიჰყვებოდა ქარჩოხის ოთხკაციანი ელიტარული ჯგუფი: ბალაანის ს. ორჯონიკივიძის სახელობის კოლმეურნენიბის თავ-არე ამხანაგი ორდა ნიკოს ძე ბალაშვილი, ქარჩოხის ს/საბჭოს თავ-რე ამხანაგი ფრიდონ ივანეს ძე პავლიაშვილი, ლომისის „დამკვრელის“ სახელობის კოლბის თავ-რე ამხანაგი მიხეილ გოგის ძე ელოშვილი და ამავე კოლბის ფერმის გამგე ამხანაგი რევაზ ბერის ძე ელოშვილი.

ქარჩოხლებს გზად, კუპეში ერთ რუსის პუტკუნა ქალთან მოუწიათ მგზავრობა. კუპის მაღალ იარუსზე რუსს ლოყებნითელა ქალი წამოგორებულიყო, მის დაბლა კი რევაზა, მიხა და ფრიდონი ისხდნენ. ქალის მოპირდაპირედ მაღალ იარუსზე რულმოკიდებული ორდა ისკენებდა. ყველას რომ წასთვლიმა, რევაზამ შეუმჩნევლად მაღლა, რუსის ქალისკენ გააპარა ხელი და უკანალზე უჩქმიტა. ქალმა ერთი მაგარი შეიგინა და გვერდი იცვალა.

ქალის გინების ხმაზე მწოლიარე ორდამ თვალები გაახილა და ვნებიანად დაუწყო ყურება.

გავიდა ცოტახანი და რევაზამ კვლავ უჩქმიტა ქალს თავისი ბოკოლა თითებით. რუსის ქალმა თვალები გაახილა, შეიგინა და თან განრისხებულმა ორდას დაუწყო ყურება. ორდაც კვლავ თავის საცრისხელა თვალების ბრიალით განაგრძობდა თვალიერებას და ვერ ხვდებოდა, რომ ქალს ჩქმეტით გამოწვეული სიბრაზის გამო გაწყვეტას ჰქონდა ძარღვები.

გავიდა ათიოდე წუთი და კვლავ, მესამედ, ორდასგან შეუმჩნევლად უჩქმიტა ჩაპუტკუნებულ ქალს რევაზამ. მაშინ კი წამოხტა გაბრაზებული „რუსაგი“ და თან ორდას მისამართით მოჰყვალანდვა-გინებას. კუპიდან გავარდა და პოლიციელი შემოიყვანა. სამართალდამცავმა ორდას ორიოდე შეკითხვა დაუსვა.

„გისაცა სტკიგა, მან იცის ქარგად,
საღ უფრო უჭერს თავისი წალა,
გინცა თქვა ანი, ის იტყვის ბანსაც
და უკულმართი არ წაგა წალმა“ (შამისო)

რუსული ენის უცოდინრობის გამო თავმჯდომარემ სათავისოდ ვერაფერი ვერ უთხრა და მოთხოვნას — თან გაპყოლოდა, უსიტყვიდ დაემორჩილა. კუპედან გასულ ორდას რევაზა წამოენია და ყურში ჩასჩურჩულა.

— შეი ჭიმე, მიეცი რამე მაგ ოჯახამოწყვეტილსა სანამ მარტოა, თორემ მერე ძვირად დაგვიჯდება შენი უკან დაბრუნება.

დაბნეულმა ორდამ აღარაფერი დაინანა და ჯიბიდან ხელს ამოყლილი წითელი ხუთ თუმნიანი ჩაუცურა პოლიციელს. იმანაც, უზომოდ გახარებულმა მალევე „დაკითხა“ და თავაზიანად გამოუშვა უკან. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ყველაფერი რევაზამ მიხას-თვის გაითამაშა, თუმც კრიუანკობის გამო არც ორდაზე დაწვია მაინცდამაინც გული. ყოველ შემთხვევაში აქაც კარგად იცინეს ქარჩოხელებმა.

სპექტაკლი 1001

ნიჭიერ რეჟისორსა და მსახიობს ცხოვრების გრძელ და ჭუჭყიან სცენაზე ათასმერთე სპექტაკლის დადგმა კვლავ მატარებლით ოთხეულის ყიზლარში ვითაჟისას მოუწია. სპექტაკლის სცენარი ხელოვანს კარგა ხნის წინ დაეწერა გულის ფიცარზე. ყველაფერი კი ისე მოხდა როგორც გათვალა.

დაღალულ, ნაქეიფარ მგზავრებს მატარებლის რწევაში ჩასძინებოდათ. არ ეძინა ეშმაკს, არ ეძინა ბეროევიჩს. ადგა, ჩაიცვა თავისი ძველი ჩექმები და ამხანაგ თავმჯდომარეთა ძველ-ახალი „აზიან-ცკები“ წამოკრიფა, მათი საფასო ლირებულება გონებაში გადათვალა და პრავადნიკთან წაიღო შესანახად.

გათენდა. მატარებელი მორიგ სადგურზე გაჩერდა. მიკროფონით გამოაცხადეს, რომ მგზავრებს ერთი საათით შეეძლოთ ჩასვლა და გავლა-გამოვლა. გაიღვიძეს თავმჯდომარებმა მაგრამ რა... შენც არ მომიკვდე, ქურდი გაჩენილა და ჩექმები მოუპარავს, რევაზას

„გით ფუტკარი წუწნის ყვავილს, შენც აგროვე სიბრძნის მადლი
ყვავილობა რომ გაივლის, შენ შეგრჩება ნექტრის თაფლი“.
(ვილჰელმ მიულერი)

ძველი ჩექმებისთვის კი ხელი არ უხლია.

აბა, რევაზ, გვიშველე რამე. ფეხშიშველები ხომ არ ჩავალთ კა-
ჩუბეიში. პრავადნიკა და მორიგე პოლიციელს უთხარი იქნებ ქურ-
დი როგორმე იპოვონ და ჩექმები დავიბრუნოთ — უთხრეს ჯიბე-
ქელმა ხაზეინებმა.

მანაც „მომხდარით შეწუხებულმა“, თანაგრძნობა გამოიჩინა
და მზრუნველის ნიღაბს ამოფარებულმა სრული სერიოზულობით
განუცხადა:

— ვერც მე და ვერც მორიგე ვერაფერს გიშველთ. ქურდი კა-
რების უკან კი არ შეინახავდა ჩექმებს, გადახტებოდა და წაიღებდა.
სხვა გზა არ არის, ფულები მომეცით და ახლებს გიყიდით სანამ მა-
ტარებელი არ წასულა.

მართლაც ჭკუაში დაუჯდათ ფულიან ძიებს უფულო რევაზას
ნათქვამი და სამი წყვილი ჩექმის საყიდლად ფული შეაჩერეს. რავა-
ზამ პრავადნიკისგან აიღო ჩექმები, ზაპოუნიკთან მიიტანა, მცირე
ფასად გაამაზინ-გააპრიალებინა და ისევ ძველ პატრონებს მიუტანა
უკან.

რა მაგრა გვანან ჩემ ჩექმებს. ზუსტად ჩემი ფეხის ზომაზე გი-
ყიდია რევაზავ, — უთხრა მიხამ.

შე ცალთვალა ეშმაკო, ამოგინყდა ოჯახი, აღარ იცი როგორ
მოგვატყუო, რამ მოგაფიქრებინა ეს, — უთხრა ბეროევიჩის ეშმა-
კობას მიხვედრილმა ორდა ბალაშვილმა.

მალე თავიანთი ჩექმები იცნო ყველამ, ჯერ გაპრაზდნენ ბო-
ლოს კი იცინეს და თავიანთი მიცემული ფულებით სასადილო აკის-
რებინეს რევოლუციონერ „კოჩუბეის“ სახელობის „სტანციაში“.

ასე, სულ მუდამ „სიცილით ართობდა“ თავის მეზობელ-ხელმ-
ძლვანელებს, ომის მონაწილე, ბრძოლაში დასახიჩრებული და „და-
კუნული“ „ცალთვალა ეშმაკი“, ათას ერთი სპექტაკლის დამდგმელი
რეჟისორი, მსახიობი და დიდი იუმორისტი რევაზ ბეროს ძე ელოშ-
ვილი. ვფიქრობ, ქართულ სამსახიობო ხელოვნებას მისი სახით
ეყოლებოდა ნიჭიერი ხელოვანი თავიდანვე, რომ ნოყიერ ნიადაგზე
მომხდარიყო მისი ხალასი ნიჭით გაჯერებული მარცვლის გაღიება

და ალმოცენება.

სიტყვების განმარტება

- ალარდი** — უამურის ხეობის ერთ-ერთი ძლიერი სალოცავი, ჩართული ალავერდის ციხის კომპლექსში.
- არქიელი** — ზოგადი არაოფიციალური სახელწოდებაა მღვდელმთავართა, ეპისკოპოსის, არქიეპისკოპოსის და მიტროპოლიტისა.
- არხავი** — ცხვარ-მეცხვარის ბინის გასაჩერებელი, ამორჩეული ადგილი.
- ასო** — კაცის ნასხამოანი, ნასხამნი, კაცის ასო (საბა).
- აშაშუბე** — ადგილი დაბლა ყველდაბის მოპირდაპირედ, ქსნის მარჯვენა მხარეს.
- ბაბილა** — აქ იგულისხმება ძროხის სახელად.
- ბედოვლათი** — (სპარს. არაბული) — ღარიბი, უყაირათო მფლანგველი, უთავო, უხეირო.
- ბარხანა** — არყის ხის და მისთანანის მრავალკაპიანი ტოტი, რომელსაც მწყემსები ბინებზე არჭობენ ნაბდების, ტყავების და სხვა საჭირო ბარგის ჩამოსაკიდებლად.
- ბია** — აქ კაცის სახელი. ბერძნულ მითოლოგიაში ძალისა და შემართების ქალღმერთი. მან ზევსის ბრძანებით თავისი ძმის კრატოსის დახმარებით შებოჭა პრომეთე და კავკასიონზე მიაჯაჭვა, რათა იქ არნივს ეკორტნა.
- ბოლაური** — ძველ, დარბაზული ფორმის სახლებში, დედაბოძე, ავეჯზე და სხვა მრავალი ხის საგნებზე ამოკვეთილი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ფიგურები.
- ბურნა** — აქ ყიზლარის სტეპებში ზამთრის საძოვრებისთვის დამახასიათებელი ყვითელი ქვიშა.
- ბუხარცკი** — იგივეა რაც ბუხრის ქუდი ანუ ერაველის ქუდი. უზბეკეთის ქალაქ ბუხარას სახელის მიხედვით

დარქმეული.

გაბანდული — დაკერებული, გაჯღანული ქალამანი.

გაბიაბრუება — შერცხვენა, განპილება, არაფრად ჩაგდება, დამცირება.

გაგვლა — ნათესის, სათიბის, საძოვრის რისიმე ფეხით გა-
თელვა, გაოხრება, გაფუჭება.

გუგულის

ნერწყვი — ძველად ბასრ იარაღს საგანგებოდ და სათვალჩი-
ნოდ გალესვისას ზედ უსვავდნენ მინდორში ნაპოვნ
გუგულის თეთრ, ქაფქაფა ნერწყვს.

გურჯიე — ჩანჩურ-ინგუშურად ქართველი.

დამალი — ცხენის დაავადებაა. უმაგრდება და უსივდება სა-
სა რაც ხელს უშლის საჭმლის დაცოხვნაში.

დასარყვა — გარკვეულ დასაცავ ტერიტორიაზე სათიბის ან
ნათესის დანიშვნა ქერქ- შემოცლილი, ტოტებჩან-
ნულ არყის, წოროს, თხილის ჯონების დარჭობით.

დოხაბური — მთაში დოხაბურს ეძახიან ცუდად ჩაცმულ,
ფეთხუმ, მოუწესრიგებელ ადამიანს. ეს სახელი
უკავშირდება სიტყვა „დოხობურს“, რაც სულისთ-
ვის მებრძოლებს ნიშნავს. დავძენთ, რომ ეს ქრისტი-
ანული რელიგიური სექტა ჩამოყალიბდა მე-18 საუ-
კუნის მეორე ნახევარში რუსეთის ქალაქ ტამბოვსა
და ვორონეჟში. მათგან ერთი ნაწილი 1841 წ. გადმო-
სახლდა სამხ. საქართველოში ახალქალაქის მაზრა-
ში.

ვარცლი — ხშირად ხის დიდი მორისაგან გამოთლილი, მასი-
ური ჭურჭელი, რაშიც იზილებოდა პურის ცომი, აგ-
რეთვე გამოიყენებოდა ლუდის ხარშვისას.

ზოოფილი — იგივეა, რაც ცხოველებზე დაცემა, სოდომია,
გადახრა, რომლის დროსაც სქესობრივი ლტოლვა
ცხოველებისკენაა მიმართული.

ზორიყო — პავლიაშვილთა გვარის ერთ-ერთი შტოს ზედწო-

დება.

- ზორა** — ზვარაკი, იტყვიან ლმერთისადმი შესაწირავად დაყენებულ მსხვილფეხა საქონლზე.
- თალიანურები** — თელიანი ადგილი ქსნის და ცხრაზმულის შესარ-თავთან გზიდან აღმოსავლეთით, ცხრაზმულის მარ-ცხნივ, მაღლა.
- თანგირა** — საშუალო ზომის სპილენძის ქვაბი.
- იაბო** — მამალი, დაკოდილი ცხენი.
- კახჩინა** — ხისგან დამზადებული, იარალის შესანახი დახუ-რული სათავსო. გავრცელებული იყო ოსებში.
- კუტიმლაშა** — მიტლინგა — ნოლაის ველებზე (დაღესტანი) ცხვრის გამოსაკვებად საუკეთესო, ყუათიანი ბალა-ხი.
- ლიბერალი** — ვინც უარყოფით თავისუფლად მოაზროვნე ადა-მიანი.
- ლიკანები** — მზისგული სახნავი ადგილი სოფ. ხოზოეთის ჩრ. აღმოსავლეთით.
- ლოსკუნტი** — გამხდარი, ტანად პატარა, უძლური.
- მარლი-**
- იორლა** — თეთრთვალება, კარგად მორბენალი ცხენი.
- მაჩიტა** — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე. აქვს ზა-რის მოყვანილობის სოსანი ყვავილები და თეთრი ფესვი, რომელიც იჭმევა.
- მაჯაგანი** — ტყავის დასამუშავებელი და მოსაქნელი რკინის იარალი.
- მონასტერი** — სოფ. ლარგვისის ძველი სახელი.
- ნუაზან** — ხელის მექანიკურ ჩარხზე ხისგან გამოთლილი ორნამენტებიანი სასმისი. იგივეა რაც სირჩა.
- ოჩხარი** — გაღარიბებული, ნაზარალებ ოჯახისადმი ნათესა-ვების, მეგობრებისა და თანასოფლელების დახმარე-

	ბა - შეწევნა ცხვრით და თხით ქეიფის სანაცვლოდ.
ოხტი	— არაბული სიტყვაა. ოხტში ამოსვლა ნიშნავს, ვი-სიმე ჯავრის ამოყრას, სამაგიეროს გადახდას.
პლენუმი	— საბჭოთა ხელისუფლებაში არჩევით ორგანოს სხდომა, რომელსაც ყველა წევრი ესწრება. ამჟამინ-დელი პლენარული სხდომა.
პრისტავი	— ბოქაული (თურქული სიტყვაა) რევოლუციამდე-ლი პოლიციის მოხელე, რომელსაც ებარა უბანი ქა-ლაქში ან მაზრის ნაწილი სოფლად.
ჟიჟმატი	— წვრილ-წვრილი.
რუსიხევი	— პატარა ხევი სოფლების თინიკაანისა და პავლია-ნის მარცხნივ ჩამომავალი.
საგოგავი	— მომრგვალებული ფიცრის საყრდენი ძირი, რა-ზეც დგას და ირწევა აკვანი.
საგულები	— სოფლის ახლოს ამორჩეული, ზვავებისგან და-ცული მზვარე ადგილი თივების გასაჩერებლად. სა-იდანაც ზამთარში გლეხები მოცალეობისას უმარხი-ლოდ თრევით ეზიდებოდნენ სოფელში.
საღორე	— წისქვილის ძირითი ნაწილი, სადაც წყლის ძლიე-რი ჭავლი ბორბალს ეჯახება და აბრუნებს.
სადიაცო	— საქართველოში ყველა შეძლებულ ოჯახს გააჩნ-და „სადიაცო“ ცხენი. რაზეც მხოლოდ ქალები სხდე-ბოდნენ. დიდ სირცხვილად ითვლებოდა მასზე მამა-კაცის დაჯდომა.
სამთვალა	— მე-20 საუკუნის დასაწყისში სოფ. თინიკაანში ცხვორობდა ერთ თვალზე ორ ბაიანი გიგია, რომე-ლიც ორჯერ მეტად ხედავდა სხვებზე და ეძახდნენ სამთვალას.
საფეიქრო	— ხის საქსოვი დაზგა შიგ მოძრავი სკამით და სხვა-დასხვა მოწყობილობებით. გავრცელებული იყო სა-ქართველოს მთიანეთში XX-საუკუნის 70-იან წლე-ბამდე.

სახალიკე	— სოფელთან მიმარჯვებული მზვარე ადგილი შე-შის გასახმობად დროებით შესანახი, მისაყუდებელი ადგილი.
სულადი	— პურის არაყი, გამოხდილი კუსტარულად.
ტაგანი	— საწყაო მარილის, ფქვილის და მისთანების ით-ლებოდა რბილი ხისგან. — ტაგანა გუშის ნახევარია, გუში კი ნახევარი ქილაკია (საბა).
ტოლალები	— მტკიცე ქსოვილის გრძელი ფართო ზოლი, რო-მელსაც იხვევდნენ ჯარისკაცები წვივებზე, მწყემ-სები კი ფეხებზე ჩექმებში.
ფარეში	— ხის ჩხირი (ჭანჭიკი) რისამე ნაწილების ერთმა-ნეთზე გადასაბმელად.
ფოცხვერაანთ	
მინდორი	— ქარჩოხში სოფ. ჭორჭოხის ახალი უბანი ყოფილი კოლმეურნეობის თავლების მიმდებარე ტერიტო-რია.
ფანჯრებიანი	
ქალამანი	— საგანგებოდ ლამაზად ამოსხმული. ითვლებოდა თავმოსაწონ ქალამნად. იცვავდნენ დღესასწაულებ-ში და სტუმრობისას.
ფრთიანი	
ცული	— სიგრძეზე ფრთასავით წაგრძელებულ კიდებიანი ნაჯახი.
ფუნაგორა	— საერთო სახელი ხოჭოებისა, რომლებიც ფუნით იკვებებიან ახასიათებთ მბზინვარება.
ფხიტიჯვარი	— სამლოცველო-სარიტუალო ხე-ნიში. ბაკვევებ-ში გრიპის სურდოს, ყივანა ხველის, ბატონებისა და მისთანანის გასაკურნი. მდებარეობს ნასოფლარ ლოთიანის ჩრდილო-დასავლეთით მზვარე ქედზე.
ფხოლი	— ატოლი ანუ ლიმის გამსხვილებული ფესვი, თხი-ლის ოდენა. შეიცავს სახამებელს მოტკბო გემოთი.

მოდიოდა მთაში. უპურობისას ხალხი ტომრებით აგროვებდა მაჩიტასთან ერთად ხარშავდა და საკვებად იყენებდა.

- ქერ-დიკა** — ერთმანეთში შერეული ქერი და დიკა.
- ქიში** — ჭადრაკის თამაშში ისეთი მდგომარეობა, როცა მეფეს მოწინააღმდეგის ფიგურის თავდასხმა ელის.
- ლიჭა** — ყვითელყვავილა ბალახოვანი მცენარე იზრდება ნათესებში, ვენახებში. ფოთლები ნორჩობაში მხლად იხმარება.
- ლრძილის**
- ამოლება** — ცულზე, თოხზე და მისთანებზე პირის გათხელება ჩელის ჩელის გათხელება.
- ყასბების**
- ქალაქი** — ზოგიერთი მეისტორიე ახალგორს ყასბების ქალაქად მოიხსენიებდა.
- ყორული** — საქონლისგან დაცული, შენახული სათიბი ან საძოვარი.
- ყველიერი** — ქრისტიანებში დიდმარხვის წინა კვირა. ასევე ხალხური სამიწათმოქმედო დღესასწაული გაზაფხულის დამდეგს, როდესაც ეწყობოდა სხვადასხვა გართობები.
- შილიფად** — მსუბუქად, თხლად ჩაცმული, უბარგოდ მისული.
- შინაკაცი** — მამაკაცი, რომელიც ზამთარ-ზაფხულ სახლში შრომობს და არ ეწევა მომთაბარე მესაქონლეობას არ დადის საშოვარზე.
- შუაცეცხლი** — ძველად გვირგვინიან (საკომიან) დიდ დარბაზულ სახლში, შუა კერაზე ხარებით შეტანილ ხეზე დანთებული ცეცხლი.
- ჩეკი** — ფურნეში ცეცხლის საჩხრეკელა.
- ჩიბა** — ასაკმცირე ძალლი (საბა).

- ნეკო** — თამბაქოს ერთი სახეობათაგანია. მისი წვრილად დაჭრილი ფოთლები იხმარება მოსაწევად და საღეზად.
- ხრაკიანი** — სახლში გამოხდილი დაბალი ხარისხის მოტრუ-სული არაყი.
- ხელ-ხვედა** — ხის ურო, კომბალი მოკლე ტარით ხელის გასაყ-რელი თასმით. ძველად ხმარობდნენ ჩხუბის დროს.
- ხონჩა** — აქ ნაგულისხმებია სტუმრისთვის სახელდახე-ლოდ გაშლილი პატარა სუფრა.
- ხუბულონა** — ოსი მანდილოსნის ზედწოდება გვარის მიხედ-ვით.
- ჯალაბი** — ოჯახის შემადგენლობა, სამი წევრიდან ზევით.
- ჯეჯიბ-**
- ბოხჩები** — სპარსული სიტყვებია. ფარდაგულად ნაქსოვი ზოლიანი ქსოვილია. მისგან კერავდნენ ხურჯინებს და შესაკვრელ ბოხჩებს.

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
ჩვენი ქარჩხი	7
წიგნის ისტორია	11
ჩვენი „სოფლის დიდი წიგნი“	13
ჯიორა	19
ქარჩხელი ჩოხოსნები	21
მიხეილი და უორუკა	24
ქუცოს ქუდი	26
ლამფიანობა	28
კარგი შესაყრელი	30
არ გათეთრდების ყორანი	32
ხელოსანი ხელოსნის მტერია	34
ტემალი	36
მოვიდა ბულუა	38
გაბრო და სანდრო	43
ქართველების ერკემალი	46
უდედლოდ დარჩენილი მამლები	48
ქილა ერბო	50
ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს	52
ორი საპა	54
რევაზას მოხერხება	56
ცრუ	59
საცრისოთვალება გიგო	61
ასი წლის უკან	62
ჭიანა და ჭუკულა	65
გაბიაბრუებული ოსი	66
ოქროს ცული	68
მყვირალა ხარი	71
უდანაშაულო დამნაშავე	73
საძალლე	76
იცინეს არაგველებმა	79
სიტყვის ძალა	81

ცალულვაშა-ცალნამუსა	85
სამაგიერო და მისი კუდი	86
იცინიან ქარჩოხელები	90
ბრიგადელის მოხერხება	93
ოხტში ამოსული	95
კომფლიქტის კოცონი	98
შეგრჩეს მარჯვენა	100
ის კი არ არის ბიჭობა	103
ფაშატი	106
აკონ-კაგუა	109
რევაზა ყანობში	111
მთიელები მთიულებში	114
ქურდი თავმჯდომრები	117
ღმერთი მაღლიდან იყურება	119
ჯიგრიანი მძახლები	122
თუშის თავგადასავალი	124
იქნებ დაგინებულია	128
ჭიანა და ჭირისუფალნი	130
როგორ არის საბაკა?!	132
რაზ-რაზ ვზიალი!	134
როგორ გადაარჩინა სამეგრელოში გაზრდილმა თხამ მიხა ელოშვილი თავმჯდომარეობიდან	
განთავისუფლებას	136
ბრაძიაგები	139
ავტორიტეტ აღდგენილი უბნის ტექნიკოსი	141
ჩვენებურები	145
გადით და გამოვდივარ!	148
დესტაბილიზაციის პროცესირება	151
იღლ გაბარაშვილს და მის სტუმრებს გაუმარჯოს!	154
მჯობს მჯობი არ დაელევა	157
უნდა გიამბოთ, გილექსოთ!	161
ორი მუხლი	164
გულუბრყვილო თამჯდომარე	168
ერთი ინტრიგა და სამი სპექტაკლი	170
სიტყვათა განმარტება	177

პეტ! ვინ მოდის, განდ მომავლიდან?!



